

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

თეიმურაზ თოდრია

ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა
საკასაციო სასამართლოში

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი



სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2010

სარჩევი

შესავალი5

I. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების წესის სამართლებრივი კრიტერიუმების განსაზღვრის ზოგიერთი საკითხი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში11

1.1. საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ზოგადი დახასიათება11

1.2. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების წესის ზოგიერთი თავისებურება სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოებაში20

1.3. პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმები, როგორც საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების განმსაზღვრელი კრიტერიუმი38

II. სამართალშეფარდების გადასინჯვის ზოგიერთი თავისებურება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში47

2.1. საკასაციო სასამართლოში სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესის ზოგადი დახასიათება47

2.2. ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნა58

2.3. სუბსუმფცია და მისი მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში64

III. ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ67

3.1. ფაქტობრივი გარემოებები, როგორც სამართლებრივი შეფასების ობიექტი68

3.2. პრეზუმფციის მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისას87

3.3. მტკიცების საგანი და მისი განსაზღვრის მნიშვნელობა96

3.4. ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას113

IV.	ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შემოწმების პროცესის ზოგიერთი თავისებურება	130
4.1.	მტკიცებითი საქმიანობის ზოგიერთი თავისებურება	130
4.2.	მტკიცებითი საქმიანობა და მისი შეფასება საკასაციო სასამართლოში	139
4.3.	მტკიცებითი პროცესის შეფასების ზოგიერთი სამართლებრივი და ლოგიკური კრიტერიუმი	144
4.3.1.	კასატორის მითითება პროცესუალურ დარღვევაზე საკასაციო საჩივარში	146
4.3.2.	მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობების ზოგიერთი თავისებურება.....	149
4.3.3.	მტკიცებულების განხილვასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება	155
4.4.	მტკიცების ტვირთის განაწილების შეფასება.....	175
V.	საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მითითებების სავალდებულო ძალა	201
5.1.	საკითხის დასმა	201
5.2.	გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) უცვლელად დატოვების სამართლებრივი კრიტერიუმები.....	202
5.3.	გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხალახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი კრიტერიუმები	208
5.4.	გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი კრიტერიუმები.....	215
5.5.	საკასაციო სასამართლოს მითითებების სავალდებულო ძალა.....	218
	დასკვნა	226
	ბიბლიოგრაფია	231

აბრევიატურის ნუსხა:

ქართულ ენაზე:

იხ. – იხილეთ

ციტ. – ციტირებულია

გგ. – გვერდი

წ. – წელი

სსსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შეად. – შეადარეთ

უცხოურ ენებზე:

arr. - arrêté

Ass. plén. - Cour de cassation, assemblée plénière

Civ. – Cour de cassation, chambre civil

Civ. 1-re - Cour de cassation, premier chambre civil

Civ. 2^e - Cour de cassation, deuxième chambre civil

Com. - Cour de cassation, chambre commerciale

Cass. - Cour de cassation

Cass. soc. - Cour de cassation, chambre sociale

art. – article(s)

RTD civ. – Revue trimestrielle de droit civil

obs. – Observation

Bull. – Bulletin

Bull. civ. – Bulletin des arrêts de la Cour de cassation (chambres civiles)

n° - numéro

NCPC – Nouveau Code de procédure civil

p. – page

JCP – Juris-Classeur Périodique, édition générale

L. – Loi

v. – voir

sez. - sezione

с. – страница

М. – Москва

т. – том

изд. – издательство

г. - год

შესავალი

თანამედროვე პირობებში სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც უკავშირდება საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმებას და შესაბამისი გადაწყვეტილების (განჩინების) მიღებას.

წინამდებარე თემაში ჩვენ შევეცადეთ, დაგვეხასიათებინა საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების¹ კანონიერების შემოწმების ზოგიერთი თავისებურება.

აღნიშნული საკითხები ეხება გასაჩივრების ინსტიტუტს, რომელსაც გააჩნია საკმაოდ დიდი ისტორია.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ “უნდა დავასკვნათ, რომ “სააჯო კარი”, რომელშიაც ვაზირთა-უპირველესი კვირაში ერთხელ მოსამართლეობდა, საქართველოს პირველი საფეხურის დაწესებულება კი არა, არამედ უმაღლესი სასამართლო უნდა ყოფილიყო, რომელშიაც პირველი საფეხურის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთა საჩივარი და “აჯა” ირჩეოდა ხოლმე”.² აქვე იგი აგრძელებს, რომ “სამართალი სამეუფო”, უზენაესი სასამართლო, სადაც წინათ საქმეებს თვით მეფე არჩევდა, დავით აღმაშენებელმა ცალკე დაწესებულებად აქცია, რომელშიაც მეფის მაგიერ განსაკუთრებული მსაჯულები იხსდნენ, “კაცნი მართლად მცნობელნი და განკითხულნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა.”³

¹ სსსკ 391-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად “სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.” ამ შემთხვევაში ტერმინი “გადაწყვეტილება” უნდა გავიგოთ ფართო მნიშვნელობით, რომელშიც მოიაზრება ასევე “განჩინება”. ამ ნორმით მხედველობაშია სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული პროცესუალურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც ერთ შემთხვევაში შეიძლება ძალაში დარჩეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში, რის თაობაზეც სასამართლოს გამოაქვს განჩინება ან შეუძლია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესუალური დოკუმენტები ექვემდებარება გასაჩივრებას და წარმოადგენს საკასაციო საჩივრის ობიექტს.

² ივანე ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII., თბ. 1984, გვ., 341

³ იხ. იქვე, გვ., 341

როგორც ვხედავთ, საქართველოში უძველესი დროიდან იცნობდნენ სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ინსტიტუტს.⁴

თანამედროვე კასაცია წარმოიშვა საფრანგეთში და აქ მიიღო თავისი საბოლოო სახე. მე-16 საუკუნეში უკვე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების სამეფო საბჭოსადმი სპეციალური საჩივარი (*contrari étés et nullité s*). 1667 წლის ორდონანსის მიხედვით კასაცია განისაზღვრება, როგორც გადაწყვეტილებათა გაუქმების წესი, რომლებიც არღვევენ ორდონანსებსა და ედიქტებს. კასაცია წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების ატრიბუტს და შეადგენდა სამეფო საბჭოს ფუნქციას (*conseil des parties*). აღნიშნულ საბჭოში არსებული პროცედურა, რომელიც დაფუძნდა 1738წ. შემორჩენილია დღევანდელ ახალ საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში.⁵

1791 წელს დამფუძნებელმა კრებამ გადაწყვიტა დაეტოვებინა კასაციის ინსტიტუტი, დაგას იწვევდა მხოლოდ ის, უნდა დაეტოვებინათ *conseil des parties*, თუ შეეცვალათ იგი საკანონმდებლო კრებასთან არსებული განსაკუთრებული კომიტეტით კანონების განმარტებისათვის, ან/და შეექმნათ სპეციალური სასამართლო ორგანო, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველასათვის. დებატების შედეგად მიღებულ იქნა სასამართლო ორგანოების თავში არსებული საკასაციო ტრიბუნალი, (ნაპოლეონის მიერ გარდაქმნილი იქნა საკასაციო სასამართლოში), რომელიც დამოუკიდებელი იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, მაგრამ თვითონ არ წარმოადგენდა სასამართლო ინსტანციას.⁶ საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მსგავსად, მე-19 საუკუნეში საკასაციო სასამართლოები შეიქმნა ბელგიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, რუმინეთში, სერბეთში და სხვა.

ჩვენ აღარ მივყვებით საკასაციო სასამართლოს ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპების განხილვას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საკასაციო სასამართლოს გააჩნია ისტორიული ფესვები, რამაც საბოლოოდ განაპირობა მისი, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ჩამოყალიბება. სხვადასხვა ქვეყნების საკასაციო სასამართლოებს გააჩნიათ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რაც გარკვეული თავისებურებებით აისახება, უპირველეს ყოვლისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების პროცესზე და შედეგებზე. შედარების საშუალებით, ზოგიერთი ქვეყნის საკასაციო მოდელის ანალიზით ვეცადეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა საკასაციო სასამართლოს ისეთ ნიშან-თვისებაზე, როგორიცაა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმების მნიშვნელობა. ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ საფრანგეთისა და გერმანიის საკასაციო სასამართლოს მოდელზე, რომელთა ანალიზი უფრო

⁴ დაწვრ. იხ. ვ. ხრუსტალი. სტატია « საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება. ». ჟურნალი « მართლმსაჯულება », №1, 2009წ., გვ. 38-45

⁵ <http://gatchina3000.ru/brockhaus-and-efron-encyclopedic-dictionary/049/49494.htm>

⁶ იხ. იქვე

ნათლად და მკაფიოდ გვაძლევს წინამდებარე თემაში დასმული პრობლემატიკის გამოკვეთისა და მისი შესაძლო გადაჭრის გზების დანახვის საშუალებას.

თემის აქტუალობა.

წინამდებარე თემაში განხილული პრობლემის წარმოშობა განპირობებულია ქართული საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი არსებითი ნიშნით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს საკასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივ მხარეს, ე.ი. გადაწყვეტილების კანონიერებას, მის იურიდიულ მხარეს.

საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, ის არ იკვლევს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს პროცესუალური დარღვევის შემცველი ფაქტებისა და მტკიცებულებების შემოწმება. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: თუ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს, რა შეხება გააჩნია მას ფაქტებთან, ანუ რა მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივ გარემოებებს საკასაციო სასამართლოში.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთგვარ ცდას. მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი მხარის შემოწმება ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების გარეშე და სწორედ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების კრიტერიუმების განსაზღვრა იწვევს ჩვენს ინტერესს. **ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის განსაზღვრა საკასაციო სასამართლოში უკავშირდება** სამართალშეფარდების გადასინჯვასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

როგორც წესი, სასამართლო პრაქტიკა ორიენტირებულია კონკრეტული საქმის გადაწყვეტაზე და კონკრეტულ საქმეზე სამართალშეფარდების გადასინჯვისას განსაზღვრავს ფაქტობრივ გარემოებებთან ურთიერთობის საკითხს.

სასამართლო პრაქტიკა არ არის საკმარისი საფუძველი, რომელიც მოგვცემდა ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის განსაზღვრის შესაძლებლობას. ამისათვის აუცილებელია თეორიული კვლევა, რომლის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკით დაგროვილი გამოცდილების განზოგადოება და შესწავლა, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გამოვლენა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ისეთ ნორმას, რომელიც მოგვცემდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების მოცულობის განსაზღვრის მკაფიოდ გამოკვეთილ და განსაზღვრულ სამართლებრივ კრიტერიუმებს. მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების ერთობლივი ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, დავინახოთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმების რეალური სურათი. ამ პროცესუალურ-სამართლებრივ ჭრილში, რომელიც დადგენილია საკასაციო სასამართლოსათვის, ხშირ შემთხვევაში

რთულია ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თუ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ეს პრობლემა ხშირად ართულებს დასკვნის გაკეთებას იმის შესახებ, თუ საკასაციო სასამართლომ რამდენად მართებულად დააბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში ან რამდენად მართებულად გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება; რა ფაქტობრივ გარემოებებზე და როგორ უნდა გაამახვილოს ყურადღება საკასაციო სასამართლომ; რომელ ფაქტობრივ გარემოებებს და რა მოცულობით შეიძლება შეეხოს საკასაციო სასამართლო, როდესაც საქმეს აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად ან ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას).

აქედან გამომდინარე, აუცილებელია თეორიულ დონეზე იმ სამართლებრივი კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ საკასაციო სასამართლოს დამოკიდებულებას ფაქტობრივ გარემოებებთან.

გამოსაკვლევი თემის მიზანი და ამოცანები.

გამოსაკვლევი თემის მიზანია გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) სამართალშეფარდების გადასინჯვასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებისა და მათი შემოწმების კრიტერიუმების დადგენა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა: ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების წესის ზოგიერთი სამართლებრივი კრიტერიუმის განსაზღვრა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში; სამართალშეფარდების გადასინჯვის ზოგიერთი თავისებურების განსაზღვრა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; ფაქტობრივი გარემოებების, როგორც სამართლებრივი შემოწმების ობიექტის ზოგიერთი თავისებურების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოში; ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შემოწმების პროცესის ზოგიერთი თავისებურების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოში; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ზოგიერთი თავისებურებანი და საკასაციო სასამართლოს მითითებების სავალდებულო ძალის განსაზღვრა.

მითითებული ამოცანები წარმოადგენენ კვლევის შესაბამის თავებს და ქმნიან თემის სტრუქტურულ ერთობას.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაცია შედგება შესავლის, 5 თავისა და დასკვნისაგან. დისერტაციის მოცულობა შეადგენს 243 გვერდს, რომელშიც შედის ლიტერატურის ნუსხა 14 გვერდზე.

ნაშრომის პირველი თავში მოცემულია საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ზოგადი დახასიათება. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების წესის ზოგიერთი თავისებურება სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოებაში. განხილულია

პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმები, როგორც საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების განმსაზღვრელი კრიტერიუმი.

ამ თავში გაკეთებული დასკვნები გვაძლევს შესაძლებლობას, რათა უფრო დაწვრილებით დავახასიათოთ საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების შემოწმების ზოგიერთი პროცესუალური თავისებურება და განვასხვავოთ ფაქტისა და სამართლის საკითხები.

ამ მიზნით ნაშრომის მეორე თავში მოცემულია საკასაციო სასამართლოში სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესის ზოგადი დახასიათება. გამახვილებულია ყურადღება ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნის პრობლემატიკაზე. განხილულია სუბსუმფცია და მისი მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში.

პირველი ორი თავით ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვეთა კვლევის მიმართულება, რომელიც ერთ შემთხვევაში ეხება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შემოწმებას, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის სამართლებრივ შემოწმებას. კვლევის ამ ორ მიმართულებას ეთმობა დისერტაციის მესამე და მეოთხე თავები, რომლებიც ასევე ურთიერთკავშირშია.

შესაბამისად, ნაშრომის მესამე თავში უფრო დეტალურად არის განხილული ფაქტობრივი გარემოებები, როგორც სამართლებრივი შეფასების ობიექტი. აქვე ჩვენ ვეხებით სამართლის ნორმის გამოყენება-განმარტების ზოგიერთ თავისებურებას, რაც წარმოადგენს ფაქტების შემოწმების კრიტერიუმს. რადგან ამ თავში ვიხილავთ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობას, აუცილებელი ხდება იმის დახასიათება, თუ რა შემთხვევებში გააჩნია დადგენილ ფაქტებს სავალდებულო ძალა საკასაციო სასამართლოსათვის და როგორ ხდება მათი შემოწმება. ამ მიზნით მოცემულ თავში განხილულია პრეზუმფციის მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისას და დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, როგორც ამ პრეზუმფციის უარყოფის პროცესუალური საშუალება. ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შემოწმებისას დიდი როლი გააჩნია მტკიცების საგნისა და მისი განსაზღვრის მნიშვნელობას საკასაციო სასამართლოში, ასევე იმ ფაქტების მნიშვნელობას, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, რის განხილვასაც ეთმობა მითითებული თავის შესაბამისი პარაგრაფები.

ამდენად, მესამე თავში გაკეთებული დასკვნების დახმარებით ჩვენ გამოგვეთეთ, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს საკასაციო სასამართლოსთვის, ამავე დროს, გამოგვაყავით ის სამართლებრივი კრიტერიუმები, რომლის არსებობისასაც ამ ფაქტებს არ გააჩნია სავალდებულო ძალა საკასაციო სასამართლოსათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს უფრო მჭიდრო კავშირი გააჩნია ფაქტებთან, რა დროსაც ფართოვდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების

სამართლებრივი ფარგლები. ამ უკანასკნელ შემთხვევას ეთმობა დისერტაციის მეოთხე თავი.

კერძოდ, ნაშრომის მეოთხე თავში მოცემულია მტკიცებითი საქმიანობის ზოგიერთი თავისებურების დახასიათება; მტკიცებითი საქმიანობისა და მისი შეფასების ზოგიერთი თავისებურება საკასაციო სასამართლოში. ყურადღება გამახვილებულია მტკიცებითი პროცესის შეფასების ზოგიერთ სამართლებრივ და ლოგიკურ კრიტერიუმზე. მტკიცების პროცესის სტადიებზე, როგორც შეფასების ობიექტზე. ამავე თავში განხილულია საკასაციო საჩივარში პროცესუალურ დარღვევაზე კასატორის მითითების ზოგიერთი თავისებურება და მათი მნიშვნელობა. განხილულია მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობების ზოგიერთი თავისებურება, ასევე, მტკიცებულების განხილვასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება და მტკიცების ტვირთის განაწილების შეფასების საკითხები.

ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ინსტიტუტის ზოგიერთ თავისებურებას. ამ თავში განხილულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) უცვლელად დატოვების სამართლებრივი კრიტერიუმები. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხალახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი კრიტერიუმები. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი კრიტერიუმები. საკასაციო სასამართლოს მითითებების სავალდებულო ძალა.

გამოკვლევის ობიექტი და საგანი.

გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს პროცესუალური ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საკასაციო სასამართლოში სამართალშეფარდების გადასინჯვის შესაძლებლობებს, რაც მოიცავს გამოკვლევის საგანს. გამოკვლევის საგანს წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების დადგენა საკასაციო სასამართლოში.

გამოკვლევის ზემოაღნიშნული ობიექტი და საგანი, როგორც მეცნიერული პროცესის კატეგორიები, ერთმანეთს ეფარდება როგორც ზოგადი და კერძო, რომლის თანახმად ობიექტში გამოყოფილ უნდა იქნეს მისი ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კვლევის საგანს.

მეცნიერული კვლევის მეთოდები.

აღნიშნული ნაშრომის გამოკვლევის დროს ჩვენ ვეცადეთ გამოგვეყენებინა მეცნიერული კვლევის საერთო მეთოდები, კერძოდ, ემპირიული გამოკვლევის ისეთი მეთოდი, როგორცაა შედარება. აღნიშნული მოგვეცემს შესაძლებლობას, მოვიძიოთ და შევადართო შემეცნების ობიექტი სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში არსებულ ანალოგიურ საკითხებს, რომელთა შორის არსებობს ობიექტურ პრობლემათა გარკვეული ერთობა. ამასთან ერთად ისინი უნდა

შეგადართოთ ყველაზე უფრო მთავარი, არსებითი ნიშნების მიხედვით, გამოსაკვლევი საკითხის მიზნებისა და ამოცანების კონტექსტში. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ გამოსაკვლევი საგნის ცნება და გამოვეყოთ მისი არსებითი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ განსახილველი საგნისათვის, რაც საფუძველად დაედება მის შემდგომ განმარტებას, აუცილებელია, მივმართოთ მეცნიერული კვლევის ისეთ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება როგორც ემპირიულ, ასევე თეორიულ დონეზე, კერძოდ, აბსტრაგირება, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია.

I. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების წესის სამართლებრივი კრიტერიუმების განსაზღვრის ზოგიერთი საკითხი საკასაციო სასამართლოში

1.1. საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ზოგადი დახასიათება

განსახილველი თემატიკის გათვალისწინებით, აღნიშნულ პარაგრაფში ჩვენ შევეხებით საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მხოლოდ იმ მხარეებს, რომლებიც ეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებას.

საკასაციო სასამართლოს ქართულ მოდელს გააჩნია მთელი რიგი არსებითი ნიშნები, რომლებითაც იგი განსხვავდება როგორც სააპელაციო სასამართლოსაგან, ასევე – სხვადასხვა ქვეყნის საკასაციო სასამართლოს მოდელისაგან.

სწორედ გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმება წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს (ქართული მოდელის მიხედვით) ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს. თუ უფრო ზუსტად გამოვიყენებთ კანონისმიერ ტერმინოლოგიას, საკასაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს, კანონის დარღვევით იქნა თუ არა გამოტანილი კანონიერ ძალაში შეუსვლელი და გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება). აღნიშნულის გათვალისწინებით, თემაში გამოყენებულ ტერმინებში “სამართლებრივი მხარე”, “სამართლებრივი შემოწმება” ჩვენ ვგულისხმობთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების “კანონიერების შემოწმებას”. საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების, როგორც ამ სასამართლო ინსტანციისათვის დამახასიათებელი ასპექტის, შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ზუსტად ეს ასპექტი განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელის არსს და ამ სასამართლო ინსტანციის მუშაობის სპეციფიკას. ამ ასპექტის შესწავლას გააჩნია სხვადასხვა მხარე: ისინი ეხება, ერთ შემთხვევაში – პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ კასაციის აღნიშნული “მიმართულების” რაობას და, ამასთან დაკავშირებით, იმ პროცესუალურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა

საკასაციო საჩივრის აღძვრის შედეგად⁷, მეორე შემთხვევაში - ამ ნორმების განმარტებას, მასთან დაკავშირებული იურიდიული ტექნიკის საკითხებს და ა.შ. ხოლო მესამე შემთხვევაში, რაც, ჩვენი აზრით, ნაკლებად არის შესწავლილი, - მისი (გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების) ფუნქციონირების საკითხებს: თუ რა კანონზომიერებებს ემორჩილება აღნიშნული ფუნქცია და რა თავისებურებები ახასიათებს მას მოქმედების პროცესში⁸.

ჩვენ ვიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც, ჩვენი აზრით, მიესადაგება წინამდებარე კვლევაში დასმულ საკითხებს იმის შესახებ, რომ სამართლებრივი რეალიების შესწავლა შესაძლებელია ანალიტიკური გზით, მეცნიერული განზოგადებით მიღებული სხვადასხვა მონაცემის (ცნებათა, კატეგორიების განსაზღვრა) საფუძველზე. აღნიშნული ხორციელდება ნორმატიულ ტექსტებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებზე, იურიდიული საქმეებსა და სამართლებრივ ცხოვრებაში არსებულ სხვა საფუძვლებზე დაყრდნობით. ასევე არ შეიძლება, არ დავეთანხმეთ იმასაც, რომ იურიდიული ფენომენების მეცნიერული განზოგადება, რაც ნაკარნახევია პრაქტიკის მოთხოვნებით, მუდამდებია (აისახება) იურიდიული რეალიების ცნებათა კონსტატაციაში, მათში იურიდიული ნორმების შინაარსის გამომჟღავნებით, მათი განმარტების, ზოგადი, გვარეობითი და სახეობითი თავისებურებების გამოკვეთით⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ დასმული საკითხი არის ერთგვარი იურიდიული ფენომენი, რომლის რაობა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მის ფუნქციონირებაში. მაგრამ, სანამ შევეხებით მის (კასაციაში გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების) ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ვფიქრობთ, მას უნდა მივცეთ პოზიტიურ-სამართლებრივი დახასიათება.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელის იურისდიქციის ზემოაღნიშნული ელემენტი, რომლის თანახმად, “საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი”. კანონის აღნიშნული დანაწესი მოიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე - პროცესუალურ-სამართლებრივ მხარესაც (ამის შესახებ მოგვიანებით გვექნება საუბარი).

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმა ჩამოყალიბებულია ნორმატიული მოთხოვნის კონსტრუქციის ფორმით, რაც გულისხმობს იმას, რომ საკასაციო საჩივრის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს

⁷ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებით წარმოშობილ პროცესუალურ ურთიერთობებს, არამედ – საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე წარმოშობილ ურთიერთობებსაც, რაც გათვალისწინებულია სსსკ 391-ე მუხლით.

⁸ დამატებით, ასევე იხილეთ: http://www.pravo.vuzlib.net/book_z1790_page_3.html /Алексеев С. С. Право. Азбука. Теория. Философия. Опыт комплексного исследования. – М.: Издательская группа НОРМА - ИНФРА * М. 1998. с. 126.

⁹ С.С. Алексеев. Восхождение к праву, поиски и решения. М.2001г., с.6.

მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანაზე მითითება. აღნიშნული დანაწესი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს კასატორის უფლების შინაარსს, რაც განპირობებულია საკასაციო ინსტანციის იურისდიქციის თავისებურებით, მისი ინსტანციურობიდან გამომდინარე.

სსსკ 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები აკონკრეტებენ, თუ რა იგულისხმება “კანონის დარღვევაში”. ამდენად, ისინი დეფინიციურ ხასიათს ატარებენ. კერძოდ, აღნიშნული ნორმები უთითებენ, რომ კანონის დარღვევას წარმოადგენს კანონის (ნორმის) არასწორი გამოყენება და მისი არასწორად განმარტება. ამდენად, სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს იმ დარღვევების ჩამონათვალს, რომელშიც შეიძლება გამოვლინდეს კანონის კონკრეტული დარღვევა.¹⁰

ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების სამართლებრივ მხარეს, რომლის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა. იგივე წესი მოქმედებს პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე მხოლოდ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ეხება საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, რაც შეიძლება გახდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

განსახილველ მუხლში მითითებულ დანაწესებს უკავშირდება ფაქტობრივ გარემოებებთან შემხებლობის პრობლემატიკა, რაც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელის იურისდიქციის განსაზღვრის ხერხემალს.

უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე არ შემოიფარგლება მხოლოდ სსსკ 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით, იგი მოიცავს აგრეთვე ისეთ დანაწესებს, რომლებიც მოცემულია ამავე კოდექსის 394-ე მუხლში. მითითებული მუხლი იმპერატიული ხასიათისაა და მოიცავს ემპირიულ ჩამონათვალს, რომლის არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება ყოველთვის ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც იწვევს მის უპირობოდ გაუქმებას. ნორმატიული შინაარსი სსსკ 394-ე მუხლში გამოსატყობია ექსპლიციტურად და ასახავს იმ პროცესუალური ხასიათის ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სხვა მიმართულებით შემოწმებას.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების იმ აუცილებელ წინაპირობას, რომლითაც უზრუნველყოფილია კანონიერების დაცვის პროცესუალური პრინციპები, კერძოდ, განსახილველი მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი

¹⁰ ვ. ხრუსტალი, სტატია “გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ”, ჟურნალი “სამართალი”, №11, 2001წ. გვ.25.

წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენელი კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; ე) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; თ) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია და საკმარისია ერთ-ერთი ზემომითითებული საფუძვლის არსებობა, რათა საკასაციო სასამართლომ გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება).

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს არა იდენტურ, მაგრამ - მსგავს პროცესუალურ დანაწესს, კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის თანახმად, საკასაციო გასაჩივრება (le pourvoi en cassation) შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს. ამდენად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს და არ ეხება ფაქტს, კერძოდ, არ აკონტროლებს ფაქტის შეფასების სისწორეს.¹¹ ამდენად, საკასაციო შემოწმების ფუნქცია შემოიფარგლება იმ საკითხის გარკვევით, თუ რამდენად შეესაბამება გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივ ნორმებს (non-conformité aux règles de droit). საფრანგეთში საკასაციო განხილვის საგანს წარმოადგენს სასამართლოების მიერ სამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და განმარტების სისწორის შეფასება, რითაც უზრუნველყოფილია ნაციონალური სამართლის ერთიანობა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა.¹²

ჩვენი აზრით, მეტად საინტერესოა, თუ რა იგულისხმება საფრანგეთის საპროცესო კოდექსის მიხედვით სამართლის ნორმის დარღვევაში. უპირველეს ყოვლისა, სამართლის ნორმის დარღვევაში იგულისხმება: კანონის დარღვევა, არაკომპეტენტურობა, უფლებამოსილების გადამეტება, დებულებათა შეუთავსებლობა, ფორმის დაუცველობა და სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობა. კანონის დარღვევაში იგულისხმება კანონის არასწორი გამოყენება, განმარტება და უარი კანონის გამოყენებაზე.¹³

მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში საზი გავეუსვათ იმას, რომ საკასაციო სასამართლო სამართლებრივ მხარეს ამოწმებს მხოლოდ საჩივრის ფარგლებში. ამასთან, გასაჩივრების საბაზი საფრანგეთის სამოქალაქო

¹¹ J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, 2008. p. 242-248

¹² იხ იქვე. გვ. 248, ასევე იხ. Boré.J. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-e partiè. p.61.

¹³ J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, 2008. p. 258-263/ასევე იხ. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p, 142-143/ასევე იხ. G. Couchez, Procédure civile. Paris. 1998, p.345

საპროცესო კოდექსის 619-ე მუხლის თანახმად უნდა იყოს დასაბუთებული და პასუხობდეს სამართლებრივ შემოწმებასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.¹⁴

საფრანგეთის საკასაციო სასამართლო არ გაიზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში გამოთქმულ მოსაზრებას და გააუქმებს განჩინებას იმ შემთხვევაში, თუ მისთვის შეუძლებელია მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის შემოწმება.

საკასაციო სასამართლოს მთავარი მოვალეობაა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს სამართლებრივი ნორმების სწორად განმარტებას.¹⁵ სამართლებრივი ნორმების სწორად განმარტების ხელშეწყობის ამოცანის განხორციელებისათვის საკასაციო სასამართლო აქვეყნებს გადაწყვეტილებათა ბიულეტენს¹⁶.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მოტივაციაში დაშვებული შეცდომა¹⁷ არ უნდა იყოს გათანაბრებული მექანიკურ შეცდომასთან, რადგან ის ეხება გადაწყვეტილების დასაბუთებას. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების (la motivation) კონტროლი გახდა საკასაციო სასამართლოს არსებითი ფუნქცია.¹⁸

განსახილველი საკითხის თვალსაზრისით, ასევე ყურადღებას იპყრობს გერმანიის საპროცესო კოდექსი. გერმანიის მიწის სასამართლოსა და უმაღლესი მიწის სასამართლოს სააპელაციო გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს ფედერალურ სასამართლო პალატაში. ფედერალური პალატის სამოქალაქო სენატები შედგება ხუთი პროფესიონალი მოსამართლისაგან, რომლებიც ამოწმებენ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი თვალთახედვით. ამასთან ერთად, საქმის გადასინჯვა შეიძლება, თუ ეს დაშვებულია სააპელაციო გადაწყვეტილებით, ან თუ თვითონ ფედერალური პალატა დააკმაყოფილებს დაინტერესებული მხარის თხოვნას. 2001 წელს რეფორმირებულმა გერმანიის სამოქალაქო პროცესმა განსაზღვრა ფედერალურ სასამართლოში კასაციის დაშვების შემდეგი კრიტერიუმები: სამართლებრივ დავას უნდა ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა ან ხელს უნდა უწყობდეს სამართლის შემდგომ განვითარებას, ან უნდა ემსახურებოდეს სამართალწარმოების

¹⁴ Code de procédure civile, art. 619.

¹⁵ Breton, L'arrêt de la Cour de de cassation, Toulouse, 1975, t. é », p. 6

¹⁶ Jean Vincent, Serge Guinchard, Procédure civile, Dalloz, 1999. p.1045

¹⁷ Le vice dans la motivation – ფრანგულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში განხორციელებულ შემოწმებაში ტრადიციულად განასხვავებენ “ნორმატიულ” შემოწმებას და “დისციპლინარულ” შემოწმებას. ნორმატიულია ისეთი სახის შემოწმება, რომელიც ხორციელდება საკასაციო სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადაწყვეტილებების არსებით მხარეზე (სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და გამოყენება, ფაქტების კვალიფიკაცია ...). დისციპლინარული შემოწმება დაკავშირებულია გადაწყვეტილებების ფორმასთან ან სამოტივაციო ნაწილთან. არსებითად, ამ უკანასკნელის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი ფორმალური ან პროცედურალური მოთხოვნების არ დაცვის დადასტურება, არსებითი მხარის გათვალისწინების გარეშე. დაწვ. იხ. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p, 49

¹⁸ Georges Picca, Liane Cobert, La Cour de Cassation. 1986, p.71-72

ერთიანობის გაძლიერებას (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის & 543 მუხლის მე-2 ნაწილი).¹⁹

ამდენად, აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამართლებრივი დავა განიხილება სამართლებრივი ასპექტის კუთხით, ხოლო ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაადგინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ, სავალდებულოა მესამე ინსტანციის სასამართლოსათვის, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული გასაჩივრებულია დასაშვები და დასაბუთებული წესით.²⁰

ქართული მოდელისაგან განსხვავებით, რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად საკასაციო ინსტანციის სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლებში ამოწმებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. სასამართლო აფასებს საქმეში არსებულ, ასევე დამატებით წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტებსა და სამართალურთიერთობას ან ადგენენ ახალ ფაქტებს, თუ მიიჩნევენ, რომ მათი წარმოდგენა არ იყო შესაძლებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია კანონიერების ინტერესებში შეამოწმოს გადაწყვეტილება სრული მოცულობით.²¹

ამდენად, რუსეთის საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არა მარტო სამართლებრივ მხარეს, არა მარტო მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების გამოყენების სისწორეს, არამედ ფაქტობრივ მხარესაც.²²

ასევე ინტერესს იწვევს იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. კერძოდ, 360¹ მუხლით დადგენილია საკასაციო წესით გასაჩივრების შემთხვევები. მაგალითად, 360¹ მუხლის თანახმად საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს გვერდის ავლით²³ თუ საჩივრდება მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე²⁴. ამავე კოდექსის 384¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საკასაციო სასამართლო საჩივარს იხილავს 360¹ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის თანახმად საკასაციო წესით საჩივრდება სამართლის ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება და/ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნორმათა დარღვევის შემთხვევები²⁵.

¹⁹ GTZ-ის მასალები. მართლმსაჯულება გერმანიაში და სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე.

²⁰ А.Г. Давтян, იგივე ნაშრომი, გვ. 376.

²¹ Гражданский процессуальный кодекс РФ, ст.347

²² Н.М. Коршунов, Ю.Л. Мареев, Гражданский процесс, М. 2004г., с. 508

²³ იხ. Codice di procedura civile 360⁷ (Può inoltre essere impugnata con ricorso per cassazione una sentenza appellabile del tribunale, se le parti sono d'accordo per omettere l'appello).

²⁴ Ma in tale caso l'impugnazione può proporsi soltanto a norma del primo comma, n. 3.

²⁵ Le sentenze pronunciate in grado d'appello o in unico grado possono essere impugnate con ricorso per cassazione per violazione o falsa applicazione di norme di diritto e dei contratti e accordi collettivi nazionali di lavoro. Codice di procedura civile 384⁷. ასევე იხ. იტალიის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები Cfr. Cassazione Civile, sez. III, sentenza 18 luglio 2007, n.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული ქვეყნების საკასაციო სასამართლოს მოდელები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ქართული საკასაციო სასამართლოსაგან, მაგრამ ბევრი მსავსებაც გააჩნიათ. აღნიშნული თავისებურებები უპირველეს ყოვლისა უკავშირდება საკასაციო სასამართლოს ფაქტებთან შემსებლობის კუთხით, რასაც დაწვრილებით განვიხილავთ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების შემოწმება გულისხმობს მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემოწმებას. მაგრამ საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას გააჩნია თავისი ფარგლები, რომელსაც მოსამართლე ვერ გასცდება, კერძოდ, სსსკ 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა, რომლებიც მიუთითებენ პროცესუალურ დარღვევებზე (იხ: 13).

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქართული მოდელის საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს.

შეიძლება საკმაოდ ბევრი ითქვას იმის შესახებ, თუ რით არის განპირობებული კასაციის ასეთი მოდელის არსებობა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც დგას საკასაციო სასამართლოს წინაშე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზუსტად “შემოწმების სამართლებრივი ფუნქცია” არის საკასაციო სასამართლოს ამოცანებისა და მიზნების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ელემენტი.²⁶ აღნიშნული ამოცანები და მიზნები თავის მხრივ ატარებს ზოგად და სპეციალურ ხასიათს, ხოლო სამართალშეფარდების გადასინჯვის რეგულაციური ფუნქცია უზრუნველყოფს დასმული ამოცანების გზით დასახული მიზნების მიღწევას. “შემოწმების სამართლებრივ ფუნქციას”, როგორც საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ არსებით ნიშანს, ახასიათებს მთელი რიგი ისეთი თავისებურებები, რომელთა ახსნის გზები ჩვენ პირველ რიგში უნდა ვეძებოთ სამართალშეფარდების გადასინჯვის რეგულაციურ ფუნქციაში.

ჩვენ არ შევეხებით ამოცანათა იმ რიგს, რომლებიც ზოგადია სამივე, მათ შორის – საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის. ამოცანები და მიზნები განუყოფელია ერთმანეთისაგან და შეიძლება ითქვას, რომ ყველა კონკრეტული ამოცანა გარკვეულწილად თვითონ წარმოადგენს

16002, Cassazione Civile, sez. III, sentenza 19 febbraio 2009, n. 4122, Cassazione Civile, sez. III, sentenza 9 aprile 2009, n. 8689 e Cassazione Civile, sez. III, sentenza 4 gennaio 2010, n. 7 in Altalex Massimario.

²⁶ შეად. თ. მამიაშვილი. სტატია: “საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება”. ჟურნალი ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2008წ., გვ., 105

მიზანს²⁷. სწორედ მისი რეალიზაციის შედეგად მიიღწევა ის ზოგადი და ფუნდამენტური მიზნები, რომლებიც დამახასიათებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული სასამართლოსათვის. ჩვენ შევეხებით მხოლოდ საკასაციო სასამართლოს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა არსებობაც დაკავშირებულია საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი კუთხით შემოწმებასთან.

კერძოდ, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საკასაციო სასამართლოს გააჩნია შემდეგი მიზნები: **ინდივიდუალური ინტერესის დაცვა**, რომელიც მიმართულია მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისაკენ და **საჯარო ინტერესების დაცვა**, რომელიც მიმართულია კანონების ერთგვაროვან გაგებასა და ერთიანი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისაკენ.²⁸

არ შეიძლება, ყურადღება არ გავამახვილოთ რეზოლუციაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ უზენაესი სასამართლო, რომლის კონკრეტული მიზანია სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ზოგადად, უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობაში.²⁹ რა თქმა უნდა, რეზოლუციაში აღნიშნულია უზენაესი სასამართლო და არა – საკასაციო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს სავსებით ეხება საკასაციო ინსტანციას, როგორც უზენაეს სასამართლოს.³⁰

მითითებული მიზნები მიიღწევა როგორც ზოგადად პროცესუალური ურთიერთობების სისტემისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედებით, ასევე - იმ სპეციალური პროცესუალური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც საბოლოოდ მიმართულია

²⁷ დაწვრილ. იხ. М.А. Алиескерев, Кассационное производство по гражданским делам: вопросы теории и практики. изд. «норма», 2005г., с. 42.

²⁸ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2005, გვ. 494.

²⁹ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა შეხვედრაზე მიღებული რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ, თემაზე “უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება,” პრალა და ბრნო, 21 – 23 ოქტომბერი, 1998 წელი.

³⁰ საქართველოს უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, რომელიც პირველი ინსტანციის წესით ახდენს მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების გადასინჯვას, როგორც ფაქტობრივი, ასევე - სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. ასევე, “ადვოკატის შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის წესით საჩივრდება ადვოკატის მიერ უზენაეს სასამართლოში. სსიპ რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებები “ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. დაწვრილებით იხ. “ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო”, თბ. 2008წ. გვ. 158.

საკასაციო სასამართლოს წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტისაკენ. აღნიშნული სამართლებრივი საშუალებების გამოყენების კანონზომიერება ფაქტობრივად განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს პროცესუალურ-სამართლებრივ საქმიანობას.

მართებულია აღინიშნოს, რომ ამ სპეციალური პროცესუალური საშუალებების სწორად გამოყენებას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოს წინაშე განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ერთიანობაში აღებულ სამართლებრივ საშუალებათა სისტემის მეშვეობით მოწესრიგებულია ის პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშევა საკასაციო საჩივრის აღძვრით. ზუსტად ამ სამართლებრივი საშუალებების სისტემა წარმოადგენს სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმს³¹, რომელიც განსაზღვრავს, კონკრეტულ შემთხვევაში, კასაციის თავისებურებებს. აღნიშნული თავისებურების არსს კი წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმება.

თავისთავად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმების ფუნქცია წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს კომპეტენციის გამოვლინების მნიშვნელოვან კატეგორიას, ხოლო ფუნქციონალურ დონეზე - საკასაციო ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ელემენტს, რითაც საბოლოოდ განისაზღვრება პროცესუალური ურთიერთობების თავისებურებები.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს, მიგვაჩნია, რომ სამართლებრივი შემოწმების ფუნქცია არ არსებობს და არც შეიძლება წარმოვიდგინოთ ფაქტობრივი გარემოებების გარეშე. უფრო მეტიც, მივიჩნევთ, რომ შეუძლებელია ბოლომდე აიხსნას კანონიერების შემოწმების ფენომენი, თუ არ განისაზღვრება ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა კანონიერების შემოწმების პროცესში - რა გავლენას ახდენს ფაქტობრივი გარემოებები კანონიერების შემოწმების წესზე და საბოლოოდ რა კრიტერიუმები განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს შემხებლობას ფაქტობრივ გარემოებებთან.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული ზედაპირული მიმოხილვა წარმოადგენს იმ ათვლით წერტილს, ორიენტირს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ზოგადად მიგვითითებს იმაზე, თუ რა იგულისხმება კანონიერების დარღვევაში.

მაგრამ, იმისათვის, რათა გამოვკვეთოთ კასაციის მიერ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ისეთი ასპექტები, რომლებიც მხოლოდ მისთვის (საკასაციო სასამართლოსათვის) არის დამახასიათებელი, რითაც საბოლოოდ განისაზღვრება საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმების არსი და ის, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია ფაქტობრივ გარემოებებს გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმების დროს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი უნდა შევადაროთ სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელის ზოგიერთ მხარეს.

³¹ С.С. Алексеев. Общая теория права. т.2, М.1982г., с.9.

უნდა ითქვას, რომ სხვა ქვეყნების საკასაციო სასამართლოების მოდელის განხილვას შედარებით ანალიზის გზით მნიშვნელობა ენიჭება საკასაციო ინსტანციის ქართული მოდელის (მთლიანობაში ან მისი ნაწილის) ზედაპირზე არსებული თავისებურებების გამოვლენისათვის, რაც არ არის საკმარისი კასაციაში კანონიერების შემოწმების ყველა აუცილებელი დეტალის ასახსნელად. მივიჩნევთ, რომ ამ თავისებურებების, მათთან ლოგიკურად და პროცესუალურად დაკავშირებული ფაქტორების გამოვლენის მიზნით, არ შეიძლება ეს ასპექტი არ იქნეს განხილული მისი ფუნქციონირების გარეშე, ე.ი. თუ არ ვნახავთ კანონიერების შემოწმების პროცესს. ზუსტად აღნიშნული პროცესი, რომელიც სამართლის დინამიკის სფეროს განეკუთვნება, მიუთითებს იმ ურთიერთკავშირებზე, რომლებსაც სხვადასხვა ეტაპზე (აპელაცია, კასაცია) გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებები და ლოგიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ კანონზომიერებების გამოვლენის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) გზაა – სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული, ჩვენთვის საინტერესო ასპექტების შედარება.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი კუთხით კასაციისა და აპელაციის შედარებით ანალიზი დაგვეხმარება სააპელაციო სამართალწარმოების ისეთი სამართლებრივი თავისებურებების გამოვლენაში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება უკვე საკასაციო სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი სამართალშეფარდების შეფასების ინსტიტუტის განხილვაში.

1.2. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების წესის ზოგიერთი თავისებურება სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოებაში

აუცილებლად მივიჩნევთ, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ჩვენ არ ვიხილავთ ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დამახასიათებელია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების შემოწმების ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც დაგვეხმარება საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემოწმების დამახასიათებელ თავისებურებაზე ყურადღების გამახვილებაში.

სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი წარმოადგენს ე.წ. არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას³². იურიდიულ ლიტერატურაში

³² უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საკასაციო სასამართლო ცალკე ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს, მაგრამ თავისი ბუნებით მიუახლოვდა არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მათგან შეიძლება გამოვყოთ ის, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას როგორც სამართლებრივი, ასევე - ფაქტობრივი თვალსაზრისით (Курс гражданского процесса: теоретические начала и основные институты, Сахонова Т.В. 2008г., с. 633).

აღნიშნულია, რომ არასრული აპელაციის დროს სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობა მოწმდება იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარმოდგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში და რომლებიც შეამოწმა და შეაფასა ამ სასამართლომ.³³ მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სააპელაციო სასამართლოში არ დაიშვება ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა. არასრული აპელაციის დროს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სამართალწარმოებაში დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას (სსსკ 380-ე და 382-ე მუხლები).³⁴

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ აღნიშნული ნორმები და როგორც უკვე მივუთითეთ, “შემოწმების სამართლებრივ მხარეში” უნდა ვიგულისხმოთ კანონის³⁵ ნებისმიერი დარღვევის შემოწმება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას ვაღიარებთ, შეამოწმოს პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული მხარე, ასევე ის, თუ რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით არის ისინი დადგენილი.³⁶

საკასაციო სასამართლოს მსგავსად, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლო არ არის შებოჭილი (შეზღუდული) სააპელაციო საჩივრის ფარგლებით და შეუძლია, შეამოწმოს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევები სრული მოცულობით იმ მატერიალური ხასიათის ნორმების ჩათვლით, რომელზეც აპელანტი არ უთითებდა. ამით ეს ორი ინსტანციის სასამართლო ერთმანეთს ემსგავსება.

საინტერესოა, სად გადის ის ზღვარი, რომელიც მათ მიჯნავს ერთმანეთისაგან?

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებები ვლინდება როგორც სამართლებრივი ნორმების სტატიკაში, ასევე - მათ დინამიკაში³⁷.

მაგრამ იმ ლოგიკური ათვლის წერტილს, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, გავერკვეთ ამ ასპექტთან (პროცესუალური დარღვევების შემოწმება) დაკავშირებული სხვადასხვა “დეტალის” განხილვაში, წარმოადგენს ამ ორი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ გარემოებებთან შემხებლობის თავისებურებები. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ეს თავისებურებები, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება

³³ თ. ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, თ. 2005წ., გვ. 8.

³⁴ თ. ლილუაშვილი, იგივე ნაშრომი, გვ.9.

³⁵ სსსკ 393-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ტერმინ “კანონში” უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი.

³⁶ დაწვრილებით იხილეთ: თ. ლილუაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 52.

³⁷ კონკრეტულ შემთხვევაში “სტატიკასა” და “დინამიკაში” ვგულისხმობთ არა სამართლის თვისებას, მის განსაკუთრებულ მდგომარეობას, არამედ - საშუალებას, რომელიც ერთ შემთხვევაში ვლინდება კონკრეტულ პოზიტიურ-სამართლებრივ ნორმებში, ხოლო მეორე შემთხვევაში - ამ ნორმების რეგულაციურ ფუნქციაში.

პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებში, რომლითაც განისაზღვრება მათი შემოწმების წესი და ფარგლები.³⁸

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: “გადაწყვეტილების, როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების დროს სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ე.ი. შეუძლია შეამოწმოს ისეთი დარღვევები, დაშვებული მტკიცებულებების შეფასებისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის დროს, აგრეთვე კანონის ისეთი დარღვევები, რომლებზეც არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივარში.”³⁹ ამასთან მიმართებით მეტად საინტერესოა საკანონმდებლო ცვლილება,⁴⁰ რომელიც ეხება სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თავისებურებებს (სსსკ 376¹-ე მუხლი). კერძოდ, განსახილველი ნორმა უშვებს იმას, რომ სააპელაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს კანონის დარღვევას და მოითხოვდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი მხარის შემოწმებას, ხოლო სხვა შემთხვევაში, შეიძლება მოითხოვდეს (სააპელაციო საჩივარი) არამარტო სამართლებრივი, არამედ - მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებასაც (იგულისხმება არა ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, არამედ პირველ ინსტანციაში წარდგენილი მტკიცებულებები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები).⁴¹ აღნიშნული მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ ეხება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის გადაწყვეტის საკითხს, მოიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც ბადებს კითხვებს აპელაციის მიერ გადაწყვეტილების შემოწმების მოცულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, კანონის მითითებულმა ცვლილებებმა ხომ არ შეიტანა გარკვეული კორექტივები აპელაციის მიერ გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებში და ამავე დროს, ხომ არ დააყენა ეჭვქვეშ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობთ, უნდა დავაზუსტოთ, რას ნიშნავს გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები აპელაციაში. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (სსსკ 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით), რომ “სააპელაციო საჩივრის ფარგლებში იგულისხმება ის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა⁴², რომელსაც აპელანტი აყენებს საჩივარში და სააპელაციო სასამართლოს

³⁸ ასევე იხ. თ. ლილუაშვილი. სტატია: “საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი”. ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა”, მე-4 კვარტალი, 1998 წელი, გვ. 19-20

³⁹ თ. ლილუაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 53. ასევე იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გამოცემა, თბ. 2007. გვ. 646.

⁴⁰ საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5669 – სსმ I, 2008წ., №1, მუხ.1.

⁴¹ სსსკ 376¹-ე მუხლის გამოყენების პროცესუალურ-სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს სსსკ 368-ე მუხლის პირველი ნაწილის “თ” ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შინაარსი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

⁴² ვიზიარებთ ამ ციტატაში მოყვანილ მოსაზრებას, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ტერმინი (მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა) საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, ჩვენი აზრით, მასში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის, არამედ - შესაგებლის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსიც.

შეზღუდვა საჩივრის ფარგლებით, ამ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნით შეზღუდვას გულისხმობს.”⁴³

ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და დამატებით განვმარტავთ, რომ როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო საჩივრის ფარგლების დაცვის მოთხოვნაში იგულისხმება საუარესოდ შებრუნების აკრძალვა (non reformation in pejus), რასაც საფუძვლად უდევს დისპოზიციურობის პრინციპი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მივიჩნევთ, ყურადღება გავამახვილოთ, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებზე (სააპელაციო სასამართლოში), ხოლო მეორე შემთხვევაში - სააპელაციო საჩივრის ფარგლებზე, რაც არაიდენტური, მაგრამ ლოგიკურ დაქვემდებარებაში არსებული ცნებებია (ცნებათა ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი). მივიჩნევთ, რომ გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლების განსაზღვრისას მასში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ფარგლები, არამედ - ამ მოთხოვნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების ფარგლებიც.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენ მიერ მოყვანილ სსსკ 376¹-ე მუხლის დანაწესს, რომელიც ფაქტობრივად უშვებს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების შემოწმებას ან მხოლოდ სამართლებრივი, ან როგორც სამართლებრივი, ასევე - ფაქტობრივი თვალსაზრისით.

ამდენად, შესაძლებელია დავასკნათ, რომ სამართლებრივი და ფაქტობრივი შემოწმების ფარგლები განპირობებულია აპელანტის მითითებით და ისიც - სააპელაციო საჩივრის ფარგლების დაცვით⁴⁴.

უკვე აღნიშნული დასკვნის შესაბამისად, ვფიქრობთ, შესაძლებელია ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ კითხვას გავცეთ პასუხი. მიგვაჩნია, რომ სსსკ 376¹-ე მუხლით განსაზღვრულია მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების წინაპირობები, რითაც დადგინდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები. ამდენად, “ფორმულა” აპელაციაში გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლების შესახებ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით: გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები (აპელაციაში) არის (აპელანტის ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) პირველი ინსტანციის

⁴³ შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თ. 2006, გვ. 29.

⁴⁴ უნდა აღინიშნოს, 2002წელს ჩატარებულმა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო რეფორმამ შეცვალა აპელაციის პროცესი. ამ ცვლილებების თანახმად, აპელაცია ემსახურება სამართლებრივი ხასიათის შეცდომების შემოწმებას. პირველ ინსტანციაში უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული მოცულობით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გერმანიის აპელაციაში პირველი ინსტანციის გამეორება და აპელაციაში შემოწმების პროცესის დაყვანა უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებამდე. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §531-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაიზიაროს პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტები, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ ფაქტების სისწორესა და მოცულობასთან დაკავშირებული ეჭვი, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები მხედველობაში მიიღება მხოლოდ §531-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი, ან სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით შემოწმება და ისიც - მხოლოდ აპელანტის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ფარგლებში.

მაგრამ ეს პასუხი მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებას, რაც უშუალოდ ეხება სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების ფარგლებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმება ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებლად არა მარტო დაუშვებელი, არამედ შეუძლებელიცაა. მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებისას აფასებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი ფაქტების იურიდიულ მხარეს, სსსკ 393-ე და 394-ე მუხლების მიხედვით (ახალი ფაქტები და მტკიცებულებები მხედველობაში მიიღება სსსკ 380-ე მუხლის თანახმად).

ამგვარად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმების ფუნქციით სააპელაციო სასამართლო ემსგავსება საკასაციო სასამართლოს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ - მატერიალურ-სამართლებრივი მხარის შემოწმების ფუნქციით. რაც შეეხება პროცესუალურ-სამართლებრივ შემოწმებას, აქ საქმე სხვაგვარადაა. კერძოდ, საპროცესო დარღვევების შემოწმება სააპელაციო სასამართლოში შეიძლება უკავშირდებოდეს სამართლებრივი და ფაქტობრივი კუთხით შემოწმებას.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აპელანტის მოთხოვნის შინაარსში გარკვევას იმ პროცესუალურ დარღვევებთან მიმართებით, რომლებიც მოსამართლის ინიციატივით არ მოწმდება.

სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის მოთხოვნით.

სააპელაციო სამართალწარმოების პროცესუალური ნორმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივი შემოწმება მოიცავს შემოწმების უფრო ფართო შესაძლებლობას. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მასშტაბის არსებობა ნაკარნახევია იმით, რომ სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს არსებითად იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავს ფაქტობრივ გარემოებებთან დამოკიდებულების ხარისხსა და ფორმებს.

საფრანგეთის სააპელაციო სამართალწარმოების მიხედვით, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს არსებითად, შეუძლია კვლავ დაუბრუნდეს მტკიცებულებების შემოწმებას და მიიღოს მათი გამოკვლევისათვის დამატებითი ზომები, ასევე შეცვალოს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან ძალაში დატოვოს იგი. მაგრამ ყოველივე ეს უკავშირდება იმას, რომ საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს არსებითად შეუძლია, გადაამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.⁴⁵

როგორ გვაქვს საქმე ამ მხრივ, როდესაც საქართველოს სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას?

⁴⁵ С.В. Боботов. Правосудие во Франции, изд. «ЕАВ» 1994г. с., 86.

სსსკ 382-ე მუხლი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის წესზე. აქ ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლო არ არის “შეზღუდული” პირველი ინსტანციის მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებათა შედეგების შეფასებით და მის მიხედვლებაზე დამოკიდებული, მთლიანად გაიზიარებს მათ (პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს), თუ - ნაწილობრივ. ეს მიხედვლება არ არის დამოკიდებული მოსამართლის სურვილზე. იგი დამოკიდებულია მრავალ სამართლებრივ ფაქტორზე, რომლიდანაც პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ის, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები ფასდება მხოლოდ სააპელაციო საჩივრისა და აპელანტის მიერ მითითებული მტკიცებულებების ფარგლებში. აღნიშნული მიხედვლება, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, არის სამოსამართლო სამართლის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელსაც ყველაზე მეტად მიესადაგება შემდეგი მოსაზრება: სამოსამართლო სამართალში ამ შემთხვევაში შეიძლება ვიგულისხმოთ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ვარიანტის თავისუფალი არჩევა, რომელიც შეზღუდულია სამართლის ნორმის შინაარსით და ასევე სამართალშეფარდებით სიტუაციასთან მიმართებით - გარეგანი და შინაგანი გარემოებებით.⁴⁶ ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიხედვლება მტკიცებულებათა შედეგების მთლიანად თუ ნაწილობრივ გაზიარების შესახებ ასევე გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ შეიძლება საერთოდ არ გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგები, რაც უკავშირდება სამართალშეფარდების კანონზომიერებებს. ამდენად, სამოსამართლო სამართალი სამართლის შეფარდების და არა - სამართალშემოქმედების აქტია. სამოსამართლო სამართალი არის არა სამართლის წყარო, არამედ - სამართლის შემეცნების წყარო.⁴⁷

რა თქმა უნდა, როდესაც ვსაუბრობთ აღნიშნულ შედეგებზე, მხედველობაში გვაქვს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო მათი გაზიარება ან არგაზიარება ხდება ამ ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასების გზით.

მაგრამ ეს დანაწესი, სსსკ 376¹-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, როდესაც აპელანტი უთითებს პროცესუალური ნორმების დარღვევაზე, იძენს თავისებურ დატვირთვას, რადგან ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო იურიდიულ შეფასებას აძლევს არა მარტო მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს, ე.ი. მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ - ამ ფაქტების დადგენის მართებულებასაც.

ცხადია, რომ მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისას სააპელაციო სასამართლო არ არის

⁴⁶ Р.О. Опалев, Автореферат, Оценочные понятия в арбитражном и гражданском процессуальном праве, Екатеринбург, 2008г. с. 10.

⁴⁷ გიორგი ხუბუა, სტატია, “სამოსამართლო სამართალი: სამართლის წყარო თუ სამართლის შემეცნების წყარო?” ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი” №5(7)05.

შეზღუდული კანონის დარღვევაზე მითითებით, მაგრამ როგორ გვაქვს საქმე, როდესაც ხდება პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევები?

ამ საკითხში გასარკვევად, ვფიქრობთ, უნდა დავაზუსტოთ პროცესუალური დარღვევების რაობა.

ამ მხრივ შეიძლება პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევები დავეყოთ ორ ჯგუფად: 1) ეს ისეთი დარღვევებია, რომლებიც წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსსკ 394-ე მუხლი, დაწვ. იხ. პირველი პარაგრაფი), და 2) პროცესუალური დარღვევები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა (სსსკ 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

პირველ შემთხვევაში პროცესუალურ დარღვევებს მოსამართლე ამოწმებს თავისი ინიციატივით, რაც წარმოადგენს მის ვალდებულებას. აღნიშნულ დარღვევებს ჩვენ არ ვეხებით. ჩვენი ინტერესის სფეროს, კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოადგენს მეორე ჯგუფის დარღვევები და ზემოაღნიშნული საკითხის წამოჭრა განპირობებულია ზუსტად ამ ხასიათის დარღვევების არსებობით. კერძოდ, ეს ისეთი დარღვევებია, რომლებსაც მოსამართლე ამოწმებს მხოლოდ აპელანტის მითითების საფუძველზე.

ეს პროცესუალური დარღვევები, უპირველეს ყოვლისა, ეხება მტკიცებით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, მისი ყველა ელემენტის ჩათვლით. ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის &529 მე-2 ნაწილის დანაწესი, რომელთა თანახმად, სასამართლო თავისი ინიციატივით არ ამოწმებს გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების კუთხით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის შესახებ განაცხადებს აპელანტი კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნული დანაწესი ფაქტობრივად გამომდინარეობს &529 პირველი ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტებიდან, რომლის თანახმად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს ფაქტებით, რომლებიც დაადგინა პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუ არ არსებობს კონკრეტული ცნობები, რომლებიც ასაბუთებენ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებულ ეჭვებს სრული და მართებული დასკვნების შესახებ და ამიტომ ამ დასკვნების გადასინჯვის საჭიროება არ არის. ხოლო რაც ეხება ახალ ფაქტებს, ისინი მხედველობაში მიიღება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფრო ნათლად განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებთან მიმართებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასე მკაფიოდ არ განსაზღვრავს სააპელაციო სამართალწარმოებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმებასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მსგავსად, წარმოადგენს არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას, ვფიქრობთ, რომ უნდა გათვალისწინებულ იქნეს ყველა ის ნიშან-თვისება, რაც ახასიათებს

შეზღუდული (არასრული) აპელაციის მოდელს. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ აპელაციაში არ მოხდეს პირველი ინსტანციის გამეორება. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის 136-ე პარაგრაფის თანახმად: “აპელაცია არ უნდა იყოს და არ უნდა განიხილებოდეს, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობა შესწორებების შეტანისა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში, რომელთა წარდგენაც მხარეს შეეძლო და უნდა წარედგინა პირველ ინსტანციაში. ეს აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და ამ ფაქტმა შეიძლება პროტენციურად გამოიწვიოს პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის მართვის არამიზანშეწონილობის დღის წესრიგში დაყენება.”⁴⁸

შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულწილად ითვალისწინებს ამ პრინციპებს, მაგრამ თავს უფლებას მიეცემთ, აღვნიშნოთ, რომ ბოლო საპროცესო ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებას რიგ საკითხებთან მიმართებით.

მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ქართული მოდელი არ ითვალისწინებს ცალკე დათქმას იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სააპელაციო სასამართლოს, თავისი ინიციატივით შეამოწმოს პროცესუალური დარღვევები, როდესაც სსსკ 376¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში იგი ამოწმებს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს. მივიჩნევთ, რომ ამ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი სააპელაციო სასამართლოს დამოკიდებულება ფაქტებთან მიმართებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი კუთხით შემოწმებისას, ისე, როგორც - საკასაციო სამართალწარმოების პროცესუალური ნორმებით.

ამ საკითხებში გარკვეული სიცხადის შესატანად, ვფიქრობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ აპელანტის უფლებაზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი მხარის შემოწმებას, აპელანტი სადავოდ არ ხდის არც ფაქტებს და არც მათ დადგენასთან დაკავშირებულ პროცესუალურ საშუალებებს. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები (შეჯიბრებითობის პრინციპი, სსსკ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი).

ყოველივე ეს თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით სადავოდ ვერ გახდის ფაქტობრივ მხარეს. ამდენად, ამ შემთხვევაში სასამართლო არ შეამოწმებს პროცესუალურ დარღვევებს და ვალდებული იქნება, შემოიფარგლოს მხოლოდ პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შემოწმებით. ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულის კონტექსტში უნდა განიმარტოს სსსკ

⁴⁸ ციტატის მიხედვით, იხ. თ. ლილუაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 458.

368-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” და “ვ” ქვეპუნქტები, რომლებიც მოითხოვს, რომ სააპელაციო საჩივარი შეიცავდეს მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა, კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი, ასევე მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას არ ვამახვილებთ ისეთ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც წარმოადგენს გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ისეთი პროცესუალური დარღვევები, რომლებზეც ყურადღება შეიძლება გაამახვილოს აპელანტმა. ზუსტად, აპელანტის მიერ პროცესუალური დარღვევების შემოწმების შესახებ მოთხოვნის ფარგლები განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემოწმების მხარეებს – მხოლოდ სამართლებრივი თუ - სამართლებრივი და ფაქტობრივი. აქედან გამომდინარე, პროცესუალური დარღვევის ერთი სახეობა შეიძლება მიეკუთვნებოდეს შემოწმების სამართლებრივ მხარეს, ხოლო მეორე - ფაქტობრივს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივი შემოწმების პროცესი შეიძლება დაეყოს ორ სახეობად: 1) იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების შემოწმება, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევებს, რაც გამოიხატება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულების გამოკვლევის შეფასებაში, რომელიც, ჩვენი აზრით, მოიცავს მტკიცების პროცესის ელემენტების შემოწმებას; 2) შემოწმების შედეგად თვითონ იყენებს იმ წესს, რომელიც აუცილებელია ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სწორი მსჯელობისა და მათი დადგენისათვის. გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივი შემოწმების ბოლო სახეობა ასევე ეხება სსსკ 380-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო, წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

ამდენად, კონკრეტული პრობლემატიკის კონტექსტის გათვალისწინებით, აპელაციის ინსტანციურობის ჭრილში, როდესაც სსსკ 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, საქმე არ გადაუგზავნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება⁴⁹, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში თვითონ აპელაციის

⁴⁹ ვფიქრობთ, რომ სსსკ 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან, პირველ ინსტანციაში განსახილველად დაბრუნების საკითხი წარმოადგენს ცალკე, დამოუკიდებელი გამოკვლევის საგანს. უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლო, გარკვეული დარღვევების გამო, საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოში, რასაც ხშირად ორივე მხარე საკასაციო საჩივრით ასაჩივრებს. ამ შემთხვევაში საჩივრის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გადაეგზავნა საქმე და თვითონ უნდა მიეღო გადაწყვეტილება. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, რაც მოცემულია სსსკ 385-ე მუხლის პირველი ნაწილით, არ არის რეგლამენტებული საქმის უკან, პირველ ინსტანციაში არსებითად განსახილველად გადაგზავნის სამართლებრივი შემთხვევები. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულია

მიერ ძირითადი, საძიებელი ფაქტების დადგენის მიზნით მტკიცებულებათა გამოკვლევა, ფაქტობრივად უზრუნველყოფს იმ პრინციპის დაცვას, რაც მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის 99-ე და 136-ე პარაგრაფებით არის დადგენილი, კერძოდ: აღნიშნული დანაწესების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს “სამართლიანი სასამართლო მოსმენის, რომელიც უნდა დასრულდეს მისაღებ ვადაში”

რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებიც მიეთითა სააპელაციო სასამართლოს, რომ თვითონ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე (№ას-861-1075-08; 23. 04. 2009 წ.) საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რის შედეგად მიიღო არასწორი გადაწყვეტილება (განჩინება), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიმარტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეთვალისწინოთ პროცესუალური შესაძლებლობა: რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება და ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, პირველ ინსტანციაში გადააგზავნოს საქმე, თუ მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო კანონები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში.

ამასთან ერთად საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო არ უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასარკვევ იმ საკითხთა წრეს, რომლის გარკვევა მას არ შეუძლია (ან არ არის მიზანშეწონილი, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უხეში პროცესუალური დარღვევების გამო, რამაც შეზღუდა პროცესუალური მხარის უფლებები).

სააპელაციო სასამართლო უთითებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაზე, რომლითაც დასტურდება მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობები, ასევე უთითებს პირველი ინსტანციის მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს (ამ ინსტანციისათვის დადგენილი იურისდიქციის გათვალისწინებით) შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ დააბრუნოს საქმე უკან, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არ შეიძლება დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული (სააპელაციო სასამართლოს) გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის გამოკვლეული და შეფასებული გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები, არ არის მითითებული სადავო ურთიერთობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ უთითებს, რომ სადავო ურთიერთობის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის აუცილებელია, სრულად დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებები.

ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო შეეცადა, განესაზღვრა ის სამართლებრივი კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას. მაგრამ მთავარი კრიტერიუმი მდგომარეობს იმაში, რომ საქმის უკან დაბრუნების აუცილებლობა შეიძლება დადგეს მაშინ, როდესაც ხდება მხარის უფლებების ისეთი დარღვევა, რომელიც მოითხოვს საქმის უკან დაბრუნებას, რისი “უმტკიცებულოდ” გამოსწორებაც სააპელაციო სასამართლოში შეუძლებელია.

უზრუნველყოფა⁵⁰, ამავე დროს - პირველი ინსტანციის როლის გაძლიერება და მხარეთა უფლებების დაცვის ეფექტურობის გაზრდა. ზუსტად ამ მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საბჭოს დასკვნის მიხედვით, არ არის მიზანშეწონილი სააპელაციო სასამართლოში (მე-2 ინსტანციაში) ახალი მტკიცებულებებისა და ფაქტების მოშველიება, გარკვეული შეზღუდვების გარეშე.

ჩვენ მიერ განხილული პროცესუალური დარღვევების კუთხით გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმებისას, ვფიქრობთ, რომ იშლება (ქარწყლდება) გადაწყვეტილების შემოწმების სამართლებრივ და ფაქტობრივ მხარეებს შორის გავლებული ზღვარი.

პროცესუალური დარღვევების შემოწმების დროს სამართლებრივ და ფაქტობრივ მხარეებს შორის ზღვარის შენარჩუნებას სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც აპელანტი გადაწყვეტილების შემოწმებას ითხოვს მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, რა დროსაც შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს დარღვევები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის დარღვევების შემოწმებისას საკასაციო სამართალწარმოებას ახასიათებს ჩვენ მიერ მითითებული მხოლოდ პირველი სახე, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებს, რაზეც ყურადღებას მოგვიანებით გავამახვილებთ.

ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი თვალთახედვით, სააპელაციო სამართალწარმოებაში ეს ორი ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია. მათი შემოწმება განპირობებულია აპელანტის მოთხოვნით, მისი პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმების შესახებ მოთხოვნის შინაარსითა და ფარგლებით.

ამდენად, მივიჩნევთ, რომ სსსკ 376¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როდესაც სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს, უფრო ზუსტად კი - მის კანონიერებას პროცესუალური დარღვევების კუთხით, აპელანტის ამ დარღვევებზე მითითების ფარგლების არასწორად განსაზღვრამ შესაძლებელია, გამოიწვიოს პროცესუალური შემოწმების ამ ორი სახეობის აღრევა და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი თვალსაზრისით - შემოწმების ფუნქციაში შეჭრა.

ამდენად, აპელანტის მოთხოვნის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო ერთ შემთხვევაში ამოწმებს პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ სწორ მსჯელობათა მიღების წესს, ხოლო მეორე შემთხვევაში თვითონ იყენებს იმ წესს (მაგალითად, იკვლევს და აფასებს მტკიცებულებებს), რომელიც აუცილებელია ამ ფაქტების შესახებ სწორი მსჯელობისა და მათი დადგენისათვის.

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებების გამოკვლევის შეფასება, უშუალოდ მტკიცებულებების შეფასებისაგან.

⁵⁰ თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ., გვ. 458.

ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ შემოწმებაში უნდა ვიგულისხმოთ, ერთ შემთხვევაში, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებული დარღვევების შემოწმება, ხოლო მეორე შემთხვევაში - პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევები, რომლებიც ეხება საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევების დამადასტურებელი ფაქტებისა და მტკიცებულებების შემოწმებას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი მხარეები სისტემურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და წარმოადგენენ ერთიანი მექანიზმის შემადგენელ ნაწილებს, რომლითაც უზრუნველყოფილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება.

უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან მტკიცებულებების შეფასება და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება.

მტკიცებულებათა მეშვეობით დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასება მდგომარეობს იმაში, რომ განისაზღვროს, თუ რა სამართლებრივი შედეგი დადგება კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის თანახმად საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. მტკიცებულებების შეფასების მიზანი მდგომარეობს ფაქტების შესახებ სწორ მსჯელობაში, ხოლო ამ მტკიცებულებების მეშვეობით საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების დანიშნულებაა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სწორი დასკვნების მიღება.⁵¹

ამასთან ერთად, ამ პარაგრაფში განსახილველი თემატიკის გათვალისწინებით, ასევე უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ პროცესუალური დარღვევის ფაქტებს იმ მტკიცებულებებისაგან, რომლებიც ადასტურებენ ძირითად, საძიებელ ფაქტებს (ფაქტობრივ გარემოებებს). ერთ შემთხვევაში მტკიცებულებების შეფასებით სასამართლო მიაღწევს სწორ მსჯელობას პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

ზუსტად ამ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო ამოწმებს პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა შეფასების კანონიერებას, იგი ამოწმებს ერთ შემთხვევაში პროცესუალური ნორმების გამოყენებისა და განმარტების მართებულობას, ხოლო მეორე შემთხვევაში - იმ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ლოგიკურ კანონზომიერებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული მტკიცებულების შეფასების თავისებურებებს, რითაც დგინდება იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტი. ამრიგად, აღნიშნული პროცესუალური მექანიზმის განხორციელებით, პროცესუალური დარღვევების შემოწმების მიზნით, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის ფარგლებში საბოლოოდ ფაქტობრივად ამოწმებს ფაქტისა და მისი დამდგენი მტკიცებულების იურიდიულ-ლოგიკური კავშირის მართებულებას. ეს ხორციელდება ამ მტკიცებულების შესწავლის გზით, მისი გამოკვლევის შედეგების შეფასების მიზნით, რაც გავლენას ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული მტკიცების საგნის შეფასებაზე.

⁵¹ М.К. Треушников, Судебные доказательства, М., 1999г., с. 161.

ამდენად, მტკიცებულებას და ამ მტკიცებულებით დასაბუთებულ ფაქტს შორის იურიდიულ-ლოგიკური კავშირი უშუალოდ დაკავშირებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენება-განმარტებასა და გამოსაკვლევ მტკიცებულებათა შეფასებაზე. ამ კავშირის მნიშვნელობის უგულებელყოფას შეიძლება მოჰყვეს არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, აპელანტის მიერ პროცესუალურ დარღვევებზე მითითების საფუძველზე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო აფასებს იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევებს, ფაქტების შესახებ სწორ მსჯელობათა მიღების მიზნით. ასევე თვითონ იყენებს იმ წესს, რომელიც აუცილებელია ამ ფაქტების შესახებ სწორ მსჯელობათა მიღწევაში, ხოლო უშუალოდ ამ მტკიცებულებების მეშვეობით საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით იღებს სათანადო დასკვნებს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

ამ ასპექტში არსებული განსხვავებების დეტალური ანალიზისათვის დაუბრუნდეთ მსჯელობას საკასაციო სასამართლოს სამართალწარმოების ზოგიერთ თავისებურებაზე.

კერძოდ, სსსკ 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. ხოლო სსსკ 396-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება. განსახილველი სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრავს პროცესუალური დარღვევების შემოწმების ფუნქციას, რომელიც ვლინდება მოქმედების ფარგლებსა და სამართლებრივ შედეგებში.

ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს მხოლოდ ის ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო დარღვევებს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ ისეთი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევის ფაქტს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო, აღნიშნული პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ - ამ მტკიცებულებათა შეფასების მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მოუხდებოდა იმ გზის თავიდან გავლა (გამეორება), რაც გაიარა სააპელაციო სასამართლომ. ვფიქრობთ, რომ სააპელაციო სასამართლოს დაშვებული პროცესუალური დარღვევების შემოწმება გარკვეულწილად მოიცავს მტკიცების ელემენტების

შეფასებას.⁵² ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში პროცესუალური დარღვევების შემოწმების მიზანს წარმოადგენს სწორი ცოდნის მიღება იმ პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის ფაქტის შესახებ, რომელიც მიგვითითებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტის (ფაქტობრივი გარემოებების) არდადგენაზე ან არასათანადოდ დადგენაზე (პროცესუალური დარღვევა). ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივ გარემოებებს, რათა სწორად შეფასდეს პროცესუალური დარღვევა, რადგან მხედველობაში მისაღებია არა ნებისმიერი დარღვევა, არამედ - ისეთი, რომელიც საბოლოოდ უკავშირდება ფაქტობრივ გარემოებებს.

ფიქრობთ, აქედან გამომდინარეობს სსსკ 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, რომლის თანახმად: “საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.”

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლო არასწორად არ იღებს მტკიცებულებას, რადგან მიიჩნევს, რომ ამ მტკიცებულებით არ დასტურდება კონკრეტული ფაქტი. რა თქმა უნდა, აღნიშნულ პროცესუალურ დარღვევას მოჰყვება არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

მაგალითად, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სამოქალაქო პროცესში

⁵² იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია მტკიცების პროცესი ვიწრო და პროცესუალური გაგებით, რაც შეიძლება იყოს მკაცრი და თავისუფალი. მაგალითად, გერმანიის მტკიცებულებათა თეორიაში მტკიცების ვიწრო გაგებაში იგულისხმება მოსამართლის პრაქტიკული საქმიანობა, რომლის შედეგად მას უყალიბდება რწმენა საქმის ირგვლივ, რაც შეეხება პროცესუალურ მტკიცებას, იგი შეიძლება იყოს მკაცრად განსაზღვრული და თავისუფალი. მკაცრად განსაზღვრული მტკიცების პროცესი ნიშნავს სასამართლოს მიერ იმ ფაქტების დადგენას, რომლებსაც გააჩნიათ საქმისათვის მნიშვნელობა. ე.წ. თავისუფალი მტკიცების დროს იგი არ არის შეზღუდული პროცესუალური ფორმით. გერმანიის სამოქალაქო პროცესის თანახმად, მტკიცება შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: მტკიცებულებების წარმოდგენა მტკიცების საშუალებების გამოყენებით (der Beweisantritt) და მტკიცებულებების შეგროვება, გამოკვლევა და შეფასება (die Beweisaufnahme).

საფრანგეთის მტკიცებულებითი სამართალი წარმოადგენს ავტონომიურ და სისტემურ სამართლებრივ წარმონაქმნს, რომელსაც ახასიათებს შერეული, მატერიალურ-პროცესუალური ბუნება. ამასთან ერთად, მტკიცება არის პროცესუალური საქმიანობა, რომლის მიზანს წარმოადგენს სასამართლოს შემეცნების ობიექტის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის მიღება. საფრანგეთის კანონმდებლობა იცნობს ისეთი სახის მტკიცებულებებს, როგორცაა მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები (la comparution personnelle des parties, les déclarations des tiers); მხარეთა და მოწმეთა წერილობითი ჩვენებები (les attestations); მოწმეთა ჩვენებები (la preuve testimoniale); სპეციალისტის მიერ დათვალიერება (les constatations); სპეციალისტის კონსულტაცია (la consultation); ექსპერტიზა (l'expertise); წერილობითი მტკიცებულებები (les preuves littérales); ფიცი (le serment judiciaire).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცების პროცესს წარმოადგენს საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნილობის პრინციპების დაცვით იღებს და შემდეგ აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის, ან არარსებობის შესახებ.

მტკიცებულებათა საშუალებების დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვებისა თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც, თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე.

ამრიგად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ (სსსკ 103-ე და 104-ე მუხლები) მტკიცებულებათა დასაშვებობის წესების გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების საგნის დიფერენცირებას. კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი ფაქტების დადგენა, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ მოძრავი ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებთან, შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით⁵³. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობდა ასევე სსსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, საქმეში სადავო მოძრავი ნივთის გადაცემის ფაქტის დასადასტურებლად კანონი არ უკავშირებდა კონკრეტული მტკიცებულების არსებობას.

ამდენად, “ყოველთვის, როდესაც საპროცესო დარღვევის გამო საჭირო ხდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.”⁵⁴ კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამ შემთხვევაში ის ვერ გამოიკვლევს თავიდან ამ მტკიცებულებებს და ვერ დაადგენს ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ - დასადგენ ფაქტებზე მითითებაში, რასაც საკასაციო სასამართლო აძლევს სააპელაციო სასამართლოს.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი ფაქტები ჩათვალია სააპელაციო სასამართლომ დადგენილად და რომელი არ გაიზიარა; რომელი მტკიცებულებების საფუძველზე აკეთებს დასკვნებს. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო ადგენს ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებს და შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელ ფაქტს დაეყრდნო. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს მტკიცების საგანს, ე.ი. თვითონ განსაზღვრავს იმ ფაქტებს, რომლებიც უნდა შემოწმდეს კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.⁵⁵

⁵³ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულები №ს-246-577-07 (17.10.2007).

⁵⁴ თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ., გვ. 524.

⁵⁵ ასევე იხ. ვ. ხრუსტალი, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ავტორეფერატი, თბ. 2004წ., გვ. 27.

მაგალითად, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ იგი იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი ფაქტები ურთიერთსაწინააღმდეგოა. საქმე ეხებოდა 2007 წლის 19 ნოემბერს აღძრულ სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისაგან „ბელორუს იუმზ 6 ლ“ მარკის ტრაქტორის მისთვის დაბრუნება.

საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შედეგად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმულია.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი ფაქტები ურთიერთსაწინააღმდეგოა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ თავდაპირველად 2003 წელი მიუთითა მოპასუხის მიერ მესამე პირისათვის ტრაქტორის მიყიდვის თარიღად, ხოლო შემდეგ კი - 2001 წელი.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2003 წელს მოპასუხის მიერ სადავო ტრაქტორის მესამე პირისათვის მიყიდვის ფაქტი იმთავითვე ცნობილი გახდა მოსარჩელისათვის.

სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულების სახით წარმოებაში მიღებული აქვს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დგინდება, რომ მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ იმ ქმედებისათვის, რაზეც მხარეები სამოქალაქო წესით დაობენ.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებიდან ზუსტად არ დგინდება არა მარტო სადავო ტრაქტორის გასხვისების ფაქტი, არამედ - დროც, როდესაც მოსარჩელემ გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი). ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეწყდეს ასევე სახელმწიფო ორგანოებისათვის მიმართვის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხანდაზმულობის საკითხის გარკვევისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ის მომენტი, როდესაც მოსარჩელისათვის გახდა ან უნდა გამხდარიყო ცნობილი თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ როდის მიმართა მოსარჩელემ პოლიციას ან სხვა სახელმწიფო უწყებას თავისი დარღვეული უფლების შესახებ. ამ გარემოებების დადგენისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე, 130-ე მუხლები.

საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ სადავო ტრაქტორის ფლობის პერიოდზე (გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო პალატამ მოსარჩელე სადავო ტრაქტორის კეთილსინდისიერ მფლობელად მიიჩნია), კერძოდ, საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ მას სადავო ტრაქტორი ხანდაზმულობით აქვს შეძენილი, რადგან იგი ხუთ წელზე მეტი დროის განმავლობაში ფლობს მას.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლოს დასკვნები ურთიერთსაწინააღმდეგოა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოპასუხემ მოსარჩელისაგან ერთობლივი საქმიანობისათვის (შეშის დასამზადებლად) ტრაქტორი 1997 წელს წაიყვანა და ამავე დროს დადგენილად 1999 წელს წარმოშობილ დავას მიიჩნევს.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ასევე უთითებს, რომ 1994-95 წლებში მოსარჩელემ და მოპასუხემ წამოიწიეს ერთობლივი საქმიანობა და 2-3 თვეში წარმოეშვათ უკმაყოფილება, მოსარჩელემ მოპასუხეს მოსთხოვა ტრაქტორის უკან დაბრუნება, რაზედაც მოსარჩელემ უარი მიიღო.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ასკვნის, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს სადავო ნივთის 5 - წლიანი ფლობის ფაქტს.

ამასთან მიმართებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა სადავო ურთიერთობის იურიდიული შემოწმების საშუალებას, სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნივთის ფლობა არ უკავშირდება მის ფიზიკურ პერსონას. მოსარჩელის მფლობელობის უფლების დარღვევად მიჩნეულ უნდა იქნეს ის მომენტი, როდესაც მოპასუხემ უარი განაცხადა სადავო ტრაქტორის მოსარჩელისათვის დაბრუნებაზე. ამდენად, მოპასუხისათვის სადავო ტრაქტორის გადაცემა იმ მიზნით, რომ ერთობლივი საქმიანობის შედეგი მიღწეულიყო მოსარჩელის ტრაქტორის მეშვეობით, არ ნიშნავს მოსარჩელის მიერ ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არის სადავო ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამასთან ერთად უნდა დაადგინოს აღნიშნული ფლობის (და არა პერსონის) უწყვეტი დროის მანძილი, და ამ დროს უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობით საკუთრების შექმნის ვადა აითვლება 1993 წლის 23 ივლისიდან.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მესამე პირი (რომელმაც მოპასუხისაგან შეიძინა სადავო ტრაქტორი) არ არის კეთილსინდისიერი მფლობელი, რადგან მან იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ხანდაზმულობით მოსარჩელის მიერ ნივთზე საკუთრების შექმნის ფაქტს, არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს საკუთრების უფლებისა და არა - კეთილსინდისიერი ფლობის ხელყოფა. (ივარაუდება, რომ კეთილსინდისიერად ფლობს ნივთს ის, ვისაც არა აქვს ფლობის უფლება, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ ის კეთილსინდისიერია).⁵⁶

⁵⁶ №ას-878-1090-08; 10. 04. 2009 წ.

როგორც ვხედავთ, აპელაციაში პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულაციური ფუნქციის ფარგლები გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს შეუძლია, შეამოწმოს არა მარტო პროცესუალური დარღვევები, რომლებითაც დასტურდება მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური წესების დარღვევები, არამედ აპელანტის მითითების საფუძველზე თვითონ გამოიკვლიოს მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი (სსსკ 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საკასაციო სასამართლოს, თუ საკასაციო საჩივარი ეყრდნობა პროცესუალურ დარღვევებს, შეუძლია, განიხილოს ფაქტები და მტკიცებულებები პროცესუალური დარღვევების არსებობის შესახებ (მაგალითად, შეამოწმოს მტკიცებულებითი ფაქტების დადგენასთან დაკავშირებული გარემოებების მართებულება), რაც წარმოადგენს ერთადერთ შემთხვევას, როდესაც და რასთან მიმართებითაც საკასაციო სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გარკვეული მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო უშუალოდ არ აფასებს იმ მტკიცებულებებს, რომლებითაც დგინდება მთავარი, საძიებელი ფაქტები (ფაქტობრივი გარემოებები), არამედ აფასებს იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებითაც დასტურდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური დარღვევები, რაც მიგვითითებს კასაციაში პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულაციური ფუნქციის ფარგლებზე.

აქედან გამომდინარე, მთავარი და გადამწყვეტი არის ის, რომ პროცესუალური დარღვევების დადასტურების შემთხვევაში აუცილებელი ხდება იმ პროცესუალური მოქმედებების განხორციელება, რაც საბოლოოდ მიმართულია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენისაკენ. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, რაც მიგვითითებს სამართლებრივი შემოწმების შედეგზე.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმებისას სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები განსხვავდებიან ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივ ასპექტში, რაც ვლინდება პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების რეგულაციური ფუნქციის ფარგლებსა და შემოწმების შედეგებში.

1.3. პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმები, როგორც საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების განმსაზღვრელი კრიტერიუმი

წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ზოგიერთი თავისებურება, რომელიც ვლინდება პროცესუალურ-

სამართლებრივ ასპექტში. ამ საკითხების შედარებით ჩვენ ვეცადეთ, გამოგვევლინა ზოგიერთი ისეთი თავისებურება, რომელიც, ვფიქრობთ, დაგვეხმარება საკასაციო სასამართლოში ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის პრობლემატიკასთან მიხედვით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე მე-2 პარაგრაფში ჩვენ მიერ განხილული პროცესუალურ-სამართლებრივი მხარეების შემოწმებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივ გარემოებებს. მაგრამ ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში ვლინდება მათი შემოწმების თავისებურებაში, რაც განისაზღვრება პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმებით.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებისას საკასაციო სასამართლო არ არის შეზღუდული მატერიალურ-სამართლებრივი მხარის შემოწმებით, კერძოდ: საკასაციო სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს არამარტო მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ის დარღვევები, რომლებზეც უთითებს კასატორი, არამედ - ისინიც, რომლებზეც კასატორი არ უთითებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი შეფასების ობიექტის განსაზღვრას, რომლის გარეშეც შეუძლებელია, წარმოვიდგინოთ გადაწყვეტილების სამართლებრივი კუთხით შემოწმება. ეს ობიექტი არის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომელთა განსაზღვრის პროცესი წარმოადგენს სამართალშეფარდების გადასინჯვის საჭირო ეტაპს. ფაქტობრივად საკასაციო სასამართლომ, იურიდიული სილოგიზმის თანახმად, უნდა შეამოწმოს: იურიდიულად რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტია დადგენილი; რამდენად სწორად იქნა მოძიებული და განმარტებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა და, აქედან გამომდინარე, რამდენად შეესაბამება ფაქტი სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმაში მოცემული ქცევის წესს; და ბოლოს, რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული იურიდიული შედეგი.

ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არამარტო ამ ელემენტების გამოყოფას, არამედ, როგორ უცნაურადაც უნდა გვეჩვენებოდეს, მათ ლოგიკურ მიმდინარეობას, რაც განპირობებულია საკასაციო სასამართლოს ინსტიტუტით. საკასაციო საჩივრის ობიექტს წარმოადგენს გასაჩივრებული, კანონიერ ძალაში შეუსვლელი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), რომლის კანონიერებას ამოწმებს საკასაციო სასამართლო. ამდენად, საკასაციო სასამართლოს წინაშე დგას არა ფაქტები, ნორმები და ა.შ., არამედ - გასაჩივრებული გადაწყვეტილებით (განჩინებით) გადაწყვეტილი (დადგენილი) შედეგი. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით მივიდა სააპელაციო სასამართლო ამ შედეგამდე. ზუსტად აღნიშნული პროცესი ხასიათდება გადაწყვეტილების შემოწმების ლოგიკური მიმდინარეობით, რაც დამახასიათებელია საკასაციო სამართალწარმოებისათვის და რომლის აღწერაც უკავშირდება საკასაციო სასამართლოში ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის არსის განსაზღვრას. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების დროს ფაქტობრივად ამოწმებს სამართალშეფარდებას, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთიანი პროცესი, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან. იმისათვის, რათა კონკრეტული ფაქტი მივიჩნიოთ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტად, იგი უნდა შეფასდეს კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის მეშვეობით, მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნისა თუ შესაგებლის გათვალისწინებით, რაც უკავშირდება მტკიცების საგნის განსაზღვრის საკითხებს. ეს უკვე მიუთითებს ამ პროცესში ორი ელემენტის - ფაქტობრივისა და სამართლებრივის არსებობის აუცილებლობაზე.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, საკასაციო საჩივრის ობიექტს წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკასაციო საჩივრის მიზანს წარმოადგენს უშუალოდ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტა. საკასაციო საჩივრის ობიექტიდან და მიზნიდან უკვე გამომდინარეობს საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტი თავისი ვიწრო გაგებით, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ობიექტს წარმოადგენს არა სამართლებრივი ნორმა, არამედ - სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.⁵⁷

მაგრამ, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს ფაქტობრივი გარემოებების იურიდიულ მხარეს, ე.ი. მათ შესაბამისობას კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ამ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა არ არის საკმარისი ნორმით განსაზღვრული ურთიერთობის მიმართ სუბსუმირებისათვის. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში შესამოწმებელია, ერთი მხრივ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ და, მეორე მხრივ, რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ამყარებდა მხარე მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ვფიქრობთ, რომ შემოწმების აღნიშნული წესით უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შერჩევის სისწორე.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების დროს საკასაციო სასამართლომ არ შეიძლება, არ გაითვალისწინოს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და შესაგებელი⁵⁸.

⁵⁷ ასევე იხ. თ. ლიუაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 526.

⁵⁸ სარჩელისა და შესაგებლის ცნება არ არის მოცემული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, მათ ერთიან ცნებას ასევე არ ითვალისწინებს იურიდიული ლიტერატურა.

მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად სარჩელსა და შესაგებელს გააჩნიათ მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი მხარეები, რომლებიც როგორც სარჩელში, ასევე შესაგებელში ცალ-ცალკე არ არსებობენ და წარმოადგენენ უფლების დაცვის ერთიან ინსტიტუტს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სარჩელი, ასევე შესაგებელი ერთ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი მოვლენა, მეორე შემთხვევაში - მატერიალურ-სამართლებრივი მოვლენა. გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს საკითხი იმის შესახებ, თუ მისი რომელი ასპექტის

მაგალითად, ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს მისი არასრულწლოვანი შვილების აწ გარდაცვლილის ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა. მოპასუხეს წარმოადგენდა ანდერძისმიერი მემკვიდრე. მოსარჩელე ასევე ითხოვდა ანდერძის ბათილად ცნობას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან სსსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვერ დაადასტურა ანდერძის ბათილობა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად შემდეგი მოტივით: მიუხედავად იმისა, რომ კასატორი (მოსარჩელე) ვერ ადასტურებდა პროცესუალურ დარღვევებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ანდერძის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი, რომლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო

(პროცესუალურ-სამართლებრივი თუ მატერიალურ-სამართლებრივი) გათვალისწინებას მოჰყვება იურიდიული შედეგი.

სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მხარე (სადავო სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი) მთლიანად ემთხვევა სარჩელის ერთ-ერთ ელემენტს, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება (თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თ. 2005, გვ. 271), ხოლო მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი წარმოადგენს იმ მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებზე მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მოკლედ შევჩერდებით შესაგებლის პროცესუალურ მხარეზე. გერმანიის სამოქალაქო პროცესი განასხვავებს ფორმალური შესაგებლის წარდგენასა და შეტყობინებას სასამართლოში თავის დაცვის (განზრახვის) შესახებ. კერძოდ, 276-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადება უკავშირდება სასამართლოში თავის დაცვის (განზრახვის) შესახებ შეტყობინებისათვის გათვალისწინებულ ვადას, ხოლო ამავე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება უკავშირდება შესაგებლის წარდგენის ვადას.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს სასამართლოში თავის დაცვის (განზრახვის) შესახებ შეტყობინების ინსტიტუტს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხის წერილობით პასუხში უნდა მიეთითოს, ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში, ასევე ამავე კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე შესაგებელში აღნიშნული უნდა იყოს, ეთანხმება თუ არა მხარე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს. მოცემული დანაწესები გარკვეულ-წილად მიუთითებს მოპასუხის მიერ სარჩელისაგან (სააპელაციო საჩივრისაგან) თავდაცვის განზრახვაზე, მაგრამ ეს დანაწესები ფორმალური შესაგებლის არსებითი ნაწილია და არა - დამოუკიდებელი წესი, რომელსაც ახასიათებს ვადებისა და შეუსრულებლობის შედეგები (მაგალითად, რაც დამახასიათებელია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსისათვის).

წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). ამავე კოდექსის 1372-ე მუხლის თანახმად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის გამოყენებისა და განმარტების დროს სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა მითითებებით. სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს, მოსარჩელის ძირითად მოთხოვნასთან მიმართებით დაირღვა თუ არა მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, კონკრეტული დავის გათვალისწინებით - მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.⁵⁹

მოყვანილი მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არ გაითვალისწინა ის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილებულიყო სამკვიდროდან სავალდებულო წილის ნაწილში, რაც უნდა განეხილა სააპელაციო სასამართლოს.

ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემთ, აღვნიშნოთ, რომ სასარჩელო მოთხოვნისა და შესაგებლის შემოწმებას გააჩნია ორი სახე - პირდაპირი და არაპირდაპირი. პირველი - როდესაც სასამართლო უშუალოდ ამოწმებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას (პირველი ინსტანციის სასამართლო) და მეორე - როდესაც სასამართლოს შემოწმების უშუალო ობიექტია არა სასარჩელო მოთხოვნა, არამედ - სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება) (სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები). ამ უკანასკნელ შემთხვევაში სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები ერთმანეთს ემსგავსება.

ამდენად, აღნიშნული სასამართლოები უშუალოდ არ ამოწმებენ სასარჩელო მოთხოვნასა თუ შესაგებელს, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების მიზანი საბოლოოდ მიმართულია მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისაკენ.

მივიჩნევთ, რომ ზუსტად ამ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების არაპირდაპირ სახეს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი შემოწმება საკასაციო წესით. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნისა თუ შესაგებლის საფუძვლებთან დამოკიდებულებას გააჩნია საკმაო მნიშვნელობა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) ინსტიტუტისა და სამართლებრივი შეფასების ობიექტის განსაზღვრისათვის.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილების შემოწმების სამართლებრივი პროცესი შეუძლებელია, წარმოვიდგინოთ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის გარეშე. მაგრამ ყოველივე ეს უკავშირდება საკასაციო ტექნიკას, რომელიც შედგება სხვადასხვა მექანიზმებისაგან.⁶⁰

რომელი კრიტერიუმები განსაზღვრავს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დამოკიდებულებას ფაქტობრივ გარემოებებთან?

⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-59-408-07, 12.09.07წ.

⁶⁰ G. Canivet, L'organisation interne de la Cour de cassation favorise-t-elle l'élaboration de sa jurisprudence ?, La Cour de cassation et l'élaboration du droit, Economica, 2004, p. 3

უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება განვიხილოთ პრეზუმფციის სივრცეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების ზოგიერთი საკითხი (დაწვ. იხ. § 3.2.). სსსკ 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

განსახილველი ნორმით ფაქტიურად განისაზღვრება ერთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტები, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ ფაქტების დადგენის პროცესთან დაკავშირებული საკითხები (იხ. თავი 3 და 4).

იმ შემთხვევაში, როცა კასატორს არა აქვს შეტანილი დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), საკასაციო სასამართლო ამოწმებს არა ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მართებულებას, არამედ - მის მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობას.

საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე (რაც შესაძლებელია მხოლოდ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიით (შედავებით), ივარაუდება, რომ საქმისათვის იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია სწორად (პრეზუმფცია), მაგრამ არ ივარაუდება, რომ ისინი იურიდიულად მნიშვნელოვანია და ის, რომ მათ მოჰყვება სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი შედეგი.

ეს გარკვეულ გავლენას ახდენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების იურიდიულ-ტექნიკურ მხარეზე. საკასაციო სასამართლომ ყოველთვის უნდა შეამოწმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი გარემოებები, მათი იურიდიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხოლო ამ შემოწმებით მიღებულმა შედეგებმა შეიძლება განსაზღვროს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი გარემოებები რამდენად არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) ობიექტი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში.

ამდენად, განსახილველი პრეზუმფციის შინაარსი გამოიხატება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ, იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტებში, რომლის წინააღმდეგ კასატორს არ შეუტანია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) ობიექტს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი, იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტები.

მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კასატორს წარმოდგენილი აქვს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება. დავის საგანს წარმოადგენდა ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახანძრო დაცვისა და ხანძრის ავტომატური ქრობის გაუმართავი სისტემების არსებობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა მიზეზობრივი კავშირი აღნიშნულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, კერძოდ, გავრცელდა თუ არა ხანძარი დაზარალებული ორგანიზაციის ტერიტორიაზე სახანძრო დაცვისა და “სპონკლერების” ხანძრის ავტომატური ქრობის სისტემის გაუმართაობის გამო და მოპასუხე ორგანიზაციის ტერიტორიის ფართის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული სისტემის გამართულად მუშაობის შემთხვევაში გავრცელდებოდა თუ არა ხანძარი დაზარალებული ორგანიზაციის ტერიტორიაზე. ამ საკითხის გასარკვევად საქმეში არსებული მასალები არ იყო სათანადოდ შეფასებული.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აუცილებელია განისაზღვროს მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, ე.ი. მოვალის ქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო, არამედ ზიანი უნდა იყოს ამ ქმედებით გამოწვეული უშუალო შედეგი. ამდენად, განსახილველი ნორმით ასევე იგულისხმება პირის უმოქმედობა, რომლის შედეგად სხვა პირს მიაღება ზიანი.⁶¹

ვფიქრობთ, რომ უფრო დაწვრილებით უნდა მიმოვიხილოთ, თუ რა პროცესუალურ დარღვევებს მოიცავს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) ინსტიტუტი.

აღნიშნული ინსტიტუტი შეიძლება მიუთითებდეს იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევებს.

ამასთან ერთად, წინა პარაგრაფის შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება “გავშალოთ” ტერმინი “პროცესუალური დარღვევები” და უფრო ზუსტად განვმარტოთ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) არსი. კერძოდ, ამ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევებს, რაც გამოიხატება სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოკვლეულ მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება მოიცავდეს მტკიცების პროცესის ყველა ელემენტის შემოწმებას; ასევე - იმ პროცესუალური წესის შემოწმებას, რომელსაც სააპელაციო სასამართლო იყენებს მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასებისას ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სწორ მსჯელობასა და მათ დადგენაში.

საკასაციო სასამართლოს გადასახედიდან ჩანს, რომ შემოწმების აღნიშნული ელემენტი ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ საკასაციო სასამართლოს, კასატორის მიერ მითითებული დარღვევების დადასტურების შემთხვევაში (რომელიც უკავშირდება საბოლოოდ ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენას), თვითონ არ შეუძლია “გამოასწოროს შეცდომები”. ზუსტად ამ

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება № ას-1363-1588-05, 29.06.06წ.

შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკასაციო სასამართლოს მითითებებს, რომლებსაც იგი აძლევს სააპელაციო სასამართლოს (იხ. § 5.3).

მაგრამ მიგვაჩნია, რომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების პროცესუალური დარღვევების შემოწმების სპეციფიკას. საბოლოოდ ამ სპეციფიკით განისაზღვრება დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის ინსტიტუტის ფარგლები.

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას მნიშვნელოვანია, ამ ასპექტში საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება გაიმიჯნოს ფაქტების დამდგენი სასამართლოს უფლებამოსილებისაგან (იხ. § 1.2).

ამდენად, დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენისას, ზოგიერთ შემთხვევაში, სამართლისა და ფაქტის საკითხების ერთმანეთისაგან გამიჯვნა შემოწმების პროცესში გართულებულია.

დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით, საკასაციო სასამართლომ შესაძლებელია, შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მტკიცების პროცესი (მტკიცებულების დასაშვებობა, განკუთვანადობა, შეფასება და ა.შ.) (იხ. § 4.3.3.), მაგრამ იგი უშუალოდ არ აფასებს მტკიცებულებებს და არ ადგენს ფაქტებს. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას საკასაციო სასამართლომ არ უნდა შეაფასოს ისეთი მხარეები, რომლებიც ეხება მოსამართლის შინაგან რწმენას (იხ. § 4.1.), რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა შეაფასეს კონკრეტული მტკიცებულებები. ე.ი. საკასაციო სასამართლო პროცესუალური დარღვევების ჭრილში აფასებს იმ სამართლებრივი კრიტერიუმების სწორად გამოყენებასა და გაგებას, რაც განსაზღვრულია პროცესუალური წესებით, ლოგიკის კანონებითა და პრაქტიკული გამოცდილებით, რაც, ვფიქრობთ, წარმოადგენს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების წინაპირობებს.

აღნიშნული პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმებამ შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს მტკიცების საგნის განსაზღვრაზე. ამგვარად, დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიით კასატორი შეიძლება უკმაყოფილებას გამოთქვამდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების საგნის არასწორად განსაზღვრაზე. მაგრამ, როგორც ცნობილია, მტკიცების საგანს შეადგენს როგორც მოსარჩელის, ასევე - მოპასუხის მიერ მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც კასატორი უთითებს იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებულია არა თავისი, არამედ - პროცესუალური მოწინააღმდეგის, ე.ი. გამარჯვებული მხარის კონკრეტულ პროცესუალურ მოქმედებებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად, პირმა შეიძლება მოითხოვოს თავისი და არა - სხვისი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვა (სსსკ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია თვითონ მოითხოვს შემოწმებას, ე.ი. საკასაციო სასამართლო ამოწმებს არამარტო იმას, თუ რამდენად უთითებს და დასაბუთებს

კასატორი პროცესუალურ დარღვევებს, არამედ – იმასაც, თუ რამდენად აქვს კასატორს ამ კონკრეტულ პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე მითითების საფუძველი.

ზუსტად ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს წინაშე დგება მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი, რომლის გათვალისწინება აუცილებელია არა მარტო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენისათვის, არამედ, ზოგადად, თანასწორუფლებიანობის პრინციპის უზრუნველსაყოფად (იხ. § 4.4.).

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის არსის მთლიანობაში გააზრებას იმ მიზნების გათვალისწინებით, რასაც ამ პრეტენზიით ისახავს კასატორი მისი განხილვის შედეგების ჩათვლით.

აღნიშნული პროცესი მოგვცემს შესაძლებლობას, დავინახოთ, თუ მითითებული პროცესუალური დარღვევების შედეგად საბოლოოდ რომელი ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან მიმართებით იყო დაშვებული შეცდომები და მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ როგორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემდა მათი დადგენა, თუ ეს შეცდომები არ იქნებოდა დაშვებული. ზუსტად ეს ცოდნა, რომელიც მიგვითითებს მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებზე, დაგვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად გააჩნია კასატორს მის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიაში ასახულ პროცესუალურ დარღვევებზე მითითების შესაძლებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოცემულია კანონის დარღვევის სახეები. აღნიშნული დარღვევები, რომლებიც გამოიხატება სასამართლოს მიერ კანონის არგამოყენებაში, რომელიც უნდა გამოეყენებინა; კანონის გამოყენებაში, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და კანონის არასწორ განმარტებაში, მიუთითებს სილოგიზმით არსებული წანამძღვრების არარსებობაზე ან არასათანადოდ გაგებაზე (იხ. § 2.3). გავრცელებული მოსაზრების თანახმად კანონის იმ დარღვევის არსებობისას, როდესაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის მითითებული კანონი. კანონის დარღვევის მეორე სახესთან გვაქვს საქმე, როდესაც სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების არასწორ კვალიფიკაციას. რაც ეხება დარღვევის მესამე სახეს, რომელიც გამოიხატება კანონის არასწორ განმარტებაში, იგულისხმება შემთხვევები, როდესაც სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად ესმის ამ კანონის აზრი და შინაარსი.⁶²

სავსებით ვიზიარებთ აღნიშნულ განმარტებას, მაგრამ ასევე აღვნიშნავთ, რომ კანონის ზემოაღნიშნული დანაწესით განსაზღვრული კანონის დარღვევის სახეების სწორი დახასიათება შეუძლებელია ფაქტობრივ გარემოებებთან კავშირის გარეშე, რაც იურიდიული სილოგიტიკის აუცილებელი წანამძღვარია.

⁶² ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 112-114

კანონის დარღვევის სახე, რაც გამოიხატება კანონის არ გამოყენებაში, რომელიც უნდა გამოეყენებინა სასამართლოს, შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები და, შესაბამისად, სხვადასხვაგვარად აისახოს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში). ყოველივე ეს უკავშირდება იმას, თუ რა შინაარსით არის დატვირთული “კანონის არგამოყენება” კონკრეტულ სიტუაციაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ერთ შემთხვევაში იმას, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული ფაქტობრივი სიტუაცია და მეორე შემთხვევაში, რამდენად სწორი შედეგი დადგა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით (განჩინებით) (იხ. § 5.1).

რაც შეეხება კანონის დარღვევის მეორე სახეს – გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც არასწორად განხორციელდა სუბსუმირება. არასწორად მოხდა კონკრეტული ფაქტობრივი სიტუაციის, როგორც მეორადი წანამძღვრის მისადაგება ნორმატიულ (მთავარ) წანამძღვართან, რაც უკავშირდება ამ უკანასკნელის არასწორად შერჩევას (იხ. § 2.3).

კანონის არასწორი განმარტება უკავშირდება კანონის ინტერპრეტაციის თავისებურებებს, რაც უკავშირდება იურიდიული სილოგიზმის მთავარ წანამძღვარს (იხ. § 2.3).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კონკრეტული პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმები წარმოადგენს იმ სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავენ საკასაციო სასამართლოში ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების თავისებურებებს.

საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია შესამოწმებელი გადაწყვეტილებით დადგენილი, საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გარეშე. კონკრეტული იურიდიული დასკვნის შემოწმება შეუძლებელია, თუ სააპელაციო სასამართლო არ დაადგენს კავშირს ფაქტობრივ გარემოებებსა და კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას შორის, რა დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასა და შესაგებელს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, მათი სამართლებრივი მნიშვნელობის კუთხით და აკეთებს დასკვნას, თუ რამდენად ვრცელდება ამ ფაქტებზე სსსკ 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პროცესუალური პრეზუმფცია. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა ვლინდება ასევე დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედაგების) ანალიზის დროს, რადგან მისი ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი, იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტები. ამ შემთხვევაში უკვე აღარ ვრცელდება მითითებული პრეზუმფციის მოქმედება და მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ გამოიკვლია და შეისწავლა ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ, როგორ იქნა განსაზღვრული მტკიცების საგანი, რადგან “მუდმივად გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ფაქტების და არა სამართლებრივი საკითხების დამტკიცებაა

შესაძლებელი და აუცილებელი”.⁶³ პროცესუალური დარღვევები, რომლებიც გამოხატავს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) შინაარსს, ასევე შეუძლებელია შემოწმდეს ფაქტობრივი გარემოებების გარეშე (სსსკ 396-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი), რადგან საბოლოოდ მხოლოდ ის პროცესუალური დარღვევები შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (გარდა იმ პროცესუალური დარღვევებისა, რომლებიც წარმოადგენს გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველს), რომელთა შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი (სსსკ 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ წარმოვადგინეთ ზოგიერთი იმ საკითხის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა, რომლებიც ეხება ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოში.

მაგრამ უშუალოდ საკასაციო სასამართლოს თავისებურება და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების რაობა, ასევე მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა ვლინდება ყველა იმ დეტალის, როგორც ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილის ცალ-ცალკე განხილვაში, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კანონიერების შემოწმებას.

II. სამართალშეფარდების გადასინჯვის ზოგიერთი თავისებურება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში

2.1. საკასაციო სასამართლოში სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესის ზოგადი დახასიათება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის, თუ სააპელაციო სასამართლომ რამდენად სწორად გამოიყენა და განმარტა ესა თუ ის სამართლის ნორმა.

წინა თავში ჩვენ ზოგადად შევეხეთ საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებული პროცესუალური დოკუმენტის შემოწმების სამართლებრივ მხარეებს. ამდენად, წინა თავში მიღებული დასკვნების შესაბამისად შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სამართლებრივ შემოწმებაში არ იგულისხმება სამართლებრივი საკითხების დამტკიცება, აქ იგულისხმება - სამართალმოთხოვნათა რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა.

⁶³ პაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 58. შეად. Marie-Noëlle Jabard-Bachellier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 49

აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესს, რომელსაც გააჩნია გარკვეული სტადიები, კერძოდ: 1) ფაქტობრივი გარემოებების დადგენა; 2) სამართლის სათანადო ნორმის მოძიება და მისი ანალიზი; 3) იმის შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მოძიებული სამართლის ნორმით განსაზღვრულ ქცევის წესს; 4) სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული შედეგის განსაზღვრა.

რაინჰოლდ ციპელიუსი აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ნორმის გამოყენებისას “სამართლებრივი შეხედულებების სიმძიმის წერტილს (ცენტრს) ეძებენ ფორმალურ-ლოგიკურ აზროვნებაში, რომლის ძირითად ბირთვს სილოგიზმი წარმოადგენს. მასში სამართლის ნორმა ქმნის მთავარ წინადადებას (ე.წ. პირველი წანამძღვარი – Obersatz), ხოლო ფაქტობრივი გარემოება – დამოკიდებულ წინადადებას (ე.წ. მეორე წანამძღვარი – Untersatz), დასკვნა (Schlub) კი წარმოადგენს იმის დადგენას, რომ ნორმატიული სამართლებრივი შედეგი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ გამოიყენება.”⁶⁴ განმარტება და სამართლის შემდგომი განვითარება წარმოადგენს იურიდიული ნორმის გაგების შემადგენელ ნაწილს. ამისაგან უნდა განვასხვაოთ სამართლის ნორმის გამოყენება⁶⁵, რისთვისაც უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ, სამართლის შესაბამისი ნორმა და, მეორე მხრივ, შესაფასებელი შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები.⁶⁶ მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ნორმის გაგება მიმართულია მისი მნიშვნელობის დაკონკრეტებისაკენ, ის ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს იმის სიცხადეს, რომ ასეთი წესით გაგებული ნორმა მიესადაგება ასევე კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას.⁶⁷ მხარეთა დაგა უნდა გადაწყდეს სამართლებრივ დანაწესებთან შესაბამისობაში.⁶⁸ ამდენად, ამ შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია იმ წანამძღვრების გარეშე, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ერთ შემთხვევაში სამართლის ნორმას, ხოლო მეორე შემთხვევაში - ფაქტობრივ გარემოებას. აქედან გამომდინარე, იურიდიული გადაწყვეტილებები მიიღება წანამძღვრების ძიების, გამიჯვნის, დადგენისა და ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების ურთიერთკავშირის შედეგად.⁶⁹

ამდენად, დღევანდელი და ადრინდელი იურიდიული მეცნიერება ითვალისწინებს იმას, რომ კანონის გამოყენება მიუთითებს ზოგადიდან კერძომდე ლოგიკური სილოგიზმის არსებობაზე, რომლის დროს ძირითად წანამძღვარს წარმოადგენს სამართლის ნორმა, ხოლო ე.წ. მეორად წანამძღვარს კი - ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტას. აღნიშნული წანამძღვრები ყოველთვის მზად არ გვეძლევა. უფრო ხშირად სამართალშემფარდებელს უხდება იურიდიული ანალიზის მეშვეობით ფაქტობრივი გარემოებების ფორმირება, ასევე ეს

⁶⁴ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 109 შეად. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 194., ასევე იხ. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 50-53, 87

⁶⁵ Ян Шапп, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 34

⁶⁶ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 109

⁶⁷ Ян Шапп, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 34

⁶⁸ Hervé Croze, Le procès civil, Éditions Dalloz – 2004, p.37

⁶⁹ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 109

ხდება ნორმის განმარტების მეშვეობით⁷⁰ (იხ. § 2.3). სასამართლოების არსებობა გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ სამართლის აბსტრაქტული ნორმა იქნეს დაკონკრეტებული, გამოყენებული და მისადაგებული კერძო შემთხვევის მოსაწესრიგებლად.⁷¹

აქედან გამომდინარე, ფორმალური ლოგიკის წესების გათვალისწინებით, იურიდიული საქმის გადაწყვეტა აგებულია სილოგიზმის პრინციპზე. აღნიშნული გადაწყვეტილების დახასიათებას, როგორც სილოგიზმის წესების დაცვით მიღებულ შედეგს, გააჩნია არსებითი მნიშვნელობა კანონიერების საწყისების თანმიმდევრული განმტკიცებისათვის, რომლის არსს წარმოადგენს ყველა სუბიექტის ქმედების შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან.⁷² (იხ. § 2.2., § 2.3.).

იურიდიული საქმის გადაწყვეტა, როგორც შემოქმედებითი პროცესი, პირველ რიგში გულისხმობს იმას, რომ აქ ზოგადი წესები ვრცელდება თავისებურ ცხოვრებისეულ გარემოებებზე და ხდება ნორმების მისადაგება ამ გარემოებებთან.⁷³

ისმის კითხვა: რას ითვალისწინებს სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესი საკასაციო სასამართლოში.

როდესაც ვსაუბრობთ სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესზე საკასაციო სასამართლოში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ შემთხვევაში - სამართალშეფარდების შემოწმების სტადიებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - შემოწმების ლოგიკური მიმდინარეობის თავისებურებებსა და მისი ზუსტი დაცვის მნიშვნელობაზე, რაც აუცილებელია კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართალშეფარდების სტადიების მიხედვით შესაძლებელია, გამოვეყნოთ და ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა სტადიები გააჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების (გაჩინების) სამართლებრივ შემოწმებას საკასაციო სასამართლოში.

კერძოდ, ეს სტადიებია: 1) სასამართლოს გადაწყვეტილებით (გაჩინებით) დადგენილი იურიდიული შედეგის შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები; 2) პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დადგენა; 3) იმის შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მის მიერ მოძიებული სამართლის ნორმით განსაზღვრულ ქცევის წესს; 4) რამდენად სწორად მოიძია და განმარტა სააპელაციო სასამართლომ სამართლის ნორმა; 5) პროცესუალურად რამდენად სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სამართალშეფარდების პროცესის გადასინჯვა საკასაციო

⁷⁰ А. Т. Боннер, Применение нормативных актов в гражданском процессе, М. 1980г. с. 23 ?

⁷¹ Е. В. Васильковский, учебник гражданского процесса, изд. Бр. Башмаковых, М. 1914г. с.22

⁷² С.С. Алексеев. Общая теория права. т.2, М.1982г., с.344

⁷³ იხ. იქვე გვ.344

სასამართლოში, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმებით. ამ პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების ჩარჩოებში საკასაციო სასამართლო ახორციელებს სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესს და, შესაბამისად - სამართალპრეტენზიის მატერიალურ-სამართლებრივ მხარესაც.

ამდენად, ეს პროცესი შესაძლებელია დავეყთ ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ეხება სამართალპრეტენზიის პროცესუალურ მხარეს, ხოლო მეორე ნაწილი – მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს.

სამართალპრეტენზიის პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე ასევე შეიძლება დავეყთ ორ ქვენაწილად, რომელთაგანაც ერთ შემთხვევაში მოწმდება პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უთითებენ საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე და ამასთან ერთად, დგინდება შესაფასებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მომწვესრიგებელი ნორმით განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის კავშირი, ხოლო მეორე შემთხვევაში პროცესუალური ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უთითებენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების ფარგლებსა და შესამოწმებელ პროცესუალურ ფაქტობრივ გარემოებებსა და საკასაციო საჩივრის შემოწმების ფარგლების განმსაზღვრელი ნორმებით მოცემულ პროცესუალურ დანაწესს შორის კავშირზე. სამართალპრეტენზიის პროცესუალურ-სამართლებრივი მხარის შემოწმებაში ასევე უნდა ვიგულისხმოდ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უთითებენ სამოქალაქო საპროცესო ნორმის დარღვევაზე და შესაფასებელ (პროცესუალური ხასიათის) ფაქტობრივ გარემოებებსა და პროცესუალური ნორმით განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის კავშირზე.

რაც შეეხება სამართალპრეტენზიის შემოწმების მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში შემოწმების ობიექტს წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, ასევე შესაფასებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრულ დანაწესს შორის კავშირის დადგენის პროცესი.

ზემოაღნიშნული პროცესის თანახმად, საბოლოოდ განისაზღვრება გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების შემოწმების შედეგი, რაც ვლინდება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში). შესაბამისად, მითითებული პროცესუალური დოკუმენტის მიღების წინაპირობას შეიძლება წარმოადგენდეს ან პროცესუალურ-სამართლებრივი და ან მატერიალურ-სამართლებრივი მხარე.

უფრო დაწვრილებით განსახილველი პროცესი იხ. სქემა №1

სქემა №1

I. სამოქალაქო საპროცესო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საკასაციო საჩივრის დასაშვებობას.

1.1. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უთითებენ საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე;

1.2. შესაფასებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მომწესრიგებელი ნორმით განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის კავშირის დადგენის პროცესი;

II. სამოქალაქო საპროცესო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების ფარგლებს.

2.1. პროცესუალური ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უთითებენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების ფარგლებზე;

2.2. შესაფასებელ პროცესუალურ ფაქტობრივ გარემოებებსა და საკასაციო საჩივრის შემოწმების ფარგლების განმსაზღვრელი ნორმებით მოცემულ პროცესუალურ ფაქტობრივ გარემოებებს შორის კავშირის დადგენის პროცესი;

III. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები, რომლითაც წესრიგდება სადავო სამართლებრივი ურთიერთობა.

3.1. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი;

3.2. შესაფასებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის კავშირის დადგენის პროცესი;

IV. პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო ნორმის დარღვევის შესახებ მტკიცებულებათა შემოწმების წესს.

4.1. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უთითებენ სამოქალაქო საპროცესო ნორმის დარღვევაზე;

4.2. შესაფასებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და პროცესუალური ნორმით განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის კავშირის დადგენის პროცესი;

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების შემოწმების შედეგად სადავო სამართლებრივი ურთიერთობის შეფასების შედეგი.

5.1. პროცესუალურ-სამართლებრივი შეფასების შედეგი;

5.2. მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების შედეგი.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესუალურ-სამართლებრივ და მატერიალურ-სამართლებრივ ნორმათა გამოყენებას გააჩნია თავისი ლოგიკური მიმდინარეობა, რომლის დაცვით უზრუნველყოფილია არამარტო საქმის წარმოების ეკონომიის პრინციპი, არამედ კანონიერი გადაწყვეტილების (განჩინების) მიღების აუცილებლობაც.

მაგალითად, რაინჰოლდ ციპელიუსი აღნიშნავს, რომ სასამართლო განხილვის დროს ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, დგინდება პროცესუალური წინაპირობები (ე.წ. “სეკუნდარული”, მეორადი ნორმები – “sekundare” normen) და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება

მატერიალურ-სამართლებრივი დებულებების (ძირითადი ნორმები – “primare” normen) გამოკვლევა.⁷⁴

მაგრამ აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ ეკონომიურობის პრინციპის უზრუნველყოფის გარდა ზემოაღნიშნული წესის დაცვას დიდი ლოგიკური მნიშვნელობა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ლოგიკური მიმდინარეობა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება პროცესუალურ-სამართლებრივი დანაწესების მნიშვნელობას, რაც თავისთავად გავლენას ახდენს მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით შემოწმებაზე.

პროცესუალური ნორმები, როგორც გასაჩივრებული პროცესუალური დოკუმენტის სამართლებრივი შემოწმების აუცილებელი კრიტერიუმი, მოითხოვს ისეთი პროცესუალური ხასიათის ფაქტების შეფასებას, რომლის არსებობაც გამორიცხავს მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტების შეფასების აუცილებლობას. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაწესის არსებობის შემთხვევაში (საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი და ა.შ.) საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) ისე, რომ არ უნდა შეეხოს მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს.

ამდენად, როგორც ვხედავთ, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი კუთხით. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში ტრადიციულად განასხვავებენ “ნორმატიულ” შემოწმებას და “დისციპლინარულ” შემოწმებას.⁷⁵ ნორმატიულია ისეთი სახის შემოწმება, როდესაც მოწმდება საკასაციო სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადაწყვეტილებების არსებითი მხარე (სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და გამოყენება, ფაქტების კვალიფიკაცია და ა. შ.). საკასაციო სასამართლოს მთავარი მისიაა განახორციელოს კონტროლი კანონის ზუსტ გამოყენებასა და დაცვაზე.⁷⁶ დისციპლინარული შემოწმება დაკავშირებულია გადაწყვეტილებების ფორმასთან ან სამოტივაციო ნაწილთან. არსებითად, ამ უკანასკნელის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი ფორმალური ან პროცედურული მოთხოვნების არდაცვის დადასტურება, არსებითი მხარის გათვალისწინების გარეშე.⁷⁷

⁷⁴ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 112

⁷⁵ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 49

⁷⁶ J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, 2009-2010. p. 258

⁷⁷ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 49

მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეებზე, ჩვენ ვეხებით საკასაციო საჩივრის საფუძვლებს, მის შინაარსს, რაც განსაზღვრულია კანონით და რომელსაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს თავისი კომპეტენციის მიხედვით. ამ კომპეტენციის განსაზღვრაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც **სასამართლო პრაქტიკას**, ასევე - **დოქტრინას**.

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა განასხვავებს საკასაციო წესით გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და მათი გაუქმების რამდენიმე საფუძველს, რომლებიც, საჩივრის ავტორების მოსაზრებით, არ შეესაბამება კანონმდებლობას. აღნიშნული საფუძვლები ეხმარება მხარეებს, დაასაბუთონ საჩივარში თავიანთი პრეტენზიები, ხოლო ამ პრეტენზიებზე მითითება წარმოადგენს საკასაციო საჩივრის მიღების პირობას.⁷⁸ ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში, მაგალითად, შემოთავაზებულია, გაიმიჯნოს კასაციის საფუძვლები, რომლებიც უკავშირდება სამართლის ნორმას - ერთ შემთხვევაში და მოტივაციის ხარვეზებს - მეორე შემთხვევაში (vices de motivation). საფუძვლების აღნიშნული ჯგუფები შეესაბამება ორი ტიპის კონტროლს, რომელსაც ახორციელებს საკასაციო სასამართლო: საფუძვლების პირველი ჯგუფი (უარი კანონის გამოყენებაზე, სამართლის ნორმის არასწორი განმარტება, სამართლის ნორმის არასწორი გამოყენება, არაკომპეტენტურობა, პროცედურების ფორმების დარღვევა, გადაწყვეტილებაში მოყვანილ დებულებათა შეუსაბამობა, სამართლებრივი საფუძვლის დაკარგვა და ა.შ.) სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გააკონტროლოს სამართლის ნორმის გამოყენება და განმარტება; მეორე (მოტივების არარსებობა, მტკიცებულებათა დამახინჯება) აუცილებელია საქმის ფაქტობრივ მხარესთან დაკავშირებული მოტივების მინიმუმისათვის.⁷⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული დოქტრინისა და პრაქტიკის მიერ საკასაციო საფუძვლების ზემოაღნიშნული დაყოფა ხელსაყრად მიგვაჩნია - ის თითქოს ართულებს საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას. საქმე იმაშია, რომ საკასაციო საჩივრების ეს ორივე ჯგუფი იმდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ რთულია, წარმოვიდგინოთ სამართლის ნორმის არგამოყენება და ფაქტების არასწორი კვალიფიკაცია, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოტივაციის ხარვეზად.

მაგალითად, ჟ. კუშე აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის დარღვევა ფართოდ უნდა იქნეს გაგებული: მას განეკუთვნება კანონის დარღვევა, სასამართლოს არაკომპეტენტურობა, უფლებამოსილების გადამეტება,

⁷⁸ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.124.

⁷⁹ **Boré.J. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-e partiè. p.396. (იხ. ციტ. მიხ. К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.124.**

დებულებათა შეუთავსებლობა, პროცესუალური ფორმის დაუცველობა, სამართლებრივი საფუძვლის დაკარგვა.⁸⁰

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უფრო კონცენტრირებულია საკასაციო სასამართლოს შემოწმების სამართლებრივი მხარე. მოტივები, ანუ მოტივაცია ფაქტობრივად წარმოადგენს სასამართლო ანალიზს, დასაბუთებას, საიდანაც გამომდინარეობს შედეგი, ანუ სარეზოლუციო ნაწილი.

მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 455-ე და 458-ე მუხლები განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული და მოტივებზე მითითებების არარსებობა (default de motifs) ან მოტივების უკმარისობა (insuffisance de motifs) შეიძლება გახდეს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.⁸¹

აქედან გამომდინარე, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო ყურადღებას აქცევს გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოტივაციის არარსებობას, ან მის არასაკმარისობას. სხვა გადაწყვეტილების მოტივაციაზე მითითებას ასევე განიხილავენ, როგორც მოტივაციის არარსებობას. მოტივაციაში ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების არსებობა, ეჭვი ან ვარაუდი, მხარის მოსაზრებაზე პასუხის გაუცემლობა და ა.შ. ითვლება მოტივაციის ხარვეზად.⁸²

ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოში არსებულმა სასამართლო პრაქტიკამ და, ასევე, დოქტრინამ გვიჩვენა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების მოტივები, დასაბუთება მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ ის ემსახურება სამართლებრივი დავის მხარეების ინტერესს, არამედ იმიტომაც, რომ მისი გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომ სასამართლოს საქმის ვითარებაზე წარმოდგენა ექმნება.⁸³ ამდენად, სამოტივაციო ნაწილი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია, რათა აისახოს, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო ასე და არა - სხვანაირად.⁸⁴

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობს. მოცემულმა დანაწესმა შეიძლება გამოიწვიოს ბევრი გაუგებრობა. მით უმეტეს, საკმაოდ მრავლადაა ფაქტობრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეყრდნობა განსახილველ დანაწესს. სასამართლომ, რომელიც არსებითად იხილავს საქმეს და იკვლევს მას სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით (პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო სასამართლო), თავისი კომპეტენციის

⁸⁰ Couchez G. Procédure civile. Paris, 1998, p. 345

⁸¹ Code de procédure civil. art. 455, 458. 2008.

⁸² Boré.J. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-e partiè. p.460-463, 468, 469. (ციტირებულია. К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук.

Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.126.

⁸³ პაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო

გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 71.

⁸⁴ იხ. იქვე. გვ. 71

ფარგლებში უნდა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლის გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი მხარის შემოწმება. უფრო რთულდება საქმე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებისას. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს: სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას; საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთებას. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია ის, რომ გარკვეულ შემთხვევებში გასაჩივრებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია და ხშირად რთულია მათი სამართლებრივი მხარის შემოწმება. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას და დასაბუთების ნაცვლად შემოიფარგლება ერთი წინადადებით: ვეთანხმები სასამართლოს გადაწყვეტილებას. (იხ. § 5.3).

მაგალითად, გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მოსაზრებათა მოკლე განზოგადებას, საიდანაც გამომდინარეობს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულება.⁸⁵ ამავე კოდექსის 540-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მითითებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე საქმის გარემოებებთან მიმართებით, შესაძლო ცვლილებებისა და დამატებების ჩამოყალიბებით; მოკლედ უნდა იყოს დასაბუთებული, თუ რატომ გაუქმდა, შეიცვალა ან ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

როგორც ვნახეთ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თითქოს შეიცავს იდენტურ დანაწესებს, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, შევამჩნევთ მნიშვნელოვან განსხვავებას. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითხოვს სამოტივაციო ნაწილში მხოლოდ სამართლებრივ შეფასებას და კანონებზე მითითებას, ხოლო ამავე კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივი ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით. ამ შემთხვევაში

⁸⁵ Гражданское процессуальное уложение Германии. Woltes Kluwer. М. 2006

დასაბუთების, ანუ საქმის ფაქტობრივი ანალიზი თითქოს ნაკლები ყურადღების ქვეშ მოექცა, რაც ართულებს თუნდაც იმის გარკვევას, თუ სასამართლომ რამდენად სწორად განსაზღვრა სუბსუმირებადი ფაქტები და შემდეგ, რამდენად სწორად მოახდინა სუბსუმფიცია. მით უმეტეს, რთულია გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმება, როდესაც სააპელაციო სასამართლო დასაბუთებას ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებზე მითითებით. საქმე იმაშია, რომ ასეთი მითითებების შემთხვევაში მიღმა რჩება მხარეთა ახსნა-განმარტებები, მათი მხრიდან სასამართლოს დარწმუნების სამართლებრივი თუ ლოგიკური მხარეები, რასაც ადგილი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დროს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომის ოქმი შეიცავს ამ მონაცემებს, ამ ნორმის (სსსკ 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” ქვეპუნქტი) გამოყენებისას არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მთავარია ის, თუ როგორ აფასებს თვითონ სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას იმ პოზიციებიდან გამომდინარე, რასაც ადგილი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საკასაციო სასამართლო სამართლებრივ შეფასებას აძლევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას და არა - პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება, თუ არ იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა. აღნიშნული საკვებით ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესს. კიდევ ერთხელ დავკენთ, რომ სასამართლო ადგენს და ამოწმებს არა სამართლის ნორმას, არამედ - ფაქტობრივ გარემოებებს.

დღესდღეობით ეს ნორმები უნდა განიმარტოს არა მარტო სამართლებრივი, არამედ - ფაქტობრივი მხარეების გამოკვლევით, რაც უნდა აისახოს სასამართლო გადაწყვეტილებაში.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლო, სათანადო საკანონმდებლო რეგულიაციის არ არსებობის პირობებში, გადაწყვეტილების მოტივაციასთან დაკავშირებულ ხარვეზებს ავსებს მოტივების ნაწილობრივ შევსებით (*suppléance partielle*). მაგრამ საკასაციო სასამართლოს ასეთ პრაქტიკას გააჩნია ასევე თავისი ფარგლები. საკასაციო სასამართლო მოტივებს სრულად არ ავსებს. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საკასაციო სასამართლო ახდენს მოტივების სრულ შევსებას (*suppléance totale*). მეცნიერთა აზრით, სწორია ისეთი მიდგომა, რომლის თანახმად, საკასაციო განხილვისას შესაძლებელია მოტივების ნაწილობრივ შევსება, ხოლო დასაბუთების საერთოდ არარსებობა უნდა იწვევდეს გადაწყვეტილების გაუქმებას.⁸⁶ (იხ. § 5.3).

სასამართლო პრაქტიკამ განმარტა, რომ მოტივაციის ხარვეზები წარმოადგენს არა ფორმის ხარვეზს, არამედ - დასაბუთების უკმარისობას, რადგან ამ შემთხვევაში ირღვევა მატერიალურ-

⁸⁶ Prieur E. La substitution de motife par la Cour de cassation. Paris. p. 93-94 / იხ. ციტ. მის. K. B. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.126.

სამართლებრივი ნორმები და არა - პროცესუალური სამართლის ნორმები რომლებიც შეიძლება შეეხებოდეს მოტივაციას: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა (default de base legale) და დამახინჯება (denaturation).⁸⁷

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე გვხვდება მოსაზრებები, რომელთა თანახმად, ფაქტების კვალიფიკაციის შემოწმება, სულ მცირე, უნდა დაემორჩილოს შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს:

- არჩევანი შემოწმებასა და შემოწმების არარსებობას შორის უნდა იყოს რაც შეიძლება მკაფიოდ გამოხატული.

- შემოწმება უნდა შენარჩუნდეს ყოველ ჯერზე, როცა კვალიფიკაცია საკმარისად დაშორებულია ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისაგან და რომ ხსენებული შემოწმება შეიძლება იყოს სამართლებრივი ნორმის გამოყენების საკითხი.⁸⁸

ზუსტად იმ შემთხვევებში, როდესაც თვალსაჩინოა სამართლებრივი სილოგიზმის დეფექტი, რომელიც ეხება მეორად წანამდვარს (ფაქტების განსაზღვრა), არ იძლევა შესაძლებლობას, შემოწმდეს კავშირი ფაქტობრივ სიტუაციასა და სამართლებრივ დასკვნას შორის. ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, რადგან საკასაციო ინსტანციის სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ძალებით აღმოფხვრას მითითებული ხარვეზი.⁸⁹

ზემოაღნიშნულის ანალოგიურად, საქართველოს საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია შემოწმების ობიექტის სწორად განსაზღვრას.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ საკითხში სიცხადის შესატანად უნდა შევეხეთ ფაქტისა და სამართლის საკითხის განსხვავების პრობლემას და სუბსუმციის თავისებურებებს საკასაციო სასამართლოში.

2.2. ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნა

ფაქტისა და სამართლის საკითხის განხილვა ჩვენ გვაინტერესებს იმიტომ, რომ უნდა გამოვკვეთოთ საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასების ობიექტი, ანუ ამ საკითხების განხილვით ჩვენ ვეცდებით გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისაგან.

⁸⁷ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук.

Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.127

⁸⁸ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p, 130

⁸⁹ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук.

Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.127

ხშირ შემთხვევაში რთულია იმის გარკვევა, რასთან გვაქვს საქმე – ფაქტისა თუ - სამართლის საკითხთან. მათი გამოიჯინის პრობლემა შეიძლება ართულებდეს საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებას.

როგორც ცნობილია, სამართლის საკითხს ეხება სამართლებრივი დასკვნის მთავარი წინადადება (წანამძღვარი), რომელშიც მოიაზრება, ასევე, სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერის სრულყოფისა და დაზუსტებისათვის გამოყენებული განვრცობითი ნორმები. ფაქტობრივი საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად მოიაზრება წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მთავარ წინადადებაში (წანამძღვარში).⁹⁰

მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილების ისეთ არსებით ნიშანზე, როგორცაა სამართლებრივი შეფასება, ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯინისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მრავალი მხარე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო ახდენს ფაქტების კვალიფიკაციას ან ამოწმებს პროცესუალურ დარღვევებს.⁹¹

მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სამართლებრივ მხარეს ადგილი აქვს მაშინ, თუ ის ეხება ნორმის გამოყენებისა და განმარტების საკითხს ან ლოგიკის კანონებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. სამართლებრივ მხარეზე საუბარია მაშინ, როდესაც მტკიცების პროცესში სასამართლომ არასწორად გამოიყენა ლოგიკის კანონები ან ცხოვრებისეული გამოცდილება, რამაც გამოიწვია შესაბამისი ნორმის არასწორად გამოყენება.⁹² აღნიშნული განპირობებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში ფაქტის შესახებ საკითხის გამიჯინით, რაც არ შეიძლება შემოწმდეს სარევიზიო წესით, და ასევე - სამართლებრივი კუთხით, რაც შეიძლება გადაისინჯოს სარევიზიო წესით, რადგან სამართლებრივი საკითხები უშუალოდ ეხება საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს.⁹³

ამდენად, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ სამართლებრივი საკითხის განხილვისას რა მოცულობით ეხება საკასაციო სასამართლო ფაქტის საკითხს, თუ საერთოდ გააჩნია მასთან შეხება.

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ ფაქტის საკითხზე, ჩვენს ინტერესს იწვევს მეორე წანამძღვარი, ანუ ფაქტობრივი სიტუაცია, რომელიც ერთ

⁹⁰ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 115

⁹¹ J. Biffet, Le contrôle de la Cour de cassation et le pouvoir souverain. La Cour de cassation et l'élaboration du droit, Economica, 2004, p. 115

⁹² იხ. ციტ. მიხედვით, Гражданский процесс зарубежных стран, под ред. А.Г. Давтян, М. 2009 с.340//BGH NIW 1987, 1557, 1558, 1991, 1894, 1895.

⁹³ იხ. იქვე, გვ. 340.

შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ფაქტის საკითხად, ხოლო სხვა შემთხვევაში – სამართლის საკითხად.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ფაქტობრივი სიტუაცია გვეკლინება, როგორც ქმედების აბსტრაქტული საკანონმდებლო შემადგენლობის ქვეშ სუბსუმირების აუცილებელი წინაპირობა, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ წმინდა ფაქტის საკითხად, უფრო მეტიც: ფაქტის შეფასება, როგორც სუბსუმირების ერთ-ერთ წანამდვარი, წარმოადგენს სამართლის საკითხს.

მაგალითად, საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ფაქტების კვალიფიკაცია წარმოადგენს არა ფაქტის საკითხს, არამედ - სამართლის საკითხს.⁹⁴ ამ მხრივ, ფაქტის კვალიფიცირებისას დაშვებული შეცდომა წარმოადგენს სამართლის ნორმის არასწორად გამოყენებას, რაც საკასაციო სასამართლოს უშუალო კომპეტენციის საკითხს განეკუთვნება.

ამ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების ობიექტს და მათი კვალიფიკაციით (სუბსუმფციით) შესაძლებელია სწორი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა.⁹⁵

ცხადია, რომ საკასაციო სასამართლოში ფაქტობრივი სიტუაცია სამართლებრივ საკითხად განიხილება იმ შემთხვევაში, თუ ის (ფაქტობრივი სიტუაცია) სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა და დაადგინა. ამ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების ობიექტს.

მაგრამ ფაქტობრივი საკითხი, კერძოდ ის, თუ რამდენად მოიაზრება წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მთავარ წინადადებაში (წანამდვრად), უკავშირდება ფაქტობრივი გარემოებების არა მარტო განსაზღვრის (ფორმირების), არამედ - დადგენის პროცესსაც. ვფიქრობთ, რომ ფაქტის და სამართლის საკითხი ამ შემთხვევაში თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკასაციო სასამართლოს იურისდიქციის ჭრილში.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფაქტის საკითხი, რომელთანაც არა აქვს შეხება საკასაციო სასამართლოს, წარმოადგენს იურიდიული ნორმის რეალიზაციის პროცესს საერთო შემადგენლობის საქმეში.

რეალიზაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება იმას, თუ რომელი ფაქტები მიიჩნია სასამართლომ დადგენილად და როგორ დაადგინა ისინი. აქედან გამომდინარე, სამართლის ნორმით განსაზღვრული რეალიზაციის პროცესი ფაქტობრივი გარემოებების საქმეში ერთ შემთხვევაში უკავშირდება ფაქტებს, რომლებიც საჭიროებს მტკიცებას და ფაქტებს, რომლებიც არ საჭიროებს მტკიცებას.

⁹⁴ Boré.J. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-e partiè. p. 290

⁹⁵ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук.

Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.120

ამდენად, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თვითონ განახორციელოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესი, მას შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად განახორციელა ეს პროცესი სააპელაციო სასამართლომ, ისიც იმ შემთხვევაში თუ არსებობს საამისოდ გათვალისწინებული პროცესუალური წინაპირობები (იხ. § 4.3.1). ხოლო მითითებული პროცესის შემოწმების წესი და მოცულობა მოცემულია პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმებით.

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარეების განსხვავებას საკასაციო სასამართლოსათვის გააჩნია ძალიან დიდი მნიშვნელობა.⁹⁶ ნებისმიერ დავაში, რომელიც არსებითი მხარის განმხილველ სასამართლო ორგანოს გადაეცემა, ერთობლივად ფასდება ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარეები.⁹⁷ არსებობს შინაგანი კავშირი სამართლის ნორმასა და ფაქტს შორის.⁹⁸ მოსამართლისთვის სირთულე შეიძლება წარმოიქმნას მონაცვლეობით და ერთობლივად, სამი სხვადასხვა კუთხით: პირველ რიგში - ფაქტების კუთხით, რომელთა დადგენისათვის საჭიროა მხარეების მტკიცება. ეს უკანასკნელი შეიძლება ერთმანეთის საწინააღმდეგო იყოს. ასევე, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ზოგიერთი მტკიცებულების მქონე ელემენტით უცილობლად არის დადგენილი მაგალითად - საჯარო მოძრაობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის დროს პოლიციის ოქმითა და მოწმეების ჩვენებებით დადგინდა, რომ ფეხით მოსიარულემ გზა მაშინ გადაკვეთა, როდესაც მწვანე შუქი ენთო და მძღოლი მოძრაობდა 60კმ/სთ. სიჩქარით.⁹⁹ ამ შემთხვევაში მოსამართლე თავს იკავებს ყველანაირი სამართლებრივი ანალიზისა და ფაქტების კვალიფიკაციისგან. სირთულე შეიძლება შემდეგ წარმოიშვას სამართლებრივი კუთხით, ნორმატიული აქტის ინტერპრეტაციისას, აგრეთვე კანონის ნაკლოვანებიდან (ხარვეზიდან) გამომდინარე.¹⁰⁰ ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება 1989 წლის 6 ივლისის კანონს, იგი აწესრიგებს ურთიერთობებს გამჭირავებელსა და დამჭირავებელს შორის. ბოლო ცვლილება ამ კანონში შევიდა 2002 წლის 17 იანვარს.¹⁰¹ კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლი, რომელიც მიზნად ისახავს ბინის ქირავნობასთან დაკავშირებული ურთიერთობების გაუმჯობესებას, განმარტავს, რომ “დამჭირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულება გადაეცემა “...საყოველთაოდ აღიარებულ მასთან დაუქორწინებელ თანაცხოვრებაში მყოფ პირს.” (concubin notoire). აქედან

⁹⁶ J.-L. Aubert, La distinction du fait et du droit dans le pourvoi en cassation en matière civile, D. 2005, 1115.

⁹⁷ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 50

⁹⁸ Cueto-Rua J. Judicial Methods of Interpretation of the Law. 1981. p. 25/ ციტირებულია A. Барак. Судейское усмотрение. М. 1999г., 26

⁹⁹ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 50

¹⁰⁰ იხ. იქვე გვ. 50

¹⁰¹ Loi n°2002-73 du 17 janvier 2002 de modernisation sociale

/http://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=LEGITEXT000006069108&dateTexte=20100830

გამომდინარე, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ამ კანონის ჭრილში ერთი და იმავე სქესის პიროვნების მიჩნევა დაუქორწინებელ თანაცხოვრებაში მყოფ პირებად.¹⁰²

აღნიშნულთან მიმართებით 1997 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა, რადგან: “ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ქორწინების ალბათობა მხოლოდ სტაბილური და უწყვეტი ურთიერთობიდან, ე.ი. მამაკაცსა და ქალს შორის”.¹⁰³ ამრიგად, მსგავსი სირთულის წინაშე მყოფ მოსამართლეს არავითარი ფაქტობრივი საკითხი არა აქვს გადასაწყვეტი (ამ შემთხვევაში არ იყო განსახილველი, რომ ორი ადამიანი ქორწინების გარეშე თანაცხოვრობდნენ და ეს ყველასთვის იყო ცნობილი). სასამართლო ახდენს მხოლოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციას, იმავე კანონიდან და საერთაშორისო კონვენციების სავარაუდო გამოყენებიდან გამომდინარე.¹⁰⁴

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული სასამართლო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება 1999 წლის 15 მაისს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 515-ე (8) მუხლის თანახმად, თანაცხოვრება წარმოადგენს ფაქტობრივ კავშირს ერთი ან სხვადასხვა სქესის პირებს შორის, რომელთაც აქვთ უნარი, შექმნან მყარი და ხანგრძლივი საერთო ცხოვრება.¹⁰⁵

ამდენად, ზემოაღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება ეხებოდა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის საკითხს. ბოლოს მოსამართლეს შეიძლება გადასაჭრელი ჰქონდეს ფაქტების კვალიფიკაციის პრობლემა, ე. ი. - ფაქტობრივი მხრიდან სამართლებრივ მხარეზე გადასვლის სირთულე.¹⁰⁶ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, მოსამართლე დავას წყვეტს კანონის წესების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება ამ სიტუაციისათვის. ის აძლევს ან აღადგენს ფაქტების სწორ კვალიფიკაციას და სადავო მოქმედებებს. . .
107

სიცხადისათვის საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკიდან მოვიყვანოთ მაგალითი: ქმარმა მოითხოვა ცოლთან განქორწინება იმ მოტივით, რომ ცოლი უარს ამბობდა მისთვის სადილის გაკეთებაზე. საქმის მასალების მიხედვით მოსამართლე დადგენილად მიიჩნევს, რომ ცოლი უარს ამბობდა ქმრისთვის სადილის მომზადებაზე. სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლი განმარტავს, რომ განქორწინების მოთხოვნა შესაძლებელია მეორე მეუღლისთვის ბრალად წაყენებული ფაქტების გამო, როდესაც ეს

¹⁰² Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 50-51

¹⁰³ იხ. იქვე, გვ. 51

¹⁰⁴ იხ. იქვე, გვ. 51

¹⁰⁵ Code civil art: 515 (8), 2006

¹⁰⁶ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 51

¹⁰⁷ Code de procédure civile, art. 12, 2008

ფაქტები შეიცავს ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ვალდებულებების სერიოზულ და განმეორებით დარღვევას, რაც აუტანელს ხდის ერთად ცხოვრებას.¹⁰⁸ ამის შემდეგ მოსამართლემ უნდა განაცხადოს, რომ ქმრისათვის სადილის არმომზადების ფაქტი ზემოთ აღნიშნული კანონის ჭრილში შეიცავს თუ არა ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობების სერიოზულ დარღვევას. აქ საქმე გვაქვს საკვალიფიკაციო პროცედურასთან, რომელიც სამართლებრივი ნორმის ზოგადი და აბსტრაქტული არსის დაუმუშავებელ ფაქტებთან შეპირისპირებაში მდგომარეობს, რაც მოიცავს დედუქციურ კვლევას, რომლითაც ფაქტებს იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.¹⁰⁹ ამ მაგალითის მიხედვით შევაჯამოთ მოსამართლის მოქმედება. **სამართლის ნორმა:** სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, განქორწინების მოთხოვნა შესაძლებელია ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისთვის ბრალად წაყენებული ფაქტების გამო, როდესაც ეს ფაქტები შეიცავს ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და ვალდებულებების სერიოზულ და განმეორებით დარღვევას, რაც აუტანელს ხდის ერთად ცხოვრებას.¹¹⁰ **“დაუმუშავებელი” ფაქტები:** დადგენილია, რომ ცოლი უარს ამბობს მეუღლისთვის სადილის მომზადებაზე. **ფაქტების კვალიფიკაცია:** შეიცავს თუ არა ეს ქცევა ქორწინებასთან დაკავშირებული მოვალეობების და ვალდებულებების სერიოზულ და განმეორებით დარღვევას, რაც აუტანელს ხდის ერთად ცხოვრებას.¹¹¹

ზემოაღნიშნული მაგალითიდან ჩანს ფაქტის დამდგენი სასამართლოს კომპეტენცია. ფაქტის საკითხი, რომელიც გამოიხატება ამ ფაქტების დადგენის პროცესთან დაკავშირებულ სპეციფიკასთან. მაგალითად, მტკიცების წესები, რომლებიც განსაზღვრავს მტკიცებულების დასაშვებობასა და განკუთვნილობას (იხ. თავი § 4.3.3), გამორიცხავს ნებისმიერ ფაქტს, რომელსაც არა აქვს კავშირი საქმესთან.¹¹² მაგრამ იმ ფაქტების ინტერპრეტაციის საკითხებს, რომლებიც არ უკავშირდება კანონის დარღვევას, საკასაციო სასამართლო ვერ განიხილავს.

ზემოთ განსაზღვრულ სამივე ნაწილში მოსამართლე სარგებლობს სრული უფლებამოსილებებით: ფაქტების დადგენის, სამართლებრივი ნორმის და ფაქტების (ან ქმედებების) კვალიფიკაციის დროს. საკასაციო სასამართლოს არა აქვს იგივე უფლებამოსილებები, რაც საქმის არსებითად განმხილველ სასამართლო ორგანოებს. უზენაესი მოსამართლის რანგში, რა თქმა უნდა, ის სარგებლობს იმ პირობების შემოწმების უფლებით, რომელშიც საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ განახორციელა თავისი უფლებამოსილებები, მას შეუძლია გააკრიტიკოს შეცდომის გამო გაუქმებული გადაწყვეტილებები, განმარტოს კანონი, ე.ი. საჯაროდ გამოაცხადოს ზოგადი და

¹⁰⁸ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 51

¹⁰⁹ იხ. იქვე, გვ. 51

¹¹⁰ Code civil art: 212, 2006

¹¹¹ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 51

¹¹² А. Барак. Судейское усмотрение. М. 1999г., 236

აბსტრაქტული ნორმები¹¹³. მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც საფრანგეთის უზენაეს სასამართლოს არა აქვს შეფასების არავითარი უფლება და მხოლოდ ის შეუძლია, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოიფარგლოს. ასეთია საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს პარადოქსი: სრულიად უფლებამოსილი - ზოგიერთ შემთხვევაში, ზოგიერთში კი - განიარაღებული.¹¹⁴

ჩვენ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო ერთ შემთხვევაში ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, ხოლო მეორე შემთხვევაში ამოწმებს ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესს (ანუ, ფაქტებს, რომლებიც დადგენილად ითვლება, რადგან არ საჭიროებს მტკიცებას და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენის პროცესს).

პირველი შემთხვევის დროს საკასაციო სასამართლო ამოწმებს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის არსებობას, ხოლო მეორე შემთხვევაში - პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევის არსებობას.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს არა მარტო ფაქტების დადგენის პროცესში დაშვებული პროცესუალური დარღვევების შემთხვევაში, არამედ - იმ შემთხვევაშიც, როდესაც პროცესუალური დარღვევები წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (იხ. § 1.1., § 5.3.). მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგა სწორი შედეგი, აღნიშნული დარღვევების (სსსკ-ის 394-ე მუხლი) შემთხვევაში (ერთ-ერთის შემთხვევაშიც), როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო აღარ აგრძელებს გამოკვლევას, რადგან ამ დარღვევის დადასტურება წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს.¹¹⁵ საკასაციო სასამართლომ მხოლოდ პროცესუალური ხასიათის ფაქტების დადასტურების მიზნით შეიძლება მიიღოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები.

მაგრამ საკასაციო სასამართლოს თვითონ არ შეუძლია დადგენილად ცნოს ესა თუ ის ძირითადი, საძიებელი ფაქტი, არ შეუძლია განახორციელოს ამ ფაქტებსა და მტკიცებულებას შორის კავშირის პროცესის პრაქტიკული (პროცესუალური) რეალიზაცია, რაც ფაქტის დამდგენი სასამართლოს კომპეტენციაა.

2.3. სუბსუმფცია და მისი მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში

¹¹³ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p, 52-53

¹¹⁴ იხ. იქვე გვ. 53

¹¹⁵ ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 63

აღნიშნულ საკითხს ჩვენ გარკვეულწილად შევეხეთ განსახილველი თავის პირველ პარაგრაფში. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს წარმოადგენს გამოვყოთ ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს სუბსუმფციის ლოგიკურ ოპერაციას საკასაციო სასამართლოში.

სუბსუმფცია ნიშნავს იდენტურობის დადგენას, ანუ რამდენად შეიცავს სპეციალური ცოდნა ზოგადი ცნების ყველა ნიშანს. საქმის განხილვისას მოსამართლეს უწევს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სამართლის ნორმით მოცემულ საერთო შემადგენლობაში შეყვანა.

სამართლის შეფარდება ხორციელდება ლოგიკური ოპერაციების გამოყენებით, ანუ იურიდიული სილოგიზმის მიხედვით,¹¹⁶ რა დროსაც დედუქციური კვლევის შედეგად ორი მსჯელობიდან კეთდება დასკვნა ზოგადიდან კერძოზე – სილოგიზმი.¹¹⁷

ტერმინი “სილოგიზმი” ბერძნული წარმოშობისაა (syllogismos) და ნიშნავს შედეგის გამოყვანას.¹¹⁸ სილოგიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დედუქციური დასკვნების მიღებაში. სილოგიზმების სხვადასხვა ფორმის აღმოჩენა და აღწერა დაკავშირებულია არისტოტელესთან. სილოგიზმების შესახებ მისი სწავლება (სილოგისტიკა) თითქმის უცვლელია დღესაც, როგორც ტრადიციული ლოგიკის ძირითადი ფრაგმენტი. არისტოტელეს სილოგისტიკის თეორიაში მოგვიანებით ჩაერთო ლოგიკური დასკვნების სხვადასხვა სახე, რომლებიც ეფუძნება გამონათქვამების ურთიერთკავშირს ჭეშმარიტების მიხედვით.¹¹⁹ ამდენად, ლოგიკური სილოგიზმი წარმოადგენს დედუქციურ დასკვნას, რომელიც შედგება ორი წანამძღვრისა და დასკვნისაგან. მისი სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით: ფიჭვი (S) არის ხე (M). ხე (M) არის მცენარე (P). მაშასადამე, ფიჭვი (S) არის მცენარე (P).¹²⁰

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სილოგიზმი შედგება სამი ტერმინისაგან, რომლებსაც გააჩნიათ მკაცრად განსაზღვრული ადგილი სილოგიზმის სტრუქტურაში. ზემოაღნიშნულ მაგალითში ფიჭვი (S) არის ხე (M) წარმოადგენს ძირითად წანამძღვარს, ხოლო ხე (M) არის მცენარე (P) წარმოადგენს მეორად წანამძღვარს. მესამე ტერმინი – ფიჭვი (S) არის მცენარე (P) წარმოადგენს დასკვნას.

იურიდიული სილოგიზმი ფორმალურ-ლოგიკური სილოგიზმისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ძირითად წანამძღვარს წარმოადგენს გამონათქვამი, ხოლო იურიდიული სილოგიზმისას – სამართლის ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოების ნორმატიული აღწერა. ამასთან ერთად, სამართლის ნორმით მოცემულია საქმის გადაწყვეტის პირობითი გადაწყვეტილება, რომლის განპირობებული სახით მიღება შეიძლება მხოლოდ სამართლის ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოების ნორმატიული აღწერის კონკრეტულ ფაქტობრივ სიტუაციაში რეალიზაციის შემთხვევაში.

¹¹⁶ <http://law.edu.ru/doc/document.asp?docID=1132308&subID=100016057,100091301>

¹¹⁷ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ.122

¹¹⁸ А. Д. Гетманова, Логика для юристов, М. 2009, стр. 206

¹¹⁹ В. И. Бартош. Логика, Минск. 2008, стр. 156-157

¹²⁰ იხ. იქვე, გვ. 157

ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საერთო, ფორმალურ-ლოგიკური სილოგიზმისაგან განსხვავებით, იურიდიული სილოგიზმის ათვლით წერტილს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმა. იურიდიული სილოგიზმის თანახმად, მთავარ წინამძღვარს წარმოადგენს იურიდიული ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ყველა აბსტრაქტული ნიშანი, ხოლო მეორე წინამძღვარს - კონკრეტული ფაქტობრივი სიტუაცია. ამდენად, სამართლებრივი შედეგის მიღებისათვის სუბსუმფციის გზით დგინდება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ქვეშ. სუბსუმფციის ფარგლებში იურიდიული ნორმისათვის იყენებენ ცნებას “მთავარი წინამძღვარი” (Untersatz), ხოლო სამოსამართლო სუბსუმფციისათვის – ცნებას “მეორადი წინამძღვარი” (Schlussfolgerung).¹²¹

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაქციოთ კონკრეტულ იურიდიულ შედეგს, რადგან მისი საფუძვლიანობის შემოწმებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სამართლებრივი ნორმის მოძიება, რომლითაც გათვალისწინებულია დათქმა, თუ რა შემთხვევაში დგება ეს შედეგი.¹²² სამართლებრივ ნორმასა და კონკრეტულ ფაქტობრივ სიტუაციას შორის კავშირის დადგენით ამ შედეგის განსაზღვრა დაკავშირებულია მოსამართლის მიერ კონკრეტული მოქმედებების განხორციელებასთან.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რა თავისებურებები გააჩნია სუბსუმფციას საკასაციო სასამართლოში. უნდა აღინიშნოს, რომ წინა პარაგრაფში ჩვენ შევეხეთ ფაქტისა და სამართლის განსხვავების ზოგიერთ თავისებურებას საკასაციო სასამართლოში.

სამართლებრივი დასკვნის მთავარი წინადადება (წინამძღვარი), რომელშიც მოიაზრება ასევე სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერის სრულყოფისა და დაზუსტებისათვის გამოყენებული განვრცობითი ნორმები, წარმოადგენს სამართლის საკითხს.

ამდენად, ძირითადი წინადადების სამართლის ნორმით მოცემული შემადგენლობის (წინამძღვრის) განსაზღვრა და მის საფუძველზე ფაქტობრივი გარემოებების კვალიფიკაცია წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სუბსუმფციის პროცესი საკასაციო სასამართლოში უნდა განვასხვაოთ ფაქტის დამდგენი სასამართლოს მიერ განხორციელებული სუბსუმფციისაგან. ეს განსხვავება ვლინდება არა სუბსუმფციის არსში, არამედ - მისი რეალიზაციის ფორმებში.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თვითონ განახორციელოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესი. მას შეუძლია ერთ შემთხვევაში შეამოწმოს ამ პროცესის შედეგი (დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები) სამართლებრივი კუთხით,

¹²¹ Ян Шапп, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 38

¹²² იხ. იქვე, გვ. 38

მეორე შემთხვევაში კი შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად განახორციელა აღნიშნული პროცესი სააპელაციო სასამართლომ. ხოლო მითითებული პროცესის შემოწმების წესი და მოცულობა მოცემულია პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმებით.

ამდენად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სუბსუფციის თავისებურებებზე საკასაციო სასამართლოში, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ ლოგიკას, რომელიც ახასიათებს საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო არ იკვლევს უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნისა თუ შესაგებლის საფუძვლიანობას (იხ. § 1.3). საკასაციო სასამართლოს წინაშეა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც გასაჩივრებულია საკასაციო წესით. მოთხოვნა და შესაგებელი ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმ აუცილებელ ორიენტირს, რომელიც ეხმარება საკასაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი მხარის შემოწმებაში (ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ). მაშასადამე, საკასაციო სასამართლო იხილავს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის შემოწმების მოცულობა განისაზღვრება ერთ შემთხვევაში კანონით, ხოლო მეორე შემთხვევაში - საკასაციო საჩივრით. მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს იურიდიული ნორმის სამართლებრივი შედეგის რეალიზაციის კონსტატაციას.¹²³

ამდენად, კანონით დადგენილი წესით, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს ფაქტობრივად უწევს იმის შემოწმება თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს რამდენად მოჰყვება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიღებული შედეგი.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ყურადღების ობიექტს წარმოადგენს სუბსუფციის თავისებურებები საკასაციო სასამართლოში, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიღებული შედეგის შემოწმება ხორციელდება სუბსუფციის ლოგიკური ოპერაციის გამოყენების გზით. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ საკასაციო სასამართლოს ყოველთვის არ შეუძლია სუბსუფციით მიღებული შედეგების რეალიზაცია. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია სუბსუფციის მეორადი წანამძღვრის ფიქსაციის რეალიზაცია, რომლითაც სამართლის ნორმით განსაზღვრული პირობითი შედეგი გარდაიქმნება უპირობოდ. მაგრამ საკასაციო სასამართლო განსაზღვრავს სუბსუმირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ წინაპირობას და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სუბსუფციის მეორადი წანამძღვარი, ანუ თუ დაცულია მეორადი წანამძღვრის ფიქსაციის რეალიზაციის კანონით დადგენილი წესი, საკასაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი, ხოლო თუ არ არსებობს მეორადი წანამძღვარი, საკასაციო სასამართლო განსაზღვრავს სუბსუფციის აუცილებელ წანამძღვრებს, რაც კონკრეტული

¹²³ Ян Шап, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 38

სახელმძღვანელო კრიტერიუმების (მითითებების) სახით აისახება მის მიერ გამოტანილ განჩინებაში, რომლის დაცვა სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის (იხ. § 5.5).

ამდენად, საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სუბსუმფციის მთავარი წანამძღვრის განსაზღვრა (სამართლის ნორმა) ერთ შემთხვევაში და ასევე იმის შემოწმება, თუ სააპელაციო სასამართლოს მეორადი წანამძღვარი (კონკრეტული ფაქტობრივი სიტუაცია) რამდენად აქვს მოაზრებული ქმედების აბსტრაქტული საკანონმდებლო შემადგენლობის ქვეშ. ამისათვის საკასაციო სასამართლოს უწევს რთული გზის გავლა. რა თქმა უნდა, სუბსუმფციის მთავარი წანამძღვრის განსაზღვრა უკავშირდება სამართლის ნორმის მოძიებისა და მისი განმარტების საკითხს. ამ პროცესში თვალსაჩინოდ ვლინდება მოსამართლის როლის მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მას უხდება შეფასებითი ნორმების გამოყენება.¹²⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივ გარემოებებთან შეხების კუთხით საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების მიმართულება შეიძლება დაგყოს ორ ნაწილად: პირველი მიმართულება ვლინდება საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შემოწმებაში, ხოლო მეორე - ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის შემოწმებაში. პირველ შემთხვევაში დარღვევების არსებობისას საკასაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, ხოლო მეორე შემთხვევაში აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და აბრუნებს საქმეს სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის (იხ. თავი მე-5).

ზემოაღნიშნულ მიმართულებებს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ მოყვანილ თავებში.

III. ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ

3.1. ფაქტობრივი გარემოებები, როგორც სამართლებრივი შეფასების ობიექტი

უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შემოწმება უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს, რაც დასკვნის სახით არის მოცემული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

¹²⁴ შეად. გ. გოგიაშვილი. როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს. ქართული სამართლის მიმოხილვა. 2005 (8), გვ. 52

მაგრამ, სანამ საკასაციო სასამართლო შეუდგება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების კვალიფიკაციის შემოწმებას, ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ამ ფაქტებს მისთვის გააჩნია საგაღდებულო ძალა.¹²⁵

ამ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ის მოქმედებები, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ინიციატივით და მოქმედებები, რომლებიც განპირობებულია საკასაციო პრეტენზიებით.

პირველ რიგში განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც საკასაციო სასამართლოს მოსამართლე თავისი ინიციატივით მიმართავს შემოწმების ხერხებს.

უპირველეს ყოვლისა, ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც საკასაციო სასამართლოსთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები საგაღდებულო ძალას იძენს ან ამ ფაქტების დადგენასთან დაკავშირებულ პროცესუალურ დარღვევებზე კასატორი ყურადღებას არ ამახვილებს (გამონაკლისს წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები სსს-ის 394-ე მუხლის თანახმად). ამ შემთხვევაში სასამართლოს უხდება იმის შემოწმება, თუ ამ ფაქტებს რამდენად მოჰყვება სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი (დადგენილი) იურიდიული შედეგი.

ისმის კითხვა: როგორ ამოწმებს საკასაციო სასამართლო ფაქტებს?

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ეს ფაქტები დადგენილია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები (იხ. § 5.3.).

ამდენად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს ფაქტების კვალიფიკაციის სისწორეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმიანობა უკავშირება ერთ შემთხვევაში იმის გარკვევას, თუ რამდენად სწორად გაიგო სამართლის ნორმა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო მეორე შემთხვევაში - თუ რამდენად ემთხვევა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მის მიერ გამოყენებულ სამართლის ნორმით დადგენილ წესს.

ამ შემთხვევაში იკვეთება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ერთი მხრივ ეხება სამართლებრივ საკითხს, ხოლო მეორე მხრივ - ფაქტობრივს¹²⁶ (იხ. § 2.2.).

პირველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის მართებულობას, რაც სილოგიზმის ლოგიკური ოპერაციის მიხედვით ძირითად წანამდგარს წარმოადგენს. ამისათვის საკასაციო სასამართლო ვალდებულია, თვითონ განმარტოს ეს ნორმა და მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა განსახილველი ნორმა. თითქოს, ერთი

¹²⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹²⁶ ასევე იხ. J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, 2008. p. 748, ასევე იხ. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 50-51

შეხედვით, არ იკვეთება კავშირი საკასაციო სასამართლოს ფაქტებთან, როდესაც ის იკვლევს სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის (განმარტების) სისწორეს. მაგრამ საბოლოოდ სწორედ ამ მართებულობის შემოწმებით არის განპირობებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული მნიშვნელობა და, შესაბამისად, იმის გარკვევა, თუ ამ ფაქტებს რამდენად მოჰყვება შესამოწმებელი იურიდიული შედეგი.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ კერძო სამართალი, როგორც წესი, შედგება კანონის სამართლისაგან და კანონის ნორმების განმარტებისა და განვითარების შედეგად შექმნილი სამოსამართლო სამართლისაგან.¹²⁷

აქედან გამომდინარე, სამართლის ნორმის განმარტების მეთოდებს ენიჭება საკმაოდ დიდი მნიშვნელობა, რაც წარმოადგენს ფაქტების შეფასების აუცილებელ პირობას.

სამართლის ნორმის განმარტება შესაძლებლობას გვაძლევს, გავიგოთ მისი შინაარსი. სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაცია ყოველთვის არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. აუცილებელი ხდება ბუნდოვანი და გაუგებარი ადგილების განმარტება. ამ პროცესის გარეშე შეუძლებელია ნორმატიული წანამძღვრისათვის კონკრეტული ფაქტობრივი სიტუაციის მისადაგება. იმ შემთხვევაში, თუ კანონის ტექსტი არ იძლევა კონკრეტულ პასუხს ფაქტობრივი ნიშნების შესახებ, მისი დაკონკრეტება შესაძლებელია სხვა სამართლის ნორმების მეშვეობით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამართლის სისტემაში სპეციფიკაციისათვის გამოსაყენებელი ნორმების ადგილი. შესაბამისად, სპეციფიკაციის მეშვეობით სამართლის ნორმის შემადგენლობის ნიშნების დაკონკრეტება ხდება ნაკლები აბსტრაქტულობის ხარისხის მქონე სამართლის ნორმებით.¹²⁸

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრინციპის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ამის საშუალებას იძლევა დამხმარე ნორმები¹²⁹, რომლებშიც მოცემულია განსამარტი ნორმის შემადგენლობის უფრო კონკრეტული ნიშნები. უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ უნდა მიმართოს სამართლის ნორმის განმარტების ტრადიციულ მეთოდს.

მაგალითად, შაპი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის განმარტების კლასიკურ ხერხებს პრაქტიკაში იმაზე უფრო ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე აცხადებს პრეტენზიას თავისი

¹²⁷ J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen. 13. Aufl. Erstes Buch, Rn. 114 ციტირებულია ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ. 2000წ., გვ. 110

¹²⁸ Ян Шап, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 25

¹²⁹ ს. ჩაჩავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, გვ. 11-12

საფუძვლიანი კონცეფციით.¹³⁰ აქვე იგი აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ მოცემული სწავლება არ ავლენს განსხვავებებს სასამართლო პრაქტიკითა და დოქტრინით უკვე განმარტებულ სამართლებრივ ნორმასა და იმ სამართლებრივ ნორმას შორის, რომელიც ჯერ კიდევ უნდა განიმარტოს გამოყენების პროცესში.¹³¹

აღნიშნულთან მიმართებაში უნებლიეთ იბადება კითხვა: რამდენად მოეთხოვება აღნიშნულ სწავლებას განასხვაოს სასამართლო პრაქტიკითა და დოქტრინით უკვე განმარტებული სამართლებრივი ნორმა იმ სამართლებრივი ნორმისაგან, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განმარტებული.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ მოსაზრებასთან მიმართებით უნდა დავაზუსტოთ სამართლის ნორმის განმარტების კლასიკური კრიტერიუმების ზოგიერთი მხარე.

უპირველეს ყოვლისა სამართლის ნორმის განმარტების კლასიკური მიდგომები, ჩვენი მოსაზრებით, წარმოადგენენ გარკვეულ ორიენტირებს, რომლებიც ეხმარება მოსამართლეს სამართლის ნორმის შინაარსის დადგენაში.

მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში თავისი ადგილი უნდა მიუჭინოთ სამართლის ნორმის კლასიკურ განმარტებებს და არ ველოდოთ ამ სწავლებისაგან იმაზე მეტს, ვიდრე მისი დანიშნულებაა. ამ ხერხების სწორად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას. სწორედ ამ სწავლების დანიშნულებაა მისი პრაქტიკული რეალიზაცია. საკითხავია მხოლოდ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს სწავლება პრაქტიკაში.

ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხის ძიება უპირველეს ყოვლისა იწყება სამართლის ნორმის სტატიკურ და დინამიკურ ხასიათში.

საერთო-აბსტრაქტული სახით სამართლის ნორმის რეგულაციურ-სამართლებრივი შინაარსი სტატიკაში გამოხატულია თვით პოზიტიური სამართლის წყაროს ტექსტში. სამართლის დინამიკა, მისი რეალიზაციის პროცესი, რაც მოიცავს ასევე სამართლის ნორმის გამოყენებას, აუცილებლობის გათვალისწინებით, ატარებს კონკრეტიზირებულ ხასიათს: სამართლის ნორმის სტატიკის საერთო-აბსტრაქტული შინაარსი მისი რეალიზაციის განხორციელებისას კონკრეტდება, მიესადაგება კონკრეტულ სიტუაციას¹³².

აქედან გამომდინარე, სამართლის ნორმის განმარტება გამოიხატება საერთო-აბსტრაქტული სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევისა და ამოხსნის დაკონკრეტებაში, მისი რეალიზაციის დინამიკურ პროცესში¹³³. სამართლის ნორმის ჭეშმარიტი შინაარსი მის კონკრეტულ სიტუაციაში რეალიზაციისას არის მისი რეგულაციური პოტენციალის აქტუალური

¹³⁰ Ян Шапш, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 29

¹³¹ იხ. იქვე, გვ. 29

¹³² <http://www.kursach.com/biblio/0010019/508.htm> .В. С. Нерсесянц. Общая теория права и государства. М. 1999

¹³³ იხ. იქვე

გამოხატულება მოცემულ დროსა და სივრცეში, მოცემულ კონკრეტულ რეგულაციურ სიტუაციაში.¹³⁴

სამართალი მოქმედებს და რეალიზდება არა აბსტრაქტულად, არამედ - კონკრეტულად, არა პოტენციურად, არამედ - აქტუალურად, არა თავის ობიექტისაგან იზოლირებულად, არამედ - უშუალოდ ამ ობიექტზე თავისი ჭეშმარიტი და რეალური ზემოქმედების ადეკვატური რეგულაციური გამოხატულებით¹³⁵. სამართლის ნორმის საერთორეგულაციური პოტენციალი სხვადასხვა კონკრეტულ რეგულაციურ სიტუაციებში იძენს აქტუალობას ამ სიტუაციების სპეციფიკის შესაბამისად და მუდგენდება სხვადასხვა აქტუალურ-რეგულაციური მნიშვნელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მივიჩნევდით, რომ სამართლის ტექსტი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად და ერთმნიშვნელოვნად განიმარტებოდა, მაშინ სამართლის ნორმის განმარტება, როგორც ასეთი, იქნებოდა სრულიად ზედმეტი.¹³⁶

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამართლის ნორმის გააზრების პროცესი არ შეიძლება დაგუპირისპიროთ მისი გამოყენების პროცესს. ამ ორ პროცესს შორის არსებობს ლოგიკური კავშირი, რაც სისტემურად ქმნის ერთ მიზნამდე მიმავალ მოქმედებათა ერთობლიობას, რომელსაც თავისთავად დიდი როლი და მნიშვნელობა გააჩნია სამართლის ნორმის სწორად გამოყენებისა და განმარტებისათვის.

ამდენად, სამართლის ნორმის სტატიკური შინაარსის გაცნობიერებისათვის გამოიყენება განმარტების შემდეგი წესები: სიტყვასიტყვითი (ანუ გრამატიკული) განმარტება; კანონის კონტექსტუალური მნიშვნელობით (სისტემურ-ლოგიკური) განმარტება; ისტორიული განმარტება; კანონის ობიექტური არსის დადგენა (ანუ თელეოლოგიური განმარტება).

“სამართლებრივი ინტერპრეტაციის გზით, კანონის სწორი აზრის გასაგებად, მნიშვნელოვანია იურიდიული კონტექსტის ენობრივი, ლოგიკური და თელეოლოგიური კრიტერიუმების განსაზღვრა”.¹³⁷

სიტყვასიტყვითი (ანუ გრამატიკული) განმარტების პროცესი შეიძლება შევადაროთ იმ ათვლით წერტილს, საიდანაც იწყება სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა. განმარტების აღნიშნული საშუალება, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ზოგადად სამართლის ნორმის განმარტების პროცესის საფუძველს. მის გარეშე შეუძლებელია გადავიდეთ განმარტების სხვა საშუალებებზე. “თანამედროვე სამართალში განმარტების მეთოდის შერჩევა ნორმის შემფარდებლის სუბიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული.”¹³⁸ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემფასებლის, კონკრეტულ შემთხვევაში - მოსამართლის, სუბიექტური შეფასების ფარგლების განსაზღვრა, რაც, უპირველეს ყოვლისა

¹³⁴ იხ. იქვე

¹³⁵ იხ. იქვე

¹³⁶ იხ. იქვე

¹³⁷ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 112

¹³⁸ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ. 2009, გვ.74

უზრუნველყოფილია სამართლის ნორმის ტექსტუალური განმარტებით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლო სიტყვასიტყვითი არსის განმარტების ფარგლების დადგენა არ ნიშნავს კანონის არსის გარკვევის ფარგლებს.¹³⁹ მისი არსის გარკვევა უშუალოდ უკავშირდება სამოსამართლო სამართალშემოქმედებას.¹⁴⁰

“გრამატიკული ანუ სიტყვასიტყვითი განმარტება მოიცავს ცნებისა თუ რეგულირების შეფასებას როგორც გრამატიკული, ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით. ეს უკანასკნელი აუცილებლად გასათვალისწინებელია, როდესაც ესა თუ ის ტერმინი გარკვეული შინაარსით დამკვიდრებული და განმარტებულია სამართლებრივ წესრიგში. რიგ შემთხვევებში ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდის შესაბამისი ინტერპრეტაცია არასაკმარისია მისი მიზნისა და შინაარსის სწორი შეფასებისათვის. ეს ხდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც სამართლის ორი ნორმა ერთმანეთს ეწინააღმდეგება იმგვარად, რომ მოსამართლის მიერ მათი სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.”¹⁴¹

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სამართლის ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებისას არსებობს ასევე განმარტების სისტემურ-ლოგიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობა. არის შემთხვევები, როდესაც სამართლის ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებისას მისი შინაარსის გაგება შეუძლებელია მხოლოდ ამ ნორმის ჩარჩოებში დარჩენით. აუცილებელია ასევე მისი სისტემური კავშირის დადგენა სხვა ნორმებთან. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა მნიშვნელობას იძენს ეს კონკრეტული ნორმა მთელ ნორმატიულ კომპლექსში. ამ შემთხვევაში არსებითია იმის განსაზღვრა, თუ რა კონტექსტუალური მნიშვნელობით ხასიათდება განსამარტი სამართლის ნორმა. სიტყვასიტყვითი და კონტექსტუალური მნიშვნელობით გაგების აქტების შესაბამისობას ხშირად განსაზღვრავენ ჰერმენევტიკული წრის ცნებით.¹⁴² აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სიტყვასიტყვითი და კონტექსტუალური განმარტებები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და, შეიძლება ითქვას, მოითხოვენ ამ განმარტებებით მიღებული შედეგების შეჯამებას.¹⁴³

მაგალითად, №ას-652-959-09 სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას თან ახლავს მოსამართლის განსხვავებული მოსაზრება. აღნიშნული საქმე ეხება სამოქალაქო საპროცესო ნორმის განმარტებას, კერძოდ, სსსკ-ის 372-ე და 387-ე მუხლის მე-3 ნაწილს. სიცხადისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი

¹³⁹ Ян Шап, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 28

¹⁴⁰ იხ. იქვე, გვ. 28

¹⁴¹ Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 1 ციტირებულია ს. ჩანავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, გვ. 50

¹⁴² Ян Шап, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 28

¹⁴³ ასევე იხ. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ. 2009, გვ. 74. შეად.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაუსწრებელი წარმოება იცნობს შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას და სასამართლო საქმის განხილვისას მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ყურადღების გამახვილებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის ყველა დეტალზე, რადგან ამით დავარდვევთ განსახილველი თემატიკის კონტექსტს. ჩვენ ვეცდებით მაგალითის სახით შემოგთავაზოთ პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის განმარტების ხედვა.

საქმე იმაშია, რომ პირველი ინსტანციის ინსტიტუტი ითვალისწინებს სარჩელის წინააღმდეგ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.¹⁴⁴ სააპელაციო საქმისწარმოებაში მოცემულია ნორმა¹⁴⁵, რომელიც უთითებს, რომ აპელანტის ან აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შედეგად¹⁴⁶ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის¹⁴⁷ გარდა, სხვა შემთხვევაში გამოიყენება პირველი ინსტანციის წესები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამდენად, ისმის კითხვა: სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა გავავრცელოთ პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილ სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად, ასევე სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევებზეც და გამოვიტანოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ - მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მხარის (ამ შემთხვევაში აპელანტის ან მისი მოწინააღმდეგე მხარის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა სსსკ-ის 372-ე მუხლის საფუძველზე გავავრცელოთ შესაგებლის წარუდგენლობისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი სააპელაციო საქმისწარმოებისას (ანუ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობაზე).

მითითებულ განსხვავებულ მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ იმისათვის, რათა ვუპასუხოთ კითხვას - შესაძლებელია თუ არა განსახილველი ნორმის (სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი) გავრცელება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი შესაგებლის წარუდგენლობის შედეგებზე - უპირველეს ყოვლისა, უნდა დავახსნათოთ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მისი შინაარსისა და მოქმედების ფარგლების მიხედვით. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს ის მიზანი, რომელიც წარმოადგენს სამართლის ნორმის საფუძველს. არ შეიძლება სამართლის ნორმის ისეთი განმარტება, რომელიც შეეწინააღმდეგება კანონის ნებას და იმ მიზნებს, რომელთა მიღწევას უზრუნველყოფს გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმა. შესაბამისად,

¹⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 პუნქტი

¹⁴⁵ იხ. იქვე, 387-ე მუხლის მე-3 პუნქტი

¹⁴⁶ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების თავში) სათაურია “მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები”.

¹⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები

ამ მიზნისა და მისკენ მიმავალი პროცესის უგულებელყოფა კანონის არასწორი განმარტების მიზეზი ხდება. ამ მიზნის დადგენა ხშირ შემთხვევაში მოითხოვს მის წაკითხვას სხვა ნორმებთან კავშირში, რომლებთან ერთადაც იგი ქმნის სამართლებრივ საშუალებათა სისტემას, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სამართლებრივი ზემოქმედება და წარმოადგენს სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმს¹⁴⁸.

აქვე ვკითხულობთ: “სააპელაციო სამართალწარმოება რეგულირდება სპეციალური პროცესუალური ნორმებით, რომლებიც მიზნად ისახავს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას”. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტება შეუძლებელია იმ ნორმებისაგან იზოლირებულად, რომლებიც **განსაზღვრავენ სააპელაციო სასამართლოს ინსტანციურობის თავისებურებებს**. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი ნორმების ფართოდ გამოყენებას შესაძლებელია მოჰყვეს პირველი ინსტანციის გამეორება სააპელაციო სასამართლოში, რაც ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელის არსს. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის 136-ე პარაგრაფის თანახმად, აპელაცია არ უნდა იყოს და არ უნდა განხილვოდეს, როგორც ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში შესწორებების შეტანის შეუზღუდავი შესაძლებლობა. ზუსტად ამ პრინციპზეა აგებული დღევანდელი ქართული სააპელაციო სასამართლო, რომელსაც ეწოდება შეზღუდული (არასრული) აპელაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საყურადღებოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლი, რომლის თანახმად, **საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით**. ამდენად, ამ ნორმაში გათვალისწინებული ტერმინები - “ცვლილებებითა” და “დამატებებით” მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს ინსტანციისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, რომელთა შეცვლა დაუშვებელია და მხოლოდ ამ თავისებურებების გათვალისწინებით (და არა მათი უგულებელყოფით) არის შესაძლებელი პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვა. ამდენად, სსსკ-ის 372-ე მუხლი განსაზღვრავს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენების ფარგლებს, ე.ი. ამ წესების გამოყენება არ ატარებს შეუზღუდავ ხასიათს, არამედ იგი შეზღუდულია სააპელაციო სასამართლოს მიზნებით, სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების თავისებურებებით. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ შემდეგი**: მიუხედავად იმისა, რომ საქმის მომზადების მიზნით პირველი ინსტანციისათვის დადგენილი წესები თითქმის მთლიანად ეხება სააპელაციო სასამართლოსაც, სააპელაციო შესაგებელს გააჩნია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც პირველ

¹⁴⁸ №ას-652-959-09 სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი

რიგში ვლინდება მტკიცებით საქმიანობაში. სააპელაციო შესაგებელი, როგორც მტკიცებითი საქმიანობის განსახორციელებელი პროცესუალური საშუალება, არ შეიძლება გავაიგივოთ სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგან მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, როგორც იურიდიულ ფაქტს, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციაში, მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, იხილება იგივე სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით, პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად, არ განისაზღვრება მტკიცების საგანი. სააპელაციო საქმისწარმოებისას მტკიცებითი საქმიანობა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მითითებას ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე (სსსკ-ის 380-ე და 382-ე მუხლები) ან მხარის მოთხოვნას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი მხარის შემოწმებაზე, წარმოადგენს სააპელაციო შესაგებლის არსებით ნიშნებს, ზუსტად ეს შესაგებელი არის გათვალისწინებული სსსკ-ის 373-ე მუხლის პირველი ნაწილით და სპეციალური, საგამონაკლისო ნორმაა, რომლის ფართო განმარტება დაუშვებელია. ამ მუხლით გათვალისწინებული შესაგებელი, როგორც იურიდიული ფაქტი, განსხვავებულია სარჩელის წინააღმდეგ მიმართული შესაგებლისაგან და ამ უკანასკნელი შესაგებლის წარუდგენლობის იურიდიული შედეგის გავრცელება სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობაზე, იურიდიული შედეგის სპეციალური დათქმის გარეშე დაუშვებელია. **სააპელაციო საქმისწარმოების მომზადების მომწესრიგებელი ნორმებით შესაგებლის წარუდგენლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლობა წარმოადგენს ე.წ. კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილს.** ზუსტად ეს პრინციპები უნდა გავითვალისწინოთ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას, რომელიც არა დესკრიფციულ, არამედ ნორმატიულ ფაქტობრივ შემადგენლობას მოიცავს, რაც თავისთავად ითვალისწინებს არა უპირობოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ წესების „გადმოღებას“, არამედ - მისი ნორმატიული ხასიათის გათვალისწინებით, სააპელაციო საქმისწარმოების შეფასების გზით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინაპირობების სწორ დიფერენცირებას.”¹⁴⁹

შესაძლებელია ითქვას, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით არ მოიაზრება ის პროცესუალური ხასიათის შემთხვევა (წინაპირობა), რასაც წარმოადგენს სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობა. უნდა ვიფიქროთ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც სამართლებრივი შედეგის, წინაპირობას სააპელაციო სასამართლოში შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მხარის

¹⁴⁹ №სს-652-959-09 საქმეზე განსხვავებული აზრი.

(აპელანტის ან მისი მოწინააღმდეგე მხარის) არასაკაპიო მიზეზით გამოუცხადებლობა. ზუსტად ეს წარმოადგენს იმ თავისებურებას (სსსკ-ის 372-ე მუხლი), რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინტიტუტთან მიმართებაში, სააპელაციო საქმისწარმოებისათვის გაითვალისწინა კანონმა.

ამდენად, სისტემური განმარტების შემთხვევაში განისაზღვრება ამ ნორმის ადგილი სამართლის სისტემაში, სამართლის დარგსა და სამართლის ინსტიტუტში. ამ შემთხვევაში მოძიებული უნდა იქნეს ნორმები, რომლებიც ლოგიკურ კავშირშია განსამარტ ნორმასთან.¹⁵⁰ სისტემური განმარტების დროს მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის ყველაზე უფრო ტიპური ფუნქციონალური კავშირების გათვალისწინება, რაც გავლენას ახდენს განსამარტი ნორმის შინაარსზე.¹⁵¹

ამდენად, სამართლის განმარტების ზემოაღნიშნულ მეთოდებს მოსდევს ე.წ. ისტორიული განმარტების მეთოდი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ წინა განმარტების საშუალებებმა ვერ მიგვიყვანეს სასურველ შედეგამდე, ამ განმარტების მნიშვნელობა გამოიხატება კანონმდებლის ისტორიული ნების დადგენაში.

ისტორიული განმარტება წარმოადგენს ნორმატიული წყაროს ოფიციალური ტექსტის პუბლიკაციის შესწავლისა და მისი შინაარსის დადგენის აქტების ერთობლიობას.¹⁵² ამ განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს სამართლის ნორმის განსამარტი ტექსტისა და ამ ნორმის ტექსტის ორიგინალის იდენტურობა, მისი ბოლო ოფიციალური რედაქციის მიხედვით.¹⁵³

მაგრამ სამართლის ნორმების განმარტების სხვადასხვა საშუალების გამოყენებას, რა თქმა უნდა, საფუძვლად უდევს ნორმის შინაარსის დადგენა. შესაძლებელია ამ მეთოდის გამოყენებას გააჩნდეს გარკვეული უპირატესობა.¹⁵⁴ ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მისი შინაარსის დადგენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს თელეოლოგიური განმარტება. უნდა აღინიშნოს, რომ თელეოლოგიურ-ობიექტური განმარტება შეიძლება არ ემთხვეოდეს ისტორიულ განმარტებას.¹⁵⁵ ეს ხდება მაშინ, როდესაც ისტორიული კანონმდებელი არ ითვალისწინებს ზოგიერთ შემთხვევას ან თუ სოციალური პროცესების განვითარებამ მოითხოვა კანონის გაგების შეცვლა.¹⁵⁶ თელეოლოგიური განმარტებისას მხედველობაში მისაღებია არამარტო მიზანი, რომელსაც ისახავს

¹⁵⁰ А. Ф. Черданцев. Теория государства и права. М. 2002г., с. 271

¹⁵¹ იხ. იქვე, გვ. 271

¹⁵² <http://www.kursach.com/biblio/0010019/508.htm> .В. С. Нерсесянц. Общая теория права и государства. М. 1999

¹⁵³ იხ. იქვე

¹⁵⁴ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ. 2009, გვ.74

¹⁵⁵ Ян Шапп, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 29

¹⁵⁶ იხ. იქვე, с. 29

კონკრეტული სამართლის ნორმა, არამედ - ამ მიზნის სამართლიანობა და მიზანშეწონილობა.¹⁵⁷

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით, სხვადასხვა ნორმის ურთიერთმიმართებაში მთავარ როლს ასრულებენ არა ლოგიკური, არამედ - თელეოლოგიური არგუმენტები; ნორმის ინტერპრეტაცია თანხმობაში უნდა მოვიდეს იმ მიზანდასახულობასა და სამართლიანობის წარმოდგენებთან, რომლებიც მოცემულია სამართლებრივ წესრიგში, რათა არსობრივად თანაბრად შეფასდეს.¹⁵⁸

ამდენად, სამართლიანობა და მიზანშეწონილობა ფასდება შესაბამის სამართლებრივ წესრიგში მოქმედი ობიექტური კრიტერიუმებისა და თუ შეფასებითი კატეგორიების გათვალისწინებით.¹⁵⁹ მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ე.წ. თანაბარი მოპყრობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს სამართლებრივი შეფასების თანმიმდევრულობას მთლიან სამართლებრივ სისტემაში.¹⁶⁰

“მყარი და სტაბილური სამართლებრივი წესრიგი უფლების არსებობის მნიშვნელოვანი პირობაა. საკმარისია მოიშალოს სამართლებრივი უსაფრთხოება, რომ ნებისმიერი უფლება ეჭვის ქვეშ აღმოჩნდეს. არ შეიძლება კანონმდებელმა უფლების უეჭველობის პრეზუმფცია შეცვალოს მისი საეჭვოობით.”¹⁶¹

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მყარი და სტაბილური სამართლებრივი წესრიგი არ არის ცალკე მოცემული კატეგორია, რომელსაც მოსამართლე ადვილად ხედავს. აღნიშნული სამართლებრივი წესრიგი წარმოადგენს იმ ფასეულობათა სისტემას, რომელიც თანმიმდევრულად, ევოლუციურად ყალიბდება დემოკრატიულ საზოგადოებაში და წარმოადგენს იმ პოზიტიურ მოვლენას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია უფლების არსებობა. ზუსტად ამ ფასეულობათა განხილვა, მათი ერთიანი სისტემის გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდის სამართლიანობისა და მიზანშეწონილობის შეფასებას.

სასამართლო პრაქტიკამ წამოჭრა საკმაოდ რთული საკითხი: ერთ მხარეზე - მესაკუთრის უფლება, მეორეზე - კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაცული უფლება.

¹⁵⁷ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ. 2009, გვ.74. ასევე შეად. Huber, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191
ციტირებულია ს. ჩაჩავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, გვ. 50
¹⁵⁸ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 66
¹⁵⁹ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ. 2009, გვ.74
¹⁶⁰ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 66/ იხ. BverfGE 60-40, ასევე, BverfGE 59, 49
¹⁶¹ ბ. ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბ. 2007, გვ 40

კერძოდ, “ა”-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – “ბ”-ს, “გ”-ს და “დ”-ს მიმართ ბინიდან გამოსახლების შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ.თბილისში, გორკის მე-2 ჩიხში, №6-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/7 ნაწილი 1975 წელს შეიძინა და იმ წელსვე დაარეგისტრირა ტექნიკენტარიზაციის ბიუროში. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეები სარგებლობენ მისი საკუთრებით და უფლებას არ აძლევენ, იცხოვროს ბინაში.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 30 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით “ბ” თავის ორ შვილთან – “გ”-სა და “დ”-თან ერთად ცნობილ იქნა ქ.თბილისში, გორკის მე-2 ჩიხში, №6-ში მდებარე 22.28 კვ.მ ბინის ფართზე უფლებამოპოვებულად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1975 წლის 27 აგვისტოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე თბილისში, გორკის მე-II ჩიხში, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და სახლთმფლობელობის 1/7 ნაწილის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია “ა”.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ამავე მხარეებს შორის კანონიერ ძალაში შესული, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით “ბ” ორ შვილთან - “გ”-სა და “დ”-თან ერთად ცნობილ იქნა ქ. თბილისში, გორკის მე-2 ჩიხში, №6-ში მდებარე 22,28 კვ.მ ბინაზე უფლებამოპოვებულად და მისი ცხოვრების განმავლობაში შეეძლო ესარგებლა სადავო ფართით.

განსახილველ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ იგი არის სადავო ბინის მესაკუთრე და სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების თანახმად, ითხოვს მოპასუხეთა გამოსახლებას. ამდენად, დაისვა საკითხი: შესაძლებელია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება, როდესაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე მოპასუხეებმა მოიპოვეს სადავო ფართის ფლობის უფლება.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული გადაწყვეტილებით “ბ”-მ ორ შვილთან ერთად მუდმივად მოიპოვა სადავო ფართით სარგებლობის უფლება, რასაც ითვალისწინებდა იმ დროს მოქმედი „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“.

საკასაციო საჩივრის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კასატორი ითხოვს თავისი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკუთრების შებოჭვის ისეთ საფუძველებს, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით წარსულში წესრიგდებოდა.

ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა იმ დროს მოქმედი „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ საფუძველზე, რაც ითვალისწინებდა (მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში) ბინის გაყოფას და ფართის გამოყოფას (ფართზე უფლების მოპოვებას), გადაწყვეტილია და დასრულებულია იმ დროს მოქმედი კანონის პირობებში (ქ. თბილისის

ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით).

გასათვალისწინებელია, რომ იმუამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა (1964 წლის რედაქციის) და „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსისაგან“ (1983 წლის რედაქციით) განსხვავებით, იცნობს საკუთრების განსხვავებულ ინსტიტუტს. საკუთრებას, როგორც სამართლებრივი წესრიგით შექმნილ ფასეულობას, გააჩნია განსხვავებული შინაარსი და ფარგლები, რასაც არ იცნობდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა. ამ შემთხვევაში ყურადსადებია საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...“¹⁶²

აღნიშნული დანაწესი ითვალსწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, მისმა შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება.¹⁶³ საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია,¹⁶⁴ უნდა შენარჩუნდეს, ე.ი. კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას, მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა უგულებელყოფდა კერძო ინტერესებს და, მაშასადამე, არ ითვალისწინებდა არც საკუთრების თავისუფლებისა და არც მისი სოციალური ბოჭვის სამართლებრივი წესრიგით შექმნილ ფასეულობას, რაც განსაზღვრულია მოქმედი სამოქალაქო კოდექსით.

“...საკაცაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის გავრცელება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოშობილია და დასრულებულია ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, დაუშვებელია, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს კანონი (ნამდვილი უკუძალა)”¹⁶⁵.

ამდენად, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის საკუთრების თავისუფლების (170-ე და 172-ე მუხლები) პრინციპის გავრცელება ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრების შეზღუდვის შესახებ დადგენილი ფაქტის მიმართ და მისი კანონიერების (ე.ი. საკუთრების ბოჭვის) ხელახლა განხილვა დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების სოციალური ფუნქციის

¹⁶² სუსგ №ას-372-691-09 17 დეკემბერი, 2009 წ.

¹⁶³ ბ. ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბ., 2007. გვ. 105.

¹⁶⁴ იხ. იქვე, გვ. 105.

¹⁶⁵ ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1428, 447, 459 გადაწყვეტილება, ასევე მასზე დართული სამი განსხვავებული აზრი/ შეად. დაით სულაქველიძე. სტატია: “სისხლის სამართლის კანონის უკუძალის შესახებ – კომენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე”, ჟურნალი “საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა”, მარტი 2010წ. №2/ ასევე ქეთევან ერემაძე. სტატია: “მოსახრებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ – პასუხი დ. სულაქველიძის კომენტარზე”, იხ. იქვე.

გათვალისწინებით და, შესაბამისად, საკუთრების უფლების პრიორიტეტებზე ყურადღების გამახვილება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. როგორი შედეგიც არ უნდა დგებოდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მისი შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში (სსსკ-ის 265-ე, 421-ე მუხლები).¹⁶⁶ ამასთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ გადაწყვეტილების მატერიალურ კანონიერ ძალაზე,¹⁶⁷ რაც გარანტირებულს ხდის გადაწყვეტილებით დაცულ უფლებას.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ: “იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე, მაგრამ არსებობას აგრძელებენ, მისი მოქმედების პერიოდში გამოიყენება ძალადაკარგული ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ, ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი).

როგორც უკვე აღინიშნა, კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა და დასრულდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და ამჟამად არ იხილება სხვის საკუთრებაში შესახლების (უფლებამოპოვნების) უფლებასთან დაკავშირებული საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 30 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით “ბ” ორ შეილთან ერთად ცნობილ იქნა ქ. თბილისში, გორკის მეორე ჩიხში, №6-ში მდებარე 22,28 კვ.მ ბინაზე უფლებამოპოვნებულად, რომლითაც შეიზღუდა მესაკუთრის უფლება იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, რაც მიუთითებს ამ პირთა მიერ ნივთის მართლზომიერ ფლობაზე. ამდენად, არ შეიძლება ჩამოერთვას სადავო ნივთის ფლობის უფლება იმ პირებს, რომლებმაც ეს უფლება მოიპოვეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.”¹⁶⁸

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ “სამართლებრივი წესრიგი ისეთივე მიმართებაშია ძირითად უფლებასთან, როგორც შენობის საძირკველი შენობასთან.....უფლება, როგორც ფასეულობა, სამართლებრივი წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი და, ბუნებრივია, ნებისმიერი გადაწყვეტილება, მას კანონმდებელი მიიღებს თუ სასამართლო,

¹⁶⁶ სუსგ №ას-372-691-09 17 დეკემბერი, 2009 წ.

¹⁶⁷ უნდა აღინიშნოს, რომ პროცესუალური სასამართლო იცნობს გადაწყვეტილების ფორმალურ მხარეს, რომელიც მიუთითებს გადაწყვეტილების თვისებაზე, რომლის თანახმად, იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს, ხოლო მხარეთა წამოჭრილი დავა ითვლება გადაჭრილად. ასევე მატერიალურ მხარე, რაც მიუთითებს გადაწყვეტილების იმ თვისებაზე, რომლის ძალით არც სასამართლოს და არც მხარეებს არ შეუძლიათ სხვა პროცესში სადავოდ გახადონ ეს გადაწყვეტილება. (დაწვრ. იხ. თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 376-378)

¹⁶⁸ სუსგ №ას-372-691-09 17 დეკემბერი, 2009 წ.

რომლითაც კონკრეტული პირის უფლებას პრიორიტეტი მიეცემა სამართლებრივ უსაფრთხოებასთან მიმართებით, მიუღებელი იქნება.”¹⁶⁹ როგორც ჩანს, სამართლის ნორმის განმარტება შეიძლება მოითხოვდეს ისეთი სფეროების გათვალისწინებას, როგორცაა “სამართლებრივი წესრიგი”, “სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა”, “სამართლებრივი წესრიგისა და ძირითადი უფლებების ურთიერთმიმართება” და ა.შ.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამართლის ნორმის განმარტების მეთოდები წარმოადგენენ სამართლის ნორმის განმარტების იმ ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებს, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის ცნობიერებაში აყალიბებენ სამართალპრეტენზიის ჰიპოთეზას. ამ ჰიპოთეზის შედეგად დგინდება ის წინაპირობები, რომლის არსებობის შემთხვევაში გამომდინარეებს კონკრეტული დასკვნა – რამდენად შეიძლება, ამ ფაქტობრივი წინაპირობების მიმართ გამოყენებულ იქნეს მოძიებული სამართლის ნორმა.

პეგელი აღნიშნავდა, რომ სამართლის განხორციელების საქმეში, როგორც კანონის გამოყენებაზე ცალკე აღებულ შემთხვევაში განასხვავებენ ორ მხარეს: პირველია შემთხვევის ხასიათის ცოდნა მისი უშუალო ინდივიდუალობით – არსებობს თუ არა ხელშეკრულება და ა.შ. არსებობს თუ არა კანონის დამრღვევი მოქმედება და ვინ დაარღვია, ხოლო მეორეა, ამ შემთხვევის მისადაგება უფლება-აღმდგენით კანონთან.¹⁷⁰

ამდენად, ყველა ზემოაღნიშნული სამართლის ნორმის განმარტების მეთოდები, მნიშვნელოვანია და გამოიყენება იურისპრუდენციაში, როგორც სამართლის ნორმის შინაარსის გაგების იურიდიულ-შემეცნებითი საშუალებები. ზუსტად თავისი იურიდიულ-შემეცნებითი მნიშვნელობის ყველა დასახელებული და შესაძლოა, აგრეთვე, სხვა ხერხები წარმოადგენს ადეკვატურ საშუალებებს სამართლის ნორმის განმარტების მეთოდის საერთო მოთხოვნების განხორციელებისათვის.¹⁷¹

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს არა იმას, თუ რა სამართლებრივი საშუალების გამოყენებით განმარტა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველად მითითებული სამართლის ნორმა, არამედ იგი თვითონ მიმართავს ამ პრინციპს, რათა განსაზღვროს, მიეცა თუ არა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება; რამდენად

¹⁶⁹ ბ. ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბ., 2007. გვ. 105/ასევე იხ. ბ. ზოიძე. სტატია” სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ”. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, №3, 2006წ., გვ 83

¹⁷⁰ Гегель. Философия права. изд. Мысль, 1990г., с.260

¹⁷¹ <http://www.kursach.com/biblio/0010019/508.htm> .В. С. Нерсесянц. Общая теория права и государства. М. 1999

მართებულად იქნა გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა.¹⁷²

მაგალითად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო, ქართული საკასაციო სასამართლოს მსგავსად, ამოწმებს სამართლის ნორმის გამოყენებისა და განმარტების სისწორეს და მისი კომპეტენცია არ ვრცელდება თვით სამართლის ნორმის კონსტიტუციურობასა და კანონიერების შემოწმებაზე.¹⁷³

მაგრამ საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სამართლის ნორმას საფრანგეთის საკასაციო სასამართლო არ განმარტავს. მათი განმარტება, გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით, ამოღებულია ამ სასამართლოს კომპეტენციიდან.¹⁷⁴ საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მათი გამოყენება და იმის განსაზღვრა, თუ რომელ შემთხვევაში შეიძლება მათი გამოყენება. ამ წყაროებს განეკუთვნებიან არარეგლამენტირებული ხასიათის ადმინისტრაციული აქტები (non réglementaire), რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები. არარეგლამენტირებულ აქტებს იყენებენ (ინდივიდუალურ და კოლექტიურ აქტებს) ადმინისტრაციული სასამართლოები. ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს განმარტების სპეციალურ მექანიზმებს (რომის შეთანხმება აძლევს განმარტების უფლებას ევროკავშირის სამართლიან სასამართლოს)¹⁷⁵. სხვა შეთანხმებები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ასეთ მექანიზმებს, შეიძლება განმარტონ საფრანგეთის სასამართლოებმა იმ ზომით, რომ ეს განმარტება არ ეხებოდეს საერთაშორისო საჯარო წესრიგს.¹⁷⁶

საფრანგეთის საკასაციო სასამართლო იყენებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმას, უცხო ქვეყნის კანონის ფაქტთან მიერთების (assimilation) პრინციპის მეშვეობით. აღნიშნული პრინციპი გამოიყენება ნებისმიერი უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის მიმართ, მიუხედავად მისი წყაროსი. თუ საკასაციო სასამართლო დარწმუნდება, რომ საქმის

¹⁷² შეად. С. Аносов. Пределы судебного познания в процессуальном праве\Российская юстиция. 2001. №1. стр., 33

¹⁷³ 1958 წლის საფრანგეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს სპეციალურ ორგანოს –საკონსტიტუციო საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს გააკონტროლოს კანონების კონსტიტუციურობა. რეგლამენტირებული აქტების კანონიერების შემოწმება განეკუთვნება ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარეობას. – დაწვ. იხ. К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.109. ასევე იხ. А. А. Клишас. Конституционный контроль и конституционное правосудие зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование. М. 2007г., стр. 165

¹⁷⁴ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.109.

¹⁷⁵ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.110

¹⁷⁶ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.110/_Civ. 1-ге, 7 juin 1989, Bull. civ. I, № 224.

არსებითად განმხილველმა მოსამართლემ სწორად გამოიყენა უცხო ქვეყნის კანონი, ის აღარ ამოწმებს, თუ რამდენად ჩასწვდა ეს მოსამართლე უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსს.¹⁷⁷

როგორც ვხედავთ, სამართლის ნორმის განმარტება (ინტერპრეტაცია) წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველს. შეიძლება ითქვას, რომ კანონის ინტერპრეტაციისას სამართლიან შედეგზე ორიენტირება არგუმენტაციას თავიდან ბოლომდე გასდევს.¹⁷⁸

როდესაც საკასაციო სასამართლოს უხდება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ანუ იმის გარკვევა, მოჰყვება თუ არა ამ ფაქტობრივ გარემოებებს გამოყენებული სამართლის ნორმით განსაზღვრული შედეგი, სასამართლო უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ადგილი აქვს სუბსუმირებად ფაქტებს. შესაძლებელია სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ თუ ფაქტები დადგენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით, საკასაციო სასამართლო თვითონ იყენებს სამართლის ნორმას და იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგი დგება გამოყენებული სამართლის ნორმის საფუძველზე, ან გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ან ძალაში ტოვებს, მაგრამ - შეცვლილი მოტივაციით.¹⁷⁹ (იხ. § 5.2., § 5.4.)

ამ მხრივ ინტერესს იწვევს სასამართლო პრაქტიკა.

2008 წლის 18 ივლისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა “ა”-მ “ბ”-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ფლობს ავტომანქანა „ბმვ-ს“ სახელმწიფო ნომრით № 338, რომლითაც 2008 წლის 31 მარტს მოძრაობდა ქობულეთში აღმაშენებლის გამზირის №195 საცხოვრებელი სახლის წინ, რა დროსაც მას დაეჯახა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი სახ. ნომრით -146, რომელსაც მართავდა “გ”, ხოლო მიკროავტობუსი წარმოადგენდა “ბ”-ს საკუთრებას, რომელმაც ათხოვა ეს მიკროავტობუსი “გ”-ს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ავტოავარია მოხდა მიკროავტობუსის მძღოლის “გ”-ს დაუდევრობით, ასევე დადგინდა, რომ მიკროავტობუსი გადაცემული ჰქონდა მოპასუხეს – “გ”-ს სამუშაოდ. მოსარჩელემ განმარტა, რომ მისი ავტომანქანა ავტოავარიის შედეგად ვეღარ აღდგება და მას მიაღება 4000 აშშ დოლარის ოდენობით ზიანი. აღნიშნული ავტომანქანით გადაჰყავდა მგზავრები, იყენებდა ტაქსად, რითაც არჩენდა ოჯახს, ეს იყო მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხე

¹⁷⁷ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.110 /Civ. 1-re, 13 janv. 1993. Bull. civ. I, № 14. შეად. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p.78-79

¹⁷⁸ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ.70

¹⁷⁹ იხ. სსსკ-ის 412-ე მუხლი

“ბ”-ს დაეკისროს მის სასარგებლოდ ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანი - 4000 აშშ დოლარი, ასევე მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის - 800 ლარის გადახდა.

მოპასუხე “ბ”-მ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელეს არა აქვს ზიანის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან დაზიანებული ავტომობილი მის საკუთრებაში არ ირიცხება. იგი არ არის სათანადო მოპასუხე, რადგან მას უშუალოდ ზიანი არ მიჰყენებია. დაუსაბუთებელია სარჩელში, ასევე 4000 აშშ დოლარის ზიანისა და მიუღებელი შემოსავლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. საბოლოოდ მოსარჩელე ითხოვდა მხოლოდ 4000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრებას.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იყო განხილული სასამართლო ინსტანციებში, საბოლოოდ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სათანადო მოპასუხედ საქმეში ჩართული უნდა იყოს არა მიკროავტობუსის მესაკუთრე “ბ”, არამედ ის, ვინც მართავდა ამ მიკროავტობუსს და ვისი უშუალო ბრალეული მოქმედებითაც მიადგა მოსარჩელეს ზიანი. აღნიშნული პროცესუალური ნორმის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე ამის წინააღმდეგია, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ამასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბოლო წინადადების მიხედვით, მოსარგებლე წარმოადგენს ამავე კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სუბიექტს, რომელიც, მართალია, ფაქტობრივად ფლობს ნივთს (მჭერი), მაგრამ სხვა პირის, კერძოდ, ნივთის ფლობის უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირის სასარგებლოდ.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელის ავტომანქანისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გააჩნია „ფორდ - ტრანზიტის“ მიკროავტობუსის მესაკუთრე “ბ”-ს და იგი წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოებულ განსახილველ დავაში. სააპელაციო პალატამ მიუთითა: იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ უარი განაცხადა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არასათანადო მოპასუხის – პ. ფ.-ს სათანადო მოპასუხით, გ. მ.-ით შეცვლაზე, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

კასატორმა “ა”-მ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსსკ-ის 85-ე მუხლი და არასწორად განმარტა სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რასაც მოჰყვა არასწორი შედეგი.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის საჩივრის საფუძველები და მიიჩნია, რომ დაირღვა სამართლებრივი დანაწესები, კერძოდ,

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

განსახილველი ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, ვინც იურიდიული საფუძველით ახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი), მიაყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და არა - სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ გადაუცია მოსარგებლისათვის იგი, ანდა გადაცემული ტრანსპორტი მოსარგებლემ გამოიყენა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ). ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების კარები დატოვა ღიად, გასაღები დატოვა მასში). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მან ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ დაცვა, რაც გახდა სხვა პირთა მიერ სატრანსპორტო საშუალების დაუფლების საფუძველი. სხვა შემთხვევაა, როდესაც მფლობელის ნების საფუძველზეა მოსარგებლისათვის გადაცემული სატრანსპორტო საშუალება. განსახილველი ნორმით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც მფლობელის ნებით პირი დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების გადაცემით, მისი მიმღები პირი ხდება მართლზომიერი მფლობელი, მაგრამ კანონი განსახილველი ნორმით მფლობელის ნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მიმღებ პირად გულისხმობს მოსარგებლეს, რომელსაც არ ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის, მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევისა (პირი, რომელსაც არ გააჩნდა ნებართვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებაზე).

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს და არა - მოსარგებლეს, ანუ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, კერძოდ,

როდესაც მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ორივე შემთხვევაში, გამოყენებისას, მოსარგებლის მიერ მიყენებული ზიანისათვის ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს და არა - მოსარგებლეს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ინსტიტუტის თავისებურებას, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს), რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს, ბრალი არ მიუძღვის ზიანის მიყენებაში.

ამრიგად, განსახილველი ნორმები ითვალისწინებს მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ დანაწესებს, განსაზღვრავს იმ პირის პასუხისმგებლობას, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი. როგორც აღინიშნა, ეს პასუხისმგებლობა უფრო მკაცრია, რაც შეიძლება დადგეს ბრალის გარეშე, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმები არ ართმევს დაზარალებულს უფლებას, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს იმ პირისაგან, ვისაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად. კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების მე-3 წინადადების დანაწესები აკონკრეტებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მოთხოვნები, შესაბამისად, არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის დანაწესი და არასწორად მიიჩნია “ბ” არასათანადო მოპასუხედ.¹⁸⁰

ამდენად, როგორც ვხედავთ, პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა და განმარტებისათვის აუცილებელი გახდა ფაქტობრივი სიტუაციის სწორად შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენება და განმარტება, რომლის შედეგად ცხადი ხდება, თუ ვინ არის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირი. ამის შემდეგ სასამართლომ არსებითად უნდა განიხილოს საქმე და გამოიკვლიოს ყველა აუცილებელი პირობა, რომელსაც მოჰყვება კონკრეტული სამართლებრივი შედეგი.¹⁸¹

მაგალითად, საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კანონის დარღვევა (*violation de loi*) არ უნდა იყოს გაგებული ვიწროდ, დარღვევად ჩაითვლება კანონის ნებისმიერი არასწორად გამოყენება და განმარტება, მიუხედავად მიზეზებისა, რომელმაც იგი გამოიწვია.

¹⁸⁰ სუსგ №ას-39-38-10 15 ივლისი 2010 წ., ასევე იხ. თ. ჩიტოშვილი, სტატია “დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები”, ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2008წ., გვ. 50-53/ შეად. Б. Зоидзе, Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданско-правового регулирования. Актуальные проблемы советского права. Тб. 1988г., стр. 186-190

¹⁸¹ ფაქტის და სამართლის საკითხთან მიმართებაში შეად. Р. Кросс. Прецедент в английском праве, юр. лит. М. 1985г., стр., 214-215

ამდენად, დარღვევას წარმოადგენს კანონის არასწორი გამოყენება (fausse application), თუ სამართლის ნორმის გამოყენება არ შეესაბამება მისი გამოყენების პირობებს, და არასწორი განმარტება (fausse interpretation), როდესაც ირღვევა კანონის სიტყვა და სული (სასამართლო იგი არასწორად გაიგო), იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლომ უარი თქვა კანონის გამოყენებაზე (refus d'application), თუ ცალსახად გამოსაყენებელი ნორმა არ გამოიყენა სიტუაციის შესაბამისად. კანონის დარღვევაში ასევე ითვლება სასამართლო ქვემდებარეობისა და განსჯადობის წესების დაუცველობა.¹⁸²

ზემოთმითითებულის გათვალისწინებით შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ იმისათვის, რათა საკასაციო სასამართლომ შეაფასოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე, მან უნდა შეამოწმოს, თუ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად რამდენად სწორად შეაფასა ფაქტობრივი სიტუაცია. ამისათვის ის თვითონ იყენებს და განმარტავს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს. მაგრამ, იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლო შეუდგეს ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შემოწმებას, ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რამდენად აქვს მისთვის საგაღმდებლო ძალა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტებს. ამისათვის, განვიხილოთ პრეზუმფციის მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისას.

3.2. პრეზუმფციის მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისას

მას შემდეგ, რაც სასამართლო განსაზღვრავს ნორმის შინაარსს და ასევე ფაქტობრივი გარემოებების ნორმატიულ აღწერას, ის გადადის მეორე ეტაპზე, კერძოდ არკვევს, რამდენად შეესაბამება შესამოწმებელი ფაქტები სამართლის ნორმის დანაწესს, ე.ი. ეს ფაქტები რამდენად წარმოადგენს სუბსუმირებულ ფაქტებს.

რა თქმა უნდა, როდესაც გარკვეულია და დადგენილია საქმის გადაწყვეტისათვის აუცილებელი წინაპირობები (სამართლის ნორმა და ფაქტობრივი გარემოებები), მოსამართლე ახდენს სუბსიმირებას. სუბსუმციის პრინციპის გამოყენება ერთ შემთხვევაში შეიძლება საკმაოდ ტრივიალურ ფორმებს ატარებდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში მოითხოვდეს რთული აზროვნების პროცესს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლე ადგენს შეფასებით ცნებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლეს უხდება ფაქტობრივ ურთიერთობასა და სამართლის ნორმას შორის კავშირის დადგენის რთული პროცესის გაგლა.

¹⁸² К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.125

მოსამართლე ქმნის სამართალპრეტენზიის ჰიპოთეზას, რომელიც ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შესაძლებელს ხდის, გადაწყვიტოს, თუ როგორი წინაპირობების არსებობისას შეიძლება სამართალპრეტენზია მივიჩნიოთ დასაბუთებულად.¹⁸³ იმის გადაწყვეტა, შესრულებულია თუ არა ეს წინაპირობები, დამოკიდებულია პასუხზე, თუ რამდენად რეალიზდება სამართალპრეტენზიით გამოყენებული სამართლებრივი ნორმის შემადგენლობა.¹⁸⁴ ამდენად, ხორციელდება ყველა კონკრეტული ნორმის შემადგენლობის არსებობა შესამოწმებელ ფაქტობრივ გარემოებებში, რომელთა შორის კავშირის დადგენა წარმოადგენს სამოსამართლო სამართალშემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპს. მოსამართლის მსჯელობა არ უნდა იყოს გაფანტული, იგი უნდა ემორჩილებოდეს გარკვეულ კანონზომიერებას. ამ შემთხვევაში მსჯელობას წარმოადგენს სამართლისა და ფაქტის რაციონალურად გამოყენების აქტს, რომლის სიზუსტეც გარანტირებულია სილოგისტიკის ფორმით¹⁸⁵. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ”სამართლის” და ”ფაქტის” მისადაგების პროცესს გააჩნია გარკვეული თავისებურებები.

მაგალითად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას განსაზღვრავენ შემდეგნაირად: საკასაციო სასამართლო ყოველთვის ამოწმებს კანონის ინტერპრეტაციას; არასდროს ამოწმებს ფაქტობრივ გარემოებებს; ზოგჯერ ამოწმებს ფაქტების კვალიფიკაციას.¹⁸⁶ აღნიშნული მიმართულებების საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკით ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რადგან ფაქტობრივ გარემოებებს ისინი ამოწმებენ სამართლებრივი კუთხით და მათი სამართლებრივი პოლიტიკა იმ აზრის მომხრეა, რომ ფაქტების კვალიფიკაცია არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხია. შეცდომა ფაქტის კვალიფიკაციაში წარმოადგენს სამართლის ნორმის არასწორად გამოყენებას, რაც საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანს წარმოადგენს. ფაქტის კვალიფიკაციის შემდეგ უნდა გაირკვეს მისი სამართლებრივი ეფექტი (კვალიფიკაციის სამართლებრივი შედეგი). ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობა თვითონ ადგენს ამ შედეგს. მაგრამ სხვა შემთხვევაში კანონმდებლობა მოსამართლეს აძლევს უფლებას, კანონის დარღვევის გარეშე, თვითონ აირჩიოს სამართლებრივი შედეგი (დისკრეციული უფლებამოსილება), რომლითაც განისაზღვრება სამოსამართლო სამართლის ფარგლები, რაც მთლიანად საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილების, ანუ კონტროლის ქვეშ ხდება.¹⁸⁷ მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1244-ე მუხლისა და 1244-1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალეს არ შეუძლია, აიძულოს კრედიტორი მიიღოს გადასახდელი ვალის ნახევარი იმ შემთხვევაშიც, თუ შესაძლებელია ვალის გაყოფა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსამართლეს შეუძლია ვადით ორ წლამდე გადაუვადოს ან

¹⁸³ Ян Шапп, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 37. შეად. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 36-37.

¹⁸⁴ იხ. იქვე, გვ 37.

¹⁸⁵ Hervé Croze. Le procès civil, Éditions Dalloz – 2004, p. 100.

¹⁸⁶ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 52-53.

¹⁸⁷ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.120.

განუწილვადოს გადასახდელი თანხა, რა დროსაც მხედველობაში იღებს მოვალის მდგომარეობასა და კრედიტორის მოთხოვნილებას.¹⁸⁸ აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მოსამართლეს თვითონ შეუძლია აირჩიოს სამართლებრივი შედეგი, რასაც, შესაბამისად, წინ უსწრებს კონკრეტულ ფაქტებში გარკვევა.

ამდენად, ფაქტის და სამართლის საკითხის გამიჯვნას გააჩნია დიდი მნიშვნელობა, რადგან ნებისმიერ პროცესში მოსამართლე ადგენს ფაქტებს, ახორციელებს მათ კვალიფიკაციას სამართლის ნორმის საფუძველზე, ამის შედეგად კი იღებს სამართლებრივ დასკვნებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო კონტროლს ახორციელებს კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე.¹⁸⁹

კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ სუბსუმციის დროს უკვე უნდა იყოს განსაზღვრული ნორმის შემადგენლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია განისაზღვროს, თუ რამდენად დადგენილ ფაქტებს მოჰყვება შესამოწმებელი შედეგი.

ამ პარაგრაფში ჩვენ არ ვეხებით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობის შემოწმებას. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის სფეროს განეკუთვნება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასება.

ჩვენ ზოგადად შევეხეთ (იხ. § 1.3.) იმ პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ საკასაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებს. აღნიშნული პარაგრაფის ფორმატის დაცვით, ჩვენ ვეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ამ სამართლის ნორმების რეგულაციურ თვისებებზე და ვეცდებით უფრო დეტალურად შევეხეთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო სასამართლოს დამოკიდებულების თავისებურებებს.

პროცესუალური პრეზუმციის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. აღნიშნული პრეზუმციის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).¹⁹⁰ ჩვენი აზრით, განსახილველი ნორმით გათვალისწინებულ პრეზუმციას გააჩნია

¹⁸⁸ Code civil. art. 1244-1244-1. edition 2006

¹⁸⁹ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук.

Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.119

¹⁹⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

თავისი შინაარსი და ფარგლები. მისი შინაარსი პირველ რიგში ვლინდება არა უშუალოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებში, რასაც დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლო, არამედ - იმ ფაქტებში, რომლებიც დაადგინა სააპელაციო სასამართლომ და რომლებსაც გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა საქმის გადაწყვეტისათვის, ხოლო მისი ფარგლები შეზღუდულია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიით. ე.ი. აღნიშნული პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რომლის წარდგენის შემთხვევაში იზრდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ფარგლები.

განვიხილოთ აღნიშნული საკითხები დაწვრილებით, რათა ავხსნათ, რაში გამოიხატება საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება ერთ შემთხვევაში - ზემოაღნიშნული პრეზუმფციის მოქმედების დროს და მეორე შემთხვევაში - დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) არსებობისას (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ჩხადია, ის, რომ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის არსებობა გამორიცხავს პრეზუმფციის მოქმედებას ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად ცნობასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვები: რას ნიშნავს “სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები” იმ შემთხვევაში, როცა არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია? რა სამართლებრივი ასპექტები განაპირობებენ აპელაციის მიერ დადგენილი ფაქტების საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოდ მიღებას? რა არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) ობიექტი?

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კითხვები უშუალო კავშირშია სუბსუმფციის პრინციპთან (იხ. § 2.3). საკასაციო სასამართლო ფაქტობრივად თვითონ განსაზღვრავს ამ კავშირს, რათა შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შედეგად მიღებული დასკვნების სისწორე.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის ფაქტები, რომლებიც იურიდიულად ამართლებს მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასა თუ შესაგებელს. მაგრამ თუ ჩვენ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების ინსტიტუტს აღნიშნული კუთხით განვიხილავთ, ბუნებრივად დადგება შემდეგი კითხვის დასმის აუცილებლობა: რა იგულისხმება იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებში?

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიულ მართებულებაში იგულისხმება გარემოებები, რომლებსაც მოჰყვება კონკრეტული (მოთხოვნაში ასახული) იურიდიული შედეგი. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს კანონით გათვალისწინებული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, რომელიც აისახა შესამოწმებელ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

ნებისმიერი ფაქტი, რომელსაც დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლო და რომლის წინააღმდეგ არ არის შეტანილი დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), არ შეიძლება გახდეს სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის. პრეზუმფციის პრინციპი,

განსახილველი ნორმის თანახმად, ვრცელდება მხოლოდ იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტებზე და არ ვრცელდება იმ ფაქტებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ იურიდიული მნიშვნელობა. ”ფაქტი არის რეალური სინამდვილის მოვლენა. ფაქტობრივი შემადგენლობა კი არის სინამდვილის მოვლენის ნორმატიული აღწერა, რომელსაც უკავშირდება იურიდიული შედეგის დადგომა.”¹⁹¹

აღნიშნული პრეზუმფციის ფარგლებში საკასაციო სასამართლო ამოწმებს, თუ იურიდიულად რამდენად სწორად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ ფაქტების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ რამდენად სწორი დასკვნები მიიღო მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ამ ფაქტობრივ გარემოებებს საკასაციო სასამართლო აფასებს არა შინაგანი რწმენის, არამედ - მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე.¹⁹²

ამასთან ერთად, ინტერესს იწვევს, თუ როგორია განსახილველი პრეზუმფციის სტრუქტურა.

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. § 13.), ფაქტებთან მიმართებით საკასაციო სასამართლოს დამოკიდებულების კრიტერიუმების განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს პრეზუმფცია ფაქტების სავალდებულო ძალის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრეზუმფცია წარმოადგენს პროცესუალურ-სამართლებრივ პრეზუმფციას. მისი არსებობის და გამოყენების შესაძლებლობები შეზღუდულია პროცესუალურ-სამართლებრივი დანაწესებით და, შესაბამისად, ის თავის მოქმედებას იწყებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის შეტანის და მისი წარმოებაში მიღების შემთხვევაში. მაგრამ, აქვე უნდა დავძინოთ, რომ საკასაციო საჩივრის შეტანას ავტომატურ რეჟიმში მოჰყვება არა ამ ინსტიტუტის ”ამუშავება”, არამედ იგი განპირობებულია საკასაციო საჩივართ კასატორის უფლებამოსილებების ფარგლების გამოყენებით - ერთ შემთხვევაში და განსახილველი საკითხის შინაარსით - მეორე შემთხვევაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ პროცესუალური ხასიათის მიუხედავად აღნიშნულ პრეზუმფციას გააჩნია ასევე მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა გამოიხატება მის ფუნქციაში. კერძოდ, აღნიშნული პრეზუმფციის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს (იხ 13.).

ამდენად, ისმის კითხვები: რა თავისებურებები გააჩნია ამ პრეზუმფციის გამოყენებას და როგორ უნდა იქნეს იგი გამოყენებული.

როგორც აღინიშნა, ამ პრეზუმფციის თანახმად, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე ადარ ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ

¹⁹¹ გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბ. 2004წ. გვ 194.

¹⁹² ასევე იხ. თ. ლილუაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 212.

დადგენილ ფაქტებს და იგი უპირობოდ იღებს ფაქტობრივ სიტუაციას მხედველობაში.

ნებისმიერი სამართლებრივი პრეზუმფცია შედგება ორი სახის ფაქტისაგან: ფაქტი-საფუძველი და პრეზუმირებული ფაქტი.¹⁹³ იმისათვის, რათა პრეზუმირებული ფაქტი გამოყენებულ იქნეს პროცესუალურ საქმიანობაში, ჯერ უნდა დადასტურდეს ფაქტი-საფუძვლის არსებობა.¹⁹⁴ მაგრამ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, საკასაციო სასამართლო ხომ არ ადგენს ფაქტებს, ამდენად შეუძლებელია ფაქტი-საფუძველების დადგენა საკასაციო სასამართლოში. ის ხომ "მზამზარეულად" იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს.

დიახ, საკასაციო სასამართლო არ ადგენს ფაქტებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს იმას, რომ იგი "ბრმად" მიჰყვება დადგენილ ფაქტებს. პრეზუმფციის კლასიფიკაციის ზემოაღნიშნული მოდელი, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, გაგებულ უნდა იქნეს საკასაციო საქმისწარმოებისათვის დამახასიათებელ კონტექსტში. კერძოდ, საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაში არ ადგენს ფაქტ-საფუძველს, არამედ ამოწმებს, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები რამდენად წარმოადგენს პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური გამოყენების საფუძველს, ანუ, სხვა სიტყვებით, სასამართლო ამოწმებს, არსებობს თუ არა ფაქტი-საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ფაქტი-საფუძველების შემოწმებით ახდენს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების დიფერენცირებას და ასკენის, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებათა წრე, რამდენად ამართლებენ ეს გარემოებები იურიდიულ მოთხოვნებს.

მაგალითის სახით შეიძლება მივმართოთ სასამართლო პრაქტიკას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა "ა"-მ "ბ"-ს ნ. ლ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის 172007,25 ლარის დაკისრება.

მან მიუთითა, რომ დაბადებიდან ცხოვრობს და რეგისტრირებულია სადავო ბინაში, ქ. ბათუმში, ქ. №-ში. ამავე ბინაში ცხოვრობდნენ და რეგისტრირებული იყვნენ მისი მშობლები 1937 წლიდან. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი დასტურდება ბინის მისამართზე რეგისტრაციით, კომუნალური გადასახადების გადახდით, საარქივო ცნობებით, საპასპორტო მონაცემებით და ა.შ.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად უთითებს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონზე და მიიჩნევს, რომ იგი წარმოადგენს ამ კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეს და, ამდენად, ითხოვს ზემოაღნიშნული თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას.

საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და შეწყვიტა ქ. ბათუმში, ქ. №-ში,

¹⁹³ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 84

¹⁹⁴ იხ. იქვე, გვ. 84

“ა”-ს მფლობელობა “ბ”-ს საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სადგომზე, ამ უკანასკნელის მიერ მოსარჩელისათვის 101 410 ლარის გადახდის სანაცვლოდ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ გამოდინარეობს განსახილველი კანონიდან და, ამდენად, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოთხოვნას, კერძოდ: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს, მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში.

განსახილველი ნორმის თანახმად, დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ მოსარგებლისათვის საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნა წარმოადგენს მესაკუთრის უფლებას და არა - ვალდებულებას, რაც გულისხმობს იმას, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს, გამოიყენოს ან არ გამოიყენოს აღნიშნული უფლება.

იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს არ სურს აღნიშნული უფლების გამოყენება, მოსარგებლეს შეუძლია, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა და არა მესაკუთრის მიერ თავისი უფლების გამოყენების დავალდებულება, რაც ყოველად დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ნ. ლ.-ს (საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეს) დაეკისროს საცხოვრებელი სადგომის 75% გადახდა ფ. ბ.-ს (მოსარგებლის) სასარგებლოდ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.¹⁹⁵

მითითებული შემთხვევიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე “ა” წარმოადგენდა მოსარგებლეს, ანუ პირს, ვისაც „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, გააჩნია ამ კანონით განსაზღვრული უფლება-ვალდებულებანი.¹⁹⁶ ეს კანონი მესაკუთრეს ანიჭებს უპირატეს უფლებას - მოითხოვოს თავის საკუთრებაში არსებული ფართი კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის სანაცვლოდ. ამდენად, კანონი მოსარგებლეს ანიჭებს თავისი უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას, თუ მესაკუთრე უარს განაცხადებს ამ კანონით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზაციაზე. აღნიშნული დანაწესი უკვე მიუთითებს იმაზე,

¹⁹⁵ სუსგ №ას-40-380-09 23 ივლისი 2009 წ.

¹⁹⁶ დაწვრ. იხ. თ. თოდრია. სტატია “საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი”, ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №2, 2009წ.

რომ კომპენსაციის შეთავაზების უპირატესი უფლება გააჩნია მესაკუთრეს.¹⁹⁷ მაგრამ თუ მესაკუთრე უარს აცხადებს თავისი უფლების გამოყენებაზე ან აჭიანურებს მის გამოყენებას, მოსარგებლეს ყოველთვის რჩება უფლება, მოითხოვოს სადავო ფართის მისთვის საკუთრებაში გადაცემა კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის მესაკუთრისათვის გადახდით და არა მესაკუთრის დავალდებულება, გადაუხადოს მას ფართის კომპენსაცია.

ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებები, რომელზეც უთითებდა მოსარჩელე და რაც დადგენილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ იურიდიულად არ ამართლებს მოთხოვნას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც საკასაციო სასამართლო დარწმუნდება ფაქტი-საფუძვლის არსებობაში, ის იყენებს პრეზუმირებულ ფაქტს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფაქტი-საფუძვლის არსებობა უპირობოდ იწვევს პრეზუმირებულ ფაქტის ამოქმედებას.¹⁹⁸ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მოსაზრება უფრო ეხება იმ პოლისისტემურ მატერიალურ-სამართლებრივ პრეზუმფციებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც პროცესუალური საქმისწარმოებისას, ასევე პროცესამდე, მაგალითად, როდესაც ხდება ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულება.¹⁹⁹

მაგრამ ჩვენ შემთხვევაში იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს ე.წ. პრეზუმირებული ფაქტი, აუცილებელია არსებობდეს ასევე პროცესუალური ხასიათის წინაპირობები²⁰⁰. აღნიშნული პროცესუალური ხასიათის წინაპირობების შემოწმებისას საკასაციო სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, სადავოდ ხდის თუ არა კასატორი ამ ფაქტების დადგენის პროცესს. იმ შემთხვევაში, თუ კასატორს გააჩნია ფაქტების დადგენის მართებულობასთან მიმართებით დასაბუთებული პრეტენზია, ცხადია, პრეზუმირებული ფაქტი ვერ იქნება გამოყენებული.²⁰¹ ამის თაობაზე ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მომდევნო პარაგრაფში.

ამდენად, იკვეთება შემოწმების შემდეგი კრიტერიუმი, კერძოდ: **ფაქტი-საფუძვლის არსებობის შემოწმება**, რაც წარმოადგენს პრეზუმირებული ფაქტის მოქმედებაში მოყვანის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას; **საკასაციო პრეტენზიის შემოწმება მისი დასაბუთებულობის**

¹⁹⁷ იხ. იქვე

¹⁹⁸ А. Нашиц. Правотворчество. Теория и законодательная техника. М., 1974., с., 217 შეად. http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_59.html

¹⁹⁹ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 82

²⁰⁰ გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა არ შეიძლება არსებობდეს ფაქტობრივი ურთიერთობის სახით, იგი წარმოიშობა მხოლოდ საპროცესო ნორმის საფუძველზე და შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იურიდიული ურთიერთობის სახით. (იხ. А. А. Малышев, Советский гражданский процессуальный закон, М., 1973. с.8\ А. П. Дудин. Объект правоотношения. Саратов, 1980. с. 68\ М. А. Гурвич. Гражданские процессуальные правоотношения и процессуальные действия\ Вопросы гражданского процессуального. гражданского и трудового права. М., 1965. т. 3. с. 65-70)

²⁰¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი. შეად. Гражданское процессуальное уложение Германии. Wolters Kluwer, 2008г., 2006. статья 559, п.2.

თვალსაზრისით, ე.ი. პრეტენზიის, რომელიც მიმართული იქნებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენის პროცესისა და მტკიცების საგნის განსაზღვრის მართებულების წინააღმდეგ.

ზემოაღნიშნული შემოწმების მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს ფაქტებთან შემხებლობის ხარისხს, კომპლაციურად, ერთდროული გამოყენებით პასუხს სცემს შემდეგ კითხვას: მოჰყვება თუ არა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს შესამოწმებელი შედეგი.

შემოწმების მითითებული მიმართულებები გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ ერთ შემთხვევაში - თუ რამდენად მისაღებია კასატორის პოზიცია საკასაციო სასამართლოს იურიდიულობის კუთხით (იხ. 4.3.1.) და მეორე - მისი კომპეტენციის ფარგლებში რა კუთხით ეხება ფაქტებს.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ფრანგული საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტების დამახინჯებაზე შეტანილ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. კერძოდ, ჩივ. I, 1981 წლის 3 თებერვალი (ბიულეტენი I, №38). საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: გამომდინარე იქიდან, რომ პრეტენზია წაყენებულია გასაჩივრებულ სასამართლო დადგენილებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბატონ დალარას მოთხოვნა სხვადასხვა თანხის ანაზღაურებაზე, რის თაობაზეც ეს უკანასკნელი ირწმუნება, რომ ქ-ნ ლამურს ასესხა, კერძოდ, საგაჭრო-სამრეწველო საწარმოს შესყიდვის მიზნით, რომელიც შემდგომ ლამურმა გაყიდა; მაშინ როდესაც, არგუმენტის მიხედვით, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც შეისყიდეს, შემდეგ გაყიდეს საგაჭრო-სამრეწველო საწარმო, ბატონ დალარს არავითარი დოკუმენტი, ან მიმანიშნებელი ფაქტი არ წარმოუდგენია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, რომ იგი მოქმედებდა მევალის ვალდებულებისგან განთავისუფლების განზრახვით; მაშასადამე, სააპელაციო სასამართლომ დაამახინჯა ფაქტები.²⁰² ამ შემთხვევაში კასატორი უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დამახინჯებაზე ისე, რომ არ აღნიშნავს, თუ რით არის ყოველივე ეს განპირობებული, ანუ არ ირკვევა, რომ კასატორი ყურადღებას ამახვილებს, ფაქტების დადგენის პროცესის მართებულებაზე. ამდენად, მითითებული არგუმენტები საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა, რის შედეგადაც უარი ეთქვა კასატორს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.²⁰³

ამდენად, პრეზუმციის ფაქტი-საფუძვლის არსებობა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომელსაც მოჰყვება კონკრეტული იურიდიული შედეგი. აღნიშნული იურიდიული შედეგის ორიენტირს წარმოადგენს არა სასამართლოს მიერ დადგენილი შედეგი, არამედ - მხარეთა მოთხოვნა და შესაგებელი (იხ. § 1.3.). ამის გარკვევა უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს. მაგრამ ამასთან ერთად საგულისხმოა პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები,

²⁰² Civ. 1^{re}, 3 février 1981 (Bull. I. n38)

²⁰³ იხ. იქვე

რომლებიც ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან მიმართებით წარმოადგენს პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებს, და რაზეც უთითებს კასატორი. ზუსტად ამ უკანასკნელ ფაქტებზე მითითება არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სავალდებულო ძალას განსაზღვრავს ერთ შემთხვევაში - ამ ფაქტების იურიდიული მნიშვნელობა და მეორე შემთხვევაში - დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის არარსებობა.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ რამდენად დადგენილ ფაქტებს გააჩნია საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა, მან უნდა შეამოწმოს მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტების კომპლექსი. მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს განეკუთვნება მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. პროცესუალურ-სამართლებრივ ფაქტებში იგულისხმება კასატორის პრეტენზია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფაქტის დადგენასთან მიმართებით პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც, შესაბამისად, ეხება მტკიცებითი საქმიანობის მართებულობის შემოწმებას.

3.3. მტკიცების საგანი და მისი განსაზღვრის მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში

იმისათვის, რომ გამოვკვეთოთ მტკიცების საგნის ფორმირების სისწორის შემოწმების კრიტერიუმები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვუპასუხოთ, თუ რას წარმოადგენს მტკიცების საგანი. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა დავახსიანოთ იგი იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების მიხედვით.

როგორც სამართლის მეცნიერებაში არის აღნიშნული, მტკიცების საგნად გვევლინება სადავო ფაქტები, უფრო ზუსტად მათი არსებობა-არარსებობა²⁰⁴, ხოლო უდავო, ასევე პრეუდიციული, საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები მტკიცების საგანში არ შედის (იხ. § 3.4.). დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტებიდან განეკუთვნება სამართლის და არა - ფაქტის საკითხს, ამდენად, ამ დასკვნების შეტანაც არ შეიძლება მტკიცების საგანში.²⁰⁵ ამასთან ერთად მტკიცების მიზანია მოდავე მხარეებმა დაადასტურონ თავიანთ პრეტენზიებში მითითებული გარემოებები²⁰⁶, რაც საბოლოოდ ქმნის მტკიცების საგანს²⁰⁷.

²⁰⁴ М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 95

²⁰⁵ /К. Мальшев. Курс гражданского судопроизводства. т.1, изд-е 2-е. С-Пб; 1876 ციტირებულია,

М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 96

²⁰⁶ Е. Васильковский. Учебник гражданского процесса. Изд-е 2-е. М. 1917 ციტირებულია М.

Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 97

²⁰⁷ А. Х. Гольмстен. Учебник русского гоажданского судопроизводства. С-Пб; 1913г

ციტირებულია М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 100

საფრანგეთის სამოქალაქო პროცესუალური სამართალი მტკიცებითი საქმიანობას განსაზღვრავს როგორც პროცესუალურ საქმიანობას, რომლის მიზანია ჭეშმარიტი ცოდნის მიღება სასამართლო შემეცნების ობიექტის თაობაზე.²⁰⁸

შესაბამისად, სასამართლო ჭეშმარიტება (იხ. § 4.1.) დამოკიდებულია იმ ფაქტების დადგენაზე, რომლებიც შეადგენს მტკიცების საგანს და რომლებთანაც კონკრეტული სამართლის ნორმა უკავშირებს კონკრეტულ იურიდიულ შედეგს.²⁰⁹

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად ყველა მხარის ვალდებულებაა კანონის (conformément à la loi) შესაბამისად დაადასტუროს თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ფაქტები (les fait nécessaire au succès de sa prétention).²¹⁰

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ საფრანგეთის მოსამართლის მიერ უცხო ქვეყნის კანონის გამოყენების შემთხვევებზე. ამასთან ერთად მეტად საინტერესოა საფრანგეთის მოსამართლის მიერ უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენების დროს მტკიცებითი საქმიანობის ინსტიტუტი.

კერძოდ, თუ საფრანგეთის მოსამართლე იყენებს ქვეყნის სასამართლო კანონით განსაზღვრულ მტკიცებულებათა საშუალებებს ისე, რომ ამით მხარეებს არ ადგება ზიანი, ის ამავდროულად იყენებს იმ ადგილის მტკიცებით წესებს სადაც უნდა აღსრულდეს მოქმედება.²¹¹

თუ ფაქტობრივი გარემოებების გასაჩივრება საკასაციო სასამართლოში პირდაპირ არასდროს არ ხდება, სანაცვლოდ ამისა, ზოგჯერ მოწმდება საქმის არსებითი მხარის განმხილველი სასამართლოების მიერ ზედმიწევნით განსაზღვრული ფაქტები, რაც შეიძლება გამოყენებული იყოს საკასაციო სასამართლოში მაშინ, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს კვალიფიკაციას. ეს არის ძირითადი საკითხი, რომლის პირველ რიგში განხილვა მართებული იქნება.²¹² აქ გარკვეული როლი ენიჭება მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრას.

შესაბამისად მტკიცების საგანში შედის როგორც საქმისათვის განკუთვნილი და სადავო ფაქტები, ასევე დადებითი და უარყოფითი ფაქტები. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თანახმად, მტკიცების საგანში არ შედის პრეუდიციული და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები, ასევე უდავო ფაქტები²¹³.

²⁰⁸ А. Г. Давтян. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2009г., стр., 128

²⁰⁹ იხ. იქვე, გვ 128

²¹⁰ Code de procédure civile, art. 9

²¹¹ Cass, 1^{er} civ., 5 janv. 1999 : Bull. n°4

²¹² Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 90

²¹³ А. Г. Давтян. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2009г., стр., 128

ამ მხრივ გასათვალისწინებელია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის დანაწესი²¹⁴, რომლის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან ფაქტებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები.²¹⁵

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით მტკიცების საგანში (der Gegenstand des Beweises) შეიძლება შედიოდეს ფაქტები; დებულებები, რომლებიც მიღებულია ცხოვრებისეული გამოცდილებით (die Erfahrungssätze); და უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები (die Rechtsätze ausländischen Recht).²¹⁶ ამ შემთხვევაში გერმანული სამოქალაქო პროცესუალური დანაწესების მიხედვით, როდესაც ხდება უცხო ქვეყნის ნორმების გამოყენება, მხარემ, რომელიც იყენებს ამ ნორმებს, უნდა დაადასტუროს მათი გამოყენების მიზანშეწონილობა.

მტკიცებას მოითხოვს მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზეც უთითებს ერთი მხარე და ამის საწინააღმდეგოდ ედავება მეორე, მაგრამ არა - სამართლებრივი საკითხები. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მტკიცებას საჭიროებს ის ფაქტები, რომლებსაც გადამწვევტი მნიშვნელობა ენიჭება საქმის გადაწყვეტისათვის. ამდენად, გერმანიის მტკიცებულებითი სამართლის მიხედვით, ფაქტებს წარმოადგენენ ისინი, რაც განეკუთვნება გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობას და შეადგენს სასამართლო სილოგიზმის საფუძველს.²¹⁷

ამასთან ერთად გერმანიის მტკიცებულებითი სამართალი განასხვავებს შინაგან და გარეგან ფაქტებს. შინაგან ფაქტებს წარმოადგენს გაცნობიერებული განზრახვა, გარკვეული გარემოებების ცოდნა. შინაგანი ფაქტები გარეგანი ფაქტებისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ შინაგანი ფაქტები ხელმიუწვდომელია და შეიძლება დადგინდეს გარეგანი ფაქტების მეშვეობით.²¹⁸

მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების კლასიფიკაციისათვის მიღებულია მათი დაყოფა დადებით და უარყოფით ფაქტებად, იმისდა მიხედვით, ხდომილებას თუ მოქმედებას ჰქონდა სინამდვილეში ადგილი.²¹⁹ აქვე აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამართალწარმოებაში მტკიცებას არ ექვემდებარება ერთ-ერთი მხარის მიერ აღიარებული ფაქტები, უდავო ფაქტები, რომლებიც გათანაბრებული არიან ერთ-ერთი მხარის მიერ აღიარებულ ფაქტებთან, ასევე სასამართლოსათვის ცნობილი ფაქტები (საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, პრეუდიციული ფაქტები), და ბოლოს კანონიერი პრეზუმფციები.²²⁰

მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელი ფაქტებისაგან შედგება მტკიცების საგანი.

²¹⁴ Code de procédure civile, art. 6

²¹⁵ la charge d'alléguer les faits propres – თავიანთი ფაქტების მითითების ტვირთი

²¹⁶ А. Г. Давтян. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2009г., стр., 62

²¹⁷ იხ. იქვე, გვ. 62

²¹⁸ იხ. იქვე, გვ. 63

²¹⁹ იხ. იქვე, გვ. 63

²²⁰ იხ. იქვე, გვ. 62

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ ფაქტების დადგენას.

პირველ რიგში ეს არის ფაქტები, რომელთა საფუძველზე სასამართლო ადგენს გარემოებებს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნისა თუ შესაგებლის საფუძველიანობის არსებობა – არარსებობის შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში - სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭება საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის.²²¹

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ზოგადი მონახაზის მიხედვით მტკიცებას საჭიროებს სასამართლო სამართალწარმოებით მტკიცებას დაქვემდებარებული ყველა ის ფაქტი, რომელზეც დაობენ მხარეები და რომლის დადგენაზეც დამოკიდებულია საქმის ბედი.

მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ მეცნიერებაში მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ მიმდინარეობს დავა, კერძოდ, შედის თუ არა მტკიცების საგანში ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები.

აქედან გამომდინარე, მტკიცების საგანს განიხილავენ ვიწრო და ფართო გაგებით.²²² ვიწრო გაგების მომხრეები (მ. ტრეუშნიკოვი) უთითებენ იმაზე, რომ მტკიცების საგანს განეკუთვნება მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებების ერთიანობა, რომლის მეშვეობით დგინდება მხარეთა მოთხოვნებისა და შესაგებლების საფუძველები. მტკიცების საგნის ფართო გაგების მომხრეები (ფ. ფატკულინი, ა. კოვალენკო, ი. რეშეტიკოვა) კი აღნიშნავენ, რომ მტკიცების საგანში შედიან ყველა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭება სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.²²³

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მტკიცების საგანი მოიცავს ფაქტობრივ გარემოებათა ერთიანობას, რაც განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა, სარჩელისა და შესაგებლის საფუძველად მითითებული იურიდიული ფაქტებით და, აქედან გამომდინარე, მტკიცების საგანი "ორიენტირებულია" მატერიალურ-სამართლებრივ ნორმაზე.²²⁴ შესაბამისად, მტკიცების საგანი განისაზღვრება სასარჩელო განცხადებისა და შესაგებლის შინაარსით.

შ. ქურდაძე აღნიშნავს, რომ მტკიცების საგანი სამოქალაქო პროცესში არის მხოლოდ სარჩელის საფუძველისა და შესაგებლის იურიდიული ფაქტები, რომლებზეც მიუთითებს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა,

²²¹ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 40-41

²²² ასევე იხ. http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html

²²³ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 42/Ф. Н. Фоткулин. Общие проблемы процессуального доказывания.–

стр.,54. შეად. http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html

²²⁴ http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html

ეი მტკიცების საგანია მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები.²²⁵ ანალოგიურად ზემოაღნიშნულისა, მ. ტრეუშნიკოვი განმარტავს, რომ მტკიცების საგანი არის მნიშვნელოვანი პროცესუალური ინსტიტუტი, რომელშიც შედიან ის ფაქტები, რომლებსაც გააჩნიათ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და რომლის გარკვევის გარეშეც შეუძლებელია საქმის არსებითად განხილვა.²²⁶ ამასთან მიმართებით მ. ტრეუშნიკოვი გამოყოფს მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ-სამართლებრივ ფაქტებს ოთხ ჯგუფად: კერძოდ, მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის იურიდიული ფაქტები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა და საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის; მტკიცებულებითი ფაქტები, რომლითაც ხდება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ფაქტების დამტკიცება²²⁷; ფაქტები, რომლებსაც გააჩნია მხოლოდ პროცესუალური მნიშვნელობა (მაგალითად, სარჩელის წარდგენა, საქმის წარმოების შეჩერება და ა.შ.); ფაქტები, რომელთა დადგენა აუცილებელია სასამართლოსათვის აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი ამოცანების განსახორციელებლად (ამ უკანასკნელი ფაქტების დადგენა უკავშირდება კერძო განჩინების ინსტიტუტს, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს).²²⁸

აქედან გამომდინარე, მტკიცების საგანში მას შეყავს პირველი ჯგუფის ფაქტები, ხოლო დანარჩენ ფაქტებს იგი განიხილავს, როგორც მტკიცების საგნის ფარგლების განმსაზღვრელ ფაქტებს, რომლებიც ასევე უნდა იქნეს დადასტურებული, მაგრამ გავლენას არ ახდენს საქმის არსებითად გადაწყვეტაზე.²²⁹ თ. ლილუაშვილი მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმებად მიიჩნევს სარჩელის საგანს (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელს და მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას.²³⁰

ი. რეშეტნიკოვას მიაჩნია, რომ ყველა ის ფაქტი, რომლებიც შეადგენს მტკიცების საგანს, შეიძლება შეჯამდეს როგორც ძირითადი მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები და დამხმარე (ანუ მტკიცებულებითი) ფაქტები.²³¹

ამრიგად, მტკიცების საგნის ვიწრო და ფართო გაგების მომხრეები თავიანთი პოზიციების დასასაბუთებლად ხელმძღვანელობენ ძირითადად ისეთი მიდგომებით, რომელთა თანახმად ვიწრო გაგების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები შედიან მტკიცების საგანში, ხოლო მეორე მოსაზრების მქონე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მატერიალურ-

²²⁵ შ. ქურდაძე. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ., 374

²²⁶ М. К. Треушников. Доказательства и доказывание в советском гражданском процессе. М. стр. 35

²²⁷ ასევე იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 52

²²⁸ М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 18-19. შეად. თ. ლილუაშვილი/ სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005. გვ. 211

²²⁹ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 41

²³⁰ თ. ლილუაშვილი/ სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005. გვ. 215

²³¹ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 56

სამართლებრივი ფაქტების გარდა მტკიცების საგანში შედის ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცების საგნის განსაზღვრის მითითებულ მიდგომებს გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული შეხედულებები შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი თუ პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტების მნიშვნელობის დადასტურებით, რაც, როგორც ჩვენ მიგვაჩნია ვერ მოგვცემს დასაბუთებულ პასუხს მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის.

როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ზემოაღნიშნული მოსაზრებების სიმრავლე გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ძირითადად ყურადღება გამახვილებულია საქმის განხილვისათვის აუცილებელ ფაქტებზე, რომელთა აუცილებლობას ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს საქმის წარმოება, ხოლო მეორე შემთხვევაში - გადასაწყვეტი შედეგი. რა თქმა უნდა, ამ ფაქტების მნიშვნელობას ჩვენ ეჭვის ქვეშ არ ვაყენებთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ მნიშვნელობა გააჩნია არსებითი ფაქტების შესახებ კრიტერიუმების განსაზღვრის ათვლითი წერტილის სწორად არჩევას. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რასთან მიმართებით განვსაზღვრავთ ფაქტების მნიშვნელობას - საქმის წარმოებასთან მიმართებით ზოგადად, თუ უშუალოდ შედეგთან მიმართებით.

მტკიცების საგანს წარმოადგენს იმ სადავო ფაქტების წრე, რომლითაც მიიღწევა მხარეთა მიერ დასახული, მათთვის სასურველი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი.

ამდენად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების განსაზღვრის მთავარ ორიენტირს წარმოადგენს კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, რომლის გარკვევა-დასაბუთებას ემსახურება მთელი სამართალწარმოება. ამდენად, ჩვენი თვალთახედვით, მტკიცების საგანში შედის ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი შედეგის უშუალო გამომწვევ მიზეზს. ზუსტად ამ შედეგის იძულებითი წესის რეალიზაციას ემსახურება სასამართლო საქმისწარმოება.

მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საკითხის განხილვისას არის ის, რომ მტკიცების საგანი ზემოაღნიშნულ მეცნიერულ კვლევებში განხილულია სასამართლო ინსტანციურობის დამახასიათებელი სამართლებრივი ნიშნების მიღმა, ძირითადად იმ სტადიაზე, როდესაც მტკიცების საგანი იწყებს ფორმირებას. შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებთან დაკავშირებული დავა ეხება იმ პროცესუალურ-სამართლებრივ და მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი აქვთ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას.

ამ სტადიაზე, მაგალითად, როდესაც იხილება მესაკუთრის სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის

საფუძველზე (ვინდიკაციური სარჩელი), რთულია წარმოვიდგინოთ მტკიცების საგანში პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტების შეყვანა.

მაგრამ სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე, როდესაც გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. აპელანტს შეუძლია მოითხოვოს გადაწყვეტილების შემოწმება ფაქტობრივ და სამართლებრივ, ან მხოლოდ სამართლებრივ ფარგლებში, შესაბამისად, კასატორს შეუძლია მოითხოვოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი მხარის შემოწმება (იხ. § 1.2.). ამდენად, მათ კანონი აძლევს შესაძლებლობას ყურადღება გაამახვილონ დაშვებულ პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარში (საკასაციო საჩივარში) მათ უნდა მიუთითონ და დაადასტურონ მტკიცებულებებით ის პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები, რომლებიც დგინდება გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ დაშვებული პროცესუალური დარღვევები. ერთ შემთხვევაში ეს პროცესუალური დარღვევები წარმოადგენს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს²³², ხოლო მეორე შემთხვევაში საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.²³³

აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში მტკიცების საგანში შეიძლება შევიდეს ის პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ სასამართლოს მიერ დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებზე, რომელთა არსებობა უშუალო გავლენას ახდენს იურიდიულ შედეგზე.

ამდენად, იკვეთება მტკიცების საგნის მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში.

ზუსტად რომ ითქვას: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაპირდაპირ, მაგრამ მიგვითითებს, რომ საკასაციო სასამართლოში მხარეები შეიძლება დაობდნენ ან მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ან როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ ფაქტებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ნიშნით განკუთვნიადობის მიხედვით, მტკიცების საგანში შედის მხარეთა მიერ მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭება საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში ასევე შეიძლება მტკიცების საგანში შედიოდეს ის პროცესუალურ-

²³² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი

²³³ იხ. იქვე, 393-ე მუხლის მე-3 პუნქტი. შევად. გერმანულს

სამართლებრივი ფაქტები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში ფაქტებს, რომლებიც მითითებულია პროცესუალურ-სამართლის ნორმებში, განსაზღვრავენ როგორც ლოკალური მტკიცების საგანს²³⁴, რასაც ასხვავებენ ზოგადად მტკიცების საგნისაგან. განსხვავებას ამ მოსაზრების მიმდევრები ხედავენ იმაში, რომ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები მითითებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში, იშვიათად - პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებში, ხოლო ლოკალური მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები - მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებში.

ზემოაღნიშნულ და ჩვენს მოსაზრებას საერთო აქვთ ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას სააპელაციო ან საკასაციო წესით, ისიც ითვალისწინებს მტკიცების საგანში პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტების შეყვანას. მაგრამ ამ შემთხვევაში მას უწოდებენ ლოკალური მტკიცების საგანს.

განსხვავება იმაშია, რომ ე.წ. ლოკალური მტკიცების საგანში ასევე შედის ის პროცესუალური ხასიოთის ფაქტები, რომლებსაც ადგილი აქვს ცალკეული პროცესუალური მოქმედებების განხორციელებისას, მაგალითად, მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას და ა.შ.

ჩვენ ვთვლით, რომ მტკიცების საგნის პარალელურად ლოკალური მტკიცების საგნის განსაზღვრას არ გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა. რაც უნდა ვუწოდოთ მტკიცების საგანს, ცხადია ერთი, რომ მტკიცების საგანს შეადგენს მხარეთა მიერ მითითებული და სასამართლოს მიერ ფორმირებული, მხარეთა შორის არსებული სადავო ფაქტები, რომელთა დადასტურებასაც მოჰყვება საბოლოო მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, ან ისინი უშუალო გავლენას ახდენენ ამ შედეგზე.

აღნიშნული დასკენიდან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება მტკიცების საგნის ფორმირებას. ეს პრობლემატიკა უშუალო კავშირშია მტკიცების ტვირთის ინსტიტუტთან, რაზედაც ჩვენ ყურადღებას მოგვიანებით გავამახვილებთ.

რა თქმა უნდა, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების მითითება მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა. ზუსტად ამის განმსაზღვრელია შეჯიბრებითობის პრინციპი²³⁵, რომლის თანახმად მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რა ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მოთხოვნასა თუ შესაგებელს, რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ან გაქარწყლდეს ეს ფაქტები.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელის ან მოპასუხის მიერ დასახელებული ყველა ფაქტი ავტომატურად შედის მტკიცების საგანში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცების საგანში შედის გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებსაც მოჰყვება

²³⁴ დაწვრილ იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 61-64.

²³⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.

სარჩელში ან შესაგებელში მითითებული იურიდიული შედეგი. ამდენად, აუცილებელია ამ ფაქტების იურიდიული მნიშვნელობის დადგენა (იხ. § 3.2.), რაც სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს. ამ ფაქტების იურიდიული მნიშვნელობა დგინდება შესაბამისი სამართლის ნორმის საფუძველზე, რომლის მითითების ტვირთი არ წარმოადგენს მხარეთა ვალდებულებას. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ბოლო ცვლილებების²³⁶ გათვალისწინებით, როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს ევალება სამართლებრივი ნორმის მითითება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობას არ მოჰყვება რაიმე სანქცია მოსარჩელის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული დანაწესის შემოღება, უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო მოსამართლის საქმიანობის გაადვილების მიზნით არის შემოღებული. სსსკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის მიერ სარჩელში სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობას არ მოჰყვება ხარვეზის დადგენა და, შესაბამისად, მისი შეუვსებლობის გამო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა (სსსკ-ის 186-ე მუხლი). ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული დანაწესი ატარებს ფაკულტატიურ ხასიათს.²³⁷

სასამართლო თვითონ განსაზღვრავს ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ საფუძველს.

საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების წრის სწორად განსაზღვრა გავლენას ახდენს მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესის სწორი მიმართულების მიცემაზე.²³⁸ (იხ. § 4.3.3.)

აღნიშნული პრობლემატიკის სწორად გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების შემოწმებისას. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისას საკასაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად სწორად იქნა შეყვანილი ეს ფაქტები მტკიცების საგანში, აქედან გამომდინარე, რა მტკიცებულებები მიიჩნია შემსებლობისა და განკუთვნილობის კუთხით და, შესაბამისად, გამომდინარეობს თუ არა ამ ფაქტებიდან შესაბამისი იურიდიული შედეგი.

ყოველივე ეს საკასაციო სასამართლოს მოსამართლეს ეხმარება შეამოწმოს კვალიფიკაციის საკითხები. საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმებისას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა ინტერპრეტატორმა ის კრიტერიუმები, რომლებიც უზენაეს სასამართლოს საშუალებას აძლევს

²³⁶ საქართველოს კანონი 28.12.07 №5669.

²³⁷ შეად. ს. ჩაჩავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 49-50.

²³⁸ შ. ქურდაძე. საქმოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ., 374. შეად. http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html/ ასევე იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 60-61.

დაადასტუროს, ან შეუთავსებლად მიიჩნიოს ამგვარი კვალიფიკაცია.²³⁹ ამის გასაკეთებლად ინტერპრეტატორს დასჭირდება გამოავლინოს გარემოებები, რომლებიც კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის არის მიჩნეული, განზოგადების მეტ-ნაკლებად დიდ შესაძლებლობასთან ერთად. ამ თვალსაზრისით, კვალიფიკაციის შემოწმება წარმოადგენს სამართლებრივი ნორმის შემუშავების განმსაზღვრელ ელემენტს; ის მართლაც ხელს უწყობს ამ ნორმის წინასწარი ვარაუდის განსაზღვრის სრულყოფას.²⁴⁰

აღნიშნულის გათვალისწინებით, მტკიცების საგნის განსაზღვრის კუთხით იკვეთება ორი საკითხი: ფაქტები ან ფაქტობრივი შეხედულებები²⁴¹ უნდა მიუთითონ მხარეებმა (მოსარჩელემ და მოპასუხემ), ხოლო რამდენად შეიძლება ეს ფაქტები წარმოადგენდეს მტკიცების საგანს, განსაზღვრავს სასამართლო.

ამასთან მიმართებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად, მტკიცების საგანში შეიძლება აგრეთვე მოვიანოთ იურიდიული მნიშვნელობის ისეთი ფაქტები, რომლებიც მხარეებს არა აქვთ მითითებული.²⁴² ამდენად, მტკიცების საგანი, მითითებული მოსაზრების თანახმად, განისაზღვრება სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი სამართლის ნორმის საფუძველზე.²⁴³ მაგალითად, მ. ტრეუშნიკოვი აღნიშნავს, რომ თავდაპირველ ეტაპზე სამართლებრივი ნორმა განისაზღვრება მხარეთა მითითებებით. მხარეთა განმარტების საფუძველზე განისაზღვრება სასამართლოში დასამტკიცებელი ფაქტობრივი მასალის მოცულობა. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ მხარეებს არ აკისრიათ სამართლებრივი დასაბუთების ვალდებულება. აქედან გამომდინარე, იგი დასძენს, რომ მხარეთა ურთიერთობის კვალიფიკაცია სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს. ამდენად მხარეები ყოველთვის ზუსტად ვერ უთითებენ სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებზე.²⁴⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ზემოაღნიშნული მოსაზრება უკავშირდება მოსამართლის უფლებამოსილებას, გამოიყენოს და განმარტოს სამართლის ნორმა. კერძოდ, რადგან მტკიცების საგანში შედის მხოლოდ იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტები, ანუ ფაქტები, რომელთა ნორმატიული აღწერა მოცემულია სამართლის ნორმაში, რომლის გამოყენების უფლებამოსილება გააჩნია მოსამართლეს, და რადგან მხარეები ამ

²³⁹ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 97.

²⁴⁰ J. Boré, article précité dans le volume jubilaire p. 217 e J. Héron et Th. Le Bars, Droit judiciaire privé, Montchrestien, 2002, n° 803, selon lequel le refus de contrôler les qualifications est une « anomalie »././ Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 97.

²⁴¹ А. Х. Гольмстен. Учебник русского гражданского судопроизводства. С-Пб; 1913г. (ციტირებულია М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 102.

²⁴² ასევე იხ. М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 21.

²⁴³ იხ. იქვე, გვ. 21/ ასევე იხ. С. В. Курылев. Основы теории доказывания в советском правосудии. Минск, 1976. стр. 39.

²⁴⁴ М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 21.

ნორმის მითითების ვალდებულებისაგან თავისუფალნი არიან, უნდა ვიფიქროთ, რომ მტკიცების საგანში შეიძლება ვიგულისხმოთ ასევე ის ფაქტები, რომლებიც გათვალისწინებულია გამოსაყენებელი სამართლის ნორმით და რომელზეც მხარეები არ უთითებენ.

მიგვაჩნია, რომ ამ მოსაზრების არსებობა უფრო გამართლებული იქნებოდა ინკვიზიციური პრინციპით აღჭურვილი პროცესის პირობებში. მაგალითად, შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედებს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც თავისი ვალდებულების ძალით იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად, უფრო მეტიც: საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.²⁴⁵ ამდენად, გარდა ყოველი პირის საჯარო-სამართლებრივი უფლებების დაცვისა, ადმინისტრაციული პროცესი აწესებს ასევე, ობიექტურ კონტროლს²⁴⁶ ადმინისტრაციული საქმიანობის კანონშესაბამისობაზე. ინკვიზიციურობის პრინციპის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით თვითონ იზრუნოს ადმინისტრაციული დავის განსახილველად საჭირო მტკიცებულებათა მოპოვებაზე. აქედან გამომდინარე, ინკვიზიციურობის პრინციპი მოქმედებს მაშინ, როცა კონკრეტულ საქმესთან მიმართებით წარმოჩენილია სპეციფიკური საჯარო ინტერესი.²⁴⁷

ამდენად, მტკიცების საგანში ისეთი ფაქტების შეყვანა, რომელზეც მხარეები არ უთითებენ, ეს არის ფაქტის და არა სამართლის საკითხი. აღნიშნული წესით მტკიცების საგნის განსაზღვრა ეწინააღმდეგება სამოქალაქო პროცესისათვის დამახასიათებელ შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმად, მხარეებმა უნდა მიუთითონ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მოთხოვნასა და შესაგებელს.²⁴⁸

სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც სასამართლო არასწორად განსაზღვრავდა მტკიცების საგანს, შესაბამისად, იღებდა და იკვლევდა იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც განსახილველ საქმისათვის არ გააჩნდა მნიშვნელობა.

ზუსტად აღნიშნული შემთხვევები ბადებს კითხვას: როგორ უნდა მოიქცეს საკასაციო სასამართლო, როდესაც სააპელაციო სასამართლოს არასწორად აქვს ფორმირებული, ანუ განსაზღვრული მტკიცების საგანი და, შესაბამისად, აგროვებს, იკვლევს და აფასებს იმ მტკიცებულებებს,

²⁴⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2005. გვ 29

²⁴⁶ მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბ. 2008, გვ. 25

²⁴⁷ მით. ნაშრომი, გვ. 25-26

²⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.

რომელთაც არა აქვს მნიშვნელობა საქმის გადაწყვეტისათვის, ხოლო ამ დარღვევებზე კასატორი არ უთითებს.

როგორც უკვე აღინიშნა, მტკიცების საგანს, ანუ იმას, თუ რა ფაქტებს გააჩნია მნიშვნელობა საქმის გადაწყვეტისათვის, განსაზღვრავს მოსამართლე. ეს არის მისი ვალდებულება, რომელსაც იგი ახორციელებს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმის საფუძველზე. მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრაზე დამოკიდებულია მთელი მტკიცებითი საქმიანობა.

შესაბამისად, მტკიცების საგნის არასწორად განსაზღვრა შეიძლება უკავშირდებოდეს სამართლის ნორმის არასწორად გამოყენებას ან განმარტებას. საკასაციო სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არ არის შეზღუდული მხარეთა პრეტენზიებით სამართლებრივი საკითხების შემოწმებაში, შესაბამისად, თუ იგი მივა იმ დასკვნამდე, რომ დარღვეულია სამართლის ნორმა, რამაც გამოიწვია მტკიცების საგნის არასწორად ფორმირება, რომლის შედეგად გამოტანილ იქნა უკანონო გადაწყვეტილება, მან უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და შესაბამისი მითითებებით დააბრუნოს საქმე სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის (იხ. § 5.3., § 5.5.).

ამის მიზეზი შეიძლება იყოს იმ სამართლის ნორმის გამოყენება, რომელიც არ უნდა გამოყენებინა სასამართლოს, იმ ნორმის არგამოყენება, რომელიც უნდა გამოყენებინა სასამართლოს, ან სამართლის ნორმის არასწორი განმარტება.²⁴⁹

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცების საგანში შევიყვანთ ყველა ფაქტობრივ გარემოებას, რომელთა დადგენისა და გამოკვლევის აუცილებლობაც წარმოიშობა საქმეთა განხილვის დროს, მაშინ მტკიცების საგნის წინასწარ განსაზღვრა იქნება შეუძლებელი, რადგან შეუძლებელია საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს წარმოშობილი ყველა მტკიცებულებითი ფაქტის დადასტურების ან პროცესუალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტის დადასტურების აუცილებლობა წინასწარ იქნეს დანახული.²⁵⁰

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ მტკიცების საგანი, რამდენად სწორად მიიჩნია მასში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები, უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლომ აბსტრაქტულად უნდა განსაზღვროს მის მიერ განსახილველი საქმისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნული პროცესი უკავშირდება ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის მოძიებას და განმარტებას, რომლის თაობაზეც ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება.

²⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი

²⁵⁰ დაწვრ. იხ. თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005. გვ 212. ასევე შეად. Т. Лилуашвили. Предмет и бремя доказывания в советском гражданском процессе. Тб., 1957. стр., 7-8

მაგრამ მტკიცების საგანში ე.წ. შეფასებითი ხასიათის ფაქტების არსებობა ართულებს ამ ფაქტის განსაზღვრას მტკიცების საგანში. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც საკასაციო სასამართლოს უხდება შეფასებითი ფაქტების მნიშვნელობის შემოწმება. ამასთან ერთად შეფასებითი დებულების უსაზღვრო, უზომო თვისება ართულებს სამართლის ნორმის პრაქტიკაში გამოყენებას.²⁵¹ მაგალითად, კეთილსინდისიერების, სამართლიანობის, განსაკუთრებული გულისხმიერების, ან ასევე მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების, მორალური ზიანის ანაზღაურება, ასევე ბავშვის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები. შეფასებითი ნორმები, ან როგორც ამ ნორმებს მოიხსენიებდნენ “სიტუაციურ” ნორმებად²⁵² მოითხოვენ განმარტებას, რადგან მოსამართლემ უნდა ამოიკითხოს ფაქტობრივი შემადგენლობის ნიშნები, რაც უკავშირდება მათ ანალიზს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა “ა”-მ მოპასუხეების – “ბ”-სა და “გ”-ს მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით. მან მიუთითა, რომ 2005 წლის 13 ნოემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება “ბ”-სთან. მეუღლეებმა ქორწინების განმავლობაში შეიძინეს საცხოვრებელი ბინა, რომელიც “ა”-ს სიტყვიერი თანხმობით დარეგისტრირდა “ბ”-ს სახელზე. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე 2008 წლის 15 მაისს თვალთმაქცურად გაურიგდა “გ”-ს და გააფორმა ხელშეკრულება, თითქოს ბინა მიჰყიდა მას.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ “ბ”-სა და “გ”-ს შორის დადებული ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხოლოდ მოსარჩელის გზიდან ჩამოშორებას. მოსარჩელის განმარტებით, კიდევაც რომ ვერ დადასტურდეს ხელშეკრულების თვალთმაქცურად დადების ფაქტი, ნასყიდობის ხელშეკრულება მაინც ბათილად მისაჩნევია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ “გ” არის არაკეთილსინდისიერი მყიდველი. აღნიშნულის საფუძველზე მოსარჩელემ მოითხოვა 2008 წლის 15 მაისის თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობა, ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში ისევ “ბ”-ს დარეგისტრირება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა “ა”-მ. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის განჩინება, რაც “ა”-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ მოჩვენებით დაიდო “ბ”-სა და “გ”-ს შორის გარიგება, თუ - არა, ასევე წარმოადგენს თუ არა “გ” კეთილსინდისიერ შემძენს.

²⁵¹ Н. А. Власенко. Проблемы точности выражения формы права (лингво-логический анализ): Автореф. дис. . . . д-ра юрид. наук. Екатеринбург, 1997, стр., 8, 57-58

²⁵² М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 22/ К. И. Камисаров. Судебное усмотрение в советском гражданском процессе//Советское государство и право. 1969. №4 стр. 49//М. Гурич Судебное решение. Теоретические проблемы. М., 1976. стр. 103

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: “მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებითი ნების გამომვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამომვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამომვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამომვლენას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ “გ”-სა და “ბ”-ს ნაცნობობის და ამ უკანასკნელის დედისა და “გ”-ს მეზობლობის ფაქტი მიუთითებს სადავო გარიგების ბათილობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი, მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამდენად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამომვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეიღახა მისი უფლება. კონკრეტულ შემთხვევაში “ა” ვერ უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელ ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც დადასტურდებოდა “ბ”-სა და “გ”-ს უკანონო „ურთიერთშეთანხმება“, მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ “ბ”-სა და “გ”-ს საერთო ინტერესებზე და რომლებიც გამორიცხავენ იმ განზრახვას, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ამრიგად, მოჩვენებითი გარიგების დადების გამომრიცხავი გარემოებები კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხავენ კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად არ იყო გადახდილი ბინის საფასური. ის

ფაქტი, რომ ნოტარიუსის თანდასწრებით არ იყო გადახდილი ბინის ღირებულება, არ შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ბინის ღირებულება საერთოდ არ იყო გადახდილი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მოხვედრითი გარიგების დადების ფაქტს, ადასტურებენ ამ გარიგების ნამდვილობას და, აქედან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებას ბინის საფასურის გადახდის შესახებ.”²⁵³

ამდენად, განსახილველ საქმეში ადგილი ჰქონდა შეფასებითი ხასიათის ფაქტებს. ფაქტობრივად საკასაციო სასამართლო ამოწმებდა, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა (ფორმირებული) მტკიცების საგანი სააპელაციო სასამართლომ. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ კასატორი აყენებდა ალტერნატიულ პრეტენზიებს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ გარიგება არ იყო თვალთმაქცური, მაშინ შემძენი “გ” იყო არაკეთილსინდისიერი მყიდველი, რადგან ის იყო “ბ”-ს დედის კარის მეზობელი და მან იცოდა, რომ “ბ”-ს ჰყავდა მეუღლე, რომელიც იყო სადავო ბინის თანამესაკუთრე (“ა”).

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: “აღნიშნული კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის ამოქმედების მნიშვნელობა განპირობებულია შემძენის სუბიექტური მომენტის არსებობით, კონკრეტულ შემთხვევაში, იცოდა თუ არა “გ”-მ, რომ “ბ” იყო სადავო ბინის მესაკუთრე და ჰქონდა თუ არა მას ამ ქონების გასხვისების უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის გათვალისწინებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს განსახილველი ურთიერთობის თავისებურებაზე, კერძოდ, როგორც ეს ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან, რაც მხარეთა შორის დავას არ იწვევს, სადავო ქონება შეძენილია “ა”-სა და “ბ”-ს ქორწინების პერიოდში, მაგრამ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საკუთრების უფლებით “ბ” სახელზე. უკვე აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, სადავო ბინა მეუღლეთა საერთო ქონებაა და ამ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით (ამავე კოდექსის 1159-ე მუხლი და 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, განსახილველი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ვიხილავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტს, მისი ე.წ. „სუბიექტური“ ფაქტორის მნიშვნელობის განსაზღვრა განპირობებულია ზემოაღნიშნული ნორმებით. ამ შემთხვევაში შემძენის არაკეთილსინდისიერად ცნობისათვის არ არის საკმარისი შემძენის მიერ მხოლოდ იმის ცოდნა,

²⁵³ სუსგ №ას-571-879-09 30 აპრილი 2010 წელი

რომ ერთ-ერთის სახელზე რეგისტრირებული ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. შემძენის არაკეთილსინდისიერებისათვის სხვა გარემოებებთან ერთად უნდა არსებობდეს ფაქტები, რომლებითაც დგინდება, რომ **შემძენმა იცოდა, რომ ერთ-ერთი მეუღლე იყო მეუღლეთა საერთო ქონების გასხვისების წინააღმდეგი, ხოლო მეორე მეუღლე მოქმედებდა მის ფარულად**, რაც არ დასტურდება კასატორის მიერ, ხოლო, ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს “ბ”-ს არაკეთილსინდისიერებაზე (მაგალითად, სადავო ქონების განკარგვის შემდეგ რამდენიმე დღეში განქორწინების მოთხოვნით სარჩელის აღძვრა, “ა”-ს სხვა საცხოვრებელი ადგილის არარსებობა და ა.შ), არ შეიძლება ეჭვის ქვეშ აყენებდეს “გ”-ს კეთილსინდისიერებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმება გარიგებას. აღნიშნული დანაწესი გარკვეულწილად იცავს შემძენის ინტერესს. ამ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე განკარგავს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეუღლეები მოქმედებენ **ურთიერთშეთანხმებით** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლი და 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთმითითებული ნორმების კონტექსტში კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის განსაზღვრისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია **მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების პრინციპს**, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მაგრამ ამ პროცესუალური დანაწესის განმარტების სამართლებრივი წინაპირობები მოცემულია ჩვენ მიერ განხილულ მატერიალურ-სამართლებრივი შემადგენლობით. “გ” არ არის “ბ”-ს არც ნათესავი და არც ოჯახის წევრი, რა დროსაც უფრო დიდი ალბათობა იარსებებდა, რომ “გ”-მ იცოდა სადავო ქონების გასხვისებაზე “ა”-ს დამოკიდებულებისა და “ბ”-ს განზრახვის შესახებ, რომლის გაქარწყლების ტვირთი დაეკისრებოდა “გ”-ს. ამდენად, მათი ნაცნობობა და მეზობლობა არ შეიძლება იმავდროულად მიუთითებდეს “გ”-სათვის “ბ”-ს ოჯახში არსებულ მდგომარეობის ცოდნაზე, “გ”-ს არაკეთილსინდისიერებაზე, ანდა ფიქტიური გარიგების დადების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, რომლის დადასტურების ტვირთი აკისრია “ა”-ს.”²⁵⁴

შეფასებითი ფაქტების განსაზღვრისათვის სასამართლო პრაქტიკიდან მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს:

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე “ა”-ს დასაბუთება იმის შესახებ, რომ მას ფაქტობრივი ფლობით

²⁵⁴ სუსგ №ას-571-879-09 30 აპრილი 2010 წელი

მიღებული ჰქონდა სამკვიდრო. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის 26 დეკემბერი) 556-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში დავას იწვევს “ა”-ს მიერ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი. სამკვიდროს ფლობაში ან მართვაში იგულისხმება მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მიღების სურვილზე, რომლითაც ვლინდება მისი ნება, გახდეს სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. კონკლუდენტური მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მემკვიდრემ ფაქტობრივად უკვე დაიწყო თავისი უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვაოთ სამკვიდროს ფლობა და მართვა ერთმანეთისაგან.....საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული გადასახადების გადახდა შეიძლება მიუთითებდეს იმ კონკლუდენტურ მოქმედებებზე, რომლებიც ადასტურებენ სამკვიდრო ქონების მართვასთან დაკავშირებული ნების განხორციელებას. ამ ფაქტორს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც არ არსებობს ფაქტობრივი ფლობის (მაგალითად, მემკვიდრე ცხოვრობდა მამკვიდრებლის სახლში და განაგრძობს იქ ცხოვრებას სამკვიდროს გახსნის შემდეგ) ფაქტი. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის მანძილზე და რომლითაც დასტურდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება, საკმარისია, რომ სამკვიდრო ჩაითვალოს მიღებულად. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის 26 დეკემბერი) 556-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, ისეთ კონკლუდენტურ მოქმედებებს, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მართვაზე, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს იმ შემთხვევებში, როდესაც მემკვიდრე, მართალია, არ ფლობს მამკვიდრებლის ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებიდან (იხდის კომუნალურ გადასახადებს, განკარგავს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და ა.შ.) ირკვევა, რომ ამ ქონებას იგი თავისად მიიჩნევს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის მომენტში (1974 წლის 30 დეკემბერს) “ა” იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში და იგი სახლში დაბრუნდა 1976 წელს, ასევე გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი იმის შესახებ, რომ, 2000 წლის ცნობის თანახმად, “ა” თავის ოჯახთან და მოდავე მხარესთან (მისი ძმა) ერთად ცხოვრობდნენ სადავო სახლში. . . იმ შემთხვევაში, თუ “ა” ცხოვრობდა (ფლობდა) სადავო სახლში მის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და აგრძელებდა ამ სახლში ცხოვრებას აღნიშნული სამსახურის გავლის

შემდეგ, ივარაუდება, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში იგი ფლობდა სადავო სახლს.²⁵⁵

ზემოაღნიშნული მაგალითი მიუთითებს უფრო ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემაზე, ვიდრე - სუბსუმფციის. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლის ნორმის არასწორად განმარტებამ გამოიწვია მტკიცების საგნის არასწორი ფორმირება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება ისეთ გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა გაჩნდა საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

შეიძლება დაგვასკვნათ, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების შემოწმებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა. სადავო ურთიერთობის განხილვისას მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა უკავშირდება არამარტო სათანადო სამართლის ნორმის მოძიებას, არამედ - მის სწორად განმარტებას და საქმის სწორი მიმართულებით განხილვას, რაც შესაბამისად აისახება იურიდიულ შედეგზე.

3.4 ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

ზემოგანხილულთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ფაქტების წრე, რომელიც არ ექვემდებარება მტკიცებას, რათა ზუსტად გამოვკვეთოთ მტკიცებითი საგნის ფარგლები.

აუცილებლად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე: მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ფაქტები არ საჭიროებს მტკიცებას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ მოითხოვს დადგენას. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა განვასვაოთ ფაქტები, რომლებიც დგინდება მტკიცებითი საქმიანობით (იხ. § 4.1.) და ფაქტები, რომლებიც შეიძლება იყოს მხოლოდ შემეცნების საგანი.²⁵⁶ კერძოდ, იმ ფაქტების დადგენილად ცნობა, რომლებიც არ საჭიროებს მტკიცებას, მოითხოვს გარკვეული კანონზომიერების დაცვას. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს (შემეცნოს) ის სამართლებრივი წინაპირობები, რომლებიც მიუთითებენ მათ არსებობაზე.

ამდენად, იმ ფაქტებიდან, რომლებიც არ საჭიროებს მტკიცებას, შეიძლება გამოვყოთ **პრეიდიციალურად დადგენილი ფაქტები, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, უდავო ფაქტები და პრეზუმფციები.**

უპირველეს ყოვლისა, გავამახვილოთ ყურადღება პრეიდიციალურად დადგენილ ფაქტებზე.

როდესაც საკასაციო სასამართლო იკვლევს, თუ სააპელაციო სასამართლომ რამდენად მართებულად მიიჩნია განსახილველი ფაქტები

²⁵⁵ სუსგ №ას-483-794-09 4 თებერვალი 2010 წელი.

²⁵⁶ ასევე იხ. შ. ქურდაძე. საქმოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ. 376-377.

პრედიციულად დადგენილად, თვითონ უნდა გამოიყენოს შემეცნების ხერხები და განსაზღვროს ის აუცილებელი კრიტერიუმები, რომლებიც განაპირობებენ არა მარტო იმას, რომ ეს ის ფაქტებია, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, არამედ იმასაც, რომ მათ დადგენილად ცნობისათვის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა შემეცნებით-ლოგიკური ხერხები და, შესაბამისად, სწორად გამოიყენა და განმარტა პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმა.

კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი შეხების წერტილს ამ ფაქტებთან მიმართებით წარმოადგენს სამი მომენტი: პირველი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით (განაჩენით) დადგენილად მიჩნეული ფაქტებიდან, რომელი შეიძლება მივიჩნიოთ პრედიციულად ფაქტებად; მეორე, როდესაც კასატორი დაობს ფაქტის თაობაზე რა ფარგლებში ამოწმებს საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ პრედიციულად დადგენილად მიჩნეულ ფაქტს; მესამე, შეიძლება თუ არა პრედიციულად მიჩნეულმა ფაქტმა დაკარგოს თავისი განსაკუთრებული თვისებები და ტრანსფორმირდეს მტკიცების საგანში შემავალ ფაქტად.

განვიხილოთ პირველი შემთხვევა – კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით (განაჩენით) დადგენილად მიჩნეული ფაქტებიდან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ პრედიციულად ფაქტებად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი ითვალისწინებს იმ ფაქტების პროცესუალურ-სამართლებრივ დახასიათებასა და სახეებს, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, კერძოდ: განსახილველ ნორმაში მითითებულია, რომ მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ.

პრეზუმციების მსგავსად პრედიციული ხასიათის ფაქტებიც შესაძლებელია დავეყოს როგორც ფაქტი-საფუძველი და პრეზუმირებული ფაქტი. იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს პრედიციული ფაქტი, ის ამოწმებს მის ფაქტი-საფუძველს²⁵⁷, იმ სამართლებრივ წინაპირობებს, რომლებიც შემდეგ განაპირობებენ ამ ფაქტის მტკიცების საგნიდან ამორიცხვას.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ერთ შემთხვევაში ფაქტი-საფუძველის შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - მის მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებზე.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო ფაქტის პრედიციულად დადგენილად მიჩნევისათვის ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებზე და უგულებელყოფილია მისი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა, რასაც, ჩვენი აზრით, მოსდევს არასწორი დასკვნები.

²⁵⁷ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 85.

პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, რა დროსაც სასამართლო ითვალისწინებს ისეთ პროცესუალური ხასიათის გარემოებებს, როგორცაა, მაგალითად, კანონიერ ძალაშია თუ არა შესული სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც გამოტანილია სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეზე; იგივე მხარეები მონაწილეობენ თუ არა განსახილველ საქმეში²⁵⁸.

მაგრამ, ამასთან ერთად არსებობს მთელი რიგი მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებისა, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმებთან ერთად ქმნიან ფაქტ-საფუძველს. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი დანაწესების გამოყენება უნდა მოხდეს სისტემურად. მხოლოდ ასეთი კანონზომიერების დაცვის შემთხვევაში შეიძლება განსახილველი ფაქტი შეფასდეს პრედიციულურად დადგენილად, ანუ ზემოაღნიშნული დანაწესების დაცვის შემდეგ ხდება მისი გამოყენება და, შესაბამისად, ამორიცხვა მტკიცების საგნიდან.

პრედიციულ ფაქტებთან მიმართებით, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტის შინაარსის გარკვევას გააჩნია დიდი მნიშვნელობა, რომელიც მიუთითებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებსა და მათ პრედიციულ მნიშვნელობაზე, კერძოდ, იურიდიულად მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას.

განსახილველი ნორმის თანახმად, ფაქტების პრედიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არამარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლებითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება); აღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ ამ დავაში), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ე.ი. რაც გახდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი). აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასების შინაარსი, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ვლინდება გადაწყვეტილების არა სარეზოლუციო, არამედ - სამოტივაციო ნაწილიდან, რომლითაც უნდა დგინდებოდეს საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული, გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ფაქტები, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონკრეტულ სამოქალაქო-სამართლებრივი განხილვის საგანს.²⁵⁹

²⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტი/ იხ. იქვე 106-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტი გაუქმებულ იქნა, 24.09.10წ. №3619.

²⁵⁹ სუსგ. №ას-455-769-09. 3 დეკემბერი 2009წ.

ამდენად, როგორც ჩანს, სსსკ-ის 106-ე მუხლის როგორც “ბ”, ასევე “გ” ქვეპუნქტების თანახმად, ფაქტის პრედიციულურად დადგენილად მიჩნევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ასპექტის არსებობაში არ უნდა ვიგულისხმოდ მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც დადგენილად არის მიჩნეული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ზემოაღნიშნული პროცესუალური კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაშიც კი სასამართლო უპირობოდ არ უნდა მიიღოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მიჩნეული ფაქტები, როგორც პრედიციულური ხასიათის მქონე.

სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ არის შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო (ადმინისტრაციულ) საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილად არის მიჩნეული ისეთი ფაქტი, რომლის არსებობა-არარსებობა გავლენას არ ახდენს ამ გადაწყვეტილებით დადგენილ შედეგზე. ანუ პროცესუალური დოკუმენტით კი არის დადგენილი ეს ფაქტი, მაგრამ გადაწყვეტილება მას არ ეყრდნობა. უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით ყოველთვის ადვილი არ არის იმის გარკვევა, გამომდინარეობს თუ არა განსახილველ ფაქტიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: “2007 წლის 11 ოქტომბერს შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სარჩელით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს “ბ”-ს ნ. ბ.-სა და “გ”-ს გ. გ. წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული ზიანის – 15122.45 ლარის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელე ედავებოდა მხოლოდ “ბ”-ს, რომლსაგანაც ითხოვდა ზემოაღნიშნული თანხის დაკისრებას. მიყენებულ ზიანსა და მისი ოდენობას მოსარჩელე ადასტურებდა ბათუმის რაიონული პროკურატურის შესახებ 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით, რომლითაც შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, მაგრამ ამავე დადგენილებაში მითითებულია, რომ რკინიგზის გადასასვლელის მორიგე “ბ”-მ არ შეასრულა გადასასვლელების მოწყობისა და მომსახურების ცპ-4288 ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, არ ჩართო შემზღუდავი სიგნალები და არ შეატყობინა სადგურ ქობულეთის მორიგეს რკინიგზის გადასასვლელზე წარმოქმნილი დაბრკოლების შესახებ. ამავე დადგენილებაში მითითებულია, რომ სატვირთო მატარებლის შეჯახების შედეგად შპს „საქართველოს რკინიგზამ“ განიცადა 15.122,45 ლარის ზიანი.

საბოლოოდ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს “საქართველოს რკინიგზის” მოთხოვნა და ახალი გადაწყვეტილებით უარი უთხრა მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კასატორი (მოსარჩელე) თავის მოთხოვნის საფუძვლად უთითებს ბათუმის რაიონული პროკურატურის შესახებ 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილებაზე, რომლითაც შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლო სხდომაზე შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლის მიერ

გაკეთებულ ახსნა-განმარტებაზე, რომლითაც მან განაცხადა, რომ „ . . . ზიანი მივიღეთ მატარებლების დაყოვნების შედეგად“ (ს.ფ. 157).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ განმარტების გარდა, შპს „საქართველოს რკინიგზა“ ვერ ადასტურებს ზიანის საფუძვლიანობასა და ოდენობას.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბათუმის რაიონული პროკურატურის შესახებ 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილება, რომელშიც მითითებულია, რომ სატვირთო მატარებლის შეჯახების შედეგად შპს „საქართველოს რკინიგზამ“ განიცადა 15.122,45 ლარის ზიანი, არ შეიძლება მივიჩნიოთ მტკიცებულებად, რომლითაც დასტურდება ვაგონების დაყოვნებით მიღებული ზიანისა და მისი ოდენობის ფაქტი.

უპირველეს ყოვლისა, პასუხგასაცემია, საჭიროებს თუ არა მტკიცებას აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული ფაქტი იმის შესახებ, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ განიცადა 15.122,45 ლარის ზიანი.

კონკრეტულ შემთხვევაში ბათუმის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ავტოსატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ამასთან ერთად განსახილველი ნორმის განმარტებისათვის გასათვალისწინებელია ის, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებაში მითითებული გარემოების – განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება “ბ”-მ – კვალიფიკაციისათვის ზიანის ოდენობის ფაქტს არ გააჩნდა იურიდიული (მაკვალიფიცირებელი) მნიშვნელობა. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას, რასაც არ მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე, ან სხვა დაზიანება, მნიშვნელობა არა აქვს ზარალის ოდენობის ფაქტის არსებობა-არარსებობას სისხლის სამართლის საქმისათვის.”²⁶⁰

ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია შემდეგი, რომ კასატორი ვერ ადასტურებს, რომ 15122,45 ლარის ზიანის ნაწილში მითითება 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილების გამოტანის ერთ-ერთი საფუძველია (რომლის გარეშეც შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე მსჯელობა).

აღნიშნულის საპირისპიროდ შპს “საქართველოს რკინიგზა” სამოქალაქო საქმის განხილვისას ზიანის მიყენების ოდენობას ასაბუთებდა ისეთი გარემოებებით, რაც არ იყო სისხლის სამართლის წესით გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული დადგენილების მსჯელობის საგანი. კერძოდ, ვაგონების დაყოვნების ფაქტის და დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანის თაობაზე.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ “ვაგონების დაყოვნების ფაქტი და ამ დაყოვნების შედეგად მიღებული ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადასტურდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმითა და წესით შედგენილი აქტებით”.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ კასატორი არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ უთითებს, თუ კონკრეტულად რამდენად დაყოვნდა მგზავრთა გადაყვანა, ბარგის, ტვირთ-ბარგის, ფოსტის,

²⁶⁰ იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლი (2008 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით)

ტვირთის გადაზიდვა, ასევე კონკრეტულად რომელი ვაგონების (კონტეინერების), რა დროის მონაკვეთით და ა.შ.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. ამავე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გაუთვალისწინებელ სხვა გარემოებათა დასამოწმებლად დგება ტექნიკური და საერთო ფორმის აქტები, „რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის წესებისა“ და „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად.

ვაგონების დაყოვნების მიზეზები, მათი რაოდენობა, დაყოვნების დრო და ა.შ შესაძლებელია დადასტურდეს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებში მითითებული, კონკრეტული შემთხვევის ამსახველი (კომერციული, ტექნიკური, საერთო) აქტების მეშვეობით.

აღნიშნულის ზოგადი დანაწესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით: „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“.

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, აუცილებელია არსებობდეს არა მარტო “ბ”-ს, როგორც რკინიგზის გადასასვლელის მორიგის მიერ სათანადო ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ფუნქციური ვალდებულებების შეუსრულებლობის (მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედების), არამედ ამ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისა და მისი ოდენობის ფაქტი, რასაც კასატორი არ უთითებს.”²⁶¹

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ის, რომ კანონიერ ძალაში შესული ბათუმის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 26 დეკემბრის დადგენილებაში მითითებული ზიანის ოდენობის თაობაზე ფაქტს არანაირი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნდა ამავე დადგენილებით დამდგარი შედეგის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი გარემოება, რომელიც მითითებულია კანონიერ ძალაში შესულ პროცესუალურ დოკუმენტში და რომელსაც არ ეფუძნება ამ პროცესუალური დოკუმენტის სარეზოლუციო ნაწილი, მივიჩნევთ, როგორც პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტად, რაც დაუშვებელია.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი²⁶² გამოტანილი უნდა იქნეს მხოლოდ შემდეგ ფაქტებზე: ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება მოცემულმა პირმა. ამდენად, სხვა საკითხებზე განაჩენი არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის სამოქალაქო პროცესში. მაგალითად

²⁶¹ სუსგ №ას-455-769-09 3 დეკემბერი 2009წ.

²⁶² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტის თანახმად იგულისხმება არა მარტო განაჩენი, არამედ კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯავებელი გადაწყვეტილება.

არ ხდება დანაშაულით მიყენებული ზარალის (ზიანის) ოდენობის (მოცულობის) პრეიუდიცირება.²⁶³

მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრება მოითხოვს დაზუსტებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ განსახილველი ნორმის თანახმად პრეიუდიციულ ფაქტებზე, კერძოდ: ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება მოცემულმა პირმა, მნიშვნელობა გააჩნია ყველა იმ მაკვალიფიცირებელ ელემენტს, რომლის შედეგად დადგინდა, კონკრეტულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეზე მოქმედება, რომელსაც გააჩნია მნიშვნელობა სამოქალაქო საქმისათვის. კიდევ ერთხელ დავუძენთ, რომ თუ სისხლის სამართლის საქმეზე ამ მოქმედების ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ელემენტს წარმოადგენს ზიანის ოდენობა, მაშინ ვფიქრობთ, რომ იგი (სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით) უნდა მივიჩნიოთ პრეიუდიციულ ფაქტად სამოქალაქო საქმეში.

ამასთან მიმართებით ვ. ხრუსტალის სადისერტაციო ნაშრომში მითითებულია, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს.²⁶⁴

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ კონკრეტული ფაქტი რამდენად წარმოადგენდა იმ იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტს, რომელსაც მოჰყვებოდა კანონიერ ძალაში შესული სარეზოლუციო ნაწილში ასახული შედეგი. ანუ, სხვაგვარად რომ განვმარტოთ, ეს ფაქტი იურიდიულად უნდა ამართლებდეს გადაწყვეტილების შედეგს. ჩვენ არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სასამართლომ არასწორად დაუკავშირა ფაქტი შედეგს. ამ შემთხვევაში ვერ მოვახდენთ ამ გადაწყვეტილების “რევიზიას”. კიდევ ერთხელ დავუძენთ, რომ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლო უთითებს, რომ მის მიერ ეს ფაქტი დადგენილია, მაგრამ შედეგს უკავშირებს სულ სხვა ფაქტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იმისათვის, რომ სასამართლომ მიიჩნიოს ფაქტი პრეიუდიციალურად, ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ამ ფაქტს გააჩნდა იურიდიული მნიშვნელობა, ანუ უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება ამ ფაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ პრეიუდიციალურ ფაქტად და ის უნდა იქნეს შეყვანილი მტკიცების საგანში.

განვიხილოთ მეორე შემთხვევა: კასატორის მიერ ამ ფაქტის წინააღმდეგ შედაგების შემთხვევაში რა ფარგლებში ამოწმებს საკასაციო

²⁶³ შ. ქურდაძე. საქმოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ., 380

²⁶⁴ ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. გვ. 12

სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ პრედიციულად დადგენილად მიჩნეულ ფაქტს.

ჩვენ მიერ დასმული საკითხით თითქოსდა იქმნება გარკვეული პარადოქსი, რომელიც ბადებს კითხვებს. თუ პრედიციული ფაქტები არ საჭიროებენ მტკიცებას და, აქედან გამომდინარე, ისინი არ შედიან მტკიცების საგანში, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხარის ამ ფაქტებთან მიმართებით შედავებას და, მით უმეტეს, როგორ უნდა განისაზღვროს მისი ფარგლები.

დიას, პრედიციული ფაქტები, როგორც პრეზუმირებული ფაქტები, არ მტკიცდება არც მოსარჩელის და არც მოპასუხის მიერ. ამ ორივე კატეგორიის ფაქტების მიმართ მხარეთა მტკიცებითი საქმიანობა არ მიმდინარეობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველივე აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ ამ ფაქტების უარყოფა შეუძლებელია.²⁶⁵

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ინტერესს ამ შემთხვევაში იწვევს პრედიციული ფაქტების შემოწმების თავისებურებები, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტების ირგვლივ დავას გააჩნია გარკვეული სპეციფიკა. წინა საკითხის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ პრედიციუმების დროს ფაქტი-საფუძველი შედგება როგორც პროცესუალური, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი მხარეებისაგან, რისთვისაც აუცილებელია მათი ერთდროულად არსებობა. ცხადია, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიყენება პრეზუმირებული ფაქტი. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ პრედიციული ფაქტები მტკიცებას არ საჭიროებენ, მხედველობაში გვაქვს არა ფაქტი-საფუძველი, არამედ - ფაქტი-საფუძვლის ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ, მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები. რა თქმა უნდა, როდესაც ამ ფაქტებზე მხარე უთითებს როგორც პრედიციულად დადგენილზე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე დავობს უშუალოდ ამ ფაქტებთან მიმართებით, ამით ამ ფაქტების პრედიციულობა ეჭვის ქვეშ არ დგება. მაგრამ, შესაძლებელია დავას იწვევდეს თვითონ ფაქტი-საფუძველი, როგორც პრედიციული ფაქტის წარმოშობის წინაპირობა. ამ შემთხვევაში დავა მიმდინარეობს ფაქტ-საფუძველზე, მასში შემავალ, როგორც პროცესუალურ, ასევე მატერიალურ-სამართლებრივ მხარეზე.

ფაქტი-საფუძვლის უარყოფის შემთხვევაში აღარ მოქმედებენ პრედიციული ფაქტები,²⁶⁶ რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ფაქტები შედიან მტკიცების საგანში, რომელთა დადასტურება-უარყოფა ხდება მტკიცებითი საქმიანობისათვის დადგენილი წესების მიხედვით. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს საკასაციო პრეტენზია, რომელიც ეხება პრედიციული ფაქტის არასწორად გამოყენებას, ანუ პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევას, რომლითაც განისაზღვრება პრედიციული ფაქტები. ამ შემთხვევაში, როგორც ჩვენ ვთვლით, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტი-საფუძვლის განსაზღვრის პროცესუალურ-

²⁶⁵ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр.,

85

²⁶⁶ იხ. იქვე, გვ. 85

სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები, რაც საბოლოოდ მიმართულია მტკიცების საგნის ფარგლების სწორად განსაზღვრისაკენ. იმ შემთხვევაში, თუ სააკველაციო სასამართლომ პროცესუალური ნორმის არასწორად განმარტების შედეგად, რაც გამორიცხავდა ფაქტი-საფუძვლის არსებობას, არასწორად გამოიყენა პრედიციალური ფაქტი, ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ არასწორად ამორიცხა მტკიცების საგნიდან ფაქტი, რომლის გამოკვლევა-დადგენისათვის აუცილებელი იყო მტკიცების საერთო წესების დაცვა. აქედან გამომდინარე, ამ პროცესუალურ-სამართლებრივი დანაწესის დაცვა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მტკიცების საგნის სწორ ფორმირებას, რაც შედის მოსამართლის კომპეტენციაში (იხ. § 3.3.). ფაქტი-საფუძვლის უარყოფა შეიძლება გამოიხატოს იმ გადაწყვეტილების გაუქმებაში (სსსკ-ის 421-ე მუხლით გათვალსწიებული საქმის წარმოების განახლების სახეების მეშვეობით), რაც წარმოადგენდა ფაქტის პრედიციალურად ცნობის საფუძველს. მაგალითად, ი. სერიკოვი იხილავს სიტუაციას, როდესაც საქმეზე დადაგენილია ფაქტი, რომელიც უარყოფს პრედიციალურ ფაქტს, რომელიც, შესაბამისად, გამაგრებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. სასამართლო კოლიზიის წინაშეა, როდესაც ერთ შემთხვევაში მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი უპირისპირდება ფაქტს, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას.²⁶⁷ ამასთან მიმართებით არსებობს სხვადასხვა მეცნიერის აზრი, რომლებიც მიიჩნევენ ამ პრობლემის სხვადასხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით პროცესუალურ მეცნიერებაში დაისახა ორი მიმართულება: ავტორები ვ. კამინსკაია, ვ. არსენიევა, ვ. დოროხოვი თვლიან, რომ სასამართლოს არ შეუძლია უარყოს პრედიციალური ფაქტი, სანამ გადაწყვეტილება (განაჩენი) არ იქნება გაუქმებული კანონით დადგენილი წესით²⁶⁸. სხვა მოსაზრების მომხრენი არიან ი. პეტრუხინი და რ. რახუნოვი. ისინი თვლიან, რომ არსებული კოლიზია უნდა გადაწყდეს მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე.²⁶⁹ ამ ბოლო მოსაზრების თანახმად, მეცნიერები უშვებენ, რომ სასამართლომ შესაძლოა, გადაამოწმოს პრედიციალური ფაქტი, არც კი გაიზიაროს იგი და დაადგინოს სხვა ფაქტი.

მაგრამ ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე მ. სტროგოვიჩის და მისი მომხრეების პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ სასამართლო შებოჭილია პრედიციალური ფაქტით. იმისათვის, რომ სასამართლომ უარყოს მისი პრედიციალობა, აუცილებელია, რომ

²⁶⁷ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 86

²⁶⁸ В. И. Каминская. Учение о правовых презумпциях в уголовном процессе. М. 1948.стр. 124; В. Д. Арсеньев. О фактах, не подлежащих доказыванию в процессе уголовного судопроизводства//Известия высших учебных заведений. Правоведение. 1965. №1. стр. 104, В. Я. Дорохов. Законная сила приговора в советском уголовном процессе//Сов. государство и право. 1954. №6. стр. 82// Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 86

²⁶⁹ М. С. Строгович. Учение о материальной истине в уголовном процессе. М. 1947. стр.214; И. Л. Петрухин. Внутреннее убеждение суда и правовые презумпции//Сов. государство и право 1964. №3. стр. 66; Р. Д. Рахунов. О юридических гарантиях независимости судей в советском уголовном процессе//Сов. государство и право. 1968. №4. стр. 53// Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 86

კანონით დადგენილი წესით გაუქმდეს გადაწყვეტილება (განაჩენი), რომლითაც იგი იყო დადგენილი.²⁷⁰ ზემოაღნიშნულ საკითხს, რა თქმა უნდა, გააჩნია თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა, როდესაც ერთმა მხარემ წარმოადგინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტულება, რომელიც მიუთითებს ფაქტის პრედიციულ მნიშვნელობაზე, ხოლო მეორე მხარემ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავს იმ ფაქტის არსებობას, რომელიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

მაგრამ როდესაც ამ ორ ფაქტს შორის არსებობს კონკურენცია, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფაქტობრივი სიტუაცია სწორად უნდა შეფასდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დადგენილია ფაქტი, რომელსაც გააჩნია პრედიციული მნიშვნელობა, ანუ ეს ფაქტი დადგენილია მტკიცებითი საქმიანობის შედეგად, ხოლო განხილვის პროცესში არსებულ საქმეზე იმავე ფაქტის საწინააღმდეგოდ მხარემ წარადგინა მტკიცებულებები, ვფიქრობთ, რომ სასამართლომ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს პრედიციულ ფაქტებს და ხელმეორედ არ უნდა გახადოს ეს ფაქტი მტკიცების კვლევის საგანი. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს ფაქტი-საფუძველი და დარწმუნდეს, რომ იგი აკმაყოფილებს ყველა სამართლებრივ კრიტერიუმს. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება პრიორიტეტებზე საუბარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მნიშვნელობა ეკარგება ფაქტის პრედიციულობას, ის სხვა მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში ავტომატურად აღმოჩნდება მტკიცების საგანში და დაიწყება მისი არსებობა-არარსებობის თაობაზე მტკიცებითი საქმიანობა, რაც მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია. ამდენად, ასეთი სახის კონკურენცია, როდესაც ერთ მხარეზეა პრედიციული ფაქტი, ხოლო მეორეზე - მტკიცებულება, რომელიც მას გამორიცხავს, არათანაბარზომიერია. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ამ შემთხვევაში ხდება არა ფაქტი-საფუძვლის უარყოფა, არამედ - მხოლოდ მისი ერთ-ერთი ელემენტის უარყოფა, რაც დაცულია პრედიციულობით. ფაქტი-საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მოქმედებს კანონის იმპერატიული დანაწესი, რომელიც არ ითვალისწინებს სხვაგვარ განმარტებას.²⁷¹

სხვაგვარად გვექნება საქმე, როდესაც საქმეში დგინდება ისეთი გარემოებები, რომლებიც ცვლიან სიტუაციას, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტის პრედიციული მნიშვნელობა არც არის უარყოფილი. მაგალითად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დგინდება სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო განსახილველ საქმეში დგინდება ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უთითებენ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე.

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე კითხვას იწვევს საკითხი, თუ რამდენად ინარჩუნებს პრედიციულ მნიშვნელობას ფაქტი, როდესაც

²⁷⁰ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 87

²⁷¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები.

განხილვის პროცესში არსებულ საქმეში ასევე მონაწილეობენ სხვა პირებიც, ან კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მხარე, რომელიც მონაწილეობდა მოპასუხედ, ამ საქმეში მონაწილეობს როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით და ა.შ.²⁷²

აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაშიც არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო არ იღებს ფაქტს, როგორც პრედიციალურად მნიშვნელოვანს, რადგან მის მიერ განსახილველ საქმეში, გარდა იმ პირებისა, რომელთა მიმართ გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ასევე მონაწილეობენ სხვა პირებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის განხილვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრედიციალურობის პროცესუალურ-სამართლებრივი მხარეს, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ფაქტი-საფუძვლის ერთ-ერთ ელემენტს.

მისი განსაზღვრის კრიტერიუმს წარმოადგენს: კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც გამოტანილია სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეზე; იმავე მხარეების მონაწილეობა განსახილველ საქმეში.

ამდენად, პრედიციალობა, როგორც წესი, უნდა შენარჩუნდეს, თუ მისი პროცესუალური კრიტერიუმები დაცულია. ამასთან ერთად, პროცესში მონაწილე ახალი მხარე არ უნდა ხდიდეს სადავოდ პრედიციალურ ფაქტს. ცხადია, რომ ფაქტის პრედიციალობა მასზე არანაირად არ ვრცელდება და ამ შემთხვევაში მხოლოდ მასზე არის დამოკიდებული, თუ ეს ფაქტი რამდენად შეიძლება შევიდეს მტკიცების საგანში. ხშირად საქმეში ახალი მხარის მონაწილეობა ხდება პრედიციალური ფაქტის უარყოფის მიზეზი.²⁷³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კასატორის პრეტენზიის საფუძველზე საკასაციო სასამართლო ამოწმებს პრედიციალურ ფაქტებს პროცესუალურ-სამართლებრივ და მატერიალურ-სამართლებრივ ფარგლებში.

განვიხილოთ მესამე შემთხვევა: შეიძლება თუ არა პრედიციალურად მიჩნეულმა ფაქტმა დაკარგოს თავისი განსაკუთრებული თვისებები და ტრანსფორმირდეს მტკიცების საგანში შემავალ ფაქტათ.

წინა საკითხის განხილვით, ჩვენ ნაწილობრივ გავეცით პასუხი კითხვას, თუ რამდენად შესაძლებელია პრედიციალური ფაქტი ტრანსფორმირდეს მტკიცების საგანში შემავალ ფაქტად. ფაქტი-საფუძვლის უარყოფის შემთხვევაში აღარ არსებობს პრედიციალური ფაქტის გამოყენების წინაპირობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ფაქტი შედის მტკიცების საგანში, რომელზეც ვრცელდება მტკიცებითი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება. მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოქმედებს პრედიციალური ფაქტი, არ იყენებს მას როგორც პრედიციალურს და თავისი პოზიციების დაცვის მიზნით ებმევა მტკიცებითი საქმიანობაში. ამ

²⁷² იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 137-138

²⁷³ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 138

შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ პრედიციალური მნიშვნელობის ფაქტი წარმოადგენს მტკიცების საგანში შემავალ ფაქტს.

სხვაგვარად არის საქმე, როდესაც მოსამართლე აფასებს საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს.²⁷⁴

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საყოველთაოდ ცნობილია ისეთი ფაქტი, რომლის არსებობის შესახებ იცის ადამიანთა ფართო წრემ, მათ შორის, საქმის განმხილველმა მოსამართლემაც, რის გამოც ასეთი ფაქტი აღარ საჭიროებს მტკიცებას.²⁷⁵ იმისათვის, რომ ფაქტი საყოველთაოდ იყოს ცნობილი საკმარისია, რომ ამ ფაქტის შესახებ იცოდნენ არა მარტო საქმეში მონაწილე პირებმა, არამედ - საქმის განმხილველი სასამართლოს ადგილას მცხოვრებმა ადამიანთა ფართო წრემ.²⁷⁶ მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის თანახმად, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს წარმოადგენენ სასამართლოსათვის ცნობილი ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას.²⁷⁷ აღნიშნული პროცესუალური დანაწესი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს ფაქტი სასამართლოსათვის უნდა იყოს ცნობილი. ეს ის ფაქტებია, რომლებიც ცნობილია პრესიდან, რადიო-ტელევიზიიდან, რომელთა რეალობა არ იწვევს არანაირ ეჭვს.²⁷⁸

შესაძლებელია ითქვას, რომ ფაქტის საყოველთაოდ აღიარებისათვის უნდა არსებობდეს ორი პირობა: **ობიექტური და სუბიექტური**. ობიექტური პირობა მიუთითებს იმაზე, რომ ეს ფაქტი ცნობილია ფართო წრისათვის, ხოლო სუბიექტური პირობა უთითებს იმაზე, რომ ეს ფაქტი ცნობილია სასამართლოსათვის.²⁷⁹

ამასთან, გასათვალისწინებელია შემთხვევები, როდესაც დასადასტურებელი ცნობები გავრცელებულია და ცნობილია არა ზოგადად ყველასთვის, არამედ მის შესახებ იციან მხოლოდ კონკრეტულ ადგილას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ **ლოკალური**²⁸⁰ ხასიათის შემთხვევა.

მაგრამ, აქაც გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ადგილი აქვს ე.წ. **ლოკალურ ფარგლებში გავრცელებულ ცნობებს**, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა გააჩნია იმას, თუ რამდენად იყო ეს ცნობები ცნობილი სასამართლოსათვის, რომელიც იხილავს ამ კონკრეტულ დავას. ასეთი კატეგორიის შემთხვევების განხილვისას საკასაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ სასამართლოს დამოკიდებულებას ამ

²⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტი

²⁷⁵ შ. ქურდაძე. საქმოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ. 377

²⁷⁶ იხ. თ. ლილუაშვილი. “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”, თბ. 2005, გვ. 216

²⁷⁷ Гражданское процессуальное уложение Германии. Wolters Kluwer, 2008г., 2006. статья 291

²⁷⁸ А. Г. Давтян. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2009г., стр., 63. ასევე იხ. /А. Х.

Гольмстен. Учебник русского гражданского судопроизводства. С-Пб; 1913г ციტირებულია М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 103

²⁷⁹ С. В. Курылев. Установление истины в советском правосудии. Автореферат. М. 1967г. стр. 20

²⁸⁰ შ. ქურდაძე. საქმოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ. 378

ფაქტებისადმი, რომლის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით მისთვის ცნობილი იყო ამ ცნობებით გავრცელებული ფაქტების შესახებ და ამდენად, აღარ არსებობს მათი მტკიცების აუცილებლობა. ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაგუსვათ ერთ მნიშვნელოვან დეტალს. ის გარემოება, რომ მხოლოდ მოსამართლისათვის ან მხოლოდ ფართო წრისათვის არის ცნობილი განსახილველი ფაქტის შესახებ, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს ფაქტი ამოირიცხოს მტკიცების საგნიდან. უნდა კომულაციურად არსებობდეს ორივე პირობა - როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური.

შემდეგი ფაქტები, რომლებიც არ შედიან მტკიცების საგანში, წარმოადგენენ უდავო ფაქტებს.

იურიდიულ ლიტერატურაში მიხნეულია, რომ მტკიცების საგანში არ შედიან უდავო ფაქტები, ერთ-ერთი მხარის მიერ აღიარებული ფაქტები. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ როგორც უდავო ფაქტები, ასევე აღიარებული ფაქტები ხშირ შემთხვევაში განხილულია ერთ კონტექსტში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ არსებობს ორი სახის უდავო ფაქტი. პირველი, ეს ის ფაქტებია, რომელთა თაობაზე მხარეები არ დაობენ და ფაქტი, რომელიც აღიარა მეორე მხარემ. ამ ორ მომენტს შორის თითქმის არ არსებობს განსხვავება. ორივე მათგანის არსებობას ერთი და იგივე შედეგი აქვს. მაგრამ როგორც ჩვენ ვფიქრობთ, განსხვავება გამოიხატება პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების განმარტებაში.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გავამახვილოთ გერმანული საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 138-ე მუხლის მე-3 ნაწილზე. კერძოდ, 288-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფაქტები, რომლებზეც თავის მოთხოვნას ამყარებს მხარე და რომელიც სასამართლო განხილვის განმავლობაში აღიარა მოწინააღმდეგე მხარემ, არ საჭიროებს მტკიცებას. ამავე კოდექსის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ფაქტები, რომლებიც პირდაპირ არ არიან შედავებული, ითვლება აღიარებულად.²⁸¹ როგორც ვხედავთ გერმანიის სამოქალაქო პროცესის განსახვავებს ერთმანეთისაგან პროცესის განმავლობაში აღიარებულ ფაქტებს იმ ფაქტებისაგან, რომლებიც არ არიან შედავებული.

საქმის განხილვისას მოსამართლემ რელაციის²⁸² პრინციპის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოყოს უდავო ფაქტები და გამიჯნოს ისინი

²⁸¹ Гражданское процессуальное уложение Германии. Wolters Kluwer, 2006г., статья 138 (3), 288

(1)

²⁸² რელაცია წარმოადგენს სამოსამართლო ტექნიკას, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ნორმების, კანონის სისტემიდან და მისი ძირითადი პრინციპებიდან. იგი გულისხმობს მხარეთა მიერ მოხსენებული და წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების სისტემატურ დალაგებას და საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების გამოკვეთას, უდავო და სადავო ფაქტების გამიჯვნას, წარმოდგენილი მტკიცებულებების და ამ ფაქტების სამართლებრივ საფუძვლებთან შესაბამისობაში მოყვანას. დაწვ. ის. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 1-3

სადავო ფაქტებისაგან. შემდეგ ხდება უკვე სადავო ფაქტების დიფერენცირება მათი იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით, რაც თავისთავად უკავშირდება სამართლებრივ საკითხებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს უდავო ფაქტების ცნებას, საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიერ ფაქტის აღიარების სამართლებრივ მექანიზმს.

ამდენად, უდავო ფაქტების არსებობა იკვეთება სარჩელზე შესაგებლის წარდგენის სტადიაზე. კერძოდ, სარჩელში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს.²⁸³ შესაბამისად, მოპასუხემ სარჩელის არცნობის შემთხვევაში უნდა მიუთითოს ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ.²⁸⁴ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის დროს ახალ გარემოებებს და მტკიცებულებებს სასამართლო მხედველობაში მიიღებს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.²⁸⁵ კერძოდ, უნდა არსებობდეს ორი პირობა: სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და ეს არ მომხდარა გაჭიანურების მიზნით. ანუ, მითითებული წინაპირობები წარმოადგენს სასამართლოს მიერ ამ გარემოებების არა გასაზიარებლად მიღების საფუძველს, არამედ იღებს მათი განხილვისა და ანალიზის თვალსაზრისით.²⁸⁶

ამდენად, მხარის უფლება, სადავოდ გახადოს თუ არა ესა თუ ის ფაქტი, უკავშირდება შეჯიბრებითობის პრინციპს²⁸⁷. ამ უფლების შესაბამისი პროცესუალური მიმდინარეობისას, არგამოყენების შემთხვევაში მოქმედებს მკაცრი პროცესუალური დანაწესები. ამდენად, უდავო ფაქტები წარმოადგენს საქმის მოსამზადებელ ეტაპზე²⁸⁸ მტკიცების საგნის ფორმირების დროს²⁸⁹ განსაზღვრულ ფაქტებს, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას.

ფაქტის აღიარება – წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, მხარის ახსნა-განმარტებას.²⁹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტის აღიარებას გააჩნია

²⁸³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” ქვეპუნქტი

²⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის “დ” ქვეპუნქტი.

²⁸⁵ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლი.

²⁸⁶ ასევე იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. მეორე გამოცემა. თბ. 2007, გვ. 403.

²⁸⁷ Cass. 2^e civ., 24 mars 1971 : Bull., II, n° 130.

²⁸⁸ ასევე იხ. შ. ქურდაძე. საქმობა საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ. 567-568/ასევე იხ. Н. Коршунов, Ю. Мареев. Гражданский процесс. Норма 2-е изд. М. 2008г., стр., 369-374/М. Треушников. Гражданский процесс: Учебник. М., 2001, стр., 267.

²⁸⁹ თ. ლილუაშვილი, “სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულება”. საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები. თბ. 1977წ., გვ 9/ასევე იხ. М. Треушников, З. Чешки. М., 1991г., стр., 37/ И. Решетникова. Доказательственное право в гражданском судопроизводстве. Екатеринбург, 1997г., стр., 235-245.

²⁹⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი. შეად. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილს. ასევე შეად. Code civil art. 1356. საფრანგეთის სამოქალაქო

მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც გამოიხატება იმაში, რომ მისი აღიარება შეიძლება წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს ზეპირი ან წერილობითი ფორმით.²⁹¹

მტკიცების საგნის ფორმირების შემდეგ აღიარებული ფაქტი ამოირიცხება მტკიცების საგნიდან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფაქტის აღიარების იურიდიული მნიშვნელობა. აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე ადასტურებს მისი მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოყვანილ ისეთ ფაქტს, რომელზეც ის ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე არ არის ვალდებული მიიღოს ასეთი აღიარება. როგორც აღვნიშნეთ, ფაქტის არსებობა-არარსებობის აღიარება წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლის მიღება-შეფასებას ახასიათებს ზოგადად მტკიცებულებებთან სასამართლოს შემხებლობის ყველა ნიშან-თვისება იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია მხარეთა ახსნა-განმარტების ინსტიტუტისათვის.²⁹²

სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.²⁹³ შესაბამისად, არც მხარის მიერ ფაქტის აღიარებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. უნდა ვიფიქროთ, რომ სსსკ-ის 131-ე მუხლის დისპოზიციით განსაზღვრული დანაწესი იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს ერთი მხარის მიერ ფაქტის არსებობა-არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს, დამოკიდებულს ხდის აღნიშნულ აღიარებას სასამართლოს შეფასებაზე. სამართლის ნორმაში მითითებული ტერმინი “შეუძლია” აღექვატურად აუღერებს ამავე კოდექსის 105-ე მუხლის დანაწესს, რომლის თანახმად. მტკიცებულებას არა აქვს სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა და მას სასამართლო აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ფაქტის აღიარების შეფასებისას მნიშვნელობა გააჩნია უშუალოდ მხარის მიერ გაკეთებულ აღიარებას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რასაც ასევე ჩვენც ვიზიარებთ, რომ ფაქტის აღიარების, როგორც მტკიცებულების

კოდექსის მითითებული მუხლის თანახმად სასამართლო აღიარებად ითვლება მხარის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული განცხადება. მას გააჩნია სრული ძალა იმ პირის მიმართ ვინც გააკეთა განცხადება. ის არ შეიძლება, რომ გამოთხოვილ იქნეს, გარდა იმ შემთხვევაში თუ მხარე დაადასტურებს, რომ იგი ცდებოდა ფაქტობრივ გარემოებებში. დაუშვებელია აღიარების გამოთხოვა იმაზე მითითებით, რომ მხარე ცდებოდა სამართლებრივ საკითხებში. ასევე იხ. Civ. 2°, 28 mars 1966 : D. 1966. 541./ Civ. 1er , 23 nov.1982: Bull. civ. I, n° 335./Com. 28 févr. 1984: Bull. civ. IV, n° 75./ 17 oct. 1995:Bull. civ. IV, n° 230; JCP 1996. 3938, n° 18, obs. Cadiet; RTD civ. 1996. 171, obs.

²⁹¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლი

²⁹² იხ. იქვე 131-ე, 132-ე, 133 მუხლები.

²⁹³ იხ. იქვე 105-ე მუხლის პირველი ნაწილი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალების, წყარო შეიძლება იყოს უშუალოდ მხარე და არა - მისი წარმომადგენელი.²⁹⁴

მეტად მნიშვნელოვანია, რომ კანონით გათვალისწინებულია მხარის უფლება, გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება²⁹⁵. აღნიშნული უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ისეთი გარემოებების არსებობაზე (ამ გარემოებებს შეიძლება უწოდოთ მტკიცებულებათა ფაქტები), რომლებიც ადასტურებენ შეცდომის შედეგად ფაქტის აღიარებას; აღნიშნული განპირობებული იყო ისეთი გარემოებებით, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა ადგილი ჰქონდა მასზე ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ზემოქმედებას, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას.

ამ უფლების გამოყენება მხარეს შეუძლია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მხარის მიერ ამ უფლების გამოყენებისას, სასამართლომ უნდა განიხილოს ეს გარემოებები და მათ დასადასტურებლად განკუთვნილი მტკიცებულებები, რაც თავისთავად ითვალისწინებს შესაბამისი პროცესუალური მოქმედების განხორციელებას.

ამდენად, უდავო ფაქტები, რომლებიც ჩვენ პირობითად დავეყავით, როგორც საკუთრივ უდავო ფაქტებად და ფაქტის აღიარებად, მიუთითებს იმაზე, რომ საბოლოო შედეგით მათ შორის არანაირი განსხვავება არ არის, რადგან როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ისინი ამოირიცხებიან მტკიცების საგნიდან. მაგრამ განსხვავდებიან მათი მიღება-შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულაციური მექანიზმებით, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

აღნიშნული განსხვავებები წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო ამოწმებს ამ ფაქტების საფუძველზე მიღებულ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას.²⁹⁶

რაც შეეხება პრეზუმფციებს, მათ შესახებ ჩვენ გვექნება საუბარი შემდეგ პარაგრაფში. ამ შემთხვევაში აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ როგორც ეს ფაქტები, ასევე პრეზუმირებული ფაქტები არ საჭიროებენ მტკიცებას. მნიშვნელოვანია ის, რომ მტკიცებულებების შეფასებისას იკვეთება პრეზუმირებულ ფაქტსა და მოსამართლის შინაგან რწმენას შორის შემხებლობის თავისებურებები. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა კითხვა: მნიშვნელოვანია თუ არა სასამართლოსათვის პრეზუმირებული ფაქტები. შეუძლია თუ არა

²⁹⁴ იხ. თ. ლიდუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. მეორე გამოცემა. თბ. 2007, გვ. 242

²⁹⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლი

²⁹⁶ იხ. სუსგ №ას-606-885-05, 4 იანვარი 2006წ.

სასამართლოს მათი უარყოფა მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების საფუძველზე.²⁹⁷

აღნიშნული კითხვა გამოწვეულია პრეზუმფციის შესახებ შეხედულებით, რომლის თანახმად, იგი მიჩნეულია სუროგატულ მტკიცებულებად. ამ შეხედულების მიმდევრები არიან ვ. ენდემანი, გ. დორმინდონტოვი, ა. შტეინბერგი.²⁹⁸

ვფიქრობთ, რომ პრეზუმფცია არ შეიძლება მივიჩნიოთ მტკიცებულებად, რადგან პრეზუმფციის ინსტიტუტს ეკარგება თავისი მნიშვნელობა. მისი არსი ზუსტად იმაში გამოიხატება, რომ პრეზუმირებული ფაქტი არ საჭიროებს დადასტურებას. სხვა საკითხია, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ფაქტი-საფუძვლის დადასტურება-უარყოფაზე, რომელზეც დამოკიდებულია პრეზუმირებული ფაქტის გამოყენების ბედი. შემეცნების საგანი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მტკიცების საგანი, მასში შეიძლება მოვიანოთ ისეთი გარემოებები, ობიექტური სინამდვილის ფაქტები, რომლებსაც უშუალო კავშირი გააჩნიათ საქმესთან.²⁹⁹ პრეზუმფცია, როგორც გარკვეული ვარაუდი ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, მიუთითებს იმაზე, რომ მისი დადასტურება არ ხდება მტკიცებითი საქმიანობის შედეგად. ამდენად, მოსამართლის შინაგანი რწმენა შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მტკიცებულებათა შეფასებას, მაგრამ რაც შეეხება პრეზუმირებულ ფაქტს, იმ პირობებში, როდესაც არ იქნა უარყოფილი ფაქტი-საფუძველი, სასამართლომ უნდა გამოიყენოს პრეზუმირებული ფაქტი, რაც მიუთითებს მის იმპერატიულ ხასიათზე.³⁰⁰

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პრედიციულურად დადგენილი ფაქტები, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, უდავო ფაქტები და პრეზუმფციები შეიძლება გახდეს საკასაციო სასამართლოს შეფასების ობიექტი (საგანი). შემოწმებისას ყურადსაღებია ის, თუ სააპელაციო სასამართლომ რამდენად მართებულად მიიჩნია ფაქტები იმ ფაქტებად, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, ე.ი. რამდენად მართებულად ამორიცხა სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტები მტკიცების საგნიდან. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ თვითონ უნდა გამოიყენოს შემეცნების ხერხები და ჩამოაყალიბოს ის აუცილებელი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო იმას, რომ ეს ის ფაქტებია, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, არამედ იმასაც, თუ მათი დადგენილად ცნობისათვის რა შემეცნებით-ლოგიკური ხერხებია გამოსაყენებელი და, შესაბამისად, რა პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები განსაზღვრავენ ამ ფაქტების დადგენილად ცნობას.

²⁹⁷ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 101.

²⁹⁸ Endemann W. Die Beweislehre des Civilprozesses. Heidelberg, 1860. S. 89/Каминская В. И. Учение о правовых презумпциях в уголовном процессе. с 77; Дормилонтов Г. Ф. Мот. ნაშრომი. გვ. 27; Штейнберг А. Предположения как докзательства в гражданском процессе// Сов. юстиция 1940. № 13. с. 13 ციტირებულია Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 102.

²⁹⁹ http://planetadisser.com/see/dis_167034.html .

³⁰⁰ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 105

IV. ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შემოწმების პროცესის ზოგიერთი თავისებურება.

4.1. მტკიცებითი საქმიანობის ზოგიერთი თავისებურება

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებებთან მიმართებით ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირი იკვეთება ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის კანონიერების შემოწმებისას, ე.ი. მაშინ, როდესაც საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებზე.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმების, გამოკვლევისა და შეფასების წესები მისი დარღვევის, უარყოფის თანაფარდობის განხილვის გარეშე. ამისათვის მნიშვნელოვანია უშუალოდ მტკიცების პროცესისა და მისი ყველა ელემენტის განხილვა, ანუ საპროცესო-სამართლებრივი დანაწესების განხილვა, რაც გახდა დარღვევის საგანი. ამის შემდეგ შეიძლება გამოვკვეთოთ საკასაციო სასამართლოსათვის კანონიერების აღსადგენად დადგენილი სამართლებრივი კრიტერიუმები.

ამდენად, გასარკვევია, რა არის მტკიცებითი საქმიანობა და რა შემხებლობა გააჩნია მასთან საკასაციო სასამართლოს?

ყველაზე მოკლედ მტკიცება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისათვის იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების საქმიანობა. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძვლად თავიანთ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები.³⁰¹

ჩვენ ხაზი გავუსვით შეჯიბრებითობის განსაზღვრის მექანიზმს, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს, თუ რა მჭიდრო კავშირია ფაქტობრივი გარემოებებსა და მტკიცებულებებს შორის მტკიცების პროცესში. მტკიცების პროცესში შეუძლებელია ეს ორი ინსტიტუტი წარმოვიდგინოთ ერთმანეთის გარეშე.

გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების ფარგლები განისაზღვრება ამ ფაქტების დადგენისათვის არსებული საპროცესო წესების დაცვის შემოწმებით.³⁰²

³⁰¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი.

³⁰² თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 522

შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ საკასაციო სასამართლო პროცესუალური დარღვევების კუთხით გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმებისას, ამ დარღვევების შემეცნებას, ახორციელებს პროცესუალური ფაქტების დამდგენი მტკიცებულებების მეშვეობით. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ფაქტს “უყურებს” მტკიცებულებების მეშვეობით.

მტკიცებითი საქმიანობა უკავშირდება მტკიცების საგანს და მიმართულია ობიექტურად არსებული მტკიცების საგანში (იხ. § 3.3.) შემავალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-უარყოფის დადასტურებისაკენ.

მტკიცებითი საქმიანობა, პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით სასამართლოს წინაშე მხარეთა პოზიციების ჭეშმარიტების დადასტურებას.³⁰³ პროცესუალურ სამართალში, მტკიცებულებითი თეორიაში ხშირად ამ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობდნენ და სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ ჭეშმარიტების არსის შესახებ.³⁰⁴ მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავაზუსტოთ, თუ რას წარმოადგენს ჭეშმარიტება მტკიცებულებათა თეორიაში და საბოლოოდ რა მიზანს ისახავს პროცესუალური დარღვევების შემოწმება საკასაციო სასამართლოში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოზიტიურ სამართლებრივ ჭრილში ჭეშმარიტების განსაზღვრას გააჩნია მეტად დიდი მნიშვნელობა. როგორც აღინიშნა, მტკიცებითი საქმიანობა ხორციელდება მტკიცებითი საშუალებებით (სახეებით). კონკრეტული მტკიცებულებები ფასდება მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე.³⁰⁵ ხოლო შინაგანი რწმენა პირდაპირპროპორციულია ჭეშმარიტების დადგენის პროცესთან.

ჰეგელი აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტება ფილოსოფიაში წარმოადგენს მის შესაბამისობას რეალობის ცნებასთან.³⁰⁶

ჩვენ შემთხვევაში რეალობის ათვლის წერტილს წარმოადგენს პოზიტიურ-სამართლებრივი დანაწესები, რომელთა დაცვით არის გარანტირებული მოსამართლის მიერ ამ რეალობის დანახვის შესაძლებლობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზუსტად ამაში გამოიხატება სამართლის ლოგიკის მნიშვნელობა, ანუ ლოგიკური ათვლის წერტილის არჩევაში, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს სამართლებრივი ნორმა.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჭეშმარიტების პოზიტიურ-სამართლებრივ შინაარსს საფუძვლად უდევს შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლის თანახმად, მატერიალური ჭეშმარიტების პრინციპი გარდაიქმნება ფორმალური ჭეშმარიტების

³⁰³ Е. В. Васильковский. Учебник гражданского процесса. 2-у изд. М. 1917 (ციტირებულია М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 94)

³⁰⁴ <http://www.msk-arbitr.ru/upload/article.php?id=372>

³⁰⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

³⁰⁶ Гегель. Философия права. Изд. Мысль. М. 1990г. стр.85

პრინციპად.³⁰⁷ ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ჭეშმარიტების კრიტერიუმს წარმოადგენს პრაქტიკა.³⁰⁸

სამართალშეფარდებითი აქტის რომელიმე ლოგიკური ოპერაციისადმი რედუცირების შეუძლებლობა ცხადი ხდება იურიდიული ნორმისა და სასამართლო გადაწყვეტილების შეფარდებისას. სამართლებრივი ნორმა წარმოადგენს არამართო ლოგიკური ოპერაციის ათვლის წერტილს, არამედ ის არის მომზადებული გადაწყვეტილება, განსაზღვრული და წარმოდგენილი შემთხვევა მოსამართლისათვის.³⁰⁹

ზუსტად ამ ლოგიკური ათვლითი წერტილით მოცემული შემთხვევის დადასტურებისათვის პროცესუალური შესაძლებლობების გამოყენების კანონზომიერების დაცვით მიღებული შედეგი წარმოადგენს ჭეშმარიტებას პოზიტიურ სამართლებრივი გაგებით (ფორმალური ჭეშმარიტება). აღნიშნული ჭეშმარიტების დადგენაში გამოიხატება მტკიცებითი პროცესის შემოწმების მიზანი.

აქედან გამომდინარე, პროცესუალური დარღვევების შემოწმება საკასაციო სასამართლოში უკავშირდება ფორმალური ჭეშმარიტების მიღების წინაპირობების სწორად განსაზღვრას.

მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ჭეშმარიტება კონკრეტულ შემთხვევაში იზომება სასამართლოს დარწმუნების ხარისხით, რომლის არსი ვლინდება შეჯიბრებითობის პრინციპში.

ამავე დროს, სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ სასამართლო წყვეტს მტკიცებულებათა სარწმუნოების საკითხს, მათში მოცემული შინაარსის სინამდვილისა თუ სიცრუის თაობაზე, რაც საკმარისი უნდა იყოს სწორი დასკვნების გასაკეთებლად.³¹⁰

“გერმანულ სამართალწარმოებაში სასამართლო დარწმუნებაში იგულისხმება საბოლოო დარწმუნება. მხოლოდ ვარაუდის გადაღახვა არ არის საკმარისი. ასევე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში სასამართლო დარწმუნების ფორმების დროს არ არის აუცილებელი სიზუსტე. აღნიშნული საქმის მონაცემებში, მთავარია ვარაუდის მხოლოდ ისეთი ხარისხი, რომელიც სასამართლოს ეჭვებს გაუფანტავს განსახილველ საქმეზე.”³¹¹

შეიძლება ვიფიქროთ, რომ შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებების შეფასება უკავშირდება ზემოთ განხილული

³⁰⁷ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 92

³⁰⁸ თ. ლილუაშვილი, “სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულება”. საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები. თბ. 1977წ., გვ 21

³⁰⁹ Ян Шап, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 38

³¹⁰ М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 166\ასევე იხ. К. И. Комиссаров. Задачи судебного надзора в сфере гражданского судопроизводства. Свердловск. 1971г. стр., 45

³¹¹ ნ. ხოფერია. მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში. თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული “75”, გვ. 340

ჭეშმარიტების განსაზღვრას. ამ მტკიცებულებებიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენისათვის ინფორმაციის ნამდვილობისა და საკმარისობის მიღება უკავშირდება შინაგანი რწმენის იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ ასპექტებს.³¹² ამდენად, შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება ემორჩილება გარკვეულ პროცესს, რომლის განმავლობაში მოსამართლე თანმიმდევრულად, მტკიცებულებათა სამართლებრივი და ლოგიკური მხარეების შეფასებით აკეთებს დასკვნებს დასადგენი ფაქტების თაობაზე. რაც მთავარია, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი რწმენა შემოწმებას არ ექვემდებარება. შესაძლებელია მხოლოდ იმ წინაპირობების შემოწმება, რაც საკმარისია შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისათვის. ამდენად, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასებისას დაშვებულ დარღვევებს აუცილებლად სწორად უნდა განსაზღვროს შემოწმების ფარგლები, რომელშიც არ შედის ამ მტკიცებულებათა შემფასებელი მოსამართლის შინაგანი რწმენა.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მტკიცებით საქმიანობაში მონაწილეობენ როგორც მოსამართლე, ასევე - მხარეები. ამდენად, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას ფაქტობრივად უწევს მტკიცებითი საქმიანობაში სასამართლოს საქმიანობის შემოწმება.

ჰეგელი აღნიშნავდა, რომ უსაფუძვლოა იმის მითითება, რომ მხოლოდ მოსამართლეები ადგენენ საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან ყველა ადამიანს შესწევს ამის უნარი, ვისაც არ გააჩნია იურიდიული განათლება.³¹³

რა თქმა უნდა, ჩვენის მხრივ აღვნიშნავთ, რომ მტკიცებით საქმიანობაში მონაწილეობენ როგორც სასამართლო, ასევე ის სუბიექტები, რომელზედაც შეიძლება გავრცელდეს ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები, ანუ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა (მხარეები, თანამონაწილეები, კერძოდ, მოსარჩელე, მოპასუხე, თანამოსარჩელე, თანამოპასუხე, აგრეთვე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე).³¹⁴ სასამართლო არ შეიძლება იყოს დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) სუბიექტი³¹⁵, მაგრამ სასამართლო პასუხისმგებელია მტკიცებითი საქმიანობის განხორციელებისას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მტკიცების საგნის განსაზღვრაში, მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფისას, სასამართლო დავალებების გაცემისას და ა. შ.³¹⁶ და რაც მთავარია - საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად ცნობაში.

³¹² http://society.polbu.ru/koblikov_legalethics/ch23_i.html

³¹³ Гегель. Философия права. Изд. Мысль. М. 1990г. стр.262

³¹⁴ თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 225

³¹⁵ იხ. იქვე, გვ. 225

³¹⁶ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 29

ამდენად, როგორც სასამართლოს, ასევე მტკიცების საქმიანობის სხვა სუბიექტებს გააჩნიათ კანონით გათვალისწინებული უფლებავალდებულებები, რომლის ფარგლებშიც ისინი ახორციელებენ მტკიცებით საქმიანობას, მაგრამ საკასაციო სასამართლოს მიერ შემოწმებას ექვემდებარება მტკიცებითი პროცესში მხოლოდ სასამართლოს საქმიანობა.

გერმანული მტკიცებულებითი თეორიის მსგავსად შეიძლება გამოვყოთ მტკიცების სტრუქტურული ელემენტები, რომლებსაც წარმოადგენს ფაქტების მტკიცებულებათა საშუალებებით დადასტურება და მტკიცებულებების შეგროვება, მოძიება და შეფასება.³¹⁷

ამასთან ერთად, მტკიცებას გააჩნია გარეგანი და შინაგანი მხარეები. აღნიშნულთან მიმართებით, გამოვყოთ მტკიცებულებითი საქმიანობის ზოგიერთი თავისებურებები, რომლებიც ვლინდება **სამართლებრივ და ლოგიკურ მხარეებში**, რაც თან სდევს მტკიცების მთელ პროცესს.

მტკიცებითი საქმიანობის ზემოაღნიშნული მხარეები ფაქტობრივად წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ მტკიცებითი პროცესის შემოწმების კრიტერიუმებს, რაც, შესაბამისად, მოიცავს მტკიცების სტრუქტურულ ელემენტებს.

სამართლებრივ მხარეში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ ის სამართლებრივი დანაწესები, რომლებიც განსაზღვრავენ მტკიცებითი საქმიანობის ფორმას. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ პროცესუალური მტკიცების სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს არა მარტო პროცესუალური, არამედ მატერიალური სამართალიც.

პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს მტკიცებით საქმიანობას გააჩნია ზოგადი და სპეციალური ხასიათი. ზოგადი შესაბამისად მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგად დებულებებში, რომლებიც საერთოა მთელი პროცესუალურ მტკიცებითი საქმიანობისათვის, ხოლო სპეციალური - განსაკუთრებულ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული პროცესუალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ სპეციალურ დანაწესებს.

მტკიცებით პროცესთან მიმართებით სპეციალური ხასიათის პროცესუალური ნორმები, პროცესუალური ურთიერთობის სამართლებრივ-რეგულაციური თვალსაზრისით თავის მხრივ შეგვიძლია დავყოთ როგორც **სასამართლო ინსტანციურობის, ასევე სამართალწარების სახეობისა და სტადიების მიხედვით**. მაგალითად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისას, სხვა გარემოებების გარდა განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს, რომ მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ

³¹⁷ ნ. სოფერია. მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში. თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული “75”, გვ. 341

ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას და ა.შ.

როგორც აღინიშნა, მტკიცებით საქმიანობაზე ასევე გავლენას ახდენენ მატერიალურ-სამათლებრივი ნორმებიც. ამ მხრივ არ შეიძლება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების როლის შემცირება სამოქალაქო პროცესუალური მტკიცებითი³¹⁸ საქმიანობის განხორციელებაში. ფაქტობრივად მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავენ ხშირ შემთხვევაში, თუ რა მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, როგორ უნდა მოხდეს მტკიცების ტვირთის განაწილება, პრეზუმფციის როლი მტკიცების ტვირთის განაწილებისას. არ შეიძლება დადასტურდეს გარემოებები ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებითაც დასტურდება სხვა გარემოებები და ა.შ.³¹⁹

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებითი საშუალებების გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების სწორ ანალიზს, რომლის საფუძველს, შესაბამისად, წარმოადგენს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა.

პროცესუალური ფორმის გარდა მტკიცებითი საქმიანობისათვის დამახასიათებელია რეტროსპექტიული და რეკონსტრუქციული ფორმა.³²⁰ აღნიშნული ფორმის მთავარი ამოცანაა, აღდგენილ (რეკონსტრუირებულ) იქნეს ის, რასაც ჰქონდა ადგილი წარსულში.³²¹ შესაბამისად, იმ ცოდნის, ინფორმაციის მიღება, რაც გააჩნია მტკიცებულებას დასადგენი ფაქტის თაობაზე, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ლოგიკური ოპერაციების გარეშე.

ამდენად, ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა “ხიდი”, რომელიც აკავშირებს სამართლებრივ და ლოგიკურ მიდგომებს ერთმანეთთან. მტკიცებითი საქმიანობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არა მარტო სამართლებრივი მხარის, არამედ ლოგიკური პროცესების გამოყენების გარეშე. მტკიცებას პროცესში, როგორც ლოგიკა-სამართლებრივ საქმიანობას, რომელიც მიმდინარეობს სამოქალაქო საპროცესო ფორმის სახით, გააჩნია ფაქტების რეალური სურათის აღდგენის მიზანი.³²²

აქედან გამომდინარე, მტკიცებითი საქმიანობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემეცნების პროცესის გარეშე, რადგან მტკიცება წარმოადგენს შემეცნების პროცესის ნაირსახეობას, რა დროსაც ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული შემეცნების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დაკვირვება, აღწერა, აღმოჩენის და ფიქსაციის მეცნიერულ-ტექნიკური,

³¹⁸ იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვიხილავთ მტკიცებას სამოქალაქო პროცესში ჩვენ ვიყენებთ ტერმინ “სამოქალაქო საპროცესო მტკიცება” და არა “სასამართლო მტკიცება”.

³¹⁹ ასევე იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 17

³²⁰ იხ. იქვე, გვ., 25

³²¹ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 25-26/შეად. С. В.

Курылев. Основы теории доказывания в советском правосудии. Минск. 1969. стр. 134

³²² М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 50

ექსპერიმენტული მეთოდები, გაზომვა, გამოანგარიშება, მოდელირება, რესტავრაცია და რეკონსტრუქცია.³²³

არსებობს სხვადასხვა ტიპის მეთოდების კლასიფიკაცია, რომელიც ერთობლიობაში ქმნის მეთოდოლოგიას, რომელიც გაგებულ უნდა იქნეს აგრეთვე როგორც თეორიული და პრაქტიკული პრინციპებისა და საშუალებების სისტემის ორგანიზაცია და აგებულება.³²⁴

მაგრამ ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო მტკიცება, როგორც შემეცნების ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის განხორციელების ფორმულა მოცემულია სამართლებრივ ნორმაში.

იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცების მიზანია იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, უნდა აღინიშნოს ამ ფაქტების რეტროსპექტიულ-რეკონსტრუქციული ხასიათი, რომელიც პროცესის მონაწილე სუბიექტებს ავალდებულებს დასადგენი ვითარების აღდგენას, თავისთავად მოითხოვს უშუალო და შუალობით შემეცნებას. აღნიშნული შემეცნების სახეები მჭიდროდ არის დაკავშირებული მტკიცებულებათა სხვადასხვა საშუალებასთან.

ძირითადად პროცესუალური მტკიცება ხორციელდება შუალობითი შემეცნების სახით, რადგან ხშირად ხდება ზუსტად ისეთი გარემოებების დადგენა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და აუცილებელია სხვადასხვა მტკიცებულების გამოყენებით აღდგეს წარსულში მომხდარი სინამდვილე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროცესუალური მტკიცება უშუალო შემეცნებით არ ხორციელდება. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოში აუცილებელი ხდება ისეთი გარემოებების დადგენა, რომლებიც განაგრძობენ არსებობას საქმის განხილვის დროს (მაგალითად, ადგილზე დათვალიერება, ნივთობრივი მტკიცებულებების დათვალიერება და ა.შ.). “სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გრძნობადი აღქმის გზით დადგენის დასაშვებობა შეიძლება იმით დასაბუთდეს, რომ ასეთი აღქმისას საჭირო არ არის ლოგიკური, აზრობრივი პროცესების ჩარევა, რადგან ემპირიულ საფეხურზე ხდება ფაქტის მხოლოდ კონსტატაცია.”³²⁵

შესაბამისად, მტკიცებითი საქმიანობა - ეს ისეთი პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელსაც გააჩნია გარკვეული სტადიები და მისი სუბიექტების უფლება-ვალდებულებები. ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ მტკიცებითი საქმიანობაში მონაწილეობენ როგორც პროცესის მხარეები, ასევე სასამართლო. მაგრამ მტკიცებითი საქმიანობის ყოველ სუბიექტს გააჩნია კანონით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილება, რომლის თავისებურებები ვლინდება მტკიცებითი საქმიანობის სხვადასხვა სტადიაზე. ი. რეშეტნიკოვა გამოყოფს მტკიცებითი საქმიანობის რამდენიმე სტადიას. ესენია:

³²³ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 26/Ф. Н. Фоткулин. Общие проблемы процессуального доказывания. Казань-стр.,40-41.

³²⁴ <http://istina.rin.ru/cgi-bin/print.pl?sait=3&id=3763>.

³²⁵ თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 206.

მტკიცების საგნის განსაზღვრა; მტკიცებულებათა შეგროვება; მტკიცებულებათა გამოკვლევა სასამართლოში; მტკიცებულებათა შეფასება.³²⁶ აქვე იგი ასკვნის, რომ სამოქალაქო საპროცესო მტკიცების სტადიები – ეს არის გარკვეული, პროცესუალური სუბიექტების თანმიმდევრული მტკიცებითი საქმიანობა, რომელიც ურთიერთკავშირშია სამოქალაქო პროცესის სტადიებთან.³²⁷ არ შეიძლება არ დავეთანხმეთ აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ აქვე მიუთითებთ, რომ სტადიებად დაყოფილი ზემოაღნიშნული მოქმედებების მთავარ მიზანს წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. იმისათვის, რომ სწორად განხორციელდეს მტკიცებულებათა შეგროვება, მათი გამოკვლევა და შეფასება, უპირველეს ყოვლისა, სწორად უნდა განისაზღვროს დასადგენი ფაქტების წრე. მაგრამ ყოველივე ამისათვის აუცილებელია პასუხისმგებლობის განაწილება მტკიცებისას, რასაც უზრუნველყოფს მოსამართლე. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულ სტადიებთან ერთად, ასევე უნდა მოვიზროთ მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცება, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენს პროცესს, რომელშიც უნდა განვასხვაოთ მისი შინაგანი და გარეგანი მხარეები. მის შინაგან მხარეს წარმოადგენს ლოგიკურ-ფსიქოლოგიური აზრობრივი მხარე, ხოლო გარეგანს წარმოადგენს პრაქტიკული, პროცესუალური მხარე.³²⁸ მტკიცებით საქმიანობაში არგუმენტაციას (რაც ლოგიკური ოპერაციის მსგავსად ხორციელდება) გააჩნია დიდი მნიშვნელობა, რადგან მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს და ასევე მონაწილეობენ მათ გამოკვლევასა და შეფასებაში. ამ გაგებით მტკიცებითი საქმიანობა გამოიხატება მოსაზრებებისა და შედეგების დასაბუთებასა და სასამართლოს დარწმუნებაში.³²⁹

მტკიცებითი საქმიანობის საშენ მასალას წარმოადგენს მტკიცებულება, რომელიც არის პროცესუალური საშუალება, რითაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, რაც მიიღება და გამოიკვლევა კანონით დადგენილი წესების დაცვით.

მტკიცების ზემოაღნიშნული გარეგანი და შინაგანი მხარეები ვლინდება მტკიცებულებების რაობაში. ზუსტად ამ მტკიცებულებების მეშვეობით ხდება ფაქტიური სიტუაციის აღდგენა, დანახვა.

ამდენად, მტკიცებულების შინაარსი გამოიხატება იმ ინფორმაციაში, ცოდნაში, რომელსაც ის ატარებს დასადგენი ფაქტის თაობაზე. ხოლო ფორმაში იგულისხმება მისი პროცესუალური საშუალება, რომელიც მკაცრად არის განსაზღვრული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და

³²⁶ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 37 ასევე იხ. С.С. Алексеев. Общая теория права. т.2, М.1982г., с.336.

³²⁷ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 25.

³²⁸ Н. М. Коршунов. Ю. Л. Мареев, Гражданский процесс. Изд. Норма. М. 2008. стр 236.

³²⁹ А.А. Эйсман. Логика доказывания. М. 1971\ციტირებულია С.С. Алексеев. Общая теория права. т.2, М.1982г., с.337.

ითვალისწინებს ყოველი მტკიცებულებითი საშუალების გამოყენების ზოგად და განსაკუთრებულ, სპეციალურ წესებს.

მაგალითად, ნ. ხოფერია აღნიშნავს, რომ გერმანიის მტკიცებითი სამართლის თეორიაში მიღებულია მტკიცებულებების შემდეგ კლასიფიკაცია: 1. მტკიცების მიზნობრიობის მიხედვით განასხვავებენ სრულ მტკიცებულებებს და მტკიცებულებებს, რომლებიც ეხმარება განსაზღვრული ფაქტების აღბათობის დამტკიცებას. სრულად იწოდება მტკიცებულებები, რომელთა ჭეშმარიტებაში სასამართლო აბსოლუტურად დარწმუნებულია. ფაქტიურ მტკიცებად იწოდებიან მტკიცებულებები, რომელთა მეშვეობით დასტურდება სხვა ფაქტების სიმართლე ან სიცრუე. ძირითად მტკიცებულებად იწოდება მტკიცებულებები, რომლებსაც წარმოადგენენ მტკიცების ტვირთის მატარებელი მხარეები. ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებას, ან კონტრარგუმენტებს წარმოადგენენ მოწინააღმდეგე მხარის მიერ არსებული მტკიცებულებების უარყოფის საშუალებები. 2. მტკიცებულებების წარმოდგენის საშუალებების მიხედვით განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს. პირდაპირი მტკიცებულებით ხორციელდება სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის არსებობის უშუალო დადასტურება. ირიბი მტკიცებულება ეწოდება ისეთ მტკიცებულებას, რომელთა საგანია ფაქტი - მტკიცებები. 3. პროცესუალური ფორმის მიხედვით განასხვავებენ მკაცრ მტკიცებულებებს და თავისუფალ მტკიცებულებებს. მკაცრს უწოდებენ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც გათვალისწინებული სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობით. თავისუფალი მტკიცებულებები არ არის დამოკიდებული კანონით გათვალისწინებული მტკიცების საშუალებებზე. მაგალითად, უცხოური სამართლის კომენტარი, ცნობები.³³⁰

ამდენად, მტკიცებითი საქმიანობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რომლებიც ვლინდება პროცესუალურ-სამართლებრივ ფორმაში, ატარებს რეტროსპექტიულ-რეკონსტრუქციულ ხასიათს, იგი ავალდებულებს მხარეებს აღადგინონ მომხდარი შემთხვევის სურათი, რომელსაც გააჩნია კომპლექსური პროცესუალურ-სამართლებრივი და ლოგიკური მნიშვნელობა.³³¹ ამასთან ერთად მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმების და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.³³²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს პროცესუალური დარღვევის ფაქტები, რაც უკავშირდება მტკიცების საგნის განსაზღვრის, მტკიცების ტვირთის განაწილების, მტკიცებულებათა შეგროვების, მათი გამოკვლევისა და შეფასების

³³⁰ ნ. ხოფერია. მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში. თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული “75”, გვ. 344-345/ ასევე იხ. Н. М. Коршунов. Ю. Л. Мареев, Гражданский процесс. Изд. Норма. М. 2008. стр 236.

³³¹ ასევე იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 28.

³³² თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 208.

მართებულების შემოწმებას. შემოწმება მოიცავს მტკიცებითი საქმიანობის სამართლებრივ და ლოგიკურ მხარეებს, რომლის მიზანს წარმოადგენს ფორმალური ჭეშმარიტების დადგენა.

კონკრეტული თემატიკის გათვალისწინებით, ჩვენ არ ჩავურღმავდით მტკიცებით საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თეორიულ შეხედულებას. ჩვენ მხოლოდ ზოგადი დახასიათებით ვეცადეთ შეგვექმნა გარკვეული წარმოდგენა სამოქალაქო საპროცესო მტკიცებაზე რათა გამოკვეთილიყო მტკიცებითი პროცესის ზოგიერთი თავისებურება, რაც წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტს.

4.2. მტკიცებითი საქმიანობა და მისი შეფასება საკასაციო სასამართლოში

იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელი არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს, უნებლიეთ იბადება კითხვა: ხდება თუ არა მტკიცებითი საქმიანობა საკასაციო სასამართლოში, თუკი ცნობილია, რომ “**მხოლოდ ფაქტების და არა სამართლებრივი საკითხების დამტკიცებაა შესაძლებელი და აუცილებელი**”.³³³

სწორედ ამ შემთხვევაში უნდა მოვისმოთ მტკიცებითი საქმიანობა სასამართლო ინსტანციურობის თავისებურებების გათვალისწინებით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას, ასევე შეიძლება მტკიცების საგანში შედიოდეს ის პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღებაზე. (იხ. § 3.3.).

შესაბამისად, ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებიც მიუთითებენ პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევაზე, საჭიროებს კანონით დადგენილი წესით მტკიცებას. ამდენად, საკასაციო სასამართლოში ხორციელდება მტკიცებითი საქმიანობა, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და რომელიც არ შეიძლება გავაიგიოთ ზოგადად საპროცესო მტკიცების დამახასიათებელ საქმიანობასთან. **ზუსტად აღნიშნული მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრით უზრუნველყოფილია საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს მტკიცებითი პროცესის შემოწმება.**

უპირველეს ყოვლისა, მისი თავისებურება იმაშია, რომ კასატორს შეუძლია მიუთითოს იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ

³³³ ჰან ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 58. შეად. Marie-Noëlle Jabard-Bachellier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 49

საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.³³⁴ კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს ეძლევა უფლება საკასაციო საჩივრის წინააღმდეგ წარმოადგინოს წერილობითი პასუხი.³³⁵ მიუხედავად იმისა, რომ კანონში პირდაპირ არ არის მითითებული საკასაციო საჩივარზე შესაგებლის შინაარსის შესახებ, კანონის 399-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების თავი შეიცავს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში საქმის მომზადების მიზნით, სსსკ-ის 373-ე მუხლის დებულებათა მიხედვით და საკასაციო სასამართლოს ინსტანციური ფუნქციის თავისებურებების გათვალისწინებით, საკასაციო შესაგებელში ადეკვატური ასახვა უნდა ჰპოვოს საკასაციო საჩივარში³³⁶ მითითებული საკითხების გაბათილება-გაქარწყლების დასაბუთება-არგუმენტაციამ.

ამდენად, ამ პარაგრაფით განსაზღვრული კონტექსტის შინაარსის დაცვით შეიძლება ითქვას, რომ საკასაციო სასამართლოში მტკიცების საგანს წარმოადგენს კასატორისა და მისი მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებული პროცესუალური ხასიათის ფაქტები, რომლებიც დასაბუთებენ (ამართლებენ) საკასაციო საჩივრისა თუ საკასაციო შესაგებლის საფუძველს.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს მოსამართლის ბოჭვის თუ თავისუფლების ფარგლები. იმ შემთხვევაში, თუ კასატორი უთითებს პროცესუალურ დარღვევებზე, მოსამართლე შეიძლება გასცდეს საკასაციო საჩივრით მითითებული დარღვევების ბოჭვის ფარგლებს, მხოლოდ სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წესით.³³⁷ აღნიშნული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. კერძოდ, იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების, რომლებიც ადასტურებენ პროცესუალურ დარღვევებს, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.

ამ შემთხვევაში მეტად საინტერესოა მტკიცებითი საქმიანობის სპეციფიკა საკასაციო სასამართლოში და მოსამართლის როლი ამ საქმიანობაში. უპირველეს ყოვლისა, მიგვაჩნია, რომ დაკონკრეტებულ უნდა იქნეს საკასაციო სასამართლოში მოსამართლის მოქმედების ფარგლები, სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით.

სავსებით მართებულად არის მითითებული ერთ-ერთ სადისერტაციო ნაშრომში: “თეზა, რომ კანონი ყოველთვის მოსამართლეზე მაღლა დგას,

³³⁴ საქართვეოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი.

³³⁵ იხ. იქვე მე-400 მუხლი.

³³⁶ საქართვეოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შინაარსი.

³³⁷ თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 520.

არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოში ინდივიდის სამართლებრივი დაცვის გარანტიას.³³⁸”

ამავე ნაშრომში მითითებულია: “ამასთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით უნდა შეიზღუდოს. ეს იქნებოდა აღნიშნული პრინციპის მცდარი გაგება, რაც სამოსამართლო სამართლის დანიშნულებისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა. იმავდროულად მოსამართლე შებოჭილია სამართლით, რომელიც მას არ აძლევს უფლებას, კანონის ნორმა ცალკეულ შემთხვევებთან მიმართებით “ავტომატურად” გამოიყენოს, მაგალითად, მაშინ, თუ ის არ შეესაბამება სამართლის ზოგად პრინციპებს,³³⁹ ასწოროს კიდევ. მოსამართლის ამოცანაა კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას იპოვოს სამართალი.³⁴⁰”

იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის “მიერ გამოსაყენებელი ნორმის შინაარსის თანაშემოქმედია და არა - კანონის ტექსტის მექანიკურად განმხმოვანებელი.³⁴¹”

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს. ჩვენს შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში მტკიცების საგნის განსაზღვრას და ამ მტკიცებით საქმიანობაში მოსამართლის როლის დადგენას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი მოქმედების ფარგლების განსაზღვრისათვის, რასაც ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს.

აქედან გამომდინარე, იბადება ორი კითხვა: პირველი, აძლევს თუ არა ზემოაღნიშნული სამართლებრივი დანაწესები მოსამართლეს შესაძლებლობას, პროცესუალურ დარღვევებზე საკასაციო საჩივარში მითითების შემთხვევაში თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს მხოლოდ პროცესუალური დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუ ასევე უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტები, რომელზედაც მხარე არ უთითებდა; მეორე, შეუძლია თუ არა კასატორმა მიუთითოს პროცესუალურ დარღვევებზე საკასაციო სასამართლოში საქმის

³³⁸ Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und interessenjurisprudenz, Begriffsbildung und a und interessenjurisprudenz, 1932, S. 50 ციტირებულია, სოფიო ჩაჩავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., გვ. 46

³³⁹ Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 4” ციტირებულია, სოფიო ჩაჩავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., გვ. 43

³⁴⁰ Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und interessenjurisprudenz, Begriffsbildung und a und interessenjurisprudenz, 1932, S. 11; Lrenz/Wolf, Allgemeiner Teil des Burgerlichen RECHTS, 9. Aufl., 2004, &3, RdNr. 37 ციტირებულია, სოფიო ჩაჩავა,

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., გვ. 43.

³⁴¹ სოფიო ჩაჩავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., გვ. 43, ასევე იხ. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ. 2009, გვ. 65.

განხილვის დროს, როდესაც მას ამ დარღვევების თაობაზე არ ჰქონდა მითითებული საკასაციო საჩივარში მისი წარმოებაში მიღების სტადიაზე.

თავიდანვე უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მითითებული კითხვები არ ეხება იმ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველს, რადგან ამ პროცესუალურ დარღვევებთან დაკავშირებით მოქმედებენ განსხვავებული პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულირების საშუალებები.³⁴²

პირველ კითხვასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოს, რომ დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში (იხ § 1.3, § 3.2.) მითითებული ფაქტი³⁴³ წარმოადგენს პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის ფაქტს, უფრო ზუსტად, იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს არა მარტო პროცესუალურ დარღვევაზე, არამედ ასევე იმაზე, რომ ამ დარღვევის შედეგად იქნა გამოტანილი არასწორი გადაწყვეტილება, ანუ ეს დარღვევა წარმოადგენს არასწორი გადაწყვეტილების გამომწვევ შედეგს.³⁴⁴ აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს სამართლებრივ ნორმათა განმარტების სპეციფიკაცია, როდესაც დამხმარე ნორმების მეშვეობით ხდება გამოსაყენებელი სამართლის ნორმის შინაარსის დაზუსტება, დაკონკრეტება, როდესაც სამართლის ნორმის შემადგენლობის ნიშნები იკავებს სამართლებრივი შედეგის ადგილს.³⁴⁵ შესაბამისად, ამ სამართლებრივი შედეგის დადგომა თავის მხრივ უკავშირდება ახალ, უფრო კონკრეტულ შემადგენლობას. (იხ. § 3.1). ამ შემთხვევაში ყურადღება მივაქციოთ სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს, რომელიც კასატორს აძლევს უფლებას წარმოადგინოს დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება), რომლითაც უარყოფილია ფაქტი-საფუძველი და, შესაბამისად, ვერ იქნება გამოყენებული პრეზუმირებული ფაქტი (იხ § 3.2.). მაგრამ იმისათვის, რომ დავაკონკრეტოთ ამ ნორმაში მოცემული დანაწესი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის (შედავების) შინაარსის გასაგებად, ჩვენ უნდა გამოვეყოთ და “დაუპირისპიროთ” აღნიშნული ინსტიტუტი დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სავალდებულოდ გასათვალისწინებელ ინსტიტუტს (იხ. § 3.2.) და განვსაზღვროთ მისი არსებითი ნიშნები სპეციფიკაციის მეშვეობით.

ამისათვის უნდა განვსაზღვროთ ზოგადად საკასაციო საჩივრის შემოწმების ფარგლები, რომლის პროცესუალურ-სამართლებრივი დანაწესი მოცემულია სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული ნორმა აკონკრეტებს, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს პროცესუალური დარღვევის ფაქტები იმ შემთხვევაში (ამავე კოდექსის 396-ე მუხლის პირველი

³⁴² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი.

³⁴³ იხ. იქვე 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე ამავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი, ასევე ამავე კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი.

³⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ასევე იხ. Civ. 1-er, 12 juill. 1989, Bull.civ. I, n 288/ციტირებულია, К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.121.

³⁴⁵ Ян Шапп, Система германского гражданского права, М. 2006г. с. 25.

ნაწილის “ვ” ქვეპუნქტის დანაწესი), თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება, ე.ი. როდესაც ამ დარღვევის შესახებ (ფაქტი) უთითებს კასატორი.

მაგრამ სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე, როდესაც ხდება ამ ფაქტის დადასტურება, ანუ პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის დამტკიცება. არც ერთ ზემოაღნიშნულ ნორმაში არ არსებობს მოსამართლის ბოჭვა თავისი ინიციატივით პროცესუალური დარღვევის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებათა შემოწმებაზე. პირიქით, მოსამართლეს შეუძლია შეამოწმოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს პროცესუალურ დარღვევებს. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა უკავშირდება პროცესუალურ-სამართლებრივ ჭრილში მტკიცების სტადიების განსაზღვრას.

ამდენად, დამხმარე სამართლის ნორმების მეშვეობით სპეციფიკაციის პრინციპის გამოყენება, სამართლის ნორმის სისტემური განმარტების ხერხების გამოყენებით და საკასაციო სასამართლოს ინსტანციურობის³⁴⁶ გათვალისწინებით შესაძლებელს ხდის, სწორად განიმარტოს პროცესუალური დარღვევების შემოწმების წესი.

დასკვნის სახით პირველ კითხვაზე შესაძლებელია გავცეთ შემდეგი პასუხი: საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით გაამახვილოს ყურადღება პროცესუალური ნორმების დარღვევის ფაქტებზე. მხოლოდ კასატორის მიერ ამ ფაქტებზე მითითების შემდეგ, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევის ფაქტებს.

შემდეგ კითხვაზე პასუხი ფაქტობრივად გამომდინარეობს ზემოაღნიშნული პროცესუალური დანაწესებიდან. მაგრამ ამასთან ერთად მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ შემდეგი: პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული მტკიცებითი საქმიანობისას, ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, დაცული უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებული შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოში საქმეთა წარმოების მომწესრიგებელი ნორმებით პირდაპირ არ არის მითითებული ის სამართლებრივი დანაწესი, რომლის თანახმად საკასაციო საჩივრის განხილვის დროს კასატორს აეკრძალებოდა პროცესუალურ დარღვევებზე მითითება და, შესაბამისად, მტკიცებულებების წარმოდგენა, თუ მან თავის დროზე ეს უფლება არ გამოიყენა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ კანონით გათვალისწინებული ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობები უნდა განიმარტოს იმ პრინციპებთან შესაბამისობაში, რომლებიც წარმოადგენენ სამართალწარმოების განხორციელების საფუძველს.³⁴⁷

³⁴⁶ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ისეთი არსებითი ნიშანი, როგორცაა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების სამართლებრივი მხარე (იხ. § 1.3).

³⁴⁷ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლები.

ამრიგად, მეორე კითხვის პასუხად უნდა აღინიშნოს, რომ კასატორს საკასაციო საჩივრის განხილვის სტადიაზე აღარ უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ მიუთითოს პროცესუალურ დარღვევებზე და წარმოადგინოს ამის დასადასტურებელი მტკიცებულებები, რადგან ამით შესაძლებელია არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს კასატორის მოწინააღმდეგე მხარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მტკიცების საგანს საკასაციო სასამართლოში შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პროცესუალური დარღვევის ფაქტები, რომლებზეც შეუძლია მიუთითოს კასატორმა მხოლოდ საკასაციო საჩივრის წარდგენის მომენტში და რომელთა დასადასტურებლად საკასაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია შეამოწმოს საამისოდ განკუთვნილი მტკიცებულებები, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მტკიცებითი პროცესის შემოწმება.

4.3. მტკიცებითი პროცესის შეფასების ზოგიერთი სამართლებრივი და ლოგიკური კრიტერიუმები

საკასაციო სასამართლოში მტკიცების საგნისა და მტკიცებითი საქმიანობის ზემოაღნიშნული თავისებურებები განსაზღვრავენ სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მთელი პროცესის შემოწმების სპეციფიკას. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავისებურებები ეხება მტკიცებითი საქმიანობის იმ მხარეებს, რომლებშიც გამოკვეთილია მოსამართლის როლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: კონკრეტულად რა ფაქტებზეა საუბარი, ანუ რა პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც უთითებენ მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტების დადგენასთან დაკავშირებულ პროცესუალურ დარღვევებზე.

წინა პარაგრაფში გაკეთებული დასკვნების მიხედვით, საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს: 1. მტკიცების საგნის განსაზღვრას; 2. მტკიცების ტვირთის განაწილების შეფასებას; 3. მტკიცებულების დასაშვებობის, განკუთვანადობისა და გამოკვლევის შეფასებას; 4. მტკიცებულების შეფასებას.

რაც შეეხება მტკიცების საგანს, მისი სწორად განსაზღვრა აუცილებელია მტკიცების პროცესის სხვა, დანარჩენი სტადიებით მოცემული საქმიანობის სწორად ჩარმართვისათვის. ამ სტადიის მნიშვნელობის თაობაზე ჩვენს ყურადღება გავამახვილეთ მტკიცების

საგნის დახასიათებისას (იხ. § 3.3). კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მტკიცების ტვირთის განაწილების შეფასების, მტკიცებულების დასაშვებობის, განკუთვნილობისა და გამოკვლევის შეფასებასა და მტკიცებულების შეფასების ზოგიერთ საკითხს, რადგან, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, აღნიშნული სტადიები წარმოადგენს მტკიცებითი საქმიანობის რეალიზაციის პროცესს.

მითითებული სტადიების შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისად, შეიძლება დავეყნოთ მტკიცების გარეგანი და შინაგანი ფორმების მიხედვით: **1. სამართლებრივი და 2. ლოგიკური.**

სამართლებრივი შემოწმების კრიტერიუმები, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ლოგიკური ოპერაციების გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

იმის გასარკვევად, დაუშვათ თუ არა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული პროცესუალური მოქმედებების განხორციელებისას დარღვევა, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესებით, რომლებიც შემოწმების ერთიანი სისტემის შემადგენელი ელემენტები არიან. მაგრამ ამ სისტემის ორივე ელემენტის გამოყენება შესაძლებელია გარკვეული რიგითობის დაცვით, კერძოდ: საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დარწმუნდეს იმ პროცესუალურ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობაში, რომლებზეც უთითებს კასატორი და რომლებიც მას აძლევენ უფლებამოსილებას შეამოწმონ, თუ რამდენად მართებულად გადაწყვიტა ან შეაფასა მტკიცებულებათა განკუთვნილობის, დასაშვებობის და ა.შ. საკითხი სააპელაციო სასამართლომ, აღნიშნული მითითებების არსებობის შემთხვევაშიც.

აღნიშნულ წინაპირობებს, რომლებსაც გააჩნია კანონით დადგენილი რეგულაციის თავისებურებები, განეკუთვნება **მტკიცებულებების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობები** (მაგალითად, აღძრულია თუ არა შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვისა თუ წარმოდგენის შესახებ; თუ მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი საქმის მომზადების ეტაპზე, ხოლო შუამდგომლობა მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ აღძრულია საქმის განხილვის მთავარ სხდომაზე, მისი წარმოდგენის რა საპატიო მიზეზი არსებობს და ა.შ.). **მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობები**, როგორც წესი, არ მოითხოვს მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებას და ძირითადად ატარებს პროცედურულ შინაარსს.

მტკიცებულების გამოკვლევასთან დაკავშირებული წესები (დაცულია თუ არა მტკიცებულებების დასაშვებობა, განკუთვნილობა, გამოკვლევა-შეფასება, სწორად არის თუ არა გადანაწილებული მტკიცების ტვირთი) წარმოადგენს პროცესუალურ ფორმას და ატარებს იმპერატიულ ხასიათს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ **მტკიცებულებების მიღება-გამოთხოვის წინაპირობების პროცესუალური წესების** დაცვა, ფაქტობრივად წარმოადგენს მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოთხოვის შუამდგომლობის განხილვის პროცესუალურ-სამართლებრივ მექანიზმებს.

მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი უშუალოდ მტკიცებულების შეფასება (ფართო გაგებით, იხ, § 4.3.3.) მისი დასაშვებობის, განკუთვნიანობის და ა.შ. მიზნით. ამდენად, **მტკიცებულების გამოკვლევასთან დაკავშირებული წესები**, პროცესუალურ-სამართლებრივ დანაწესებთან ერთად, აუცილებლად მოითხოვს საქმის მატერიალურ-სამართლებრივი მხარეების გათვალისწინებას.

ამდენად, როდესაც კასატორი უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებზე, საკასაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, თუ დარღვევის რომელ ფაქტზე უთითებს იგი: **მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალურ წინაპირობებზე** თუ **მტკიცებულების გამოკვლევასთან დაკავშირებულ წესებზე**.

ამასთან ერთად, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკასაციო საჩივარში პროცესუალური მითითებების შინაარსს, იმას, თუ რამდენად ზუსტად უნდა ასახავდეს ეს მითითებები პროცესუალური დარღვევის რაობას.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უფრო დაწვრილებით უნდა დავახასიათოთ საკასაციო საჩივარში პროცესუალური მითითებების შინაარსის მნიშვნელობა, მტკიცებულებების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობების ზოგიერთი თავისებურება და, ასევე, მტკიცებულების განხილვასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება.

4.3.1. კასატორის მითითება პროცესუალურ დარღვევაზე საკასაციო საჩივარში

აღნიშნული წინაპირობა დამახასიათებელია ნებისმიერი პროცესუალური დარღვევის შემოწმებისათვის.

საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუდგება პროცესუალური დარღვევების შემოწმებას, თუ მათ შესახებ მითითებულია საკასაციო საჩივარში. ვფიქრობთ, რომ მოსამართლეს უფლება აქვს, თავისი ინიციატივით შეამოწმოს მხოლოდ ის პროცესუალური დარღვევები, რომლებიც წარმოადგენენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველს, სსსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად (მაგალითად, საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი. და ა.შ.).³⁴⁸ აღნიშნული დარღვევები უფრო ეხება იმ პროცედურულ საკითხებს, რაც არ უკავშირდება საქმისათვის მნიშვნელოვანი, საძიებელი ფაქტების დადგენას. ამდენად, მათ ჩვენ არ ვეხებით განსახილველ თავში, გარდა სსსკ-ის 394-ე მუხლის “ე” და “ე1” ქვეპუნქტების შემთხვევებში, რაზედაც ყურადღებას მოგვიანებით გავამახვილებთ.

³⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი.

რაც შეეხება ჩვენ მიერ განსახილველ პროცესულურ დარღვევებს, რომელთა შედეგად არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, უნდა აღინიშნოს, რომ კასატორის მითითებებზე არის დამოკიდებული შემოწმების შედეგები.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, უპირველეს ყოვლისა, ამოწმებს მოტივაციის არსებობას, რომლის საფუძველზე საქმე განხილულია არსებითად, რაც გარკვეულწილად წარმოადგენს კონტროლს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. ამის შემოწმების წინაპირობას წარმოადგენს საკასაციო საჩივარში არსებული პრეტენზიები, რომლებიც უთითებენ ფაქტების დადგენასა და შეფასებასთან დაკავშირებულ გარემოებებზე (*constatations et appreciations de fait*), ასევე რომელ მტკიცებულებებს ეყრდნობა მოტივაცია და ა.შ.³⁴⁹

მაგრამ ამასთან ერთად იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა საკასაციო საჩივარი მხოლოდ ზოგადად შემოიფარგლოს იმით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა პროცესულური დარღვევების საფუძველზე და არ იყოს დაკონკრეტებული, თუ რაში გამოიხატა ეს დარღვევა.

ამ საკითხს გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც საკასაციო საჩივარში არ არის დაკონკრეტებული, თუ რაში გამოიხატა პროცესულური დარღვევები. სასამართლო პრაქტიკაში არის მოსაზრებები, რომელთა თანახმად, კასატორის ზოგადი მითითებები პროცესულურ დარღვევებზე წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლომ შეამოწმოს მათი არსებობის საკითხი.

ვფიქრობთ, რომ საკასაციო საჩივარში კასატორის მხოლოდ ზოგადი მითითებები პროცესულურ დარღვევებზე არ არის საკმარისი საკასაციო წესით მათი განხილვისათვის. ამასთან მიმართებით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პროცესულური დარღვევები წარმოადგენს იმ პროცესულურ ფაქტებს, რომლებსაც ახასიათებს გარკვეული თავისებურებები (იხ. შემდეგი საკითხი). მათი განსაზღვრის ფარგლები უკავშირდება სხვადასხვა პროცესულურ-სამართლებრივ დანაწესებს, რომლის სრული განმარტება, ხშირ შემთხვევაში მოითხოვს მატერიალურ-სამართლებრივი მხარეების გათვალისწინებას. შესაძლებელია პროცესულური დარღვევა უკავშირდებოდეს ლოგიკის წესების დარღვევას და ა.შ. (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ამდენად, როდესაც კანონი მოითხოვს, რომ კასატორმა უნდა მიუთითოს პროცესულურ ფაქტზე (იხ. § 4.2., § 4.3.), ვფიქრობთ, საკასაციო საჩივარში უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ იმისათვის, რომ ის შემოწმებადი გახდეს. მაგრამ მკითხველისათვის ცხადი ხდება, ჩვენი შეხედულების თანახმად არ ვამტკიცებთ იმას, რომ ამ პროცესულურ ფაქტზე კასატორის მითითება უნდა იყოს აბსოლუტურად ზუსტი. როგორც ჩვენ მიგვაჩნია,

³⁴⁹ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.118

პროცესუალურ ფაქტზე კასატორის მითითებას გააჩნია ზღვრული ნიშანი, რომლის დაბლა ის არ იქნება მიჩნეული, როგორც მითითება პროცესუალურ დარღვევებზე და ზღვარი, რომელიც წარმოადგენს იმ მაქსიმუმს, რითაც შეიძლება შემოიფარგლოს კასატორი. აღნიშნული ზღვარის მინიმუმისა და მაქსიმუმის არსებობა, ჩვენი შეხედულებით, განპირობებულია პროცესუალურ დარღვევებთან დაკავშირებული მტკიცებულებების საკასაციო სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით გამოყენებით (იხ. § 4.2). პროცესუალურ დარღვევებზე ინფორმაცია, რომელიც მოცემულია საკასაციო საჩივარში უნდა იყოს საკმარისი, რათა სასამართლოს შეეძლოს პროცესუალური დამრღვევის ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოკვლევა. როგორც ნებისმიერი მტკიცებულება, ასევე განსახილველი მტკიცებულებები არიან გარკვეული ინფორმაციის მატარებელი, კონკრეტულ შემთხვევაში ეს ინფორმაცია უნდა მიუთითებდეს პროცესუალურ დარღვევებზე.

მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 978-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო განაცხადი უნდა აზუსტებდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, მის ნაწილს, სასამართლოს მიერ დაშვებულ დარღვევებს. დარღვევაზე ზოგადი მითითება არ შეიძლება გახდეს საკასაციო წესით საქმის განხილვის საფუძველი (cas d'ouverture). საკასაციო საჩივრის ნებისმიერი პრეტენზია ან მისი ნაწილი უნდა აზუსტებდეს დასაბუთებას.³⁵⁰

საკასაციო პრეტენზიები მაშინ არის დაკონკრეტებული, როდესაც ის ზუსტად უთითებს, თუ რაში გამოიხატა კონკრეტული კანონის დარღვევა კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებით. 1961 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ არ მიიღო საკასაციო პრეტენზია, რომელიც აბსტრაქტულად უთითებდა კანონის დარღვევაზე და უფლებამოსილებების გადამეტებაზე.³⁵¹ ფრანგულ საპროცესო სამართალში აღნიშნული მოთხოვნები ეხება საკასაციო პრეტენზიებს ზოგადად, მათ მიერ ნებისმიერი კანონის დარღვევას.

ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჩვენ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონში პირდაპირი რეგლამენტაცია პროცესუალური ფაქტების მითითების სიზუსტის თაობაზე არ არსებობს, მისი შეფასების ფარგლები განისაზღვრება დასადგენი ფაქტების თაობაზე ინფორმაციის მოცულობით, რაც საკმარისია მის დასადასტურებლად მტკიცებულებების გამოყენებისათვის.

4.3.2. მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობების ზოგიერთი თავისებურებანი

უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებების მოგროვება-შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია იმ პროცესუალურ-სამართლებრივი დანაწესების დაცვას, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების წარმოდგენას. აღნიშნული

³⁵⁰ Code de procédure civil. art. 978.

³⁵¹ Com. 20 fevr.1961., Bull. civ. III, n°93 (ციტირებულია. К. В. Балакин, მით. ნაშრომი)

პროცესუალური დანაწესების დამრღვევი ფაქტები (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც წარმოადგენენ საკასაციო სასამართლოს შემეცნების ობიექტს და განსხვავდებიან თავიანთი მნიშვნელობით, შესაძლებელია თავის მხრივ დაეყოთ სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნის გათვალისწინებით.

ამდენად, მტკიცებულებათა განხილვისათვის აუცილებელი პროცესუალური წინაპირობები შეიძლება დაეყოთ შემდეგ სახეებად: 1. მტკიცებულების განხილვისათვის მიღების პროცესუალური წინაპირობები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით; 2. ცალკეული სახის მტკიცებულებათა მიღება-გამოთხოვის დამახასიათებელი წინაპირობები; 3. სასამართლო ინსტანციურობისათვის დამახასიათებელი მტკიცებულებების მიღება-გამოთხოვის წინაპირობები; 4. ცალკეული საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელი მტკიცებულებების მიღება-გამოთხოვის წინაპირობები.

აღნიშნული სახეების განხილვისას შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ რამოდენიმე საკითხზე, რომელიც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის მტკიცებულების განხილვისათვის მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი წინაპირობების მნიშვნელობაზე.

სარჩელის აღძვრის სტადიაზე მოსარჩელე ვაღდებულება არა მარტო მიუთითოს ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა დადასტურებაც მას სურს, არამედ მტკიცებულებებზე, რომლებითაც ის ასაბუთებს ამ გარემოებებს.³⁵² აუცილებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია აღძრას შუამდგომლობები საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გამოთხოვა-წარმოდგენასთან დაკავშირებით.³⁵³ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვაღდებულება, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. ამასთან ერთად, მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

შესაბამისად, სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების მოპასუხის მიერ მიღების შემთხვევაში, ამ უკანასკნელს ეძლევა შესაძლებლობა, წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მის მიერ მითითებულ გარემოებებს.³⁵⁴ ამასთან ერთად, მოპასუხე ვაღდებულება, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. ანალოგიურად მოსარჩელის ვაღდებულებისა, მოპასუხეც ვაღდებულება, მიუთითოს თავის პასუხში საპატიო მიზეზი თუ მას არ შეუძლია ამ ეტაპზე მტკიცებულებათა წარდგენა, რისთვისაც მას შეუძლია მოითხოვოს გონივრული ვადა.³⁵⁵

ზემოაღნიშნული პროცესუალური დანაწესების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა

³⁵² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი.

³⁵³ იხ. იქვე 178-ე მუხლის პირველი ნაწილის “ი.ა” – “ი.გ” ქვეპუნქტები.

³⁵⁴ იხ. იქვე 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ე” ქვეპუნქტი.

³⁵⁵ იხ. იქვე 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

უფლება-ვალდებულებებს მტკიცებულებათა წარდგენასთან დაკავშირებით, რაც დამახასიათებელია როგორც ცალკეული მტკიცებულებათა სახეების წარდგენისათვის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ცალკეული საქმის წარმოებისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დანაწესებით დადგენილი, იმპერატიულად განსაზღვრული მხარეთა უფლება-ვალდებულებებისა კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხარეს ეძლევა შესაძლებლობა მტკიცებულებათა წარმოდგენისა ან მათი გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობა აღძრას სასამართლოს სხდომაზე საქმის განხილვის დროს. ამ შემთხვევაში პროცესუალურ-სამართლებრივი წინაპირობები გამოიხატება იმაში, რომ მოსამართლე განიხილავს ამ შუამდგომლობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო ამ მტკიცებულებების წარდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.

ამავე დროს კანონი თვითონ იძლევა საპატიო მიზეზის დეფინიციას, რომლის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.³⁵⁶ მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევა, შესაძლებელია, მაგალითად, სამედიცინო ცნობიდან, რომელიც ეჭვს არ იწვევს, ნათლად ჩანდეს მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი, მაგრამ ამ ცნობას ხელს აწერდეს ექიმი და არა - დაწესებულების ხელმძღვანელი, როგორც ეს მითითებულია განსახილველ ნორმაში. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც უნდა გათვალისწინებულ იქნეს ამ ნორმის მიზანი. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს მხარის სასამართლოზე გამოუცხადებლობის ან სხვა პროცესუალური მოქმედებების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზის არსებობაში. ხშირად სამედიცინო ცნობიდან არ ირკვევა, თუ მასში მითითებული მიზეზი რამდენად მიუთითებს სასამართლო სხდომაზე გამოცხადების ან სხვა მოქმედებების განხორციელების შეუძლებლობაზე. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ ამის გამო კანონმდებელმა აუცილებლად მიიჩნია, ნორმაში გაეთვალისწინებინა მითითება გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე და, ასევე, სამედიცინო დაწესებულების ხელის მოწერა ცნობაზე. მაგრამ, როდესაც მოსამართლე დარწმუნებულია მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის ან სხვა პროცესუალური

³⁵⁶ იხ. იქვე 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი

მოქმედებების განუხორციელებლობის საპატიო მიზეზში, მისი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ:

“სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილია ბავშვთა №13 პოლიკლინიკის მიერ 2009 წლის 30 ივნისს გაცემული ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ (მოსარჩელის შვილი) მ. ხ., დაბადებული 21.09.01 წელს, 2008 წლის 16 ივნისიდან – 2008 წლის 19 ივნისამდე იმყოფებოდა ავად დიაგნოზით – მწვავე რესპირატორული დაავადება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, ბავშვის ავადმყოფობა არის საპატიო მიზეზი, მაგრამ მიიჩნია, რომ, ასევე უნდა არსებობდეს სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინების შეუძლებლობა. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ შპს ბავშვთა №13 პოლიკლინიკის გენერალური დირექტორისა და პედიატრის №24 11.03.09 წლის წერილზე, რომლითაც დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 16 ივნისს პოლიკლინიკის რეგისტრაციაში სატელეფონო შეტყობინებით, 12 საათსა და 30 წუთზე, გამოიძახეს ბესიკის ქ. №9-ში მცხოვრებ მ. ხ.-სთან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ ავადმყოფ მ. ხ.-ს ჰქონდა მწვავე რესპირატორული ვირუსული დაავადება, მაღალი ტემპერატურა (39 გრადუსი), მძაფრად გამოხატული კატარალური მოვლენებით. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ, აღნიშნული წერილის თანახმად, მკურნალი ექიმი, გამოიძახებული 12 საათსა და 30 წუთზე, მივიდა მხოლოდ 16 სთ-ის შემდეგ. ამრიგად, უშუალოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელის ბავშვს ჰქონდა მაღალი ტემპერატურა (39 გრადუსი), დროის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში შეიძლება მიუთითებდეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე. საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ მ. ხ.-სთან ერთად, მოსარჩელის გარდა, მისი ნათესავის არსებობის ფაქტი არ შეიძლება თავისთავად მიუთითებდეს მოსარჩელის მიერ სასამართლო პროცესზე გამოცხადებისა ანდა სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინების შესაძლებლობის ფაქტზე, ხოლო, რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტს იმის შესახებ, რომ ნომრებიდან - 999467, 920219, 920385 ნომერზე - 541063 ზარები განხორციელდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე, შეიძლება მიუთითებდეს ზუსტად იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელე ცდილობდა დაკავშირებას.”³⁵⁷

რაც შეეხება ცალკეული საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელ წინაპირობებს, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებს მტკიცებულებათა წარდგენასთან დაკავშირებით. მაგალითად, გამარტივებული წარმოებისას³⁵⁸, კერძოდ, თამასუქისა და

³⁵⁷ სუსგ №ას-629-937-09 4 მარტი 2010 წ.

³⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეხუთე კარი.

ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვისას სარჩელს თან უნდა ერთვოდეს თამასუქის ასლი, ხოლო სასამართლო სხდომაზე ზეპირი განხილვის დროს მოსარჩელემ თამასუქი დედნის სახით უნდა წარადგინოს.³⁵⁹ ამასთან ერთად მტკიცებულებებად დაიშვება მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა-განმარტებები. დოკუმენტური დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით.³⁶⁰

ასევე, გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვათა თავისებურებებიდან გამომდინარე, დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს განცხადებაში მითითებული მტკიცებულების შესაბამისი დოკუმენტები დამოწმებული სახით, და ა.შ.

რაც შეეხება სასამართლო ინსტანციურობისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებათა მიღება-გამოთხოვის წინაპირობებს, უნდა აღნიშნოს, რომ აპელანტს ეძლევა შესაძლებლობა, მიუთითოს ახალ ფაქტებზე და წარადგინოს ახალი მტკიცებულებები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მან უნდა მიუთითოს საპატიო მიზეზზე, თუ რატომ არ წარადგინა ისინი პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას.³⁶¹ საკასაციო სასამართლოში შეიძლება მიეთითოს მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე.

მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ “სააპელაციო სასამართლომ შპს „თბილისის წყალის“ მოთხოვნა ელექტროძრავების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დააკმაყოფილა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია ელექტროენერგიის ხშირი ჩართვა-გამორთვის შედეგად ძრავების დაზიანება. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია 2001 წლის 19 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის 6.2.2. პუნქტის თანახმად არაფორსმაჟორული მიზეზით ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში მომხმარებელს (შპს „თბილისის წყალი“) უფლება აქვს, მოითხოვოს დისპეტჩერისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება, თუ ეს დისპეტჩერის მიზეზით იქნება გამოწვეული. ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებისას უნდა გამოირიცხოს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტაში დისპეტჩერის ბრალეულობა.

მოცემულ საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „თბილისის წყალმა“ დაამტკიცა სადავო ზიანის, ასევე აღნიშნულ ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ კი ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ თუნდაც მის ჟურნალებში დაფიქსირებული 240 გამორთვა მისი ბრალით არ იყო გამოწვეული და იგი მართლზომიერად მოქმედებდა. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ თავისი არაბრალეულობის

³⁵⁹ იხ. იქვე 293-ე მუხლის

³⁶⁰ იხ. იქვე 296-ე მუხლის

³⁶¹ იხ. იქვე 373-ე მუხლის პირველი ნაწილი.

დასადასტურებლად უთითებს მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებზეც სასამართლომ არ იმსჯელა იმ საფუძველით, რომ ისინი სასამართლოში წარმოდგენილ იქნა დაგვიანებით, მთავარ სხდომაზე, მას შემდეგ, რაც მოსამზადებელი ეტაპი დასრულებული იყო. საკასაციო სასამართლო იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას მოქმედი და ამჟამინდელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით ძირითად სხდომაზე ახალი მტკიცებულებების წარდგენა და სასამართლოს მიერ მისი მიღება დასაშვებია მხოლოდ გარკვეული პირობების (საპატიო მიზეზის) არსებობისას. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა კრძალავს მტკიცებულებების არამარტო დაგვიანებით წარდგენას, ასევე ადგენს ამ საფუძველით მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლო მტკიცებულებათა დაგვიანებით წარდგენას თუკი საპატიოდ არ მიიჩნევს, არც უნდა მიიღოს ისინი, ხოლო მიღების შემთხვევაში კი მათ სათანადო შეფასება უნდა მიეცეს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიღო რა დაზუსტებული შესაგებელი თანდართული მტკიცებულებებით, არანაირი შეფასება არ მისცა მათ, რითაც დაარღვია კანონის მოთხოვნა.”³⁶²

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) მტკიცებულებათა მიღების ან არმიღების დასაბუთება. ყოველთვის უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან მტკიცებულების არმიღება, მტკიცებულების არგაზიარებისაგან, რადგან ამ შემთხვევებისათვის არსებობს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი. როგორც ირკვევა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან, თუ სააპელაციო სასამართლომ მიიღო მტკიცებულება (არ ამოიღო იგი საქმიდან სსსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად), მას უნდა განეხილა ის საერთო წესით და არ უნდა ეთქვა უარი განხილვაზე.

ცალკეული საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელი მტკიცებულებების მიღება-გამოთხოვის წინაპირობები უფრო კონკრეტულ სახეს იღებს ცალკეული მტკიცებულებათა საშუალებისათვის მიღება-გამოთხოვის კანონით დადგენილი იმპერატივების შესრულებისას.

მაგალითად, მოწმის სახით დასაკითხი პირის თაობაზე კანონით გათვალისწინებული ცნობები, მისი ადგილსამყოფელი, განსახილველი საქმისადმი დამოკიდებულება, თუ საქმისათვის რა გარემოებების დადასტურება შეუძლია მოწმეს. შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა მოწმის დაშვებისა და დაკითხვის თაობაზე, თუ არ არის დაცული ზემოაღნიშნული მოთხოვნები. წერილობითი მტკიცებულებების შემთხვევაში ისინი უნდა წარადგინონ დედნის სახით. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძველიანად

³⁶² სუსგ №ას-858-1171-07 23 ივნისი 2008 წ. შეად. რ. ხურცილავა. სტატია: “რამდენიმე მოსაზრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სრულყოფასთან დაკავშირებით”. ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი”, №1(24)10, გვ. 85.

მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულების მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

ამდენად, ჩვენ არ ჩამოვთვლით ყველა იმ შემთხვევას, რასაც კანონი უკავშირებს მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალურ წინაპირობებს. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი იყო ყურადღება გაგვემახვილებინა იმაზე, რომ როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს კასატორის მითითების საფუძველზე მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობების დარღვევებს, ძირითადად ყურადღებას ამახვილებს პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულ დანაწესებზე. ამდენად, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმებით.

ზემოაღნიშნულით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები, მაგრამ ეს ის აუცილებელი წინაპირობებია, რომლის გადაწყვეტის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია, იმსჯელოს ამ მტკიცებულებების შემსებლობა-განკუთვანდობაზე, გამოკვლევა-შეფასებაზე. შესაბამისად, როდესაც საკასაციო სასამართლოში მხარე უთითებს პროცესუალურ დარღვევებზე, მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად სწორი შეფასება მისცა სააპელაციო სასამართლომ პროცესუალური დარღვევების ზემოაღნიშნულ წინაპირობებს, რომლებიც დაუშვა პირველი ინსტანციის სასამართლომ, ერთ შემთხვევაში, და თვითონ რამდენად დაიცვა და გაითვალისწინა მითითებული სამართლებრივი წინაპირობები ახალი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში.

პროცესუალურ-სამართლებრივ მხარესთან ერთად დაცული უნდა იქნეს მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები რათა საბოლოოდ სწორად შეფასდეს ის ინფორმაცია, რომლის მატარებელია ეს მტკიცებულება. “მტკიცებულების ერთ-ერთი თვისება ისაა, რომ იგი შეიცავს ინფორმაციას მტკიცების საგანში შემავალი იურიდიული ფაქტების შესახებ”.³⁶³

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ მტკიცებულების თვისება, რომლის მეშვეობით შეგვიძლია გავიგოთ ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე, განსაზღვრავს ამ მტკიცებულების იურიდიულ მნიშვნელობას. ეს ეხება არამარტო იმ მტკიცებულებებს, რომლებითაც დასტურდება ძირითადი საძიებელი ფაქტები³⁶⁴, არამედ, ასევე, პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებსაც (პროცესუალური დანაწესების დამრღვევი ფაქტები).

³⁶³ შ. ქურდაძე. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ., 348.

³⁶⁴ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგის მიხედვით ფაქტები: 1. ფაქტები, რომელსაც უკავშირდება, მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი; 2. ფაქტები, რომელსაც უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები; 3. მტკიცებულებითი

4.3.3. მტკიცებულების განხილვასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურებანი

მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმების გათვალისწინების აუცილებლობა შეიმჩნევა მტკიცებითი პროცესის მიმდინარეობისას, კერძოდ, მტკიცებულებების დასაშვებობის, განკუთვნიადობის, გამოკვლევისა და შეფასების სტადიებზე.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გავამახვილოთ სააპელაციო სასამართლოს იმ დარღვევებზე, რომლებიც ეხება მტკიცებულებათა განკუთვნიადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების განკუთვნიადობის მართებულად გადაწყვეტას გააჩნია არსებითი მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. ამდენად, მტკიცებულებათა განკუთვნიადობა ნიშნავს მტკიცებულების მნიშვნელობის შეფასებას; იმას, თუ რა გავლენას ახდენს ეს მტკიცებულება საქმეზე. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების განკუთვნიადობის შეფასების აუცილებელი პირობას წარმოადგენს მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა (იხ. § 3.3). რა თქმა უნდა, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაძლებელია მტკიცების საგნის კორექტირება³⁶⁵, რაც შესაბამისად აისახება მტკიცებით საქმიანობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებითი სტადიები უშუალო კავშირშია საქმის განხილვის სტადიებთან, მტკიცებულების განკუთვნიადობის, ე.ი. მისი საქმის მიმართ მნიშვნელობის შეფასება, როგორც წესი, ხდება საქმის მომზადების სტადიაზე, ანუ მტკიცების საგნის ფორმირების საწყის ეტაპზე. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს კანონით გათვალისწინებული შემთხვევები, რომლებზეც ყურადღებას გავამახვილებთ მოგვიანებით.³⁶⁶

მტკიცების საგნის ფორმირება (იხ. § 3.3.) აქტი არ არის, არამედ პროცესია, რომელსაც ახასიათებს დინამიკურობა. შესაბამისად, მტკიცებულების საქმისადმი მნიშვნელობის შეფასება იწყება სარჩელის სასამართლოში აღძვრის და შესაგებლის წარდგენის მომენტიდან (მაგალითად, როდესაც მოსარჩელე (მოპასუხე) ურთავს სარჩელს (შესაგებელს) კონკრეტულ მტკიცებულებებს) და გრძელდება საქმის განხილვის პროცესში. სარჩელის და შესაგებლის წარდგენის სტადიაზე ყოველთვის არ არის ადვილი იმის გარკვევა, თუ რამდენად არის დაკავშირებული სარჩელთან ერთად წარმოდგენილი ან მოსარჩელის თუ

ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება (ასევე იხ. თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 376.

³⁶⁵ ასევე იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 272.

³⁶⁶ სსსკ-ის 215-ე მუხლი, ხოლო სააპელაციო სასამართლოში ასევე 380-ე და 382-ე მუხლები

მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსათხოვი მტკიცებულებები. ამდენად, სსსკ-ის 104-ე მუხლი ავალდებულებს მოსამართლეს ამოიღოს საქმიდან ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, მართალია, მან მიიღო, მაგრამ მათ არ გააჩნია მნიშვნელობა საქმისათვის, ე.ი. ამ მტკიცებულებებით არ დასტურდება მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები.

უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან მტკიცებულებების განკუთვნადობა და უტყუარობა (სარწმუნობა).³⁶⁷ მტკიცებულების უტყუარობაში, ანუ იმაში, თუ რამდენად შეუძლია მოსამართლეს, დაუჯეროს ამა თუ იმ მტკიცებულებას, წარმოადგენს მტკიცებითი საქმიანობის იმ სტადიას, როდესაც ხდება მტკიცებულების გამოკვლევა. შეუძლებელია მტკიცებულების გამოკვლევა თუ მოსამართლე, უპირველეს ყოვლისა, არ დარწმუნდება ამ მტკიცებულების საქმისადმი განკუთვნადობაში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშოთ ისიც, რომ განკუთვნადობა, გამოკვლევისა და შეფასების სტადიები ციკლური მოქმედებებია.³⁶⁸

ამდენად, როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლო ერთ შემთხვევაში აფასებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულების განკუთვნადობის საკითხის გადაწყვეტას, ხოლო მეორე შემთხვევაში თვითონ წყვეტს მტკიცებულების განკუთვნადობის საკითხს, როდესაც არსებობს სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენის სამართლებრივი წინაპირობები (იხ. § 4.3.2.).

ამრიგად, მტკიცებულების თვისება, რომელიც გამოიხატება დასადგენი ფაქტების შესახებ ინფორმაციის არსებობაში, განსაზღვრავს მისი საქმისათვის მნიშვნელობას. შესაბამისად, ამ მნიშვნელობის გარკვევა თავისთავად უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებასა და განმარტებას.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ მტკიცებულებების განკუთვნადობას.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ მტკიცებულებების განკუთვნადობა - ეს არის სასამართლო მტკიცებულებების ნიშნები; სხვები მიიჩნევენ, რომ მტკიცებულებათა განკუთვნადობა - ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულებების პროცესში დაშვება, რადგან მათი განკუთვნადობა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მათ უშუალო გამოკვლევამდე.³⁶⁹

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრებები ცალმხრივად განსაზღვრავენ მტკიცებულებათა განკუთვნადობას, რადგან ამ შესხედულებებიდან არ ჩანს კავშირი მტკიცებულებებსა და ფაქტებს შორის, რომელთა დადგენის ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, აკისრია მოსამართლეს და არა - მხარეებს. მტკიცებულებათა განკუთვნადობის განხილვა შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს,

³⁶⁷ თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 238.

³⁶⁸ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 272.

³⁶⁹ Ю. В. Гуреев. О понятии судебных доказательств//Советское государство и право. 1996. № 8. стр. 58; И. В. Резниченко. Установление достоверности и силы доказательств по гражданским делам//Учен. зап. Дальневосточного университета. 1969. т. 32. стр. 105 (ციტირებულია М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 121.

შეისწავლოს ამ მტკიცებულებების ოპერირების სპეციფიკა, სასამართლო პროცესის განვითარების ყველა სტადიაზე.³⁷⁰

მტკიცებულებასა და ფაქტს შორის აღნიშნული კავშირის დადგენის გარეშე რთულია წარმოვიდგინოთ სუბსუმირების პროცესუალური რეალიზაციის თავისებურებები.

შესაძლებელია ითქვას, რომ მტკიცებულებასა და ფაქტს შორის კავშირის დადგენა თავისი შინაარსით წარმოადგენს სუფსუმციის გზით ფაქტობრივი გარემოებებსა და სამართლის ნორმას შორის კავშირის პროცესის პრაქტიკულ (პროცესუალურ) რეალიზაციას.

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, რომლის მეშვეობით განისაზღვრება დასადგენი ფაქტების წრე და, შესაბამისად, განისაზღვრება მტკიცების საგანი, წარმოადგენს მტკიცებულებების განკუთვნილობის განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. მეორე წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა ლოგიკური ოპერაციით (ამის შესახებ იხ. მოგვიანებით) უნდა დადგინდეს, თუ რამდენად შესწევს უნარი ამ მტკიცებულებას, დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი.³⁷¹

მაგრამ ჩვენ არ უნდა შეგვექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს მხარეთა შორის დავის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა პირდაპირ და უშუალოდ განსაზღვრავს მტკიცებულებების მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოსაყენებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა განსაზღვრავს არა საქმისათვის განკუთვნილ მტკიცებულებათა წრეს, არამედ - საქმისათვის იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა წრეს³⁷², რომლის დადასტურებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ან ნებისმიერ მტკიცებულებათა საშუალება ან მხოლოდ კონკრეტული მათგანი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსით ასევე მოცემულია ისეთი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც პირდაპირ უთითებენ მტკიცებულებათა სახეებზე, მაგალითად, მითითებული კოდექსის 624-ე მუხლის მესამე წინადადების თანახმად, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით. კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს სასესხო ურთიერთობებთან დაკავშირებით წერილობითი ფორმის უპირატესობას ზეპირ ფორმასთან მიმართებით. არაპირდაპირ, მაგრამ უპირატესობა ვლინდება იმაში, რომ დავის შემთხვევაში სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები, არამედ საჭიროა სხვა მტკიცებულებებიც, რომლებთაც დადასტურდება მსესხებლისათვის განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა გვაროვნული ნივთის გადაცემის ფაქტი.³⁷³ ამდენად, ეს

³⁷⁰ М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 122.

³⁷¹ ასევე იხ. М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 123.

³⁷² М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 128.

³⁷³ ზ. ძლიერიშვილი. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ. 2010. გვ. 355.

არ ნიშნავს იმას, რომ მოწმეთა ჩვენებას თითქოსდა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.³⁷⁴ სესხის ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობა მოწმეთა ჩვენებებთან ერთად შეიძლება დადასტურდეს სხვა ისეთი მტკიცებულებებით, როგორცაა, მაგალითად, სავალო ხელწერილი ან რაიმე წერილობითი დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება ვალის არსებობა.³⁷⁵

ამდენად, სამოქალაქო კოდექსი შეიძლება აძლევდეს გარკვეულ მითითებებს მტკიცებულების სახეობის გამოყენება-არგამოყენების თაობაზე.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა და ჩვენი საპროცესო სამართლისათვის უჩვეულოა ფრანგულ სამართლებრივ სივრცეში არსებული მტკიცებითი პროცესის ადგილი და როლი. ფრანგული მტკიცებულებითი თეორიის მიხედვით მტკიცებულებათა შესახებ მომწესრიგებელი ნორმები შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო პროცესუალურ, არამედ - მატერიალურ სამართალშიც.

მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არის ის, რომ უშუალოდ მტკიცების საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საპროცესო სამართლით.³⁷⁶

ერთი შეხედვით რთული მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილია ფაქტების დამტკიცება, ამავე დროს ხასიათდება დინამიკური სისტემით, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ეთმობა მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს, ე.ი. ერთ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება კონკრეტული ფაქტები, ხოლო მეორე შემთხვევაში - პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ მტკიცებულებების გამოყენების თავისებურებებს სასამართლოში.

მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (Code civil) 1315-ე მუხლის თანახმად, იმან, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაადასტუროს მისი არსებობა³⁷⁷. მეორეს მხრივ, იმან, ვინც აცხადებს, რომ თავისუფალია ვალდებულების შესრულებისგან, უნდა წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, ან/და ვალდებულების შეწყვეტის მტკიცებულება.³⁷⁸

აქედან გამომდინარე, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად კონკრეტული მტკიცებულებით დგინდება სამართლის ნორმის საფუძველზე განსაზღვრული ფაქტი, განეკუთვნება მოსამართლის შინაგანი რწმენის საკითხს.

ყურადღება გაგამახვილოთ ზოგიერთ იმ თავისებურებაზე, რომელიც ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას.

³⁷⁴ იხ. იქვე გვ. 355

³⁷⁵ იხ. იქვე გვ. 357

³⁷⁶ Vincen J., Guinchard S. Procédure civile, 27 édition. Paris, Dalloz, 2003 p. 789-790;

³⁷⁷ Celui qui réclame l'exécution d'une obligation doit la prouver. (Code civil art. 1315).

³⁷⁸ De la preuve des obligations et de celle du payment. (Code civil, art. 1315)/Soc. 31 janv. 1962: Bull. civ. IV, n°105

მტკიცებულებათა დასაშვებობის განხილვა უკავშირდება მტკიცებულებათა კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საშუალების გამოყენებას (მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნა).³⁷⁹

სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას არ არის გათვალისწინებული მატერიალურ-სამართლებრივი მხარეები, რაც არასწორი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანის საფუძველი ხდება.

პროცესუალური თვალსაზრისით, არც ერთ მტკიცებულებათა საშუალებას არ გააჩნია ერთმანეთის მიმართ უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. კანონით გათვალისწინებულ ყველა მტკიცებულებათა საშუალებას გააჩნია მათი გამოყენების თანაბარი მნიშვნელობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტის დადგენა დამოკიდებულია მათი არჩევის სურვილზე. ამ შემთხვევაში მტკიცებულებათა საშუალებების (სახეების) არჩევა განპირობებული ამ ფაქტის დადგენისათვის კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით. “მტკიცებულებათა დასაშვებობა ითვალისწინებს შეზღუდვას მტკიცებულებათა საშუალებების გამოყენებაში ამა თუ იმ გარემოებათა დასაღვენად.”³⁸⁰

ამდენად, მტკიცებულებების საშუალებების (სახეების) დასაშვებობა წყდება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით მოცემული ნებართვებითა თუ აკრძალვების შესაბამისად.³⁸¹

ამასთან ერთად, უნდა განვასხვაოთ შემთხვევები, როდესაც მატერიალური სამართლიდან პირდაპირ გამომდინარეობს, თუ რა მტკიცებულებები უნდა იქნეს გამოყენებული ამ ნორმით მოცემული ფაქტობრივი შემადგენლობის მიმართ, ან რომელი - არა. მაგრამ ხშირია ისეთი ფაქტობრივი შემთხვევები, რომლებიც მოითხოვს შეფასებას გამოსაყენებელ მტკიცებულებათა საშუალებების (სახეების) არჩევის კუთხით.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ის “იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 26 დეკემბრის №67-3571/6-2 წერილი, არ გამოიკვლია მისი შინაარსი საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ წერილი შედგენილია კონკურსის შემდეგ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა, რომ წერილის მიხედვით 2000-2002 წლებში სს „ელექტროსისტემის“ მიერ სახელმწიფო ქონების

³⁷⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

³⁸⁰ შ. ქურდაძე. საქმოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006., გვ., 352.

³⁸¹ М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 137.

მართვის სამინისტროსთან შეთანხმებულია საზოგადოების ბალანსზე რიცხული ორი ფართის (53,1 კვ.მ და 294 კვ.მ) იჯარით გაცემის საკითხი.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსადმი სს „ელექტროსისტემის“ 05.08.02 №1798 წერილსა და ამ წერილზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 06.08.2002 პასუხი.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები მოსარჩელე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილი იყო ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელთან ერთად. აღნიშნული წერილების შინაარსი ეხება სადავო ფართის იჯარით გაცემის შესახებ სამინისტროს დამოკიდებულებას, რაც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ. ამრიგად, ზემოაღნიშნული წერილების შეფასებით, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში (სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით) სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს აუქციონის ჩატარებამდე ჰქონდა თუ არა გაცემული სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელს საზოგადოებაში (პარტნიორი), კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის შესახებ თანხმობა, ასევე აღნიშნული წერილები ხომ არ შეიძლება მიუთითებდეს სახელმწიფოს (პარტნიორის) შემდგომ თანხმობაზე (მოწონებაზე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად.³⁸²

ამდენად, მტკიცებულებათა დასაშვებობის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დიფერენცირება მომწესრიგებელი ურთიერთობისათვის კანონით დადგენილი წესის მიხედვით. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის პროცესუალური დანაწესი მოცემულია სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის შესაბამისად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მითითებულ პროცესუალურ ნორმას სასამართლო ისე იყენებს, რომ არ არის გათვალისწინებული ამ ნორმის გამოყენების მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსი.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას იწვევს სასტუმროდ (გაქირავების) შესახებ ხელშეკრულების არსებობა, დამქირავებლების რაოდენობა, ქირავნობის დირებულება, ქირავნობის ხანგრძლივობა (ანუ ხელშეკრულება გრძელდებოდა ერთი წლის მანძილზე შეუწყვეტლად, თუ გარკვეული პერიოდებით და ამასთან, საბოლოოდ რა თანხის მოგება მიიღო ოდ.-ამ).

³⁸² სუსგ №ას-1234-1493-09, 10 ივნისი 2010 წ.

“აღნიშნული იურიდიული ფაქტების შეფასება ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, რომ გამოვიტანოთ დასკვნა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-ვალდებულებების შესახებ, მაგრამ მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასებით, რომლითაც დგინდება ეს იურიდიული ფაქტები, შესაძლებელია სწორი წარმოდგენა შეგვექმნას მითითებულ ფაქტებზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ “ა”-ს მიერ სასტუმროდ ერთი წლის მანძილზე ბინის ოთხ უცხოელზე 60 აშშ დოლარად გაქირავების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით, ვინაიდან ეს გარემოება, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული წერილობითი მტკიცებულებით.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ ეს გარემოებები შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში ბინის სასტუმროდ გამოყენების შედეგად წარმოშობილ ურთიერთობებზე ვრცელდება ქირავნობის ინსტიტუტი. სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა, გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. კანონით არ არის განსაზღვრული ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, შესაძლებელია მისი დადება როგორც ზეპირად, ისე, წერილობით. განსახილველი ნორმის საფუძველზე მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა დაუკავშირონ წერილობით თუ ზეპირ გარიგებას.

ე.ი. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელი გარიგების წერილობით დადება და მისი დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილად ცნობას. ანუ კონკრეტულ შემთხვევაში მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით არ არის გათვალისწინებული მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულების არსებობა, რომლის დადასტურებაც შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული წერილობითი მტკიცებულებებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი). იმ შემთხვევაში, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგებისათვის გათვალისწინებულია გარიგების ზეპირი ფორმა (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი კანონით), ამ გარიგების არსებობა შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებები და გამოერკვია “ა”-ს მიერ ქონებიდან მიღებული სარგებლის ოდენობა.”³⁸³

ზემოაღნიშნული მაგალითი მიგვითითებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კანონით პირდაპირ არ განისაზღვრება გამოსაყენებელი მტკიცებულებების ესა თუ ის საშუალება, მაგრამ ამ შემთხვევაში ქირავნობის ინსტიტუტის ანალიზი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ

³⁸³ სუსგ №ას-24-379-07, 20 ივნისი 2007წ.

მივიღოთ დასკვნები მტკიცებულებათა საშუალებების გამოყენების შესახებ.

მოვიყვანოთ მაგალითი, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა განსაზღვრავს მტკიცებულების ფორმასა და შინაარსს.

კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 433-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების „ბ“, „გ“, „ე“ და „ლ“ (რომლებშიც მითითებულია ვაგონების დაყოვნების სხვადასხვა გარემოება) ქვეპუნქტების თანახმად, საერთო ფორმის აქტით დასტურდება ამ მუხლით მოცემული იურიდიული მნიშვნელობის ისეთი ფაქტები, როგორცაა დანიშნულების სადგურში ვაგონების დაყოვნება ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით; დატვირთული ვაგონების დაყოვნება შუალედურ სადგურში იმის გამო, რომ ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მფლობელის მიზეზით ვერ იღებენ მომიჯნავე სადგურები ან მომიჯნავე სადგურს არ გააჩნია ვაგონების დაგროვებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა; ტვირთმიმღების ან ტვირთგამგზავნის მიერ თავისი ვაგონების (კონტეინერების) მიღების დაყოვნება; ტვირთის დაყოვნება სვლის გზაზე.

აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. ამავე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, საერთო ფორმის აქტები უნდა შედგეს „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად.

ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება შესაძლებელია საერთო ფორმის აქტების მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსით და მის საფუძველზე „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებით“ გათვალისწინებულ მტკიცებულებას.

აღნიშნულის ზოგადი დანაწესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით: „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“.

აღნიშნული მტკიცებულებების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება ამ დოკუმენტების შედგენის წესს, რომლის დროსაც კანონით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტებთან ერთად უნდა მიეთითოს კონკრეტულ შემთხვევაში შპს „ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს“ ვაგონების (ცისტერნების) დაყოვნების მიზეზები. „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 436-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო ფორმის აქტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის საფუძველი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გადაზიდვა სვლის გზაზე ისეთი საფუძველით იქნა შეჩერებული, რაც, ამ წესების მიხედვით, გამოიწვევს ტვირთის მიტანის ვადის შესაბამის გახანგრძლივებას, მაშინ საერთო ფორმის აქტში აღინიშნება ვაგონების (კონტეინერების)

დაყოვნების მიზეზი და ხანგრძლივობა. ამავე წესების 440-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტში, რომლის საფუძველზეც გადაიხდება რკინიგზის ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური – აღნიშნება ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე, დაყოვნების ფაქტობრივი დრო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის კრიტერიუმს („რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 414-ე მუხლის პირველი ნაწილი), ამდენად, ამ დოკუმენტის შედგენის დროს დაცული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული დანაწესები იმისათვის, რომ განისაზღვროს იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.”³⁸⁴

ყურადღება გავამახვილოთ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების ზოგიერთ თავისებურებაზე.

მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, წარმოადგენს ერთიან პროცესს. ხშირად იურიდიულ ლიტერატურაში მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება ცალ-ცალკე არის განხილული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი დაყოფა შესაძლებელია მხოლოდ პირობითად, იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ერთ შემთხვევაში - მტკიცებულების კვლევა, ხოლო მეორე შემთხვევაში - მტკიცებულების კვლევის შედეგები. აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, მტკიცებულებათა შეფასებას გააჩნია ვიწრო და ფართო გაგება. ფართო გაგებით მტკიცებულების შეფასებას ადგილი აქვს მტკიცებითი საქმიანობის ნებისმიერ სტადიაზე, როგორც მტკიცებულების განკუთვნილობის, დასაშვებობის, ასევე - მისი გამოკვლევის დროს. ვიწრო გაგებით მტკიცებულებათა შეფასებაში უნდა მოვიაზროთ მტკიცებულების გამოკვლევის შედეგი, როდესაც საბოლოოდ ხდება დასადგენ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცებულების საფუძველზე გარკვეული დასკვნების გაკეთება; როდესაც არსებობს ამ დასკვნების გასაკეთებლად როგორც სამართლებრივი, ასევე - ლოგიკური წინაპირობები.

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მტკიცებულების სრული შეფასება (ვიწრო გაგებით) შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის გზით, ხოლო დასკვნითი შეფასებას აძლევს მოსამართლე სათათბირო ოთახში. ამდენად, ცნება “შეფასება” იღებს დინამიკურ ხასიათს, რაც მოითხოვს გარკვეულ სამართლებრივ და ლოგიკურ მიდგომებს. შესაბამისად, სამართლებრივი და ლოგიკური შეფასებების ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის დროს, შესაძლებელია მტკიცებულებათა გამოკვლევის გზით.

³⁸⁴ სუსგ №ას-792-1007-08, 11 ივნისი 2009 წ.

მტკიცების ზემოაღნიშნული ელემენტები მეტად თავისებური ელფერს იძენენ საკასაციო სასამართლოში. რა თქმა უნდა, საკასაციო სასამართლო არ იკვლევს მტკიცებულებებს, არ ადგენს ფაქტებს და ა.შ. მაგრამ მას მაინც გააჩნია გარკვეული შესება მტკიცებულებებთან. ამდენად, ისმის კითხვა: თუ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტის სასამართლო, მაშინ როგორ ამოწმებს იგი პროცესუალურ დარღვევებს. ეს დარღვევები ხომ უშუალო კავშირშია ფაქტებთან?

მიგვაჩნია, რომ ზუსტად ამ კითხვაში მოიაზრება პასუხიც, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას, დავინახოთ საკასაციო სასამართლოს ფაქტობრივ გარემოებებთან შესების წერტილი, მასთან ყველაზე მჭიდრო კავშირი.

მტკიცებულებების განკუთვანადობა-დასაშვებობის შეფასება, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს კვალიფიკაციის ნაირსახეობას.³⁸⁵ მტკიცებულებების განკუთვანადობა-დასაშვებობის შეფასებისას, თითქოსდა, სასამართლო ადგენს ორმაგ კვალიფიკაციას: ერთ შემთხვევაში მატერიალურ-სამართლებრივს, შემდეგ – პროცესუალურ-სამართლებრივს.³⁸⁶ ჯერ სასამართლო ამოწმებს მატერიალურ სამართალურთიერთობას, თუ რა ფაქტები უდევს მას საფუძვლად, შემდეგ კი ახორციელებს სხვა სიბრტყეში არსებული გარემოებების კვალიფიკაციას – მტკიცებულებებს – რამდენად უკავშირდებიან ისინი განსახილველ საკითხს და რამდენად დასაშვები არიან. მნიშვნელოვანი არის ის, რომ მტკიცებულებები ატარებენ ინფორმაციას ფაქტების შესახებ, მაგრამ თვითონ არ წარმოადგენენ ფაქტებს.³⁸⁷

როგორც დავინახეთ, პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევა არის ფაქტი, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა შინაარსი იმისდა მიხედვით, თუ რა პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა იქნა დარღვეული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვნახეთ, რომ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ასევე - მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესები. ამასთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც საქმის წარმოების ცალკეული სტადიები (ეტაპები), სასამართლოთა ინსტანციურობის თავისებურებები, ასევე - ცალკეულ საქმეთა სასამართლო წარმოების სახეები და ა.შ.

ზემოაღნიშნული ანალიზი ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, გამოვყოთ ეს პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევები (ფაქტები), როგორც საკასაციო სასამართლოს მიერ შემოწმების ერთ-ერთი ობიექტი. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რა შემხებლობა გააჩნია საკასაციო სასამართლოს საძიებელ, ძირითადი ფაქტების დამდგენ მტკიცებულებებთან.

³⁸⁵ P. O. Ополев. Оценочные понятия в арбитражном и гражданском процессуальном праве. Woltes Kluwer, M. 2008г., стр. 81.

³⁸⁶ იხ. იქვე, გვ. 81.

³⁸⁷ იხ. იქვე, გვ. 81.

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო თვითონ არ იკვლევს მტკიცებულებებს, იგი იკვლევს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების მართებულებას. მაგრამ უნდა მიეთითოს, რომ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევა, როგორც ფაქტი, სხვა არაფერია, თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენის სამართლებრივი და ლოგიკური წესების დარღვევა, რაც, შესაბამისად, აისახება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებში, მოტივაციაში. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებებს აძლევს არასწორ შეფასებას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს უწევს “შეფასების შეფასება.”

მაგალითად, კ. ბალაკინი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, კასატორის მოსაზრებების განხილვამდე საკასაციო სასამართლომ უნდა განიხილოს ფაქტისა და სამართლის საკითხთა გამიჯვნა. L.III-2 მუხლის თანახმად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო არ აკონტროლებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივებს, რომლებიც ეხება ფაქტებს, ამავე დროს ის სრულად აკონტროლებს სამართლებრივ მოტივებს.³⁸⁸ უკ ბორე აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო მკაცრად არ იცავს ამ წესს, რომელსაც განმარტავს გარკვეული თავისებურებებით. თავისი კომპეტენციის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის გამოყენებით, უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ თავისი უფლებამოსილება გარდაქმნა სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტად. დროთა განმავლობაში სასამართლო ხან ავიწროებს, ხან ზრდის მის მიერ განხორციელებული კონტროლის ფარგლებს. ამიტომ დღეს საკასაციო სასამართლო საქმის განხილვისას ახორციელებს არა მარტო სამართლებრივი საკითხების კონტროლს, არამედ - მოტივების კონტროლს, ანუ ახორციელებს მოტივაციაზე მინიმალურ კონტროლს (control minimum de la motivation);³⁸⁹ რომლის გარეშე სამართლებრივ მოტივებზე კონტროლი იქნებოდა არაეფექტური და ილუზორული.³⁹⁰ უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოტივების არსებობას, რომლის საფუძველზე საქმე არსებითად იქნა გადაწყვეტილი, რაც, თავისთავად, გარკვეულწილად წარმოადგენს საქმის ფაქტობრივ მხარეზე კონტროლს. ამის შემდეგ, კასატორის მოთხოვნის შესაბამისად, სასამართლო რწმუნდება, თუ რამდენად ნათელია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ფაქტის მტკიცება და შეფასება (constatations et appreciations de fait), ეფუძნება თუ არა ისინი მტკიცებულებებს, თუ მხოლოდ - მოსაზრებებს, საკამარისი არის თუ არა ისინი კონკრეტული სიტუაციის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის.³⁹¹

ამდენად, ცხადია ერთი რამ: გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებისას საკასაციო სასამართლო ეხება

³⁸⁸ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.117.

³⁸⁹ J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, quatrième édition, 2008. p. 258.

³⁹⁰ К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.117.

³⁹¹ მით. ნაშ., გვ.118

ფაქტობრივ მოტივაციას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს არა მარტო იმას, თუ რა ფაქტები მიიჩნია სასამართლომ დადგენილად, არამედ იმასაც, თუ როგორ დაადგინა სასამართლომ ეს ფაქტები და როგორ ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცებულებებსა და ფაქტს შორის კავშირის დადგენა თავისი შინაარსით წარმოადგენს სუბსუმციის გზით ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლის ნორმას შორის კავშირის პროცესის პრაქტიკულ (პროცესუალურ) რეალიზაციას.

ზუსტად ამ პროცესის პრაქტიკული (პროცესუალური) რეალიზაციის შემოწმების თავისებურებებს ვეხებით, როდესაც ვიხილავთ საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმების თავისებურებებს.

მაგრამ იმისათვის, რომ ზუსტად დავახასიათოთ, თუ რას ნიშნავს “შეფასების შეფასება”, უნდა გამოვკვეთოთ პროცესუალური დარღვევის ზოგიერთი მხარე, როგორც საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტი. მაგალითად, რუსეთში გამოცემულ იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრებები, რომელთა თანახმად, საკასაციო სასამართლოები (ასევე სააპელაციო სასამართლოები, როდესაც ისინი ამოწმებენ პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა შეფასების კანონიერებას) ახორციელებს მტკიცებულებების საკონტროლო შეფასებას.³⁹² აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოსაც უხდება მტკიცებულებების შემოწმება, რათა შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასებები. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული მოსაზრება არ უკავშირდება მხოლოდ იმ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს რუსეთის საკასაციო მოდელის იმ მხარეებს, რითაც იგი განსხვავდება ქართული საკასაციო სასამართლოსაგან (იხ. § 1.1). ამ მოსაზრების ავტორები თვლიან, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებისას საკასაციო სასამართლომ უნდა გადაამოწოს მტკიცებულებათა შეფასება, რისთვისაც თვითონ აფასებს მათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლის 27 ოქტომბრის ფედერალური კანონის თანახმად, მტკიცებულებების საკონტროლო შეფასების ფუნქცია საკასაციო სასამართლოებში გაიზარდა, რომლის მიხედვით, ისინი ახორციელებენ სააპელაციო სასამართლოებისათვის დამახასიათებელ უფლებამოსილებას ახალი მტკიცებულებების მიღებითა და მათი შეფასებით.³⁹³

საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სამართლისა და ფაქტის საკითხებზე კონტროლის გამიჯვნის მიზნით საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს შეუძლია განახორციელოს კონტროლი გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციაზე, რაც

³⁹² М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 159-161. ასევე იხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр.117.

³⁹³ იხ. იქვე, გვ. 160. შეად. А. С. Кожемяко. Кассационное производство в арбитражном суде: теория и практика . М., 2004г. стр.,14

წარმოადგენს ფაქტის, როგორც დასაბუთებისა და შეფასების ერთობლიობის საგანს.³⁹⁴ ამ შემთხვევაში საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს მიერ მოტივაციაზე განხორციელებული მინიმალური კონტროლი არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ დასაბუთებასა და შეფასებებზე კონტროლი, რაც ნიშნავს იმას, რომ ფაქტების გარეშე სასამართლო ვერ შეამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს.

ამდენად, ჩვენს ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს პროცესუალური დარღვევების შემოწმებას ქართული საკასაციო სასამართლო. კასატორის მიერ პროცესუალურ დარღვევაზე მითითების შემთხვევაში თავიდან ხომ არ აფასებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე გამოკვლეულ და შეფასებულ მტკიცებულებებს, ანუ ახდენს თუ არა საკასაციო სასამართლო მტკიცებულებების “საკონტროლო შემოწმებას”.

უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებით პროცესში დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც უკავშირდება მტკიცებულებათა არშეფასებას ან არასათანადოდ შეფასებას (მაგალითად, მიიღო ის მტკიცებულება, რომელიც არ უნდა მიეღო ან არ მიიღო ის მტკიცებულება, რომელიც უნდა მიეღო, არასათანადოდ შეაფასა ან არ შეაფასა ესა თუ ის მტკიცებულება და ა.შ.), როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დარღვევების შედეგად არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.³⁹⁵ მაგრამ იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლომ შეამოწმოს შექმნილი თუ არა ამ პროცესუალურ დარღვევას გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამომტანა, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის წინაპირობები, რომლებიც წარმოადგენენ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შედეგის (სარეზოლუციო ნაწილის) საფუძველს (მოტივაციას). ამდენად, ამ პროცესუალური დარღვევების შემოწმების შემთხვევაში სასამართლო მხედველობაში იღებს გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას.

როგორც უკვე აღინიშნა, პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას მხედველობაში მიიღება ერთ შემთხვევაში - პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები, ხოლო მეორე შემთხვევაში - ლოგიკის წესები.

პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს ფაქტობრივად უწევს საპირისპირო გზის გავლა, როდესაც მის წინაშეა სააპელაციო სასამართლოს შეფასების კონსტატაცია, რაც წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს შემოწმების ათვლით წერტილს. აღნიშნული გზის გავლა უწევს ასევე სააპელაციო სასამართლოს იმ შემთხვევაში, როდესაც ის ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეულ და შეფასებულ მტკიცებულებებს. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ, განსხვავებით სააპელაციო ინსტანციის

³⁹⁴ J. Boré. La cassation en matière civile. Paris. 1997. 2^e partie. p. 897.

³⁹⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სასამართლოსაგან და, მით უმეტეს, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან, როდესაც გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ფაქტის უშუალო აღქმა (მაგალითად, ადგილზე დათვალიერება, ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერება და ა.შ.), საკასაციო სასამართლოში ძირითადი, საძიებელი ფაქტების დადგენის პროცესის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ სინამდვილის გაშუალებული ასახვით. სინამდვილის გაშუალებული ასახვა საკასაციო სასამართლოში გულისხმობს არა ძირითადი, საძიებელი ფაქტების დამდგენი მტკიცებულებების შეფასებას, არამედ - სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ მტკიცებულებების შეფასებასთან (ფართო გაგებით) დაკავშირებული სამართლებრივი თუ ლოგიკური წესების დარღვევის არსებობა-არარსებობის შემოწმებას.

აღნიშნული პროცესის შემოწმებისას, ერთ შემთხვევაში (როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ) საკასაციო სასამართლოს შეხება აქვს მხოლოდ სამართლის საკითხთან (მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობების შემოწმებისას), მაგრამ, როდესაც იგი ამოწმებს, თუ სააპელაციო სასამართლომ რამდენად სწორად გამოიკვლია და შეაფასა მტკიცებულები, საკასაციო სასამართლო ეხება მტკიცებულებასა და ფაქტს შორის კავშირის განსაზღვრის მართებულებას, რა დროსაც გასათვალისწინებელია არა მარტო პროცესუალური, არამედ - მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესები და ლოგიკით მოცემული კანონზომიერებები. ამდენად, ამ კავშირის განხილვა შეუძლებელია ფაქტებთან შეხების გარეშე. უკაც ბორე აღნიშნავს, რომ სამართალი მოითხოვს ფაქტის საჭიროებას, ხოლო ფაქტი – სამართლის: ნებისმიერი კანონი აწესრიგებს ფაქტობრივ შემთხვევას.³⁹⁶

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმება აისახება სამართლებრივი შემოწმების ერთიან კონტექსტში და არანაირად არ შეიძლება ითქვას, რომ, მაგალითად, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულების გამოკვლევა-შეფასებასთან დაკავშირებულ დარღვევებს, არასწორად შეფასების შემოწმება არის გამონაკლისი იმ საერთო წესიდან, რასაც ჰქვია სამართლებრივი მხარის შემოწმება.

სამართლებრივი მხარის სრულყოფილი შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების ზუსტად განსაზღვრის შემთხვევაში. მისი განსაზღვრის კრიტერიუმს წარმოადგენს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, ხოლო ამ ნორმით განსაზღვრული ფაქტობრივი შემადგენლობის რეალიზაცია კი მტკიცებითი საქმიანობაში ხორციელდება გარკვეული მტკიცებულებებით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ საკასაციო სასამართლო იმისათვის, რომ შეაფასოს პროცესუალური დარღვევის არსებობა, ფაქტობრივად უნდა გაიაროს რთული გზა – მატერიალურ-

³⁹⁶ J. Boré. La cassation en matière civile. Paris. 1997. 2^e partie. p. 897

სამართლებრივი ნორმის გამოყენება-განმარტებიდან და ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრიდან მათი რეალიზაციის შემოწმებამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ჩვენ მიუვახლოვდით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, თუ კონკრეტულად რას იკვლევს საკასაციო სასამართლო, როდესაც კასატორი უთითებს პროცესუალურ დარღვევებზე, საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების დამდგენ მტკიცებულებას, თუ მტკიცებით (დასაბუთების) პროცესს.

როდესაც ვსაუბრობთ მტკიცებულებათა შეფასებაზე, უნებლიეთ ყურადღება გადაგვაქვს უშუალოდ მტკიცებულებაზე. აქედან გამომდინარე, როდესაც იურიდიულ ლიტერატურაში, მტკიცებულებათა შეფასების საკითხები იხილება, საკმაოდ დიდ დროს უთმობენ მტკიცებულების განმარტებებს, მისი სამართლებრივი და ლოგიკური მხარეების განხილვით, როგორც სასამართლო განხილვის საგანს. შესაბამისად, მტკიცებულებათა განმარტებისას ყურადღება მახვილდება გარეგან და შინაგან ასპექტებზე, რომელთა ამოხსნით განისაზღვრება მტკიცებულებათა ლოგიკური შინაარსი და სამართლებრივი კრიტერიუმები. ყოველივე ეს უდავოდ აუცილებელია იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას მტკიცებულების ინსტიტუტზე.³⁹⁷ შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ კანონით დადგენილ მტკიცებულებათა საშუალებებით (სახეებით) ხორციელდება ამ მტკიცებულებებში არსებული ფაქტობრივი ინფორმაციის მიღება და კვლევა კანონით განსაზღვრული წესების დაცვით და ლოგიკური ოპერაციების შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმის საფუძველზე განსაზღვრული ფაქტობრივი შემადგენლობის დადგენა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მტკიცებულებათა შეფასების და მასთან დაკავშირებული დარღვევების სრული სურათის წარმოდგენისათვის არ არის საკმარისი მტკიცებულების ინსტიტუტის მოქცევა სტატიკურ ფორმებში. მტკიცებულება, როგორც მტკიცებითი საქმიანობის ინსტრუმენტი, ალტურვილია უნიკალური ფუნქციით, რაც გამოიხატება ფაქტის დასაბუთების უნარში. როგორც წესი, ფაქტის დასაბუთებაში მონაწილეობს დაპირისპირებულ მხარეთა მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მტკიცებულება, რომელთა ერთობლივი განხილვის შედეგად შესაძლებელია მივიღოთ სწორი წარმოდგენა ფაქტობრივ სიტუაციაზე.

ამდენად, როდესაც არსებობს კასატორის შესაბამისი მითითებები (იხ. § 4.3.1.) სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ პროცესუალურ

³⁹⁷ იხ. ასევე М. Х. Хутыз, Общие положения гражданского процесса. Историко-правовое исследование. М., 1976г., стр. 88\ Л. Т. Улянова. Оценка доказательств судом первой инстанции. М., 1960г., стр., 11/ Н. М. Кипнис. Допустимость доказательств в уголовном судопроизводстве. М., 1995г., стр., 13\ Т.В. Саханова. Регламентация доказательств и доказывания в гражданском процессе. Государство и право. 1993г., №7. стр., 53\ В.В. Малчанов. Собираение доказательств в гражданском процессе. М., 1991г., стр., 13\ А.Т. Боннер. Правила допустимости доказательств в гражданском процессе: необходимость или анахронизм? Советское государство и право. 1990г., № 10., стр., 30.

დარღვევებზე, საკასაციო სასამართლოს ფაქტობრივად უხდება აღნიშნული მითითებების ფარგლებში, ამ დარღვევების რამდენიმე მიმართულებით შემოწმება. პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ეს არის პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე, რომლის დროს უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად სწორად დაიცვა სასამართლომ მათი მიღება-გამოთხოვის წინაპირობები; მეორე, რამდენად სწორად შეაფასა მათი განკუთვნილობა-დასაშვებობა; მესამე, რამდენად მართებულად ასაბუთებს სააპელაციო სასამართლო ამ მტკიცებულებით ფაქტობრივ სიტუაციას; მეოთხე, რამდენად სწორი დასკვნები მიიღეს შეფასების შედეგად და, ბოლოს, რამდენად მოჰყვა ამ დარღვევებს არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ზუსტად რომ ამ პროცესის შემოწმება პირდაპირ კავშირშია იურიდიულ შედეგთან, რომელიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ. სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პროცესუალურ დარღვევას არ მოჰყვება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, თუ ის არ წარმოადგენს არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს. ზუსტად ეს დანაწესი განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალური დარღვევების შემოწმების შინაარსს. აქედან გამომდინარე, პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმის გარკვევა თუ ამ დარღვევას რამდენად შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რისთვისაც თუნდაც ერთ-ერთ მტკიცებულებასთან მიმართებით პროცესუალური დარღვევის შემოწმებისათვის საკასაციო სასამართლო უწევს მისი განხილვა დასაბუთების პროცესის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით. ამდენად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მტკიცებულების შეფასების მართებულების შემოწმებისას საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების მართებულობას, რათა გაერკვიოს, თუ კონკრეტულ პროცესუალურ დარღვევას რამდენად შეეძლო გამოეწვია არასწორი შედეგი. ამ შემთხვევაში ის ხელმეორედ არ იკვლევს საძიებელი ფაქტების დამდგენ მტკიცებულებებს (მტკიცებულებების საკონტროლო შემოწმება), არამედ პროცესუალური დარღვევის ფაქტის დამდგენი მტკიცებულების შეფასებით - ერთ შემთხვევაში და იმის დადგენით, თუ ამ პროცესუალური დარღვევის შედეგად რამდენად არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი - მეორე შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ამოწმებს დასაბუთებას.

აქედან გამომდინარე, ვლინდება შეფასების ზოგადი, მათ შორის საკასაციო სასამართლოს შეფასების წესები, რომლებიც მოცემულია არა სამართლებრივი ნორმებით, არამედ - ლოგიკით, რადგან შეფასება ეფუძნება აზროვნების ობიექტურ კანონებს.

ამდენად, შევხვით პროცესუალური დარღვევების შემოწმების ზოგიერთ ფორმალურ-ლოგიკურ წესს.

დასაბუთება, ანუ მტკიცებულების უნარი, სწორი ცოდნა მოგვცეს დასამტკიცებელი ფაქტის შესახებ, არის გონებრივი პროცესი, რომელიც თავის მხრივ მიმართულია ადრე მიღებული მსჯელობების მეშვეობით,

რისი ჭეშმარიტებაც უკვე დასაბუთებულია, სხვა მსჯელობათა ჭეშმარიტების დადგენისაკენ.³⁹⁸

დასაბუთების ამოცანაა დასამტკიცებელი გარემოების შესახებ ეჭვების გაქარწყლება.³⁹⁹ ამ ეჭვების გაქარწყლების შედეგს წარმოადგენს დასადასტურებელი ფაქტების სარწმუნოების მაღალი ალბათობა. ამასთან მიმართებით რაინჰოლდ ციპელიუსი სვამს შემდეგ კითხვას: რა ხარისხის ალბათობა უნდა არსებობდეს, რომ სასამართლომ ეს ფაქტები სარწმუნოდ მიიღოს.⁴⁰⁰ აქვე იგი აღნიშნავს, რომ, როგორც წესი, გადაწყვეტილება უბრალო სარწმუნოებას უნდა ემყარებოდეს, ე.ი. კეთილსინდისიერად დასაბუთებულ შესაძლებლობას, როდესაც სახეზეა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. მაგრამ მტკიცების პროცესთან მიმართებით ის მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულის გარდა, სამოქალაქო სამართლის პროცესში მხოლოდ მაშინ ითვლება ფაქტები დამტკიცებულად, როდესაც სახეზეა მათი არსებობის შესაძლო მაქსიმალური ალბათობა.⁴⁰¹

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაინც რჩება უკმარისობის გრძნობა. კერძოდ, რას ნიშნავს “შესაძლო მაქსიმალური ალბათობა”, ან როგორ უნდა დავადგინოთ ალბათობის მაქსიმუმი ან მინიმუმი; რა მოქმედებებით უნდა მივაღწიოთ ალბათობის ისეთ ხარისხს, რომ საკმარისი იყოს მოსამართლის დარწმუნებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლის მიერ ფაქტსა და მტკიცებულებას შორის კავშირის დადგენა მიზნად ისახავს ფაქტის არსებობის შესაძლო მაქსიმალურ ალბათობას. როგორც ჩვენ ვთვლით, ფაქტის არსებობის შესაძლო მაქსიმალური ალბათობის რწმენისათვის აუცილებელია მივმართოთ დასაბუთებას, როგორც ბჭობის ერთ-ერთ სახეს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცება (დასაბუთება) ლოგიკურ-ფორმალური თვალსაზრისით და მტკიცება პროცესუალური თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან იმით, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ ცოდნა მიიღება სამოქალაქო საპროცესო საშუალებების მეშვეობით, ხოლო ფორმალურ-ლოგიკური დასაბუთებისას პიროვნება ლოგიკური ოპერაციების მეშვეობით ადგენს ჭეშმარიტებას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროცესუალური მტკიცება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ფორმალურ-ლოგიკური მტკიცების (დასაბუთების) გარეშე.⁴⁰²

როგორც მივუთითეთ დასაბუთება არის უკვე ცნობილი ჭეშმარიტებიდან ახალ ჭეშმარიტებაზე გადასვლა. ლოგიკაში დასაბუთებას გააჩნია თავისი სტრუქტურა, რომელშიც გამოიკვეთება: 1. თეზისი, ანუ დებულება, რომლის ჭეშმარიტების დადგენა არის დასაბუთების მიზანი; 2. მოსაზრებები, არგუმენტები, რომელთა ჭეშმარიტება უკვე დადგენილია და რომლის მეშვეობით დასაბუთდება თეზისის ჭეშმარიტება. 3.

³⁹⁸ В. И. Бартош. Логика. Минск. 2008. стр. 289.

³⁹⁹ იხ. იქვე, გვ. 289.

⁴⁰⁰ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 120.

⁴⁰¹ იხ. იქვე გვ. 121.

⁴⁰² შეად. А. Ф. Клейман. Новейшие течения в советской науке гражданского процессуального права. изд. московского университета. 1967г., стр. 49-57.

დემონსტრაცია, ანუ დასაბუთების ფორმა, რომელიც წარმოადგენს ლოგიკურ კავშირს თეზისსა და არგუმენტებს შორის, ანუ არგუმენტებიდან თეზისის გამოყვანა, რასაც ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ ბჭობა.⁴⁰³

იგივე პროცესი ახასიათებს ასევე სასამართლოში ფაქტის დასაბუთებას, მაგრამ იმ თავისებურების გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელი პროცესუალურ მტკიცებისათვის.

კერძოდ, ჩვენ შემთხვევაში დასაბუთების მიზანს წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა (თეზისი). მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება არა ფაქტობრივი გარემოებები, არამედ დგინდება განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებების ნამდვილობა. მოსაზრებები და არგუმენტები პროცესუალურ მტკიცებითი საქმიანობაში წარმოადგენს ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც მოცემულია მტკიცებულებებში და რომლითაც განისაზღვრება მათი შინაარსი. ამასთან ერთად პროცესუალურ მტკიცებას ახასიათებს ის თავისებურება, რომ აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემების მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების ცალკეული სახეების (საშუალებების) მეშვეობით და კანონით დადგენილი წესების დაცვით. შესაბამისად, მტკიცებულების შინაარსით მოცემული ფაქტობრივ ინფორმაციასა და დასადგენ ფაქტობრივ გარემოებებს შორის ლოგიკური კავშირის დადგენა (დემონსტრაცია), ხორციელდება ინდუქციური ბჭობითა და დასკვნების მეშვეობით, რასაც, შესაბამისად, საფუძვლად უდევს ცოდნა დედუქციური ბჭობითა და დასკვნებით მიღებული დასადგენი ფაქტის შესახებ.

ამდენად, ფაქტის დამტკიცების პროცესისათვის დამახასიათებელია ინდუქციური დასკვნები (რაც განსხვავდება მტკიცების საგნის ლოგიკური განსაზღვრის წესისაგან და რაც ხორციელდება დედუქციური დასკვნების შესაბამისად), რადგან ამ შემთხვევაში კერძო, გაფანტული ფაქტებიდან მივდივართ საერთო დასკვნამდე. ინდუქციური დასკვნის დროს მტკიცებულებაში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაცია წარმოადგენს წინამძღვარს, ხოლო დასადგენი ფაქტი (ფაქტობრივი გარემოება) – შედეგს.

პროცესუალური სამართლის თავისებურებების გათვალისწინებით, ამ შედეგის მიღება არ გულისხმობს ფაქტის ყველა სიზუსტით დადგენას. როგორც უკვე აღვნიშნა, საკმარისია ამ ფაქტების არსებობის შესაძლო მაქსიმალური ალბათობა, რაც შესაძლებელია სწორი ინდუქციური კვლევის განხორციელებისას.

ამდენად, ინდუქცია წარმოადგენს დასკვნას, რომელიც მიმართულია ცალკეული ფაქტიდან საერთო შედეგამდე. როდესაც მოსამართლე მტკიცებითი საქმიანობის დროს აფასებს მტკიცებულებას, ინდუქციური დასაბუთების საფუძველს წარმოადგენს მტკიცებულებებით მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის ერთობლიობა ერთი და იმავე დასადგენი

⁴⁰³ დაწვ. იხ. В. И. Бартон. Логика. Минск. 2008. стр. 289.

ფაქტის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულებაში ფაქტის შესახებ ინფორმაცია არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, მაშინ დასადგენი ფაქტის არსებობის შესაძლო მაქსიმალური ალბათობა განპირობებულია სხვა მტკიცებულებებში მოცემული ინფორმაციის ხარისხითა და მათი ურთიერთკავშირით. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფაქტის არსებობის შესაძლო მაქსიმალური ალბათობა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მტკიცებულებათა ერთობლივი გამოკვლევით.

რა თქმა უნდა, დასაბუთების პროცესში მნიშვნელოვანია ის, რომ მტკიცებულებაში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის (წინამძღვარის) ნამდვილობაში მოსამართლე უნდა იყოს დარწმუნებული რათა ამ მტკიცებულების მეშვეობით მან დასადგენი ფაქტის ნამდვილობა ირწმუნოს. ამდენად, სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა გამოკვლევა უკავშირდება არა მარტო დასადგენი ფაქტის ნამდვილობას (შედგეს), არამედ - იმ მტკიცებულების ნამდვილობასაც, რომელშიც მოცემულია ფაქტის შესახებ ინფორმაცია (წინამძღვარი). ამ უკანასკნელის ნამდვილობა უზრუნველყოფილია პროცესუალური ფორმის დაცვით. კერძოდ, მტკიცებითი საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა საშუალებებით და კანონით დადგენილი წესების დაცვით. ანუ, ეს ის ფორმაა, რომლითაც შეზღუდულები არიან მტკიცებითი საქმიანობის სუბიექტები. ამ მტკიცებულებებში მოცემული ინფორმაცია მოწმდება სხვა მტკიცებულებებთან კავშირში. მაგალითად, დავის შემთხვევაში იმისათვის, რომ მოსამართლე დარწმუნდეს, აწერს თუ არა ხელს ანდერძს მამკვიდრებელი, შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა და ა.შ.

ერთ შემთხვევაში ამ ინფორმაციის ნამდვილობის სარწმუნოობა შეიძლება იყოს ცალსახად განსაზღვრული (მაგალითად, საჯარო რეესტრის ამონაწერის გაცემის დროისათვის მოსარჩელე წარმოადგენდა სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრეს), ხოლო მეორე შემთხვევაში საკმარისია მტკიცებულებაში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის არსებობის შესაძლო მაქსიმალური ალბათობა (მაგალითად, კეთილსინდისიერი მყიდველის შეფასებისას).

ამდენად, მტკიცებულებები მასში არსებული ფაქტობრივი ინფორმაციის მიხედვით, შეიძლება იყოს განსაზღვრული და შეფასებითი.⁴⁰⁴

მტკიცებულებაში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის ჭეშმარიტების დადგენა, მისი პროცესუალური თვალსაზრისით, თავის მხრივ უკავშირდება ბჭობის მართებულობას. ბჭობის დროს დაშვებულ შეცდომებს მოჰყვება არასწორი დასკვნები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს უხდება ზოგადად დასაბუთების პროცესის მხედველობაში მიღება, რათა დაადგინოს, თუ რამდენად შეეძლო ამ პროცესუალურ დარღვევას გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამასთან ერთად, საქმის ხელახლა სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შემთხვევაში (იხ. § 5.3.) დიდი მნიშვნელობა ენიჭება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ ყველა

⁴⁰⁴ ასევე იხ. В. В. Игнатенко. Оценочные понятия в законодательстве об административной ответственности. Дис. . . канд. юрид. наук. Свердловск. 1989г., стр., 88\А. Ф. Черданцев. Логика-языковые феномены в праве, юридической науке и практике. Екатеринбург, 1993г., стр., 113.

მტკიცებულებაში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის ერთობლივ ანალიზს, რომლებიც მიუთითებენ როგორც აპელანტის, ასევე მისი მოწინააღმდეგის ფაქტებზე. ამ მტკიცებულებებში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაცია, როგორც ბჭობის საშუალება, მოიცავს არა მარტო ფაქტის დადასტურების, არამედ - მისი გაბათილების ლოგიკურ ოპერაციას.⁴⁰⁵

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ დასაბუთებაზე, როგორც ჭეშმარიტების დამტკიცების ლოგიკურ პროცესზე, ყურადღებას ვამახვილებთ ბჭობის წარმართვის მართებულობაზე. როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც, განსახილველი თემატიკის ფარგლებში, ვლინდება მტკიცებულებათა არშეფასებაში ან არასათანადოდ შეფასებაში, ფაქტობრივად ამოწმებს დასაბუთების დროს დაშვებულ დარღვევებს და არ ახდენს მტკიცებულებების საკონტროლო შემოწმებას, როგორც ეს მითითებულია ზოგიერთ იურიდიულ ლიტერატურაში (იხ. ზემოთ).

ამდენად, დასადგენი ფაქტების ნამდვილობის შესაძლო მაქსიმალური აღბათობის მისაღწევად აუცილებელია ორი წინაპირობის დაცვა, რაც წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს პროცესუალური დარღვევების შემოწმების კრიტერიუმებს: 1. ამ ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მტკიცებულებათა საშუალებების მეშვეობით და მათი შეგროვება და გამოკვლევა პროცესუალური წესების შესაბამისად; 2. ლოგიკური კანონზომიერების დაცვა.

როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, სასამართლოში ხორციელდება სინამდვილის რეტროსპექტიული აღქმა (გამონაკლისია, მაგალითად, ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერება, ადგილზე დათვალიერება). წარსულში არსებული სიტუაციის აღქმა ხდება მტკიცებულებების მეშვეობით, ანუ გაშუალებული აღქმით. მაგრამ ფაქტის დამდგენი სასამართლოსგან განსხვავებით, რომელსაც მტკიცებულების შესწავლა შეუძლია უშუალოდ, საკასაციო სასამართლო აფასებს მტკიცების პროცესთან დაკავშირებულ პროცესუალურ დარღვევებს და არა - უშუალოდ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების თაობაზე არსებულ მტკიცებულებებს.

ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლებში და საპროცესო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე იკვლევს არა ძირითად, საძიებელი ფაქტების დამდგენი მტკიცებულებებს, არამედ - ამ ფაქტების დადგენის პროცესში დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებს (პროცესუალურ ფაქტებს), ამ დარღვევების დამდგენი მტკიცებულებების მეშვეობით.

⁴⁰⁵ გაბათილების ლოგიკურ ოპერაციებზე დაწვ. იხ. А. Д. Гетманова. Логика для юристов. М., 2009г., стр., 294-296.

პროცესუალური დარღვევების არსებობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთების კონტექსტის გათვალისწინებით, გამოხატულია მტკიცებულებათა არშეფასებაში ან არასათანადოდ შეფასებაში. ამასთან, საკასაციო სასამართლო პროცესუალური დარღვევის დადგენის შემთხვევაში თვითონ განსაზღვრავს არ შეფასებული ან არასათანადოდ შეფასებული მტკიცებულების შემოწმება-დასაბუთების კრიტერიუმებს, რაც, შესაბამისად, აისახება საკასაციო სასამართლოს მითითებებში საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შემთხვევაში (იხ. § 5.5).

4.4. მტკიცების ტვირთის განაწილების შეფასება

სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ, როდესაც იგი ახდენს ფაქტების დიფერენცირებას, გამოყოფს ფაქტებს, რის შესახებაც მხარეები არ დაობენ, მათ შორის, აღიარებულ ფაქტებს, საყოველთაოდ ცნობილ და პრეუდიციული მნიშვნელობის ფაქტებს, ასევე საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს, რომელზეც მხარეები დაობენ და რისგანაც შედგება მტკიცების საგანი, მნიშვნელობას იძენს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების ტვირთის, ანუ დამტკიცების პროცესში მხარეთა უფლებავალდებულებების სწორად გადანაწილება.⁴⁰⁶

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოები არასწორად ანაწილებენ მტკიცების ტვირთს, რომლის თანახმად, ერთ-ერთი მხარის ფაქტზე მითითებების გაუზიარებლობა გამოიხატება მტკიცებულების წარმოდგენლობაში, როდესაც ამ მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება აკისრია მეორე მხარეს და ა.შ. აქედან გამომდინარე, მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპის დარღვევას, როგორც წესი, მოჰყვება არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ მართებულად არის მითითებული იმის შესახებ, რომ მტკიცების ვალდებულების და მისი განაწილების წესის სამართლებრივი ბუნების ზუსტი ამოხსნა შეუძლებელია მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გათვალისწინების გარეშე.⁴⁰⁷

აღნიშნული პრინციპებით მოცემულია მხარეთა უფლებავალდებულებების განხორციელების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ მოთხოვნასა თუ შესაგებელს და წარმოადგინოს მტკიცებულებები ამ ფაქტების დასადასტურებლად. მაგრამ მხარეთა შეჯიბრებითობა შეუძლებელია, თუ მხარეები შეჯიბრებითობის

⁴⁰⁶ შეად. თ. ლილუაშვილი. “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”, თბ. 2005, გვ. 223

⁴⁰⁷ М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 56

პროცესში არ იქნებიან თანასწორნი. რა თქმა უნდა, აღნიშნული პრინციპები საფუძვლად უდევს მთელ სამართალწარმოებას.

მაგალითად, ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია ფაქტების დადგენის და ამასთან დაკავშირებით მტკიცებულებათა შეფასების კომპეტენცია, მაგრამ ასეთი კომპეტენციის არარსებობას გააჩნია ორმაგი ხასიათი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები ან ხელახლა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგენენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განხილვის საგანს. მაგრამ საკასაციო სასამართლო ამოწმებს მოტივაციას (motivation) და აკონტროლებს ამ ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით სამართლებრივი ნორმების დაცვას, კერძოდ, მტკიცებითი ტვირთის განაწილებისა და შეჯიბრებითობის წესების დაცვას.⁴⁰⁸

ამასთან ერთად ყველა კონკრეტული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია იმ უფლებათა თუ ვალდებულებათა შინაარსი, რომელიც შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, თუ კონკრეტულად რომელი ფაქტი უნდა დაადასტუროს ერთმა მხარემ და რომელი - მეორემ.

ამ უფლება-ვალდებულებათა განაწილების პროცესუალური წესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთი ნაწილდება მხარეებზე, მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნის, ასევე მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის უფლებებზე. სასამართლო არის მტკიცების, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტი, მაგრამ სასამართლო არ არის და არც შეიძლება იყოს დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) სუბიექტი.⁴⁰⁹

სასამართლო წარმოადგენს მტკიცებითი საქმიანობის იმ სუბიექტს, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებითი საქმიანობის სუბიექტთა უფლება-ვალდებულებების სწორად განაწილებას და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქმის გარემოებების გასარკვევად, თავისი ინიციატივით შეუძლია მიმართოს გარკვეულ ღონისძიებებს. ამ კომპეტენციათა სწორ გამოიყენება დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს პროცესუალურ დარღვევებს.

შესაბამისად, ამ უფლება-ვალდებულებების სწორად განაწილებაზე დამოკიდებულია მტკიცების სუბიექტთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების სწორად რეალიზაცია. შესაბამისად, ყოველივე ეს აისახება პორცესუალურ-სამართლებრივ მხარეზე, რომლის თანახმად, მტკიცებულების წარდგენა შეიძლება სასამართლომ მოსთხოვოს

⁴⁰⁸ J. Boré. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-er partie, p.290/ასევე იხ. Com. 6 mais 1980, Bull. civ. IV. N° 176 ; civ. 2-e, 10 juill. 1968, Bull. civ. II. N° 206

⁴⁰⁹ თ. ლილუაშვილი. “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”, თბ. 2005, გვ. 225. შეად. M. K. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 56

მტკიცებითი საქმიანობის იმ სუბიექტს, რომელსაც მისი წარდგენა არ ევალება და ა.შ, რაც დაუშვებელია.

ამდენად, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის (იხ. § 1.3., § 3.2.) საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებს (იხ. § 4.3.), მან უნდა გამოიწიოს ის ვალდებულებები, რომლებიც გააჩნიათ მხოლოდ დამტკიცების ტვირთის სუბიექტებს და, ასევე, ის უფლებამოსილებანი, რომლებიც გააჩნია სასამართლოს, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტს. ამ შემთხვევაში სასამართლოს ფუნქციაა სწორად გაანაწილოს დამტკიცების ტვირთის სუბიექტთა უფლება-ვალდებულებანი. როდესაც სასამართლო განსაზღვრავს მტკიცების საგანში შემავალ სადავო ფაქტობრივი გარემოებების წრეს (იხ. § 3.3.), რომელიც შედგება დაპირისპირებულ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისაგან, უშუალოდ მტკიცებითი საქმიანობას წინ უსწრებს ამ ფაქტების დამტკიცების ვალდებულებების განაწილება.

ვფიქრობთ, რომ საკასაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი, როდესაც კასატორი უთითებს პროცესუალურ დარღვევაზე (მაგალითად, არასწორად შეაფასა სასამართლომ ესა თუ ის მტკიცებულება), მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება ყურადღებას არ ამახვილებდეს უშუალოდ მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე. აღნიშნული განპირობებულია, როგორც უკვე აღინიშნა, იმით, რომ სასამართლო თვითონ არის ვალდებული, სწორი მიმართულება მისცეს მტკიცებით საქმიანობას, ეს დებულება სავსებით ეხება ასევე საკასაციო სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ამ უფლებამოსილებაზე კანონში პირდაპირი მითითება არ არსებობს, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ვალდებულებათა სწორად განაწილებაში სასამართლოს როლი აიხსნება მტკიცების ტვირთის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მტკიცების ვალდებულებას არ გააჩნია პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე, ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება პროცესუალურ საქმიანობაში, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების რეალიზაციაში და, შესაბამისად ვალდებულებების განხორციელებაში. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესუალური საქმიანობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ არ გვექნება განსაზღვრული დამტკიცების ტვირთის რომელ სუბიექტს ევალება მტკიცებულებების წარდგენა მითითებული ფაქტის დასადასტურებლად. ზუსტად ამ ვალდებულებების განსაზღვრის კრიტერიუმები უნდა ვეძებოთ სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ვალდებულების მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსი ასევე მდგომარეობს იმაში, რომ ამ ვალდებულების არგამოყენების შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული მხარის მიერ ფაქტის არსებობა ან არარსებობა ცნოს, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს კანონიდან.⁴¹⁰ ამდენად, ისმის

⁴¹⁰ М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999. стр. 58

კითხვა: მოჰყვება თუ არა მტკიცებულებათა წარმოდგენლობას მხარისათვის ან დამტკიცების ტვირთის სხვა სუბიექტისათვის იურიდიული სანქცია.⁴¹¹ მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვმარტავთ მტკიცებით ვალდებულების შეუსრულებლობას, როგორც სანქციას თუ სხვაგვარად, ცხადია ერთი, რომ ამ ვალდებულების შეუსრულებლობით ისჯება მხარე, რომელსაც ევალებოდა ფაქტის დამტკიცება.⁴¹² ამდენად, სანქციაში შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერ, სამართლებრივი ნორმის დაუცველობით გამოწვეული არასასურველი შედეგი, მათ შორის - არასასურველი გადაწყვეტილება, რომელიც დადგა იმ მხარის საწინააღმდეგოდ, ვინც არ შეასრულა დამტკიცების ვალდებულება.⁴¹³

როგორც წესი, მხოლოდ მხარეების მიერ მოხსენიებული ფაქტები შეადგენს მტკიცების საგანს (რომლის წრეს განსაზღვრავს სასამართლო), ე.ი. მათი დადგენის მიზნით წარმოებს მტკიცებულებათა შეგროვება. მაგრამ არსებობს გამონაკლისი, როდესაც იმ ფაქტებს ვეხებით, რომელიც სასამართლომ თვითონ გამოარკვია სხვა საქმის განხილვისას, ან თუ საქმის შინაარსი საყოველთაოდ არის ცნობილი. მაგრამ, როდესაც მხარეები უთითებენ ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ მოთხოვნასა თუ შესაგებელს, მაშინ საქმის მასალების წარმოდგენის უფლებასთან ერთად მხარეებს დაეკისრებათ მოვალეობა, რომ გამოთქვან საკუთარი აზრი საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა ფაქტობრივ საკითხზე, რაც წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთს.⁴¹⁴

ფაქტების მითითების ტვირთი სამოქალაქო პროცესში გულისხმობს იმას, რომ პროცესუალური თვალსაზრისით მხარე უფლებამოსილია, გამოხატოს მოსაზრება განსაზღვრულ ფაქტებთან დაკავშირებით, თუ მას სურს თავისი უფლებების დაცვა⁴¹⁵. საპირისპირო შემთხვევაში მის მიმართ იძულება არ იქნება გამოყენებული, თუმცა, პროცესუალური თვალსაზრისით, ის წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება.⁴¹⁶ ამ მოვალეობებს, რომელთა შესრულება იძულებით არ ხდება, უწოდებენ **ფაქტობრივ მოვალეობებს**.⁴¹⁷

⁴¹¹ ასევე იხ. http://www.pravo.vuzlib.net/book_z848_page_78.html - В. С. Калмацкий, Ю. В. Медведев. Гражданское процессуальное право. Уфа, 2003г\ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 118-119. შეად. http://www.pravo.vuzlib.net/book_z1074_page_73.html - М. Треушников. Гражданский процесс. М. 1998г.

⁴¹² И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 119.

⁴¹³ В. В. Бутнев. Характер обязанности по доказыванию в гражданском судопроизводстве и арбитражном процессе\Теория и практика установления истины в правоприминительной деятельности: сб. науч. тр. Иркутского госю ун-та – 1985. стр. 58 (ციტ. მიხ. И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 119).

⁴¹⁴ ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 30. შეად. http://www.pravo.vuzlib.net/book_z1074_page_77.html

⁴¹⁵ ასევე იხ. <http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/47619/>

⁴¹⁶ ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 30.

⁴¹⁷ იხ. იქვე, გვ. 31.

როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს მტკიცების ტვირთის განაწილების მართებულებას, უპირველეს ყოვლისა, ამოწმებს იმას, თუ სასამართლომ რამდენად უზრუნველყო მხარეთა ზემოაღნიშნული ფაკულტატიური ვალდებულების შესრულება. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების სუბიექტთა კომპეტენციის გამოჯვრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უშუალოდ არ ამოწმებს დამტკიცების სუბიექტთა მიერ ე.წ. ფაკულტატიური ვალდებულებების შესრულების მართებულებას. როგორც აღინიშნა, ამ ვალდებულების შესრულება-არშესრულება დამოკიდებულია მხოლოდ დამტკიცების სუბიექტთა ნებაზე. ფაქტობრივად მტკიცებულებებით თავიანთი მოთხოვნების, თუ შესაგებლის გამაგრება წარმოადგენს უფლებას, მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებების სასამართლო წესით დაცვაზე, ამით ხაზს ვუსვამთ, ასევე იმ ფაქტორს, რომ ამ უფლებათა დაცვა უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, სასამართლო წესით თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დამრღვევი გარემოებების დასადასტურებლად დამტკიცების სუბიექტები ვალდებული არიან, თავი დაიცვან კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებით, რომელთა წარმოუდგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს მათთვის არახელსაყრელი შედეგები.

ვფიქრობთ, რომ საკასაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ სასამართლომ რამდენად უზრუნველყო დამტკიცების სუბიექტთა მიერ ფაკულტატიური ვალდებულების შესრულება, თუ, რა თქმა უნდა, სასამართლოს მიერ აღნიშნული წესრიგის დარღვევას მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ სასამართლო რამდენად შემოიფარგლა დამტკიცების ტვირთის სუბიექტის ზოგადი მითითებით, თუ გამოხატული მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად არის ჩამოყალიბებული და მოიცავს საქმის გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებას. კონკრეტულ ფაქტებზე მითითება და ამ ფაქტებზე განმარტებების წარდგენის მოვალეობა განეკუთვნება მხარეთა მიერ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ტვირთს.⁴¹⁸

ამდენად, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა ახსნა-განმარტებებს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც, ამ ფაქტების დამტკიცების არსიდან გამომდინარე, უნდა აკმაყოფილებდეს ფაკულტატიურ მოვალეობებს. აღნიშნული მოვალეობები რეალიზდება მტკიცებით საქმიანობაში და მასში აისახება ყველა ის ნიშან-თვისება, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ სასამართლომ ირწმუნოს დასადგენი ფაქტის არსებობა-არარსებობის ნამდვილობა. მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი მხარე უთითებს ფაქტზე, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე მხოლოდ ზოგადად უარყოფს, ჩაითვლება, რომ მოხსენება არ არის დეტალურად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული, არ წარმოადგენს მოწინააღმდეგე

⁴¹⁸ ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 31. ასევე იხ. http://fr.jurispedia.org/index.php/Charge_de_la_preuve_en_mati%C3%A8re_civile_%28fr%29

მხარის მიერ მოხსენიებული ფაქტობრივი გარემოების ნამდვილ უარყოფას და სასამართლო მას არ გაითვალისწინებს.⁴¹⁹

ამდენად, ზოგადი ხასიათის მტკიცება ან ზოგადი ხასიათის უარყოფა შესაძლებელია საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე და, როგორც ვნახეთ, გააჩნია მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსი, როდესაც ერთ-ერთი მხარის მიერ მითითებული ფაქტი სასამართლოს შეუძლია მიიღოს სარწმუნოდ, რადგან მეორე ვერ აქარწყლებს მის არსებობას. შესაბამისად, ყოველივე ეს გავლენას ახდენს მტკიცების პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეზე, რაც გამოიხატება მტკიცებულებათა წარმოდგენის, მათი განმარტებისა და სხვა პროცესუალური საქმიანობის ფორმებში.⁴²⁰

მითითების ტვირთის ინსტიტუტთან ერთად დიდი მნიშვნელობა გააჩნია მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. **მითითების ტვირთსა და მტკიცების ტვირთს** შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. ამ ურთიერთკავშირის განსაზღვრა გავლენას ახდენს მითითებისა და მტკიცების ვალდებულებათა დიფერენცირებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი ერთმანეთს ფარავენ, თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს მის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებაზე და, თუ იგი სადავო გახდება, დაამტკიცოს კიდევ.⁴²¹ მაგრამ, სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი მხარის მიერ მითითებული ფაქტი უნდა დაადასტუროს მისმა მოწინააღმდეგე მხარემ. არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ ვის ეკისრება ფაქტის დადასტურების ვალდებულება. ამ შემთხვევაში საკმად დიდ როლს ასრულებენ პრეზუმციები.

მაგალითის სახით მოვიყვანთ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ შემთხვევას. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი “ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის არასწორად განმარტებისა და გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ნორმით სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მხარეთა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული

⁴¹⁹ იხ. იქვე გვ. 32

⁴²⁰ И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г., стр., 124/ასევე იხ. Т. А. Лилуашвили. Предмет доказывания и распределение бремени доказывания между сторонами в советском процессе: автореф. дисс....канд. юрид. наук – М., 1961 – с. 13 /ასევე იხ. სუსგ №ას-797-1163-06, 18. 07. 2007წ.

⁴²¹ ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 34.

მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრინციპსა და მნიშვნელობაზე, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

აღნიშნული ნორმების ანალიზი ერთმნიშვნელოვნად გვაძლევს დასკვნის საფუძველს: სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს; დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის მოვალეობაა; საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს; ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმითებულ მხარეებს ეკისრებათ; გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულია მოწესრიგებული. მტკიცების ტვირთის გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი – არახელსაყრელი შედეგი. ამასთან, ყურადსაღებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის დანაწესი, რომლის ძალითაც ზემოთ აღწერილი ვალდებულებები კანონით გათვალისწინებულ ეტაპზე უნდა განხორციელდეს და ამ მოქმედებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე შეასრულოს ასეთი მოქმედება. . .

მოცემულ დავაზე მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებამ სარჩელის უარყოფაზე თავისი პოზიცია ექსპერტიზის დასკვნას დააყრდნო და სრულიად უარყო არა მარტო მისი ბრალეულობა, არამედ მისგან რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაც. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ზიანის კვალიფიკაციისათვის ოთხივე აუცილებელი წინაპირობის არსებობას მოითხოვს: უნდა დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის და ბრალი. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ექიმის (სამედიცინო პერსონალის) საქმიანობას აწესრიგებს კანონმდებლობა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.

საქართველოს კანონმდებლობაში საექიმო შეცდომების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინი იხმარება. ტერმინი „მცდარი საექიმო ქმედება“ შემდეგი სახით არის განმარტებული „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის “ო” ქვეპუნქტით: მცდარი სამედიცინო ქმედება – ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოზი ან/და სამკურნალო ღონისძიების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა;

საექიმო შეცდომაში იგულისხმება ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. მნიშვნელოვანია ის, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული; წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ქმედება პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება.

ამავდროულად, პაციენტსა და ექიმს შორის წარმოშობილი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი(პრეზუმფცია) არ მოქმედებს. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობასა და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდეგ უარყოფით შედეგზე.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმის მოქმედება მიზნად ისახავს პაციენტის გამოჯანმრთელებას, ექიმი მხოლოდ უარყოფით შედეგზე პასუხს არ აგებს. თუ ექიმი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ის არ არღვევს არც ერთ ვალდებულებას და ბრალი არ მიუძღვის. ექიმი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებელი, როდესაც ზიანი, რომელიც პაციენტს მიაღწა, გამომდინარეობს მკურნალობის დროს დაშვებული ბრალეული შეცდომისგან. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა.

ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა. ამასთან, ექიმის მიერ რაიმე საკითხის ინდივიდუალური არცოდნა ან პროფესიული სისუსტე გამამართლებელ გარემოებებს არ წარმოადგენს. ექიმის სავალდებულო გულისხმიერების დარღვევაა ისიც, როდესაც იგი არღვევს თავისი განათლებისა და კვალიფიკაციის ამდლების ვალდებულებას და აქედან გამომდინარე, სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე ცოდნა აღარ გააჩნია.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებად გამოყენებულ მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელში სარჩელში მითითებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტს უარყოფს და აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებად უთითებს ზემოხსენებული ექსპერტის დასკვნებზე, რომლებიც ცალსახად გამორიცხავენ მოპასუხის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას – მკურნალობის არაკვალიფიციურად და არასწორად ჩატარებას. ამ მტკიცებულების საწინააღმდეგოდ კასატორს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რის გამოც სასამართლომ სავსებით კანონიერად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლები) არ დააკმაყოფილა მისი სასარჩელო მოთხოვნა.⁴²²

⁴²² სუსგ №ას-1268-1526-09, 25 მაისი 2010წ.

ზემოაღნიშნული შემთხვევა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მითითების ტვირთი აწევს პაციენტს, ხოლო მტკიცების ტვირთი - ექიმს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმი წარმოადგენს მისი არაბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, პაციენტზე გადადის საწინააღმდეგოს დადასტურების ტვირთი.⁴²³ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების ტვირთის განაწილებისას კანონი ითვალისწინებს ზოგად წესსა და გამონაკლისებს.

მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (Code civil) 1315-ე მუხლის თანახმად, პირმა, რომელიც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაადასტუროს მისი არსებობა⁴²⁴. მეორეს მხრივ, მან, ვინც აცხადებს, რომ თავისუფალია ვალდებულების შესრულებისგან, უნდა წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, ან/და ვალდებულების შეწყვეტის მტკიცებულება.⁴²⁵

ამ მხრივ ინტერესს იწვევს მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპი, რომლის თანახმად, ნებისმიერი ეჭვი ან გაურკვეველობა უნდა მოქმედებდეს იმ მხარის საწინააღმდეგოდ, ვისაც ევალებოდა ამ მტკიცებულებების წარმოდგენის ტვირთი.⁴²⁶

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ გამოითხოვს მტკიცებულებას იმ პირობებში, როდესაც მხარე არ წარადგენს თავისი მოთხოვნის დადასტურების მტკიცებულებას. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილი.⁴²⁷

საგულისხმოა ის, რომ სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეს არა აქვს უფლება, თვითონ შექმნას მტკიცებულება იმისათვის, რომ დაეყრდნოს სამოქალაქო კოდექსის 1315-ე მუხლს. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საქმეთა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა რკინიგზაზე მომხდარი ავარიის შედეგად მგზავრის ბრალი, რადგან საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმებული გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენდა საფრანგეთის სარკინიგზო გადაზიდვების კომპანიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.⁴²⁸

მტკიცების ტვირთის განაწილების მსგავს მექანიზმს იცნობს გერმანული საპროცესო სამართალიც, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ობიექტურ და სუბიექტურ მტკიცების ტვირთს. ობიექტური მტკიცების ტვირთი განსაზღვრავს, თუ რომელ

⁴²³ ასევე იხ. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ., გვ. 35.

⁴²⁴ Celui qui réclame l'exécution d'une obligation doit la prouver.

⁴²⁵ De la preuve des obligations et de celle du paiement. Code civil, art. 1315.

⁴²⁶ Cass. soc. 31 janv. 1962; Bull. IV, n°105; Cass, soc. 16 oct. 1964; Bull. IV, n°678/ Code civil, art.

1315, შეად. სსსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴²⁷ Cass. soc. 7 oct. 1982; Bull. civ. I, n°540; Cass. – Civ. I, 9 juill. 1985; Bull. I, n°216/ Code procedure civile. art. 146, al. 2; შეად. სსსკ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი.

⁴²⁸ Cass. – Civ. I, 2 avr. 1996; Bull. I, n° 170; D. 1996./Code civil, art. 1315. შეად. სუსგ №ას-792-1007-08, 11.06. 2009 წ.

მხარეს ეკისრება ეს ტვირთი და, შესაბამისად, რომელ მხარეს დაეკისრება არახელსაყრელი შედეგი, თუ ვერ დამტკიცდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი. სუბიექტური მტკიცების ტვირთი კი განსაზღვრავს, რომელ მხარეს ეკისრება მტკიცებულების წარდგენის მოვალეობა.⁴²⁹

ამასთან ერთად, საგულისხმოა მტკიცების ტვირთისა და მისი განაწილების წესები გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად. კერძოდ, მტკიცების წესის საერთო წესის მიხედვით, მხარემ უნდა დაადასტუროს ის დებულებები, რომლებიც შესაძლებელს ხდის მისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი ნორმის გამოყენებას.

ამდენად, იმისათვის, რომ მოსარჩელემ დაასაბუთოს სასარჩელო მოთხოვნა მან არა მარტო უნდა მიუთითოს მტკიცებულებაზე, არამედ - უნდა წარადგინოს იგი (სუბიექტური მტკიცების ტვირთი). წინააღმდეგ შემთხვევაში იგი წააგებს პროცესს.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოში სადავო საკითხის აუხსნელობა განიმარტება იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელსაც აკისრია მტკიცების ტვირთი (ობიექტური მტკიცების ტვირთი ან “non liquet”).

მაგრამ მტკიცების ტვირთის საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისები. არის შემთხვევები, როდესაც მტკიცების ტვირთის წესები მოცემულია კანონით.

მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ გარიგებას დებს წარმომადგენელი, იგი ვალდებულია, შეასრულოს ეს ხელშეკრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა აანაზღაუროს ზიანი, სანამ არ დაადასტურებს წარმომადგენლობის ფაქტს ან სანამ ამ ფაქტს არ დაადასტურებს მარწმუნებელი. ასევე, ამავე კოდექსის 280-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოვალე არღვევს თავის ვალდებულებას, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

ასევე, პრეზუმციებმა შეიძლება შეასრულონ როლი მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესში, რასაც კანონი უკავშირებს გარკვეულ ფაქტებსა და უფლებებს. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის თანახმად ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა. ასევე ამავე კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორს აქვს გირავნობის მოწმობა, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს დოკუმენტი მას გადასცეს. საჯარო რეესტრის ჩანაწერის ფაქტი მიუთითებს, რომ უფლებამოსილ პირს გააჩნია შესაბამისი უფლებები (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად).

⁴²⁹ L. Rosenberg, /shwab/ Goowald. Zivilprozessrecht. S. 670, ციტირებულია იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2005წ. ვ.224.

შედარების სახით მოყვანილი ზემოაღნიშნული მაგალითები მიუთითებენ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ-სამართლებრივ დანაწესებს მტკიცების ტვირთის განაწილების დროს. ამდენად, მტკიცების ტვირთის არასწორად გადანაწილებას საფუძვლად უდევს მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესების არასწორი გამოყენება.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მტკიცების ვალდებულებების **ზოგადი და სპეციალური განაწილების წესებს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები.**

ამდენად, პროცესუალური დანაწესი, რომლის თანახმად, ფაქტი უნდა დადასტუროს იმან, ვინც ამ ფაქტზე უთითებს, მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ კანონით არ არის მითითებული, თუ ვინ უნდა დადასტუროს ესა თუ ის ფაქტი. ამ შემთხვევაში მოსამართლის აქტიურობას აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა, რადგან ის განსაზღვრავს დასადგენი ფაქტების მოცულობას, მხედველობაში იღებს იმ ფაქტებს, რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა გააჩნიათ კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის და ა.შ. ყოველივე ამას იგი ახორციელებს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მაგრამ საქმეში მტკიცებულება წარმოადგინა იმ მხარემ, ვისაც არ ევალებოდა მისი დადასტურება, მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებას, როგორც კანონის დანაწესის დარღვევას, ეკარგება თავისი იურიდიული მნიშვნელობა. ამ დარღვევას შესაძლებელია მაშინ მოჰყვეს გარკვეული შედეგი, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობის გამო “ისჯება” ის მხარე, ვისაც არ ევალებოდა მისი წარმოდგენა. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს ამით იცვლება მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპი. მიუხედავად იმისა, თუ ვინ წარმოადგინა მტკიცებულება, სადავო ფაქტის დადასტურების ტვირთი აკისრია იმ მხარეს, ვისაც ევალება მისი დადასტურება.⁴³⁰

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო არასწორად ანაწილებს მტკიცების ტვირთს, იგულისხმება, რომ სასამართლო არასწორად განმარტა სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. ხშირად მტკიცებითი ვალდებულებების არასწორად განაწილებას საფუძვლად უდევს მატერიალურ სამართალში არსებული პრეზუმფციების არასწორი გაგება. წინა თავებში ჩვენ შევეხეთ პრეზუმფციებს, მაგრამ ამ შემთხვევაში პრეზუმფციები გვაინტერესებს როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების სამართლებრივი საფუძველი.

მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კანონით დადგენილ პრეზუმფციებს და პრეზუმფციებს, რომლებიც არ არის დადგენილი კანონით.⁴³¹

⁴³⁰ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 233.

⁴³¹ Brigitte Hess-Fallon, Anne-Marie Simon. Droit civil, 9^e édition, 2007, p. 88, 94.

კანონით დადგენილი პრეზუმფციები წარმოადგენს ისეთ ვარაუდს, რომელიც სპეციალური კანონით დაკავშირებულია ზოგიერთ აქტთან ან ფაქტთან (certains acte ou à certains faits).⁴³²

მათ განეკუთვნება: აქტები, რომლებიც კანონით ცნობილია ბათილად, რადგან ეწინააღმდეგება კანონის დებულებებს; შემთხვევები, როდესაც კანონის თანახმად საკუთრება ან ვალდებულებებისაგან განთავისუფლება გამომდინარეობს გარკვეული გარემოებებიდან; სასამართლო გადაწყვეტილება, რომელსაც მიენიჭება კანონიერი ძალა. ერთერთი მხარის აღიარება ან ფიცის დადება.⁴³³

პრეზუმფციების გამოყენებას, რომლებიც არ არის კანონით დადგენილი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მთლიანად ანდობს მოსამართლეს. ამ შემთხვევაში კანონით განსაზღვრულია, რომ მოსამართლის განათლებასა და კეთილგონიერებას (lumière et à la prudence du magistrat) უკავშირდება ამ სახის პრეზუმფციების გამოყენება.⁴³⁴ ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დაუშვას მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული და მნიშვნელოვანი ვარაუდები.⁴³⁵

მატერიალურ-სამართლებრივ პრეზუმფციებს, როგორც პოლისისტემურ საშუალებებს, ახასიათებს ორი თვისება: მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი. პრეზუმფციების მატერიალურ-სამართლებრივი თვისება გულისხმობს გარკვეული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის დადგომას მატერიალურ სამართალურთიერთობის სუბიექტებისათვის. დავის შემთხვევაში მოქმედებენ მატერიალურ-სამართლებრივი პრეზუმფციების პროცესუალურ-სამართლებრივი ფუნქციები.⁴³⁶ მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს პრეზუმფციის დეფინიციას, კერძოდ, 1349-ე მუხლის თანახმად, პრეზუმფციებს წარმოადგენს დასკვნები, რომლებიც კანონმა ან მოსამართლემ მიიღო ცნობილი ფაქტიდან უცნობ ფაქტზე (d'un fait connu à un fait inconnu).⁴³⁷

ზუსტად რომ ითქვას, ამ ფუნქციების თავისებურებები განაპირობებს მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის დადგომას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით პრეზუმფციის მნიშვნელობა ვლინდება მტკიცების ვალდებულებასა და ამ ვალდებულებისაგან განთავისუფლებაში. ანუ პროცესუალური თვალსაზრისით, პრეზუმფციის მნიშვნელობაში იგულისხმება გავერკვიოთ, თუ ვინ უნდა დაადასტუროს კონკრეტული ფაქტი და, ამავე დროს, ვინ თავისუფლდება ამ ფაქტის დადასტურებისაგან. რაც შეეხება მატერიალურ-სამართლებრივ მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, პრეზუმფციის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ:

⁴³² Code civil. art: 1350, edition, 2006.

⁴³³ იხ. Iქვე.

⁴³⁴ Brigitte Hess-Fallon, Anne-Marie Simon. Droit civil, 9^e édition, 2007, p. 94.

⁴³⁵ Code civil. art: 1353, edition, 2006.

⁴³⁶ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр.,

82

⁴³⁷ Code civil. art: 1349, edition, 2006.

“ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის მუქარა წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას, წარმოუდგინონ სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები, დაამტკიცონ შესაბამისი ფაქტები.”⁴³⁸ სავსებით ვეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, ამასთან ვფიქრობთ, რომ მითითებული მოსაზრებით ყურადღება გამახვილებულია მატერიალურ-სამართლებრივ პრეზუმფციაზე პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რითაც ხაზი გაესვა ამ პრეზუმფციის პოლისისტემურ ხასიათს.

მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ განსახილველი თემატიკის გათვალისწინებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა ზოგადად პრეზუმფციებზე, არამედ - პროცესუალურ-სამართლებრივი პრეზუმფციის მატერიალურ-სამართლებრივ ფუნქციაზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია უზრუნველყო სასამართლომ პროცესუალურ-სამართლებრივი პრეზუმფციის მატერიალურ-სამართლებრივი ფუნქციის რეალიზაცია.

აღნიშნული საკითხის განხილვა უშუალო კავშირშია მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემატიკასთან.

ამისათვის გამოვიყენოთ პროცესუალურ-სამართლებრივი პრეზუმფციის ფუნქციის ორი ელემენტი:

1. სამართლებრივი პრეზუმფციები, როგორც მტკიცებითი ვალდებულებების განაწილების ელემენტი; 2. სამართლებრივი პრეზუმფციები, როგორც მტკიცების ტვირთისაგან მხარის განთავისუფლების ელემენტი.

მაგრამ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, პირველი ელემენტი უკავშირდება სამართლის ნორმის განმარტებას, ხოლო მეორე - ამ განმარტების შედეგად პროცესუალური უფლება-ვალდებულებების განხორციელებას.

ამდენად, ორივე ელემენტი ასრულებს ერთსა და იმავე ფუნქციას, რადგან სამართლებრივი პრეზუმფციების თანახმად, მტკიცების სწორად გადანაწილება იწვევს ერთი მხარის მტკიცების ტვირთისაგან განთავისუფლებას.

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ზოგიერთი ნორმა შეიცავს პირდაპირ მითითებას, თუ რომელი ფაქტი ვინ უნდა დაადასტუროს. რიგ შემთხვევებში ასეთ მითითებას ადგილი არა აქვს და სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის შედეგად შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე, თუ ვინ არის კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელი. აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვისას, სადაც სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა არ შეიცავს პირდაპირ მითითებებს მტკიცების ტვირთის თაობაზე, ვფიქრობთ, რომ უნდა განიმარტოს იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს უადვილდება ამა თუ იმ ფაქტის დადასტურება.

⁴³⁸ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 227.

მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა სუბიექტური ფაქტორი, არამედ - ობიექტური. ამ დროს მტკიცების ტვირთისაგან თავისუფლდება არა ის, ვინც ვერ შეძლო მტკიცებულების მოპოვება ან სხვა რაიმე მიზეზით სადავო ფაქტის დადასტურება, არამედ დასადასტურებელი ფაქტობრივი გარემოების შინაარსიდან გამომდინარე, - ის, ვისთვისაც არახელსაყრელია, არალოგიკურია მისი დადასტურება.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მტკიცების ტვირთის განაწილების მართებულების შემოწმებისას უწევს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, უფრო ზუსტად - სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების შეფასება.

იურიდიულ ლიტერატურაში პრეზუმფციების დახასიათებისას ხშირად გვხვდება მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტების ემპირიული ჩამონათვალი. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ჩამონათვალი ატარებს უსისტემო ხასიათს, სადაც სახელშეკრულებო ვალდებულებებთან ერთად განხილულია მამობის დადგენასთან დაკავშირებული პრეზუმფციები ან კანონის ცოდნის ფიქცია. რა თქმა უნდა, ეს ხშირ შემთხვევაში ართულებს პრეზუმფციებთან დაკავშირებით საერთო დასკვნის მიღებას.

ჩვენ ვთვლით, რომ როდესაც კანონში პირდაპირ არ არის მითითებული ფაქტის დამტკიცების ვალდებულებაზე და ამ დასკვნის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ სამართლის ნორმის განმარტების გზით, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მიიღოს სამართლებრივი პრეზუმფციის სტრუქტურა, რომელიც შედგება ფაქტი-საფუძვლისა და პრეზუმირებული ფაქტისაგან (ასევე იხ. § 3.2). იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს პრეზუმირებული ფაქტი სამოქალაქო პროცესში, ჯერ უნდა დადასტურდეს ფაქტი-საფუძველი.⁴³⁹ მაგალითად, იმის დასადასტურებლად, რომ ბავშვის მამა არის X (პრეზუმირებული ფაქტი), ჯერ უნდა დადასტურდეს, რომ ბავშვი დაიბადა, როდესაც X იმყოფებოდა ბავშვის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში (ფაქტი-საფუძველი).

აქედან გამომდინარე, ფაქტი-საფუძველი შედის მტკიცების საგანში (იხ. § 3.3.), რაც მოითხოვს მტკიცებულებათა საშუალებებით მის დადასტურებას.⁴⁴⁰

მაგრამ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იმისათვის, რომ გაადვილდეს მტკიცების ტვირთის განსაზღვრის პროცესი, უნდა განვსაზღვროთ ფაქტი-საფუძვლის და პრეზუმირებული ფაქტის ურთიერთკავშირი. ამისათვის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ სად არის ფაქტი-საფუძველი და სად - პრეზუმირებული ფაქტი.

ყურადღება იხ, რომ პრეზუმირებული ფაქტის განსაზღვრით ადვილი ხდება იმის განსაზღვრა, თუ ვის ევალება ფაქტი-საფუძვლის დადასტურება. შესაბამისად, პრეზუმირებული ფაქტის უარყოფა აწყოფს იმ მხარეს, ვის წინააღმდეგაც დადგენილია პრეზუმფცია. მაგალითად,

⁴³⁹ Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр.,

84

⁴⁴⁰ იხ. იქვე., стр., 84

ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.⁴⁴¹ პრეზუმირებულ ფაქტს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მესაკუთრედ ყოფნა, ხოლო ფაქტ-საფუძველს - მოძრავი ნივთის მფლობელობა. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ვის წინააღმდეგაც არის დადგენილი ეს პრეზუმფცია, იმისთვის არის ხელსაყრელი პრეზუმირებული ფაქტის უარყოფა და, აქედან გამომდინარე, შესაბამისად ნაწილდება მტკიცების ტვირთი. ასევე, სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებულ დავებში, როდესაც მოსარჩელე ითხოვს სესხის დაბრუნებას, ფაქტ-საფუძველს წარმოადგენს დაპირისპირებულ მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულება, რომლის შესრულების ვადა უკვე დადგა. პრეზუმირებულ ფაქტს წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობა. აქედან გამომდინარე, პრეზუმირებული ფაქტი უნდა უარყოს მოპასუხემ, რადგან ეს პრეზუმფცია მოქმედებს მის წინააღმდეგ.

ფაქტობრივად პრეზუმფციებთან მიმართებით მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური წესი ემორჩილება მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს, რომლის თანახმად, მხარე, რომელიც ადასტურებს პრეზუმფციის უარყოფის ფაქტს, ის ამ ფაქტს ეფუძნება ისე, როგორც თავისი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძველს⁴⁴², რაც საფუძვლით აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მტკიცების ტვირთის განაწილების საერთო წესს.

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების უმეტეს შემთხვევაში აუცილებელი ხდება სამართლის ნორმის განმარტება, რომლის შედეგად უნდა დადგინდეს ფაქტი-საფუძველი და პრეზუმირებული ფაქტი, ხოლო ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს, თუ რომელი მხარის საწინაარმდეგოდ მოქმედებს პრეზუმირებული ფაქტი. ამით დგინდება თუ ვის სასარგებლოდ მოქმედებს პრეზუმფცია და ვინ უნდა უარყოს პრეზუმირებული ფაქტი. მაგრამ კიდევ ერთხელ დავებთ, რომ ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონიდან არ გამომდინარეობს მითითებები მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე. მიგვაჩნია, რომ უნდა შევჩერდეთ რამდენიმე მათგანზე, რომლებიც გარკვეულ სამართლებრივ ინტერესს იწვევენ.

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური წესი მოცემულია არა მარტო მატერიალურ სამართალში. საერთო წესის გარდა, მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესსაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კერძოდ, სსსკ-ის 136-ე და 157-ე მუხლების თანახმად, თუ წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე არასაკაპტო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის

⁴⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴⁴² Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г., стр., 99

შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე.

ამასთან მიმართებით საინტერესოა გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული წესები, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთმა მხარემ წინასწარ შეცნობით გაანადგურა რომელიმე ნივთიერი მტკიცებულება ან შეგნებულად დუმს მნიშვნელოვანი ფაქტების თაობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მტკიცების ტვირთი ამ მხარეს დააკისროს.⁴⁴³

საკმაოდ საინტერესო დანაწესია მოცემული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356³-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმად, მოსარჩელე (პროკურორი) ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების რეკვერენტულობის შესახებ, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობის შესახებ. ამავე კანონის 356³-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, მოსამართლე მას ცნობს დაუსაბუთებლად. ამდენად, ამ შემთხვევაში პროცესუალური კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს ფაქტების დამტკიცების ტვირთის განაწილებას. მაგრამ ინტერესს იწვევს ის ფაქტორი, რომ მოსარჩელეს (პროკურორს), რომელსაც ეკისრება თავისი მოთხოვნის დასაბუთება-დადასტურება, ასევე მოპასუხეს ეკისრება ამ გარემოებების გაქარწყლება შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით, რომლის შეუსრულებლობის შედეგად მოსამართლემ შეიძლება ეს ქონება ცნოს დაუსაბუთებლად.

ასევე გარკვეულ ინტერესს იწვევს მტკიცების ტვირთის განაწილების სამართლებრივი დანაწესი, რომელიც დადგენილია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით. კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, „პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა“.

მითითებული ნორმა იწვევს მრავალ კითხვას როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაშიც. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ პრეზუმფცია

⁴⁴³ GTZ-ის მასალები. მართლმსაჯულება გერმანიაში და სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე. შეად. http://planetadisser.com/see/dis_125280.html - Гражданское процессуальное право Германии

მოქმედებს იმ პირის საწინააღმდეგოდ, ვინც გახდა ცილისწამების ობიექტი (მოსარჩელე). ამ შემთხვევაში პრეზუმირებულ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ არის მცდარი. ამდენად, იმის მტკიცება, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს (ფაქტ-საფუძველს), ეკისრება მოსარჩელეს.

განსახილველი ნორმა ეწინააღმდეგება მტკიცების ტვირთის განაწილების იმ პრინციპს, რომლის თანახმად, მტკიცების საგანში შემაჯავლი ფაქტების დადასტურება ეკისრება იმას, ვისთვისაც ეს უფრო ადვილია და მოსახერხებელი. ჩვენ ამაზე უკვე ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ობიექტურად არსებული გარემოებები კარნახობენ, თუ რომელმა მხარემ უნდა იკისროს მტკიცება, რომ ფაქტი ადვილი დასადასტურებელი გახდეს.

რა თქმა უნდა, განსახილველი ნორმის კონტექსტიდან გამომდინარე, თუ ამასთან ერთად, გავითვალისწინებთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის სპეციფიკას, თითქმის შეუძლებელი ხდება მოსარჩელისათვის იმის დადასტურება, რომ “მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს”.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატამ განმარტა: “იმისათვის, რომ სწორად განიმარტოს განსახილველი ნორმა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ უფლებაზე, რომლის დაცვასაც ითხოვს მოსარჩელე. კერძოდ, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მას შეეღობა პატივი და ღირსება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევაში რეპუტაციის უფლებით დაცული სფეროები შეიძლება მოიცავდეს ღირსების უფლებით დაცულ სფეროებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პიროვნების პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას. პიროვნების ღირსება წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის შეფასების უნარი გააჩნია თვით ამ პირს და რომელიც მოიცავს საკუთარი მორალური თვისებების, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას. პატივი წარმოადგენს იმ ღირებულებათა თვისებას, რომელიც პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა.

აქედან გამომდინარე, პატივი, ღირსება, რეპუტაცია შეფასებითი კატეგორიებია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ღირსება პიროვნების ისეთი არაქონებრივი სიკეთეა, რომლის შეფასება შესაძლებელია იმ პიროვნების მიერ, რომელიც მოითხოვს თავისი ღირსების დაცვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელსაც ემყარება მოთხოვნა თუ შესაგებელი, შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტიზის დასკვნით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, კანონით არ არის დადგენილი, რომ პატივის, ღირსების, რეპუტაციის შეფასების ფაქტები უნდა დადასტურდეს კონკრეტული მტკიცებულებებით; ამდენად,

აღნიშნული ღირებულებების შელახვის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებათა სახეების მეშვეობით, მათ შორის, თვით მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაც.⁴⁴⁴ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გაგამახვილოთ იმაზე, რომ მხარეთა ახსნა-განმარტების ის ნაწილი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. ამასთან, მხარეთა ახსნა-განმარტებები უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რა დროსაც გასათვალისწინებელია კონკრეტული სამართალურთირობის სპეციფიკა.⁴⁴⁵

ამდენად, საქმეების განხილვისას, მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებისას ყურადსადებია ამ ურთიერთობის სპეციფიკა. უშუალოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტებას შეიძლება გააჩნდეს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა, რომელიც მოითხოვს ისეთსავე შემოწმებას, როგორსაც ნებისმიერი სხვა მტკიცებულებათა საშუალება. ამასთან ერთად მხარის ახსნა-განმარტებას, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთ საშუალებას, ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ხშირ შემთხვევაში რთულია იმის გამოიჯვანა, თუ ახსნა-განმარტების რომელი ნაწილია მოთხოვნის (შესაგებლის) ჩამოყალიბება, მისი დაზუსტება და ფაქტობრივი გარემოების შეფასება.⁴⁴⁶ ამ მხრივ, ინტერესს იწვევს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 445-ე და 447-ე მუხლები. როგორც წესი, მხარე არ შეიძლება თავის საქმეში გამოდიოდეს მოწმედ. მაგრამ, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მოწინააღმდეგე მხარის დაკითხვა დასაშვებია, თუ მტკიცებულება სხვა მტკიცებულებათა საშუალებების გამოყენების გარეშე იქნებოდა არასრული.⁴⁴⁷

როდესაც ცილისმწამებლური ცნობები ეჭვის ქვეშ აყენებს მოსარჩელის კეთილსინდისიერებას, ფაქტობრივად ადგილი აქვს პრეზუმფციების კონკურენციას. ერთ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ნებისმიერი ფიზიკური პირი არის კეთილსინდისიერი, სანამ არ დადასტურდება საწინააღმდეგო. ამავე დროს განსახილველი ნორმის თანახმად, პირის არაკეთილსინდისიერება დადგენილად ითვლება, სანამ არ დადასტურდება საწინააღმდეგო. ზუსტად ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზუმირებული ფაქტის წინააღმდეგ შედავების

⁴⁴⁴ ასევე იხ. О науке гражданского процесса. Ответственность сторон за ложные объяснения в суде. М. 2006г., стр., 35-39\ Г.Л. Осакина. Гражданский процесс. Общая часть. М., 2003г., стр., 597-598\ М. К. Треушников. Объяснение сторон как доказательства по гражданским делам. Советская юстиция. 1981г., №21. стр., 16-17\ В. А. Бабаков. Гражданско процессуальная обязанность. Дис. канд. юрид. наук. Саратов. 1999г., стр., 124

⁴⁴⁵ სუსგ №ას-1174-1319-08 23 ივლისი 2009წ. ასევე იხ, №ას-268-591-09, 3 დეკემბერი 2009 წ.

⁴⁴⁶ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 243. შეად. <http://yurist-online.com/uslugi/yuristam/literatura/civ-proces/61.php> - Объяснения сторон и третьих лиц как средства доказывания.

⁴⁴⁷ Гражданское процессуальное уложение Германии. М. Wolters Kluwer, 2006г..., ст. 445, 447/ ასევე იხ. GTZ-ის მასალები. მართლმსაჯულება გერმანიაში და სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე.

ხარისხის შეფასებას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორები. კერძოდ, მაგალითისათვის ისევ მივმართოთ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას, რომელიც ეხებოდა საგაზეთო საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას.

კერძოდ, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია შემდეგი: “იმისათვის, რომ სტატიაში გავრცელებული ინფორმაცია შეფასდეს უარყოფითად, უნდა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ის სტანდარტი, რომელიც აუცილებელია კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, პრესის თავისუფლების შეზღუდვისათვის, სტანდარტი, რომელიც მოითხოვს მწვავე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე გამოთქმული აზრის შეზღუდვას, რაც საბოლოოდ უნდა მიუთითებდეს გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ისეთ ჩარევაზე, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, რაც არ იქნა დადასტურებული მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოში და რაზედაც იგი არ უთითებს საკასაციო საჩივარში. . . . ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე, რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას. განსახილველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...”.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებებში ჩარევის შესაძლებლობებს, რითაც ასევე განსაზღვრულია ამ უფლებებში ჩარევის ის პირობები, რომელთა არსებობისას აღნიშნული ჩარევა შეიძლება შეფასებულ იქნეს დადებითად.”⁴⁴⁸

ამდენად, ზემოაღნიშნული კონვენციის მე-10 მუხლის ორივე პუნქტი წარმოადგენს იმ ერთობას, რომელიც არ არსებობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ქმნის გამოხატვის თავისუფლების ერთიანი დაცვის მექანიზმს. როგორც ირკვევა, მტკიცების ტვირთის განაწილების ის წესი, რომელიც მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, მოითხოვს, შესაბამისად, ფაქტობრივი სიტუაციის სწორად გაანალიზებას, რაც უკავშირდება ამ კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სპეციფიკას.

⁴⁴⁸ სუსგ №ას-1174-1319-08 23 ივლისი 2009წ. ასევე იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები A. Neves v. Portugal. 20.02.95., /Selistö v. Finland 16.11.04./ R. Predota v. Fustria, 18.01.2000/ N. Katamadze v. Georgia, 14.02.06.

მაგალითად, ზემოაღნიშნული ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, როდესაც პრესაში გამოქვეყნებული სტატიის შინაარსი მთლიანობაში და მასში არსებული ცალკეული გამონათქვამები მოსარჩელემ (კასატორმა) მიიღო როგორც პირადი შეურაცხყოფა, ყურადღება უნდა გამახვილებდეს იმაზე, თუ რა გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას მოსარჩელე და როგორ. კერძოდ, ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით, განხილულ უნდა იქნეს გამოსატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციის შორის ბალანსის კონტექსტში, აღნიშნულთან მიმართებით დასაშვები კრიტიკის ფარგლების გათვალისწინებით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პრესის თავისუფლების ინსტიტუტი, რადგან ამ შემთხვევაში სწორედ პრესის მეშვეობით გავრცელდა სადავო გამონათქვამები.

ამდენად, როდესაც სასამართლო აფასებს აღნიშნულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებს, მტკიცების ტვირთის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელის ახსნა-განმარტებები სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. მით უმეტეს, როდესაც მოპასუხეს წარმოადგენს გაზეთი ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალება, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ აღნიშნული გამონათქვამები არ ქმნის პრესის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივ წინაპირობას.

როგორც მივუთითეთ, კონვენციის მე-10 მუხლით ასევე დაცულია პრესის თავისუფლება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პრესის ფუნქციაში - გაავრცელოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე ინფორმაცია და იდეები. აღნიშნულ ფუნქციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის და მისი შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ისევე და ისევე დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად⁴⁴⁹.

ამასთან, უნდა არსებობდეს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ღირებულებებს შორის. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა გამოსატვის თავისუფლების უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში – სხვა პირთა უფლებები და ინტერესები.

უნდა აღინიშნოს, რომ პრესის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცავდეს სხვა პირთა უფლებებისა და მათი რეპუტაციის შელახვის რისკს. გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი ან შემაშფოთებელი,⁴⁵⁰ მაგრამ არ არსებობდეს ამ უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ისეთი აუცილებელი წინაპირობა, რაც დაცულია განსახილველი კონვენციის მე-10 მუხლით, კერძოდ, ამ უფლების შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად. „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ - კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განხილულ იქნეს

⁴⁴⁹ ასევე იხ. ე. გოცირიძე, მიზეზობრიობა, თბ. 2006, გვ. 38-39.

⁴⁵⁰ ე. გოცირიძე, გამოსატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით. თბ. 2008წ., გვ. 311.

„დასაშვები კრიტიკის“ კონტექსტში.⁴⁵¹ ამ საკითხის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მიზანს, რასაც ისახავდა სტატია, სტატიით გავრცელებული ინფორმაცია და იდეები, თუ რამდენად ითვალისწინებდა ფართო საზოგადოება აუცილებელი, საჭირობოროტო საკითხების გაცნობასა და მიწოდებას და რამდენად არსებობდა საზოგადოებისათვის ამ ინფორმაციის მიღების აუცილებლობა.

სამართლიანი ბალანსის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ გამოთქმული კრიტიკა რამდენად ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესების საკითხს და აღნიშნულთან მიმართებით პრესის მიერ თავისი თავისუფლების გამოხატვის უფლების განხორციელებისას საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო თუ არა სადავო გამონათქვამების გავრცელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, პრესის მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებისას⁴⁵², როდესაც სტატიაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების ინტერესის საგანს და საზოგადოებრივი დებატების ნაწილს, მიეთითება სტატიის მიზანზე – საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაზე, რასაც, თავისთავად, შეიძლება შეეწიროს კონკრეტული პირის რეპუტაცია.⁴⁵³

ამდენად, როგორც ვხედავთ, მტკიცების ტვირთის განაწილებაზე კანონი შეიძლება პირდაპირ უთითებდეს, მაგრამ ფაქტი-საფუძვლის უარყოფა შეიძლება უკავშირდებოდეს კანონში მითითებული შეფასებითი ცნებების განმარტებას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ განისაზღვროს პრეზუმირებული ფაქტის გამოყენების იმპერატიულობა.⁴⁵⁴

უფრო დეტალურად შევხერდეთ ზემოაღნიშნულ საკითხზე, რადგან, როგორც ვფიქრობთ, განსახილველი ნორმა მოიცავს მტკიცების ტვირთის განსხვავებულ წესს, რომელიც არ არის დამახასიათებელი სამართლის სხვა ნორმებით დადგენილი პრეზუმფციებისათვის. ეს ისეთი პროცესუალურ-სამართლებრივი პრეზუმფციის მატერიალურ-სამართლებრივი ფუნქციაა, რომლის სწორად რეალიზაციისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს იმ ურთიერთობის სპეციფიკა, რომლისთვისაც კანონმა დაადგინა ეს პრეზუმფცია.

აქედან გამომდინარე, როგორც ვნახეთ, მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესთან ერთად არის სპეციალური წესები, რომლებიც ყველა კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა იქნეს დაცული, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება.

⁴⁵¹ დაწვ. იხ. იქვე, გვ. 354, ასევე იხ. ნ. ცომია, სტატია: “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, თუ მავნე ზეგავლენა”, ჟურნალი. “მართლმსაჯულება და კანონი”, №5(12)06, გვ., 75-77.

⁴⁵² ე. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით. თბ. 2008წ., 278-298.

⁴⁵³ სუსგ №ას-1174-1319-08 23 ივლისი 2009წ.

⁴⁵⁴ შეად. ე. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით. თბ. 2008წ., გვ. 562.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგად და სპეციალურ წესთან ერთად გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა გარკვეული წესები, რომლებიც მათ ეხმარება მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებაში.

კერძოდ, გერმანიის სასამართლო პრაქტიკით გამომუშავებულია ე.წ. საწინააღმდეგოს დამტკიცების წესები. მათი გამოყენების შედეგად ჩამოყალიბდა შემთხვევათა შემდეგი ჯგუფები:

ა)თუ ერთმა მხარემ წინასწარი განზრახვით ჩაშალა მეორე მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენა-გამოყენება, მაგალითად, რომელიმე ნივთიერი მტკიცებულების განადგურებით ან მხოლოდ მისთვის ცნობილ ფაქტებზე დუმილით, ცალკეულ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი შეიძლება სხვას გადაეკისროს.

ბ)გერმანულ სამართალწარმოებაში მწარმოებლის პასუხისმგებლობა მიახლოებულია ზიანზე პასუხისმგებლობასთან, რომელიც მიყენებულია განსაკუთრებით საშიში წყაროს მიერ. თუ მწარმოებელი ბრუნვაში უშვებს გამოუსწორებელ/უხარისხო პროდუქტს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ გამოსწორების შეუძლებლობა არ არის მის მიერ ვალდებულებათა დარღვევის შედეგი და ის ამაში დამნაშავე არ არის.

გ)სხვა ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლობის პროფესიული მოვალეობის უხეში დარღვევაც შეიძლება იწვევდეს მტკიცების ტვირთის სხვაზე გადაკისრებას, თუ მოვალეობის დარღვევას შეიძლებოდა გამოეწვია მიყენებული ზიანის დადგომა. მაგალითად, ექიმმა უნდა დაადასტუროს, რომ მისი გაუფრთხილებლობა არ გახდა ზიანის დადგომის მიზეზი და მის მოქმედებებში ბრალეულობა არ იყო.

გარდა ამისა, მტკიცების ტვირთი შეიძლება შერბილდეს მაშინ, როდესაც არსებობს პირველი შთაბეჭდილების მტკიცებულების განხილვის შესაძლებლობა. თუ მოცემული ფაქტების სასარგებლოდ მეტყველებს ცხოვრებისეული გამოცდილება, რამეთუ ისინი ეყრდნობიან მოვლენათა ტიპურ განვითარებას, მაშინ მხარემ, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი, შეიძლება მიუთითოს მათ ჭეშმარიტებაზე და არ მოიყვანოს დამატებითი მტკიცებულებები. განსაკუთრებით ხშირად ასეთი ფაქტობრივი ვარაუდები გამოიყენება მიზეზობრივი კავშირის ან ბრალის დასამტკიცებლად. თუმცა, თუ მეორე მხარეს შეუძლია, დამაჯერებლად წარმოადგინოს მოვლენათა განვითარების სხვა შესაძლებლობა და, ამგვარად, პირველი შთაბეჭდილების მტკიცებულებას გამოაცალოს ფაქტობრივი საფუძველი, ამით მას შეუძლია მისი გაქარწყლება.

მაგალითად: თუ ბეტონის კონსტრუქციის ჭერიდან, რაიმე ხელშესახები მიზეზის გარეშე, ჩამოვარდა დიდი ფრაგმენტი, ერთი შეხედვით, ეს ფაქტი მიუთითებს უხარისხო მშენებლობაზე. ხოლო თუ მშენებელი დაადასტურებს, რომ შემკვეთმა მის ზურგსუკან მუშებს დაავალა რკინის კონსტრუქციებზე ეკონომიის გაწევა, მაშინ ერთი შეხედვით აშკარა მტკიცებულება შემხვედრი მტკიცებულებით ქარწყლდება.

გარკვეული წინაპირობების არსებობისას სასამართლო პრაქტიკაში მტკიცების ტვირთი შეიძლება გადანაწილდეს პასუხისმგებლობისა და რისკის სფეროთა შესაბამისად. მაგალითად, მხარისათვის

მტკიცებულების წარმოდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ მომხდარი მისი პასუხისმგებლობის სფეროს არ მიეკუთვნება და, ამგვარად, მხარეს არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა. ამ შემთხვევაში მასზე, ცხადია, ვერ იქნება დაკისრებული მტკიცების ტვირთი. გამოყენების ხშირი შემთხვევა – გაქირავებული ნივთის დეფექტი: თუ გაქირავებელი შეძლებს დაამტკიცოს, რომ დეფექტი წარმოიშვა არა მისი პასუხისმგებლობის სფეროში, არამედ - დამქირავებლის პასუხისმგებლობის, ამ უკანასკნელმა უნდა დაამტკიცოს, რომ დეფექტის წარმოშობაში მას ბრალი არ მიუძღვის.

ვინც ეყრდნობა გამონაკლისს, მან უნდა დაამტკიცოს ამ გამონაკლისისათვის ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა. მაგალითად, პირი, რომელიც ადასტურებს სრულწლოვანი პირის ქმედუნარობას, ეყრდნობა ზოგადი წესიდან გამონაკლისს და ამიტომ მან უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება.

ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეებზე პროცესების დროს მოქმედებს მნიშვნელოვანი წესი, რომელიც მტკიცებას აიოლებს. თუ მხარეები დაობენ იმაზე, დადგა ზიანი თუ არა, იგი დადგა ზიანის გამომწვევი მოქმედების შედეგად და რამდენად დიდია ზარალი, სასამართლოს შეუძლია ეს საკითხი გადაწყვიტოს "საქმის ყველა გარემოების შეფასებით და საკუთარი შეხედულების მიხედვით", თუ მხარემ საკმარისი საფუძველი წარმოადგინა (§287, მ1, გერმანიის სსკ). ეს ნიშნავს, მაგალითად იმას, რომ მასობრივი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, როდესაც ერთდროულად რამდენიმე ავტომობილი ზიანდება, სასამართლოს შეუძლია ზიანი შეაფასოს საკუთარი შეხედულებით, მტკიცებულებების გამოყენების გარეშე.⁴⁵⁵

რა თქმა უნდა, მტკიცების ტვირთის განაწილებას საფუძველად უდევს შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლითაც მნიშვნელოვნად შეზღუდულია სასამართლოს აქტიურობა. სასამართლო არ შეიძლება იყოს მტკიცების ტვირთის მატარებელი, ის მხოლოდ ხელმძღვანელობს მხარეთა შეჯიბრებითობას. ამდენად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მტკიცების ტვირთი, რაც უკავშირდება სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის საკითხს, ამავე დროს სწორი შეფასება უნდა მისცეს ფაქტობრივ სიტუაციას, რაც საბოლოოდ ხდება საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი.

მაგრამ, ამასთან ერთად, სასამართლო პრაქტიკამ წარმოჭრა ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება მოსამართლის აქტიურობის ფარგლებს შეჯიბრებითობის პირობებში.

მაგალითად, შესაძლებელია თუ არა სასამართლომ გარკვეული ფაქტის დასადასტურებლად მოითხოვოს მტკიცებულების წარმოდგენა. რა თქმა უნდა, მხარეები თვითონ უთითებენ ფაქტებზე, რომელთა დადასტურებაც მათ სურთ და თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები, რაც წარმოადგენს მხარეთა

⁴⁵⁵ GTZ-ის მასალები. მართლმსაჯულება გერმანიაში და სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე.

შეჯიბრებითობის არსს, მაგრამ სასამართლოს ყოველთვის სწორად არ ესმის ეს პრინციპი. აქედან გამომდინარე, ისმის შემდეგი კითხვა: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოითხოვს მხარის მიერ მითითებული ფაქტის დასადასტურებლად კონკრეტულ მტკიცებულებას, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო უხეშად ერევა მტკიცების ტვირთის განაწილებაში.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვმარტოთ შეჯიბრებითობის პრინციპის ზოგიერთი თავისებურება სამოქალაქო პროცესში.

უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ ინტერესს იწვევს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალი. შეჯიბრებითობის პრინციპი გერმანულ სამართალწარმოებაში დარგობრივი პრინციპია, რომელიც წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების მოპოვების გარანტიას, რათა სასამართლომ შეძლოს საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა, როდესაც მხარეებს აკისრიათ ფაქტების შეგროვების პასუხისმგებლობა, ე.ი. მტკიცების ტვირთი.⁴⁵⁶

გერმანიის სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპი მთელი თავისი არსით თავს არ იჩენს, ანუ ამ პრინციპმა არ ჰპოვა გერმანიის სამოქალაქო პროცესში პირდაპირი გამოხატულება; სამაგიეროდ, ეს პრინციპი აისახა ცალკეულ სამართლებრივ ნორმებში, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138 (1), 139, 140, 142, 288-ე მუხლებში.⁴⁵⁷

გერმანიის სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები; თვითონ მხარეები არიან მტკიცების ტვირთის მატარებლები, რომლებსაც ევალებათ, დაადასტურონ მითითებული ფაქტები; მტკიცებულებები განისაზღვრება მხოლოდ სადავო ფაქტების მიხედვით.⁴⁵⁸

რა თქმა უნდა, ამ პრინციპის გარანტიაში იგულისხმება წესი, რომლის თანახმად, სასამართლო არ უშლის ხელს ამ პრინციპის განხორციელებას, იმ გამონაკლისების გარდა, რომლებიც ეხება სამართლის ნორმის გამოყენებას, მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას და ა.შ.

მაგრამ, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპს გააჩნია ასევე სხვა მხარეც, რომლის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი იზღუდება სამართალწარმოების ეფექტურობის მიზნით, როდესაც აუცილებელია საქმის ვითარების ამოხსნა სამოსამართლო სამართლის მეშვეობით. ზუსტად ამ მომენტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, როდესაც სასამართლოსათვის ხელის შეწყობა აუცილებელია იმისათვის, რომ იგი გაერკვიოს საქმის გარემოებებში. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად მტკიცების ტვირთი აწევთ მხარეებს, მეტად დიდი მნიშვნელობა

⁴⁵⁶ А. Г. Давтян. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2009г., стр., 31.

⁴⁵⁷ იხ. იქვე, გვ. 31, ასევე იხ. http://planetadisser.com/see/dis_125280.html - Гражданское процессуальное право Германии.

⁴⁵⁸ იხ. იქვე, стр., 32.

ენიჭება სასამართლოს როლს ამ საქმეში, რომლის თანახმად, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა წარდგენა.⁴⁵⁹

სასამართლოს ასეთი აქტიურობა ნიშნავს იმას, რომ გარკვეულ შემთხვევებში სასამართლო აძლევს მხარეებს განმარტებებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, რის მიზეზიც გახდა ის, რომ არ იყო გამოკვეთილი სასამართლოს როლი მხარეთა შეჯიბრებითობაში. საქმის მომზადების მიზნით მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს, შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი მასალები, წინადადება მისცეს მხარეებს, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები და დოკუმენტები; გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებები სხვადასხვა დაწესებულებიდან, შეამოწმოს მტკიცებულებები და ა.შ.⁴⁶⁰ აღნიშნული დანაწესი, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები,⁴⁶¹ ემსახურება სიმართლის გარკვევას.⁴⁶² მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს მხედველობაში ასევე ის ფაქტები, რომელთა შესახებ მხარეებს სპეციალურად არ ჰქონდათ გაცხადებული.⁴⁶³

მაგრამ საფრანგეთის თანამედროვე იურიდიულ დოქტრინაში განხილვის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, რომ პროცესის ძველი ლიბერალური სქემა, რომელიც ისახავდა მხარეთა შეჯიბრებითობას სასამართლოს კონტროლის ქვეშ, რა დროსაც იმარჯვებდა ძლიერი, არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც გამოიხატება პროცესუალური თანამშრომლობის დადგენაში სასამართლოსა და მოდავე მხარეებს შორის, სამართლისა და ფაქტის საკითხებთან დაკავშირებით.⁴⁶⁴

2001 წელს გერმანიაში ჩატარებული სამოქალაქო სამართალწარმოების რეფორმასთან დაკავშირებით გამოვლინდა შეჯიბრებითობის პრინციპის შეზღუდვა. ამ მხრივ, კანონმდებელმა დაადგინა ისეთი სიახლეები, რომლებიც აფართოებენ მოსამართლის უფლებამოსილებას პროცესუალური მასალის მართვასთან დაკავშირებით.⁴⁶⁵ მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, მხარეებს აუხსნას საქმის ფაქტობრივი მხარე და აუცილებლობის შემთხვევაში ხელი შეუწყოს დამატებითი მასალის მოძიებისათვის. ხოლო 139-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, საქმეზე მოულოდნელი გადაწყვეტილების თავიდან აცილების მიზნით, არსებობს საქმისათვის მნიშვნელოვან

⁴⁵⁹ იხ. იქვე სტრ., 32.

⁴⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლი.

⁴⁶¹ იხ. იქვე 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება.

⁴⁶² თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გამოცემა, თბ. 2007. გვ. 204.

⁴⁶³ Code de procédure civile, art. 7.

⁴⁶⁴ А. Г. Давтян. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2009г., стр., 102.

⁴⁶⁵ იხ. იქვე, სტრ., 34

ფაქტობრივ გარემოებებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობის ვალდებულება.⁴⁶⁶

ამდენად, როგორც ჩანს, სასამართლოს აქტიურობას მხარეთა შეჯიბრებითობის მართვაში გააჩნია დიდი მნიშვნელობა. მაგრამ ამ აქტიურობამ არ უნდა გამოიწვიოს სასამართლო ნეიტრალიტეტის დარღვევა. სასამართლო სწორ მიმართულებას უნდა აძლევდეს პროცესს.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის მართვაში სასამართლოს აქტიურობა უნდა გამოიხატოს სწორად დასმულ კითხვებში, რომლებიც უკავშირდება საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს. სასამართლომ უნდა გამოკვეთოს უდავო ფაქტები და განსაზღვროს ფაქტები, რომლებიც შეადგენენ მტკიცების საგანს; მან უნდა დააზუსტოს, თუ როგორ აპირებენ ამ ფაქტების დამტკიცებას მხარეები. მაგალითად, ვინდიაციურ სარჩელში მოსარჩელე უთითებს, რომ იგი წარმოადგენს უძრავი ნივთის მესაკუთრეს და ითხოვს მოპასუხის გამოსახლებას, რადგან ამ უკანასკნელს არ გააჩნია ამ ნივთის ფლობის უფლება. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დააზუსტოს, შეძენილი აქვს თუ არა მოსარჩელეს სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება და დასტურდება ეს თუ არა საჯარო რეგისტრის ამონაწერის თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდველმა სარკინიგზო კომპანიამ სარჩელით მოითხოვა ვაგონების დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურება, მოსამართლემ შეკითხვებით უნდა გაარკვიოს, გააჩნია თუ არა მოსარჩელეს ვაგონების მოცდენასთან დაკავშირებით შედგენილი საერთო ფორმის აქტები (ქმანები) და ა.შ. ასევე, თავისი ინიციატივით შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტები ან დანიშნოს ექსპერტიზა, თუ სადავო საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია სპეციალური ცოდნა, რაც სასამართლოს დამატებით დაეხმარება, გაერკვეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში.⁴⁶⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ მტკიცებითი საქმიანობის შემოწმებისას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების ტვირთის განსაზღვრის მართებულებას, რასაც საფუძვლად უდევს მხარეთა შეჯიბრებითობის მართვა, მოსამართლის აქტიურობის ფარგლების განსაზღვრას, რაც შეუძლებელია საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი სიტუაციის ანალიზის გარეშე. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება მოითხოვს ფაქტობრივი სიტუაციის სამართლებრივ შეფასებას და, ამასთან დაკავშირებით, სამართლის ნორმის სწორად განმარტებას, რაც აისახება არამარტო ფაქტობრივი გარემოებების სწორად განსაზღვრაში, არამედ - მათ სწორად დადგენაში.

⁴⁶⁶ Гражданское процессуальное уложение Германии. М. Wolters Kluwer, 2006г ст. 139.1, 139.2, 139.3

⁴⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი.

V. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მითითებების სავალდებულო ძალა

5.1. საკითხის დასმა

ნაშრომის აღნიშნულ თავში ჩვენ ვეცდებით ცალკეული პრაქტიკული მაგალითის განხილვით ყურადღება გავამახვილოთ ერთ შემთხვევაში - სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის შეფასების შედეგებზე.

განსახილველი თემატიკის ფარგლებში ჩვენს ინტერესს იწვევს ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის გაელენა საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამასთან ერთად, შევეხებით ზოგიერთ საკითხს, რომელიც ეხება საკასაციო სასამართლოს მითითების სავალდებულობას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ინსტიტუტი გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის L თავით.

აღნიშნული ინსტიტუტის თანახმად, საკასაციო სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, უცვლელად დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი. კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება შესაძლებელია სამ შემთხვევაში: როდესაც კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.⁴⁶⁸

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შესაძლებელია სამ შემთხვევაში: საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის “გ” და “ე” ქვეპუნქტებისა;⁴⁶⁹ ახალი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.⁴⁷⁰

ზემოაღნიშნული პროცესუალური დანაწესები წარმოადგენს მხოლოდ პროცესუალურ კრიტერიუმებს, რომელშიც მოიაზრება გასაჩივრებული

⁴⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი.

⁴⁶⁹ იხ. იქვე 412-ე მუხლი.

⁴⁷⁰ იხ. იქვე 411-ე მუხლი.

გადაწყვეტილების (განჩინების) როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი მხარეების შემოწმების შედეგები. ამდენად, მითითებული შედეგები დამოკიდებულია ერთ შემთხვევაში - საქმისათვის მნიშვნელოვანი (ძირითადი, საძიებელი) ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრის მართებულობაზე, მეორე შემთხვევაში - ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობაზე, ხოლო მესამე შემთხვევაში, რომლის არსებობაზე დამოკიდებულია წინა ორი შემთხვევა, წარმოადგენს პროცესუალურ დარღვევებს (სსსკ-ის 394-ე მუხლი), რომლებიც წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.⁴⁷¹

აღნიშნული ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც ეხება ძირითადი, საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობას საკასაციო სასამართლოსათვის, ჩვენ არ შეგვხვებოდა სსსკ-ის 394-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, გარდა ამ მუხლის “ე” და “ე1” ქვეპუნქტებისა (იხ. მოგვიანებით).

ამდენად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული შემთხვევა ხშირად განპირობებულია ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების პროცესუალური თავისებურებებით (იხ. § 1.3.).

ზემდგომი სასამართლოების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ის, რომ გააქარწყლონ სამართლის ნორმის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე ბუნდოვანებები და ამ გზით ხელი შეუწყონ სამართლის განვითარებას.⁴⁷²

5.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სამართლებრივი კრიტერიუმები

განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

პირველ შემთხვევაში იგულისხმება საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევა, რომელიც შეიძლება ეხებოდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევას. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია შეამოწმოს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევები (იხ. § 1.2., § 1.3., § 3.1.), ხოლო პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმება შეუძლია მხოლოდ საკასაციო საჩივარში ამის შესახებ არსებული მითითებების შემთხვევაში და კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში⁴⁷³, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას

⁴⁷¹ შეად. თ. მამაიაშვილი. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2008წ., გვ. 109.

⁴⁷² რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ. 130.

⁴⁷³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი.

თავისი ინიციატივით შეუძლია შეამოწმოს პროცესუალურ დარღვევათა ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. § 4.3).⁴⁷⁴

მეორე შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, საკასაციო სასამართლო თვითონ იკვლევს, დარღვეულია თუ არა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, მათ შორის ისეთი, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული სილოგიზმის მთავარი, პირველი (ნორმატიული) წანამძღვარი. მაგრამ იურიდიული შედეგის ნორმატიული წანამძღვრის განსაზღვრის (სამართლებრივი ნორმის მოძიების და განმარტების) აუცილებლობა უკავშირდება მეორადი წანამძღვრის, ანუ ფაქტობრივი სიტუაციის სწორად განსაზღვრას - ერთ შემთხვევაში და მის რეალიზაციას სილოგიზმის მთავარი, ანუ ნორმატიული წანამძღვრის ქვეშ - მეორე შემთხვევაში. ამდენად, განსახილველ ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად განახორციელა ზემოაღნიშნული წანამძღვრების ფიქსაციის რეალიზაცია, რის შედეგადაც კანონიერი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

აღნიშნულ დასკვნამდე საკასაციო სასამართლო დედუქციური კვლევით მიდის, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად სწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა, რომელიც ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათისაა. ამდენად, როდესაც საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), მის მოტივაციაში უნდა ჩანდეს, თუ რატომ მიიჩნია, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი რეალიზდება კონკრეტულ შედეგში.

მაგალითის სახით მივმართოთ სასამართლო პრაქტიკას.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ “მოსარჩელე “ა” წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე “ა”-ს დადებული საიჯარო ხელშეკრულება რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის მიწის მართვის სამმართველოს სარეგისტრაციო ჟურნალში №1482-ით.

კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც იგი სადავოდ გახდიდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამრიგად, “ა”-სთან დადებული იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ “ა” არის მართლზომიერი მფლობელი. . . . მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ

⁴⁷⁴ შეად, Boré.J. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-e partie. p.396, ასევე, თ.

ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბ. 2007, გვ.729, ასევე, თ. ლილუაშვილი/ სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005. გვ. 520.

ბატონობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი ეხება ასევე პირდაპირი მფლობლის ურთიერთობას არაპირდაპირ მფლობელთან. განსახილველი ნორმის თანახმად “ა”-ს უფლება აქვს გამოითხოვოს “ბ”-საგან სადავო მიწა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.”⁴⁷⁵

როგორც ზემოაღნიშნული მაგალითიდან ჩანს, სასამართლომ სწორად განსაზღვრა ფაქტობრივი გარემოებების წრე და პროცესუალური დარღვევის გარეშე დაადგინა ისინი.

შესაძლებელია, რომ საკასაციო საჩივარი უთითებდეს სამართლის ნორმის ინტერპრეტაციაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია გავითვალისწინოთ ფაქტობრივი გარემოებები, რადგან მნიშვნელოვანია არა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის (განმარტების) შემოწმება, არამედ ის, თუ ამ ინტერპრეტაციის შედეგად რამდენად სწორად განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში კასატორი - დმანისის რაიონის გამგეობა უთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულების შეწყვეტას ურთიერთგაქვითვით.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატამ მიუთითა: “სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისას უნდა არსებობდეს ორი აუცილებელი წინაპირობა: ორივე პირი ერთმანეთისათვის ერთდროულად კრედიტორიც უნდა იყოს და მოვალეც, ე.ი. ორივეს ერთმანეთის მიმართ უნდა ეკისრებოდეს ვალდებულების შესრულება და ასევე დადგენილი უნდა იყოს ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. აღნიშნული ნორმის თანახმად, ეს ორი წინაპირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ განხორციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარეს უჭერს გაქვითვას. ვალდებულების

⁴⁷⁵ სუსგ №ას-1075-1323-05 15 მაისი 2006 წ. ასევე იხ. №ას-440-754-09 დეკემბერი/ 2009 წ./ № as-444-723-05 7 დეკემბერი 2005 წ./ №ას-456-805-07 5 ოქტომბერი, 2007 წ. №ას-725-985-05, 28 ნოემბერი 2005 წ.

გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ დავაზე არ ვრცელდება ეს უკანასკნელი ნორმის დანაწესი (442-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან მოპასუხე მხარს არ უჭერს გაქვითვას, ე.ი. არ არსებობს მისი ნება შესრულების ვადის დადგომამდე ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შესახებ, რაც აუცილებელი პირობაა ამ ნორმით ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის მიღების ღირებულების დაკისრების შესახებ, დამოკიდებულია თვით მის მიერ მოპასუხისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დარჩენილი ნაწილის გადახდაზე. მითითებული თანხა მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორებისას უნდა გამოკლებოდა დმანისის რაიონის გამგეობის მიერ შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ შესრულებული სამუშაოების ღირებულების სახით ასანაზღაურებელ თანხას, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება ჯერ არ შემდგარა”.⁴⁷⁶

ჩვენ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მოვიყვანეთ ნაწილი, რომელიც ეხებოდა სამართლის ნორმის განმარტებას, რადგან კასატორი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით. მაგრამ იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლოს შეემოწმებინა თუ რამდენად სწორად განმარტა სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 442-ე მუხლი, არ იყო საკმარისი მხოლოდ სილოგიზმის მთავარი, ანუ ნორმატიული წანამძღვრის განსაზღვრა, რადგან შეემოწმების ობიექტს წარმოადგენს არა სამართლის ნორმა, არამედ - ფაქტობრივი გარემოებები. სამართლის ნორმის სწორ განმარტებას გააჩნია საკმაოდ დიდი მნიშვნელობა. არასწორ განმარტებას ხშირ შემთხვევაში მოჰყვება არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტების დადგენის პროცესი დავას არ იწვევს ან ამ პროცესულურ დარღვევებზე მითითება საფუძველს მოკლებულია, მაშინ სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მოიაზრება სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი სიტუაცია სამართლის ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაში, რომელიც განმარტა სააპელაციო სასამართლომ. სასამართლო არ იხილავს აბსტრაქტულ ურთიერთობებს, იგი იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავას, შესაბამისად სამართლის ნორმის გამოყენებისა და განმარტების მართებულობას საკასაციო სასამართლო ამოწმებს კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებით.⁴⁷⁷

საკმაოდ საინტერესოა კანონის დანაწესი, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია,

⁴⁷⁶ სუსგ №ას-286-608-09 22 ოქტომბერი 2009 წ., ასევე იხ. №ას-954-1204-04, 4 მარტი 2005წ.

⁴⁷⁷ ასევე იხ. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p, 53-54.

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ფიქრობთ, ამ შემთხვევაში უნდა განიმარტოს, თუ რას ნიშნავს: “გადაწყვეტილება არსებითად სწორია” და “არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.”

იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივ მხარეს, ზემოაღნიშნული დანაწესის სწორ განმარტებას გააჩნია მეტად დიდი მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ იმისათვის, რათა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყოს შემოწმებადი სამართლებრივი კუთხით, იგი უნდა შეიცავდეს საქმისათვის მნიშვნელოვან დადგენილ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სსსკ-ის 411-ე ან 412-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

ამ უკანასკნელ შემთხვევებს უფრო დეტალურად ქვემოთ შევხებით.

სსსკ-ის 410-ე მუხლით მოცემულ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს შემოწმების ობიექტის (ფაქტობრივი გარემოებების) ყველა ნიშანი და ამასთან ერთად არ უნდა იყოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური დარღვევები. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამდგარია სწორი შედეგი. ამდენად, უნდა არსებობდეს სუბსუმირებადი ფაქტები.

მაგრამ მოიაზრება თუ არა ამ შემთხვევაში იურიდიული დაუსაბუთებლობა? იმ შემთხვევაშიც, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, ეს წარმოადგენს მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსსკ-ის 394-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტი). ამდენად, გამორიცხვის პრინციპიდან გამომდინარე, სსსკ-ის 410-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა უნდა გავმიჯნოთ ამავე კოდექსის 394-ე მუხლის “ე” და “ე1” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისაგან, რასაც ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

ამდენად, “გადაწყვეტილება არსებითად სწორია” და “არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას” უნდა გულისხმობდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტობრივი სიტუაცია (მეორადი წანამძღვარი) სწორად არის განსაზღვრული და დადგენილი, მაგრამ არ არის სწორად განხორციელებული სუბსიმირება ქმედების აბსტრაქტული ნორმატიული შემადგენლობის (მთავარი წანამძღვარი) ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე სწორი შედეგი დადგა. აღნიშნული შეიძლება უკავშირდებოდეს შემთხვევებს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ის ნორმა, რომელიც არ უნდა გამოყენებინა ან არასწორად განმარტა სამართლის ნორმა (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები).

ამ მხრივ ინტერესს იწვევს საფრანგეთის საპროცესო კოდექსის თავისებურებები. კერძოდ, 620-ე მუხლის თანახმად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს საკასაციო საჩივარი, მაგრამ შეცვალოს არასწორი მიტივაცია, სამართლებრივი

ხასიათის მოტივაციით⁴⁷⁸. თითქოს მოტივაციაში დაშვებული შეცდომა უნდა იწვევდეს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, საკასაციო სასამართლო კი არ აუქმებს, არამედ ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ თავის გადაწყვეტილებაში არასწორ მოტივაციას ცვლის სწორი მოტივაციით.⁴⁷⁹ ამ შემთხვევაში სწორი უნდა იყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იცვლება სამოტივაციო ნაწილის სამართლებრივი დასაბუთება (rejet par substitution de motifs). სამართლებრივ დასაბუთებაში ამ შემთხვევაში იგულისხმება ან სხვა სამართლებრივი ნორმის გამოყენება ან ფაქტების სხვაგვარი კვალიფიკაცია.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმის მიხედვით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სამართლებრივი მოტივი (სამართლებრივი დასაბუთება), ანუ როგორც უწოდებენ ზედმეტი მოტივაცია, შეიძლება არ მიიღოს საკასაციო სასამართლომ მხედველობაში, თუ ის სერიოზულ გავლენას არ ახდენს სარეზოლუციო ნაწილზე.

მაგალითად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (შოც. 1987 წლის 12 ივნისი, ბიულეტენი V, №378), რომელიც ეხებოდა შრომის კოდექსის . 122-4-ე მუხლის დარღვევას, აღინიშნა, რომ საზოგადოება « Entreprise Guenzi » ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (Nansy, 3 octobre 1984), რომლითაც დაეკისრა ბატონ ლამბერტინისთვის გადაეხადა კომპენსაცია სამსახურიდან განთავისუფლების გამო; ბატონი ლამბერტინი სამსახურში მიიღეს 1976 წლის 3 მაისს, როგორც მუშა. 1980 წლის 1 იანვარს იგი სამუშაოების ხელმძღვანელი გახდა, 1980 წლის 6 მარტს მძიმე დარღვევის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს, საკასაციო საჩივრის მიხედვით მძიმე დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების მიერ დასაქმებულმა საშტატო თანამშრომელმა თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მუშაკები წააქეზა, დაეტოვებინათ დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტი სამუშაო დღის დასრულებამდე ერთი საათით ადრე, რომ მათთან ერთად ბარში წასულიყო დასაღვევად; სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონმა ლამბერტინმა, რომელსაც არასდროს მიუღია გაფრთხილება, 1980 წლის 6 მარტს ბარში წაიყვანა საწარმოს ორი თანამშრომელი სამუშაო საათებში, მაშინ, როდესაც მშენებლობა არ იყო დასრულებული. სააპელაციო სასამართლომ შეძლო შეეფასებინა ეს ფაქტი, რომ მას ნდობის დაკარგვა და საწარმოს კარგად მუშაობაში ხელის შეშლა მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დარღვევა შეიცავდა სამსახურიდან განთავისუფლების რეალურ და სერიოზულ მიზეზს, ის არ ხასიათდებოდა საკმარისი სიმძიმით, რომ ბატონი ლამბერტინისთვის არ მიეკუთვნებინათ ხელშეკრულების შეწყვეტის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საზოგადოების საკასაციო საჩივარი.⁴⁸⁰

⁴⁷⁸ Code de procédure civile. art. 620, 2008.

⁴⁷⁹ E. Prieur, La substitution de motifs par la Cour de cassation. Paris, 1986, p. 17.

⁴⁸⁰ Soc. 12 juin 1987 (Bull. V. n° 378).

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ, როდესაც სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და, ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია ეს ფაქტები სამართლებრივად შეამოწმოს (იხ. § 3.1), მაგრამ მიუხედავად სწორი სამართლებრივი შედეგისა, სააპელაციო სასამართლომ ამ ფაქტებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, საკასაციო სასამართლოს შეუძლია უცვლელად დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) ახალი სამართლებრივი შეფასებით.

5.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი კრიტერიუმები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, როდესაც საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა (სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტი).

განსახილველი ნორმით მოცემული დანაწესი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება საკასაციო სასამართლოს მიერ მტკიცებითი პროცესის შემოწმების (იხ. § 4.3.) შედეგებს.

აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული შემთხვევის შემოწმება წარმოადგენს საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ფაქტების განსაზღვრის და დადგენის პროცესის შეფასების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა პროცესუალური დარღვევით, აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება შეიძლება შეიცავდეს ისეთ პროცესუალურ დარღვევებს, რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვანი იყოს სწორი სამართლებრივი შედეგისათვის.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ფაქტების დადგენის პროცესი და აუცილებელია ფაქტსა და მტკიცებულებას შორის დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტა (იხ. § 4.3.3).

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიერ სრული სამართლებრივი ანალიზისათვის აუცილებელია არა მარტო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, არამედ მათ დადგენასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული წესების დაცვა. ეს აუცილებლობა, შესაბამისად, განპირობებულია დადგენილი ფაქტის სავალდებულობის პრეზუმფციის უარყოფის წინაპირობებით (იხ. § 3.2). აღნიშნული დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს უშუალოდ პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებს (იხ. § 1.3., § 4.3.), მაგრამ პროცესუალური დარღვევის მიზეზი, ასევე შეიძლება

უკავშირდებოდეს მატერიალურ-სამართლებრივ ან ლოგიკური წესების დარღვევას (იხ. § 4.3.3.).

აღნიშნული დარღვევები შეიძლება გამოვლინდეს მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებაში (იხ. § 4.4.), მტკიცების საგნის არასწორად განსაზღვრაში (იხ. § 3.3.), იმ ფაქტების არასწორად განსაზღვრაში, რომლებიც არ საჭიროებს მტკიცებას (იხ. § 3.4.), მტკიცებით პროცესში დაშვებულ არსებით შეცდომებში (იხ. § 1.3., § 4.3.) და ა.შ.

მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით ექსპერტის დასკვნა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები სათანადოდ გამოკვლეული არ არის, კერძოდ, სასამართლო უთითებს: „საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ დენის ძაბვისა და სიხშირის ცვალებადობას, აგრეთვე ელექტროენერგიის ხშირ ჩართვა-გამორთვებს შეეძლო ელექტროძრავების მწყობრიდან გამოყვანა. ეს გარემოება ექსპერტმა დაკითხვის დროსაც დაადასტურა. საქმეში ასევე წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების ამოღების შესახებ აქტები, რომლებითაც დასტურდება ელექტროძრავების დაზიანების ფაქტი.“ მოცემულ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა არ არის კატეგორიული, ვინაიდან ექსპერტი ასკვნის ელექტროენერგიის არასტაბილურ მიწოდებასა და ელექტროძრავების დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირის შესაძლებლობას. ამდენად, დასკვნა კატეგორიულად არ ადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო ზიანის დადგომას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იხიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლოს სათანადოდ არ გამოუკვლევია მითითებული აქტები, კერძოდ, დასახელებული აქტებით შემოწმებულია სამგორის, ღრმაღელის, ზემო ვაკის, ნაძალადევის, საგურამოს სადგურებში განთავსებული ელექტროძრავები, რომელთა ექსპლუატაციის ხანგრძლივობა განსაზღვრულია ამავე აქტებით. შპს „თბილისის წყალი“ სარჩელის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან ქონებრივი ზიანი განიცადა არაგვის ხეობის წყალსადენებისათვის ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდების გამო (ტ. 1, ს.ფ. 2). ასევე ექსპერტმა შეამოწმა მასალა (ტ. I ს.ფ. 7-17, 130-138), რომელიც ასახავს არაგვის ხეობის წყალსადენებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების ხანგრძლივობას. ასეთ ვითარებაში უნდა გამოირკვეს:

რა გავლენას ახდენს არაგვის ხეობის წყალსადენისათვის ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება სამგორის, ღრმაღელის, ზემო ვაკის, ნაძალადევის, საგურამოს სადგურებში განთავსებულ ელექტროძრავებზე;

ელექტროძრავების დათვალიერების აქტებში მითითებული ძრავების გამოშვების თარიღისა და ექსპლუატაციის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ზუსტად უნდა დადგინდეს მათი დაზიანება

ცალსახად იყო თუ არა გამოწვეული ელექტროენერჯის მიწოდების ხარვეზით, თუ თვითონ ნივთის ფაქტობრივი მდგომარეობით; დაზიანებული ელექტროძრავები, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, (ტ. I ს.ფ. 126-128) მთლიანად იქნა განადგურებული, თუ მისი ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მფლობელმა რაიმე სარგებელი მიიღო თუ არა და დადებით შემთხვევაში, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ეს გარემოება გათვალისწინებულია თუ არა.

ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ მოთხოვნილი 685910,6 ლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ვინაიდან გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება ამ ოდენობის ახლად წარმოშობილ დავალიანებაში. სასამართლომ სარჩელი შეიძლება არ დააკმაყოფილოს მისი დაუსაბუთებლობის ან უსაფუძვლობის გამო და არა იმის გამო, რომ მან ვერ გაარკვია, თუ რაში მდგომარეობდა მოსარჩელის მოთხოვნა და რა მტკიცებულებებს აფუძნებდა იგი ამ მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, მხარეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამოკვლევას. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის ფონზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში უშვებს და საჭიროდ მიიჩნევს მოსამართლის ინიციატივას საქმის სათანადოდ განხილვის მიზნით.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილ დავას მხოლოდ განხილების კვლევით ნაწილში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება.⁴⁸¹”

ზემოაღნიშნული მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო არ შეიძლება სავარაუდო დასკვნებს ეყრდნობოდეს. სასამართლოსათვის არ უნდა იყოს სავარაუდო მოთხოვნისა თუ შესაგებლის შინაარსი. სასამართლომ უნდა გამოკითხოს მხარეები და დააზუსტოს განსახილველ საკითხთა წრე (იხ. § 3.1). ზემოაღნიშნულ მაგალითში სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა იმ მოტივით, რომ გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება ამ ოდენობის ახლად წარმოშობილ დავალიანებაში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთება შეიძლება ჩაითვალოს სრულად, თუ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა-შეფასება ხდება ერთობლიობაში, რათა სრული სურათი შეიქმნას ფაქტების შესახებ (იხ. § 4.3.3).

ამდენად, მითითებულ მაგალითში ექსპერტის დასკვნა არ იყო კატეგორიული, ვინაიდან ექსპერტი უშვებდა ელექტროენერჯის

⁴⁸¹ სუსგ №ას-858-1171-07 23 ივნისი 2008 წ., /ასევე იხ. №ას-452-782-05 3 თებერვალი 2006წ./ №ას-877-1501-03, 22 თებერვალი 2005წ./ №ას-782-1069-09, 9 ნოემბერი 2009 წ.

არასტაბილურ მიწოდებასა და ელექტროძრავების დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას.

ამის გასარკვევად სასამართლოს არ გამოუკვლევია აქტები სადავო სადგურებში განთავსებული ელექტროძრავების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შესახებ. შპს „თბილისის წყალი“ სარჩელის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან ქონებრივი ზიანი განიცადა არავის ხეობის წყალსადენებისათვის ელექტროენერჯის შეფერხებით მიწოდების გამო, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ ყოფილა გამოკვლეული.

ამდენად, აღნიშნული პროცესუალური დარღვევები მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი სიტუაციის სრული სურათი, რაც აუცილებელია საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის ხელახლა განხილვისას მხარეს უფლება აქვს, კვლავ განაცხადოს მოსაზრებები და პრეტენზიები, მიუთითოს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, მოითხოვოს სასამართლოსაგან ახალი პროცესუალური მოქმედებების განხორციელება.⁴⁸² მაგრამ მხარეს არ შეუძლია მოიყვანოს ის მოსაზრებები, რომლებიც უარყო საკასაციო სასამართლომ, ასევე მოსაზრებები სასამართლოს არაკომპეტენტურობის თაობაზე, რაც საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა.⁴⁸³ თუ მხარეებმა, ახალი მოსაზრებები არ წარადგინეს, ეს ითვლება შეზღუდულ პრეტენზიებად და მოთხოვნებად, რომლებიც წარადგინეს იმ სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება გააუქმა საკასაციო სასამართლომ. იგივე წესი მოქმედებს მხარის გამოუცხადებლობისას.⁴⁸⁴

მაგალითად, როდესაც სააპელაციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილი მოკლეა, საქმის არსებითი მხარის განმხილველი სასამართლოების მიერ სადაო ფაქტების დადგენილი კვალიფიკაციისა და ყოველგვარი შემოწმების არარსებობის თაობაზე საკასაციო სასამართლო მარტივი შესხენებით შემოიფარგლება.⁴⁸⁵

მტკიცებულებების დამახინჯების შემოწმების გზით მხოლოდ ირიბად ხდება ფაქტობრივი გარემოებების ეჭვქვეშ დაყენება.

მართლაც, დისციპლინური შემოწმების თანახმად (იხ. § 2.1) საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც მხოლოდ ფაქტების ანალიზია მოცემული, მაგრამ ამ ფაქტების დასადასტურებლად არ არის შეფასებული მტკიცებულებები (მოწმეების ჩვენებები, პოლიციის ოქმი, ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ).⁴⁸⁶

⁴⁸² Soc. 21 janv. 1998, Gaz. Pal. 1998, 2, Panor. 211; Civ. 3-e. 20 mai 1987, JCP 1987, IV. 251; Soc. 6 fevr. 1985, JCP 1985, IV. 143 (ციტირებულია K. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.152).

⁴⁸³ Soc. 21 mars. 1981, JCP 1981, IV. 207 ; Soc. 10 déc. 1980, JCP 1981. IV. 76. (ციტირებულია K. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.152) .

⁴⁸⁴ K. В. Балакин, стр.152.

⁴⁸⁵ Civ. 2°, 4 octobre 1978 (Bull. II, n° 202)/ Com., 1^{er} mars 1983 (Bull. IV, n° 92).

⁴⁸⁶ Soc. 12 juillet 1989,/ Civ. 1^{er} , 29 septembre 2004 (n 03/16.400).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, საქმე იხილება ხელახლა სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილი წესების მიხედვით იმ მითითებების გათვალისწინებით, რომლებიც აღნიშნულია საკასაციო სასამართლოს განჩინებაში (იხ. § 5.5.).

სსსკ-ის 412-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებისა და განსახილველად უკან დაბრუნების საფუძველი შეიძლება იყოს სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, გარდა ამავე მუხლის “გ” და “ე” ქვეპუნქტებისა. ეს ის პროცესუალური დარღვევებია, რომლებიც პირველ რიგში უნდა შემოწმდეს და მათი არსებობის შემთხვევაში სასამართლო აღარ იხილავს საქმეს (იხ. § 1.3.).

საძიებელ, ანუ ძირითად ფაქტებთან მიმართებით (იხ. § 3.1.), კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვანტერესებს სსსკ-ის 394-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როდესაც არ არსებობს საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტი, ანუ ფაქტობრივი გარემოებები (მეორადი წანამძღვარი), რის გამოც შეუძლებელი ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება.

ყოველივე ეს აფერხებს იმის გარკვევას, თუ რამდენად სწორად გამოიყენა ან განმარტა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ქვემდგომმა სასამართლომ. ამ შემთხვევებში არ არის ყოველთვის ადვილი, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი ნორმის გამოყენება, რადგან არ არსებობს ამისათვის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი – ფაქტობრივი სიტუაცია.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ის:

“იზიარებს კასატორის პრეტენზიას შ. ნ-ძე-ჩ-ძის უძრავ ნივთზე 2/3 წილის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

გაუქმებულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-

ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. მითითებული ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ამგვარი განსხვავებული წესით დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას. მოცემული დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვია, რაც დაასაბუთა იმით, რომ შ. ნ-ძე-ჩ-ძესთან ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი და მათ, გარდა სადავო უძრავი ქონებისა, სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ.

ზემოთ აღინიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს – შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილით ისე განუსაზღვრა შ. ნ-ძე-ჩ-ძეს უძრავ ქონებაზე 2/3 წილი, რომ არ მიუთითებია, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე დაამყარა ამ მუხლის გამოყენების საჭიროება. სასამართლო არ უთითებს, მოდავე მხარეთა თანასაკუთრების თანაბრად გაყოფა რა გავლენას ახდენს არასრულწლოვანი შვილის ინტერესზე, ან მის ნორმალურ პირობებში აღზრდაზე. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის ძალითაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს საკუთრების უფლების მოპოვების განსხვავებულ რეჟიმს, რაც მხოლოდ ამავე ნორმით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებული ნორმის გამოყენებისას დასაბუთებული უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ადასტურებენ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისისაგან გადახვევის აუცილებლობას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, უნდა გამოიკვლიოს და

დაადგინოს უძრავ ნივთთან მიმართებით მეუღლეთა წილის განსხვავებული წესით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობები და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.”⁴⁸⁷

აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ფაქტობრივ სიტუაციას საკასაციო სასამართლოსთვის. მაგრამ ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლო ასეთ შემთხვევაში უპირობოდ არ აუქმებს განსაზღვრულ გადაწყვეტილებას, არამედ სადავო ურთიერთობის მომწერიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე განსაზღვრავს იმ ფაქტების წრეს, რომელიც უნდა გამოეკვლია და დაედგინა ქვემოთ სასამართლოს.

შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა: თუ სააპელაციო სასამართლოს არა აქვს დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები, ე.ი. არ არსებობს საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტი, რამდენად შესაძლებელია საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის ზუსტად განსაზღვრა.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, რაც დაკავშირებულია კონკრეტული დავის სპეციფიკასთან. მაგალითად, ჩვენ მიერ პრაქტიკიდან ზემოთ მოყვანილი შემთხვევა საკასაციო სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას, სწორად განესაზღვრა სამართალპრეტენზიის ჰიპოთეზა. მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და შესაგებელი ამ შემთხვევაში წარმოადგენს სამართლებრივი ნორმის მოძიების ერთ-ერთ მთავარ მეგზურს (იხ. § 1.3., § 3.1). კერძოდ, განსახილველი საკითხი ეხებოდა მეუღლეთა შორის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გაყოფას არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, რისთვისაც სააპელაციო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ამ კონკრეტულ სიტუაციაში იწვევდა სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შედეგს.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს არამარტო არა აქვს დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, არამედ არა აქვს განსაზღვრული მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციები, რაც საკმაოდ ბუნდოვან და ორაზროვან დასკვნებს იძლევა. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს, საქმის თავისებურებების გათვალისწინებით, შეუძლია მიუთითოს მხარეთა სამართალპრეტენზიების დადასტურება-განსაზღვრაზე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის მოძიება. აღნიშნული “გაუგებრობა” შეიძლება გამოიწვიოს მხარეების პრეტენზიების პერმანენტულმა ცვლამ, ერთი მოთხოვნიდან მეორეზე გადასვლამ, შემდეგ ისევ პირველ მოთხოვნაზე დაბრუნებამ და ა.შ. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო არ ახდენს სათანადო რეაგირებას ყოველივე ამაზე, რაც შემდეგ ართულებს საკასაციო სასამართლოში განსაზღვრული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებას. ვფიქრობთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ: “სასამართლომ არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ ამ

⁴⁸⁷ სუსგ №ას-480-791-09 12 იანვარი 2010წ. ასვე იხ. №ას-468-780-09, 1 დეკემბერი 2009 წ. და ამ გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი.

მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებები მარტო იმის გამო, რომ მხარეებმა ვერ შეამჩნიეს ისეთი არსებითი დარღვევები, რომლებმაც აშკარად განაპირობეს მცდარი გადაწყვეტილების მიღება.”⁴⁸⁸

5.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი კრიტერიუმები

რა შემთხვევებში გამოაქვს საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება? სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, მაგრამ არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს ნიშნავს იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა და დაადგინა საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ არსებობს მათი სამართლებრივი შეფასება, უფრო ზუსტად: გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსსკ-ის 394-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტი). უნდა აღინიშნოს: იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლომ შეძლოს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, აუცილებელია, არსებობდეს სუბსუმირებადი ფაქტები. ეს შემთხვევა ჰგავს ჩვენ მიერ განხილულ, სსსკ-ის 410-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. მაგრამ საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება არსებითად არ არის სწორი.

“სამართლის გამოყენება არ ხორციელდება ზუსტი მეთოდით. კანონის გამოყენების ბუნდოვანება შეიძლება იურიდიული სილოგიზმის როგორც ნორმატიული, ისე ფაქტობრივი წანამდგვრებით იქნეს განპირობებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ინტერპრეტაციის არამკაფიო განსაზღვრებით ან სავარაუდო ფაქტობრივი გარემოებებით.”⁴⁸⁹

ამდენად, იურიდიული სილოგიზმით მოცემული სამი ელემენტის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, შეუძლია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის სწორად განსაზღვრული ნორმატიული წანამდგვარი და დასკვნა, მაგრამ არსებობს ფაქტობრივი წანამდგვარი. ხოლო სსსკ-ის 410-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტის შემთხვევაში სასამართლომ

⁴⁸⁸ გ. ქირია, სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები, თბ. 2002წ. გვ. 107.

⁴⁸⁹ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი 2006წ. გვ.127. შეად. А. Барак. Судейское усмотрение. М. 1999г., 96-97.

სწორად განსაზღვრა ფაქტობრივი წანამძღვარი და შედეგი, ხოლო ვერ განსაზღვრა სწორად ნორმატიული წანამძღვარი.

მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ: “სააპელაციო სასამართლომ სადავო ბრძანების კანონიერების შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ საჯარო სკოლას მოსარჩელე “ა”-ს მიმართ არ უნდა გამოეყენებინა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი წესები და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის მოტივით, შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების საფუძველზე, სამართლებრივად არასწორია. თუმცა სასამართლომ ბრძანების სამართლებრივი საფუძვლის არასწორად მითითება, მისი გაუქმებისა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის საკმარის საფუძველად არ მიიჩნია იმ მოტივით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ბრძანების გონივრული განსჯით დგინდება დამსაქმებლის ნამდვილი ნება.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტაციას სადავო ბრძანების არაკანონიერებაზე და თვლის, რომ სკოლის დირექციის მიერ გამოცემული ბრძანებით “ა” არასწორად იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის გამოყენებით “ა”-ს სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერებაზე იმ დასაბუთებით, რომ ბრძანების გონივრული განსჯით დგინდება დამსაქმებლის – საჯარო სკოლის დირექტორის ნამდვილი ნება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა “ა”-სთან.

შრომის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით კანონი უშვებს შესაძლებლობას შრომის ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი, დარეგულირდეს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის – დამსაქმებლის ნების გამოვლენას. ამდენად, მასთან მიმართებით, თუკი არსებობს ნების ნამდვილობის დადგენის აუცილებლობა, შეიძლება გამოეყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რომელიც ადგენს ნების გამოვლენის განმარტების წესს. ნების გამოვლენის განმარტების აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც არსებობს გარიგების მხარეების მიერ გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი. განმარტების საგანს წარმოადგენს მხარის მიერ გამოვლენილი ნება, როცა ეს მეორე მხარის მიერ განსხვავებულად იქნა აღქმული ან მხარის მიერ გამოვლენილი ნება არ არის მისი განზრახვის თანხვედრი. ასეთ შემთხვევაში გარიგების მხარე თვითონვე აზუსტებს, აკონკრეტებს ან მეორე მხარესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავოდ მიიჩნევა ხელშეკრულების ბუნდოვან და საეჭვო აზრს.

მოცემულ შემთხვევაში დავის ორი ინსტანციით განხილვისას სადავო ბრძანების ავტორს – სკოლის დირექტორს საეჭვოდ არ მიუჩნევია მის მიერ ბრძანებაში გამოხატული ნება – “ა”-ს სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი, შესაბამისად, დაუსაბუთებელია

სააპელაციო სასამართლოს ინიციატივა მხარის იმ ნების განმარტებისა, რომელსაც საექვოდ და ბუნდოვნად თვით მხარე არ მიიჩნევს.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნების განმარტება უნდა განხორციელდეს განსამარტ ტექსტთან მჭიდრო კავშირში. ნების განმარტება ადეკვატური უნდა იყოს ფაქტისა, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული არ არის.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარის – სკოლის დირექტორის ნება გამოვლენილია წერილობითი ფორმით, რაც გამორიცხავს ნების გამომვლენის შეცდომის ალბათობას, ვინაიდან ნების წერილობითი ფორმით გადმოცემისას ივარაუდება, რომ მხარე თავის სურვილს მხოლოდ შეგნებულად განსჯის შემდეგ გადმოსცემს. . . .

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით “ა”-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს.”⁴⁹⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ: საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების შედეგები, რაც ვლინდება ერთ შემთხვევაში - გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) უცვლელად დატოვებაში, მეორე შემთხვევაში - გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებაში და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებაში და მესამე შემთხვევაში - გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებაში და ახალი გადაწყვეტილების გამოტანაში, უკავშირდება ერთ შემთხვევაში - საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრის მართებულობის, მეორე შემთხვევაში - ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული შედეგი განპირობებულია საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შემოწმების შესაძლებლობით. საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანაზე უშუალო გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული იურიდიული სილოგიზმის მიხედვით ნორმატიული (ძირითადი) წანამძღვარი და ფაქტობრივი (მეორადი) წანამძღვარი; აქედან გამომდინარე, რამდენად სწორი შედეგი იქნა მიღებული საქმეზე. მითითებული წანამძღვრების განსაზღვრა გავლენას ახდენს საკასაციო სასამართლოში სუბსუმფციის განხორციელების პროცესულურ შესაძლებლობებზე, რაც, შესაბამისად, აისახება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სხვადასხვა სახეში.

⁴⁹⁰ სუსგ №ას-920-1127-08, 10 მარტი 2009 წ. ასვევ იხ. №ას-781-996-08, 17 მარტი 2009წ.

5.5. საკასაციო სასამართლოს მითითებების ფარგლები და სავალდებულო ძალის მნიშვნელობა.

სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების განჩინებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რაც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიას იწვევდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა არსებობდეს ისეთი დანაწესი, რომლის თანახმად, სავალდებულო იქნებოდა საკასაციო სასამართლოს მითითებები ქვემდგომი სასამართლოსათვის. მაგრამ იმ დროსაც, როდესაც ასეთი დანაწესი არ არსებობდა პოზიტიური სახით, სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამის მოთხოვნილება არსებობდა სამართლებრივი სტაბილურობისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნა განხილული ერთ-ერთ სადისერტაციო ნაშრომში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო მოდელების განხილვის შედეგად დაისვა საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ: შემოთავაზებულ იქნა დანაწესი, რომლის თანახმად: “საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნებას, აგრეთვე მითითებები ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესახებ, სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელსაც ეს საქმე დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად.”⁴⁹¹ ფაქტობრივად მსგავსი შინაარსის დანაწესს ითვალისწინებს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო მტკიცებულებითი საქმიანობის შეფასებისას ადგენს მტკიცებითი საქმიანობის კრიტერიუმებს, მტკიცებულებათა შეფასებისა და ამ მტკიცებულებების მეშვეობით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის აუცილებელ მიმართულებებს, რომლებიც შემდეგ აისახება კონკრეტული მითითებების სახით. როდესაც ვსაუბრობთ საკასაციო სასამართლოს მითითებების სავალდებულობაზე სააპელაციო სასამართლოსთვის, ძალაუნებურად ვეხებით მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი მორჩილების პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: “მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს”.

⁴⁹¹ ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 137.

ამ მხრივ ჩნდება კითხვა: ხომ არ იზღუდება მოსამართლის დამოუკიდებლობა ამ მითითებების სავალდებულობით.⁴⁹² ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ ამ მითითებების შინაარსი, მნიშვნელობა და ასევე მისი ფარგლები. ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მითითებები ეხება სამართალშეფარდების გადასინჯვის ისეთ მხარეებს, რომლებითაც უზრუნველყოფილია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მათ შეფასებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კრიტერიუმების განსაზღვრა. ხოლო რაც შეეხება მტკიცებითი საქმიანობის კრიტერიუმების განსაზღვრას, როგორც საკასაციო სასამართლოს შეფასებით პროცესს, მნიშვნელოვანია პროცესუალურ-სამართლებრივი და ლოგიკური მხარეების სწორად განსაზღვრა.

მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ საკასაციო სასამართლოს მითითებების მნიშვნელობა განპირობებულია საკასაციო სასამართლოს ინსტანციურობისათვის დამახასიათებელი მტკიცების საგნის მნიშვნელობით (იხ. § 4.2.), ხოლო ამ უკანასკნელის ფარგლები აისახება საკასაციო სასამართლოს მითითებების ფარგლებზე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებები შეიძლება ეხებოდეს ისეთ პროცესუალურ დარღვევებს, რაც უკავშირდება სსსკ-ის 412-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტით საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დაუდგენლობას ან არასათანადოდ დადგენას, რისთვისაც აუცილებელია მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ან ამავე კოდექსის 412-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტში მითითებულ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში პროცესუალური დარღვევების არსებობისას საკასაციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ მათზე მითითებით.

ვფიქრობთ, რომ ეს მითითებები უშუალოდ უკავშირდება საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტის (ფაქტობრივი გარემოებების) განსაზღვრას, რომლის გარეშეც ის მოკლებულია შესაძლებლობას, სრული სამართლებრივი დასკვნები გამოიტანოს საქმიდან.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მითითებებით უზრუნველყოფილია საკასაციო სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის ფარგლებში საქმის განხილვის სპეციფიკა. ამდენად, ეს მითითებები, თუ განხორციელებულია კანონის ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებში, არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა. აღნიშნული მითითებები წარმოადგენს იმ აუცილებელ სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობით საკასაციო სასამართლო აბსტრაქტულად განსაზღვრავს მის მიერ შესამოწმებელ ობიექტს, მაგრამ მისი კონკრეტული განსაზღვრა (დადგენა) არ შეუძლია, საკასაციო სასამართლოს ინსტანციურობიდან

⁴⁹² ასევე იხ. გიორგი გოგიაშვილი, “სამართლებრივი ტენდენციები; როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს”, ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა, №1-2, 2005, გვ74-75, შეად. ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 135

გამომდინარე. ამდენად, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასების სავალდებულო ძალა უნდა განვიხილოთ, როგორც სუბსუმირებადი ფაქტების განსაზღვრის კრიტერიუმები, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასება (იხ. § 2.3., § 3.1.).

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმის (სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მიზანი მთლიანად ემთხვევა საკასაციო სასამართლოს მიზნებს,⁴⁹³ რაც გამოიხატება ინდივიდუალური ინტერესებისა და საჯარო ინტერესების დაცვაში (იხ. § 1.3).

ვფიქრობთ, განსახილველ საკითხთან მიმართებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ საჯარო ინტერესების დაცვის მიზანზე, რომლითაც ფაქტობრივად უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ინტერესების დაცვის მიზნის მიღწევა. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მითითებებიც საბოლოოდ უნდა ემსახურებოდეს ამ მიზნების მიღწევას.

გ. გოგიაშვილის სტატიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად: “საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონკრეტული მიზანი უნდა გახდეს სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მანუფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, რამაც გადაწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ამ მიზნის მისაღწევად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების დეტალურ მოტივირებას უზენაესი სასამართლო უნდა ასრულებდეს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ასევე იურიდიული მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტებისა და, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენების კონტროლის ფუნქციას, რასაც, საბოლოოდ, მოაქვს სამართლის უნიფიკაცია”⁴⁹⁴.

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ასევე ამ სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ: “უზენაესი სასამართლო უნდა ჩამოყალიბდეს წმინდა საკასაციო სასამართლოდ, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება კანონის დინამიკური განმარტება და ამით სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა.”⁴⁹⁵

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულ მიზნებთან ერთად, საკასაციო სასამართლოს მითითებებს გააჩნია გარკვეული კანონზომიერება, რომლის დაცვით უზრუნველყოფილია არა მარტო აღნიშნული მიზნების მიღწევა, არამედ - მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკასაციო სასამართლოს მითითებების სააპელაციო სასამართლოსათვის სავალდებულოების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას.

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულის შინაარსის გათვალისწინებით, მისი ფარგლები მოიცავს მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევის გამოსწორების მითითებას, მათგან ერთი ნაწილი უკავშირდება

⁴⁹³ ასევე იხ. ვ. ხრუსტალი. კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები. საიუბილეო კრებული, თენგიზ ლილუაშვილი – 75, გვ. 187.

⁴⁹⁴ გიორგი გოგიაშვილი, “სამართლებრივი ტენდენციები; როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს”, ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა, №1-2, 2005, გვ.74-75.

⁴⁹⁵ იხ. იქვე, გვ. 75.

ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენას ან არდადგენას, ხოლო მეორე ნაწილი - საერთო სასამართლოების იურისდიქციის საკითხებს. აღნიშნული ფარგლების დაცვა აუცილებელია არა მარტო კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ იმისათვისაც, რომ შესაძლებელი იყოს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმება. პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმების სწორად გამოყენებით უზრუნველყოფილია მხარეთა ინდივიდუალური ინტერესების დაცვა, ხოლო აღნიშნული კრიტერიუმების სწორად განსაზღვრის კონტროლის ფუნქციით - საჯარო ინტერესების დაცვა.⁴⁹⁶

აქედან გამომდინარე, აღნიშნულ მითითებებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია სამართლის განვითარებისა და სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. რა თქმა უნდა, მოსამართლეს, რომელიც იხილავს საკასაციო სასამართლოდან დაბრუნებულ საქმეს, შეუძლია გამოიყენოს და განმარტოს კანონი თავისი შეხედულებისამებრ, რაც უზრუნველყოფილია მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპით. მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამართლის ნორმის გამოყენება და განმარტება ასევე უკავშირდება სამოსამართლო სამართალს, კანონის ბუნდოვანი ადგილების განმარტებას, კანონის ხარვეზის შევსებასა და საბოლოოდ სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებულ წესებს.

მაგრამ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება არ ნიშნავს მხოლოდ “ერთნაირად საქმის გადაწყვეტას”. ერთგვაროვანი პრაქტიკა ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივად სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რასაც საფუძვლად უდევს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე გამოცდილება. “მოსამართლეები კანონსა და ცხოვრებას შორის შუამავლის როლს ასრულებენ.”⁴⁹⁷ აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მითითებები სამართლებრივად უნდა იყოს დასაბუთებული, რომ არ ჩნდებოდეს დამატებითი კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მიიჩნია საკასაციო სასამართლომ ასე და რატომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია. ამდენად, შესაძლებელია, რომ სააპელაციო სასამართლოდან საკასაციო სასამართლოში ხელმეორედ შემოსული გადაწყვეტილება, რომლითაც არ იქნა გათვალისწინებული საკასაციო სასამართლოს მითითებები, განპირობებული იყოს თვით ამ უკანასკნელი სასამართლოს მითითებების დაუსაბუთებლობით. სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს რთულ პროცესს, რომლის დროსაც იხვეწება და ყალიბდება სამართლებრივი ხედვები, რასაც საბოლოოდ მოჰყვებად გარკვეული შედეგი.

ამდენად, როგორც ავლნიშნეთ საკასაციო სასამართლოს მითითებებს გააჩნია მიზნები, რომლებიც, როგორც ჩვენ ვთვლით, ატარებს კონკრეტულ და ზოგად ხასიათს. ამ მითითებების კონკრეტული ხასიათი

⁴⁹⁶ შეად. ვ. ხრუსტალი, სტატია “საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება”, ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2009წ., გვ., 45.

⁴⁹⁷ ი. გაგუა, სტატია “განსჯადობის პრობლემა მეორე ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას”. ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2009წ., გვ., 112.

გამოიხატება კონკრეტული დავის გადაწყვეტაში და ყოველი კონკრეტული საქმე განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას. მითითებების ზოგადი მიზანი ემსახურება სამართლებრივ სტაბილურობას, სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც, შესაბამისად, აისახება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტაში.⁴⁹⁸

განვიხილოთ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მხოლოდ ზოგიერთი წინაპირობა, რაც ჩვენი თვალთახედვით, უკავშირდება ჩვენ მიერ განსახილველ თემატიკას.

კერძოდ, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის “ა”, “ბ” და “გ” ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე.

აღნიშნული დანაწესები სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებთან ერთად განაპირობებენ მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად კასაციისადმი წაყენებული მთავარი მოთხოვნების ერთმანეთთან ჰარმონიაში მოყვანას: კერძოდ, ზოგადად მართლწესრიგის დაცვას და მისთვის ხელის შეწყობას ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვეობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნას; ცალკეულ შემთხვევებზე გადაწყვეტილებების სამართლიანობას.⁴⁹⁹

⁴⁹⁸ 2005 წლის 23 ივნისის ცვლილებით ქართველმა კანონმდებელმა შემოიღო კასაციის ფორმა. თუ აქამდე კასაცია გათვალისწინებული იყო ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე, სადაც დადგენილი იყო საჩივრის ფასი 1000 ლარიდან, ამ ზღვარმა 1000-დან 50 000 ლარზე გადაინაცვლა. 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებების თანახმად საკასაციო საჩივრის ფასის ზღვრული ოდენობა გაუქმდა და საკასაციო საჩივრის ღირებულება განისაზღვრა იმის დამხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ კანონის ძველი რედაქცია არ აწესრიგებდა საკასაციო საჩივარს არაქონებრივ-სამართლებრივ დავებზე, აღნიშნული ცვლილებებით აქ რამდენიმე ნორმა იქნა შემოღებული: საკასაციო საჩივარი დასაშვებია ყველა არაქონებრივ-სამართლებრივ დავებზე, თუ იგი ეხება “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას” (მე-4 ნაწილი). სხვა შემთხვევებში საკასაციო საჩივრის შეტანა შესაძლებელია ყველა (ქონებრივ-სამართლებრივ თუ არაქონებრივ-სამართლებრივ) დავებზე, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან ან თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაზე. და ბოლოს, კასაცია დასაშვებია ასევე სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე განჩინებაზე. ასევე იხ. ცენო რაიპენბეკერი. Projekt: Unterstützung des Rechts – und Gerichtssystems.

⁴⁹⁹ Zöller/ Gumer, ZPO, vor & 542, RDN. 1. ციტ. მიხ. ჰაინ ბიოლინგი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ახალი საკასაციო წარმოების შესახებ. ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი” №5(7)05, გვ. 78.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებები საბოლოოდ უნდა უზრუნველყოფდეს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ცენო რაიჰენბეჰერი თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ ამ “კრიტიკრიუმებს თუ ჩაუღრმავდებით, ნათელი გახდება, რომ თითქმის ყოველთვის, როცა საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისათვის, იგი ასევე მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და პირიქით. აღნიშნულ კონტექსტში არ განიხილება ის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკისაგან, ე.წ. დივერგენტული კასაცია, რომელსაც სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები ითვალისწინებენ.”⁵⁰⁰

ამდენად, მნიშვნელოვანია “სამართლის განვითარებისათვის” ნიშნავს, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა. მაგალითად, გერმანიის სასამართლოში დამკვიდრებული წესის თანახმად, სამართლის განვითარება მოიაზრებს ორ ჯგუფს, როცა: ცალკეული საქმის საფუძველზე ხდება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა განმარტების ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება და აუცილებელი კანონის ხარვეზის აღმოფხვრა.⁵⁰¹ უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის უკან დაბრუნების შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს იმ გადაწყვეტილებებს (სასამართლო პრაქტიკას), რომლებიც მიუთითებს სამართლებრივი განვითარების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. მკვეთრი, უხეში განსხვავებები სასამართლო პრაქტიკაში უარყოფითად მოქმედებს სამართლებრივ სტაბილურობაზე.

მაგალითისათვის ისევ მივმართოთ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო თავისებურებებს, შეიძლება აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოდან დაბრუნებული საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლოს აქვს უფლება, თავისუფლად განსაჯოს როგორც ფაქტის საკითხი, ასევე - სამართლის საკითხი. მას შეუძლია, ასევე პირდაპირ თუ ირიბად შევიდეს საკასაციო სასამართლოსთან კონფლიქტში, ან ახალი თეზისი დაამკვიდროს ან საფუძველად გამოიყენოს გაუქმებული გადაწყვეტილება. პირველ შემთხვევაში სასამართლო, რომელმაც ხელახლა მიიღი საქმე საკასაციო სასამართლოსაგან, მიმართავს იმავე დასაბუთებას და მისი გადაწყვეტილების გაუქმებისას ექნება იგივე უფლებამოსილება. მეორე შემთხვევაში ფრანგულმა კანონმდებელმა დაადგინა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკასაციო სასამართლოს უპირატესობას. კერძოდ, კვლავ იმ შედეგით დაბრუნებული გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო სასამართლომ გააუქმა საკასაციო სასამართლოს პლენარული სხდომაზე, შეიძლება გაუქმდეს იმავე მოტივებით, რაც პირველ შემთხვევაში. მაგრამ სამართალწარმოების შესახებ კოდექსის L. 132-2 მუხლის თანახმად, საქმე

⁵⁰⁰ ცენო რაიჰენბეჰერი. Projekt: Unterstützung des Rechts – und Gerichtssystems.

⁵⁰¹ იხ. იქვე.

შეიძლება პირდაპირ დაუქვემდებარონ პლენარულ განხილვას (საკასაციო სასამართლოში საქმის პირველივე განხილვაზე), თუ ეს ეხება პრინციპულ საკითხს (question de principe), კერძოდ, თუ არსებობს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეთა (juges de fond) პოზიციებში განსხვავება ან არსებობს განსხვავება არსებითად საქმის განმხილველ მოსამართლეთა და საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთა პოზიციებს შორის.⁵⁰²

ამ შემთხვევაში, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებულია საკასაციო სასამართლოს პლენარულ სხდომაზე, სასამართლომ, რომელიც მიიღებს ამ საქმეს, უნდა მისდიოს საკასაციო სასამართლოს პლენარულ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილ მოსაზრებებს (სამართალწარმოების შესახებ კოდექსის L. 131-4 მუხლის თანახმად). ამ შემთხვევაშიც საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურაში ჩნდება კითხვა: ხომ არ არღვევს ასეთი წესი მოსამართლეთა დამოუკიდებლობას მართლმსაჯულების განხორციელებისას. მაგრამ მიჩნეულია, რომ ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა საბოლოო სიტყვა უნდა დაუტოვოს საკასაციო სასამართლოს.⁵⁰³

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, მოსამართლეებს ეკრძალებათ (il est défendu aux juges) განსახილველ საქმეებზე ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ადგენს ნორმატიული ხასიათის საერთო დებულებებს (disposition générale et réglementaire).⁵⁰⁴

აღნიშნული დანაწესი მიუთითებს იმაზე, რომ კონკრეტული სადავო ურთიერთობის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭება მისი მომწვესრიგებელი ნორმის განმარტებას.

ამ მხრივ ინტერესს იწვევს გერმანიის საკასაციო სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების თავისებურებები, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო ხასიათი აქვს სააპელაციო სასამართლოსათვის, თუ: გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად უდევს ეს სამართლებრივი შეფასება, ე.ი. სამართლებრივი შეფასება გადაწყვეტილების გაუქმების უშუალო მიზეზს წარმოადგენს; უცვლელად დარჩა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას; სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე არ შეცვლილა სამართლებრივი მდგომარეობა, ან საკასაციო სასამართლოს არ შეუცვლია სამართალშეფასება, ან სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების საფუძველზე არსებითად შეიცვალა ფაქტობრივი გარემოებები.⁵⁰⁵

⁵⁰² К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук.

Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.154.

⁵⁰³ J. Fouer, G. Cornu., Procédure civile. Paris. 1996. p. 235 შეად. J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, 2009-2010. p. 747, ასევე об. Ass. plén., 21 mai 1976. N 72-92.002, Bull. ass. plén., N 6.

⁵⁰⁴ Code civil. art. 5, 2006.

⁵⁰⁵ Zivilprozessordnung, Kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2002, S.910.(ციტირებულია ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

ამდენად, განსახილველ საკითხთან მიმართებით ზოგადად შეიძლება მიუთითოთ გერმანიის სამართლის მიხედვით მოსამართლის ბოჭვის ფარგლები: “1. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბოჭავს ყველა სასამართლოს; 2. თუ საკასაციო ინსტანციამ გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა, სასამართლო შებოჭილია ზემდგომი სასამართლოს იმ მოსაზრებებით, რომლებიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას; 3. პრეიუდიციას შემბოჭველი ძალა აქვს, თუ მითითებები განხორციელებულია სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით; 4. ერთსა და იმავე საქმეზე მოსამართლე შებოჭილია ამ საქმეზე გამოთქმული საკუთარი შეხედულებებით. ყველა სხვა შემთხვევაში მოსამართლე არ არის უშუალოდ შებოჭილი ადრე მიღებული გადაწყვეტილებით”⁵⁰⁶

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესი, რომლის თანახმად, სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო მნიშვნელობა გააჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსათვის, არ არის უცხო სხვა ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკასაციო სასამართლოს მითითებები ერთ შემთხვევაში ეხება საპროცესო დარღვევების ჩამონათვალს, რასაც კანონმდებელი აფასებს ამგვარად და რაც წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, ხოლო მეორე შემთხვევაში ემსახურება საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შემოწმების ობიექტის განსაზღვრას, რომლის აუცილებელ სამართლებრივი კრიტერიუმების ფარგლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თუ არ არის გამოკვეთილი ან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების ობიექტი) შეუძლებელია ამ ფაქტების კვალიფიკაცია (სუბსუმფცია) საკასაციო სასამართლოს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტებთან შემხებლობის კუთხით აღნიშნული მითითებები ასევე შეიძლება დაფყოთ ორ ნაწილად: მითითებები, რომლებიც მოიცავს ერთ შემთხვევაში - დასადგენი ფაქტობრივი გარემოებების წრეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - ამ ფაქტების დადგენასთან დაკავშირებული წესების დაცვას.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო სასამართლოს მითითებებს გააჩნია საკმაოდ დიდი მნიშვნელობა სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და ემსახურება სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებების სავალდებულო მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილია საკასაციო სასამართლოს

დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 136).

⁵⁰⁶ იხ. გიორგი ხუბუა, სტატია “სამოსამართლო სამართალი: სამართლის წყარო თუ სამართლის შემცენების წყარო?” ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი”, №5(7)05).

განხილვის სწორი და სრული დასაბუთებით, რომელშიც მითითებები აისახება, როგორც დელუქციური კვლევის შედეგები.⁵⁰⁷

დასკვნა

1. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განხილვის) სამართლებრივი (კანონიერების) მხარის შემოწმება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი ელემენტები შეადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმების სტრუქტურულ ერთობას.
2. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ფაქტობრივ გარემოებებთან შეხების კუთხით საკასაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ორი მიმართულება. პირველი მიმართულება ვლინდება საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შემოწმებაში, ხოლო მეორე - ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის შემოწმებაში.
3. პირველი შემთხვევის დროს საკასაციო სასამართლო ამოწმებს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის, ხოლო მეორე შემთხვევაში - პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის არსებობას.
4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი მხარის შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს უხდება იმის შემოწმება, თუ მოცემული ფაქტობრივ სიტუაციის მიმართ რამდენად სწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა. ამისათვის ის თვითონ იყენებს და განმარტავს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს. შემოწმების აღნიშნული პროცესი შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, თუ რამდენად გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს იურიდიული მნიშვნელობა კონკრეტულ საქმეში, რადგან აღნიშნული ანალიზის შედეგები განსაზღვრავს საბოლოოდ სამართლებრივი შემოწმების ფარგლებს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეაფასოს საკასაციო სასამართლო ამ ფაქტების მნიშვნელობა მისთვის სავალდებულოების კუთხით. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული პრეზუმფციის არსებობა ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად მიჩნევისათვის.
5. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა ასევე ვლინდება დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის

⁵⁰⁷ შეად. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბ., 2006წ., გვ., 135-136.

(შედავების) ანალიზის დროს, რადგან მისი ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი, იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტები. ამ შემთხვევაში უკვე აღარ ვრცელდება მითითებული პრეზუმფციის მოქმედება და მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ გამოიკვლია და შეისწავლა ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ, რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით დადგინდა ეს ფაქტები.

6. ამისათვის საკასაციო სასამართლოს უხდება მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტების კომპლექსში შესწავლა. მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებში იგულისხმება მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტებში იგულისხმება კასატორის პრეტენზია და მტკიცებულებები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფაქტის დადგენასთან მიმართებაში პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც, შესაბამისად ეხება მტკიცებითი საქმიანობის მართებულობის შემოწმებას.
7. როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტების შეფასებაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სწორად განსაზღვრეს მტკიცების საგანი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა. სადავო ურთიერთობის განხილვისას მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა უკავშირდება არამარტო სათანადო სამართლის ნორმის მოძიებას, არამედ - მის სწორად განმარტებას და საქმის სწორი მიმართულებით განხილვას, რაც შესაძლებელია აისახება იურიდიულ შედეგზე.
8. ამასთან ერთად, წინამდებარე კვლევამ ცხადყო, რომ პრედიციალურად დადგენილი ფაქტები, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, უდავო ფაქტები და პრეზუმფციები, შეიძლება გახდეს საკასაციო სასამართლოს შეფასების ობიექტი (საგანი). შემოწმებისას ყურადსაღებია ის, თუ რამდენად მართებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ ისინი იმგვარ ფაქტებად, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, ე.ი. რამდენად მართებულად გამორიცხა სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტები მტკიცების საგნიდან. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ თვითონ უნდა გამოიყენოს შემეცნების ხერხები და დაადგინოს ის აუცილებელი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც განსაზღვრავს ფაქტებს, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას; მან ასევე უნდა გამოარკვიოს, მათი დადგენილად ცნობისათვის რა შემეცნებით-ლოგიკური ხერხებია გამოსაყენებელი და, შესაბამისად, რა პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები მიუთითებენ ამ ფაქტების დადგენილად ცნობაზე.
9. დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის არსებობის პირობებში, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის

პროცესთან დაკავშირებულ პროცესუალურ დარღვევებს საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს პროცესუალური დარღვევის ფაქტები. ამ შემთხვევაში მტკიცების საგანს საკასაციო სასამართლოში შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პროცესუალური დარღვევის ფაქტები, რომლებიც შეუძლია მიუთითოს კასატორმა მხოლოდ საკასაციო საჩივრის წარდგენის მომენტში და რომლის დასადგენად საკასაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია შეამოწმოს საამისოდ განკუთვნილი მტკიცებულებები, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მტკიცებითი პროცესის შემოწმება.

10. შემოწმების აღნიშნული პროცესი უკავშირდება მტკიცების საგნის განსაზღვრის, მტკიცების ტვირთის განაწილების, მტკიცებულებათა შეგროვების, მტკიცებულებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებათა შეფასების მართებულობის შემოწმებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მტკიცებითი საქმიანობის შემოწმებას გააჩნია სამართლებრივი და ლოგიკური მხარეები.
11. აქ ვლინდება საკასაციო სასამართლოს ფაქტობრივ გარემოებებთან შემხებლობის ის თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია პროცესუალური დარღვევის შემოწმების სპეციფიკით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლებში და საპროცესო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე იკვლევს არა ძირითად, საძიებელი ფაქტების დამდგენ მტკიცებულებებს, არამედ - ამ ფაქტების დადგენის პროცესში დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებს (პროცესუალურ ფაქტებს), ამ დარღვევების დამდგენი მტკიცებულებების მეშვეობით.
12. პროცესუალური დარღვევების არსებობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთების კონტექსტის გათვალისწინებით, გამოხატულია მტკიცებულებათა არშეფასებაში ან არასათანადოდ შეფასებაში. ამასთან, საკასაციო სასამართლო პროცესუალური დარღვევის დადგენის შემთხვევაში თვითონ განსაზღვრავს არ-შეფასებული ან არასათანადოდ შეფასებული მტკიცებულების შემოწმება-დასაბუთების კრიტერიუმებს, რაც, შესაბამისად, აისახება საკასაციო სასამართლოს მითითებებში საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შემთხვევაში.
13. ამ შემთხვევაში მტკიცებულებებსა და ფაქტს შორის კავშირის დადგენა თავისი შინაარსით წარმოადგენს სუბსუმფციის გზით ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლის ნორმას შორის კავშირის პროცესის პრაქტიკულ (პროცესუალურ) რეალიზაციას. ამ პროცესის პრაქტიკული (პროცესუალური) რეალიზაციის შემოწმება ვლინდება საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების თაობაზე ფაქტების დადგენაში.

14. რა თქმა უნდა, აღსანიშნავია, რომ პროცესუალური დარღვევების შემოწმებისას მხედველობაში მიიღება ერთ შემთხვევაში - პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები, ხოლო მეორე შემთხვევაში - ლოგიკის წესები. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალური დარღვევების შემოწმების დროს, მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რამდენად დაცული იყო კანონით დადგენილი მტკიცებულების მიღება-გამოთხოვის პროცესუალური წინაპირობები და/ან მტკიცებულებათა განხილვასთან დაკავშირებული წესები. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება, პროცესუალური წესების დაცვით დადგინდა თუ არა ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც შემოწმების საგანი შეიძლება იყოს მტკიცებულებების დასაშვებობის, განკუთვნიადობის, გამოკვლევისა და შეფასების პროცესი. აღნიშნული პროცესის შემოწმება შეუძლებელია იმ ფაქტობრივი გარემოებების გარეშე, რომლებიც წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების ობიექტს. ზემოთქმულის მნიშვნელობა ვლინდება იმიში, რომ საკასაციო სასამართლო შემოწმების საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, თუ რამდენად კონკრეტულ მტკიცებულებათა საშუალებების (სახეების) მეშვეობით, კანონით განსაზღვრული წესების დაცვით და ლოგიკური ოპერაციების შესაბამისად მიიღო და გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ ამ მტკიცებულებებში არსებული ფაქტობრივი ინფორმაცია, რასაც საფუძვლად უდევს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმა.
15. ამასთან ერთად, მტკიცებითი პროცესის შეფასებისას საკასაციო სასამართლოს უხდება აგრეთვე იმის შემოწმებაც, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა მტკიცების ტვირთი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ. აღნიშნული პროცესის შემოწმება უკავშირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მართებულობას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიერ მტკიცებითი საქმიანობის შემოწმებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების ტვირთის განსაზღვრის მართებულობას, რასაც საფუძვლად უდევს მხარეთა შეჯიბრებითობის მართვა, მოსამართლის აქტიურობის ფარგლების განსაზღვრა, რაც შეუძლებელია საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი სიტუაციის ანალიზის გარეშე. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება მოითხოვს ფაქტობრივი სიტუაციის სამართლებრივ შეფასებას და ამასთან დაკავშირებით, სამართლის ნორმის სწორად განმარტებას, რაც აისახება არამარტო ფაქტობრივი გარემოებების სწორად განსაზღვრაში, არამედ - მათ სწორად დადგენაში.
16. ყოველივე ზემოაღნიშნული აისახება საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების შედეგებზე, რაც ვლინდება - ერთ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) უცვლელად დატოვებაში, მეორე შემთხვევაში - გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების)

გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებაში, და მესამე შემთხვევაში - გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების გამოტანაში.

17. მითითებული შედეგი განპირობებულია საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შემოწმების შესაძლებლობით. საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანაზე უშუალო გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული იურიდიული სილოგიზმის მიხედვით ნორმატიული (ძირითადი) წანამდვარი და ფაქტობრივი (მეორადი) წანამდვარი და, აქედან გამომდინარე, რამდენად სწორი შედეგი იქნა მიღებული საქმეზე. აღნიშნული წანამდვარების განსაზღვრა გავლენას ახდენს საკასაციო სასამართლოში სუბსუმფციის განხორციელების პროცესუალურ შესაძლებლობებზე, რაც შესაბამისად გამოიხატება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სხვადასხვა სახეებში.
18. ამდენად, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, მას შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს ერთ შემთხვევაში - დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი მხარე და მეორე შემთხვევაში - ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობა. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოსათვის საბოლოოდ ვლინდება საკასაციო სასამართლოს მითითებებში.
19. მითითებები, ერთ შემთხვევაში ეხებიან საპროცესო დარღვევების ჩამონათვალს, რაც კანონმდებლის მიერ არის ასეთად შეფასებული და წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, ხოლო მეორე შემთხვევაში - ემსახურებიან საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შემოწმების ობიექტის განსაზღვრას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფაქტებთან შეხების კუთხით აღნიშნული მითითებები ასევე შეიძლება დავეყოს ორ ნაწილად: 1. მითითებები, რომლებიც მოიცავს დასადგენი ფაქტობრივი გარემოებების წრეს და 2. მითითებები, რომლებიც მოიცავს ამ ფაქტების დადგენასთან დაკავშირებული წესების დაცვას.
20. ამრიგად, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში ვლინდება პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული, გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი (კანონიერების) მხარის შემოწმებაში, რაც წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ არსებით ფუნქციას. შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების, როგორც საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების ობიექტის განსაზღვრა აუცილებელია ერთ შემთხვევაში სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა და მისი განმარტების სისწორის შემოწმებისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებებსა და

სამართლის ნორმას შორის კავშირის მართებულების შემოწმებისათვის. აქედან გამომდინარე, იკვეთება საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი შეფასების შემდეგი კრიტერიუმები, რაც გამოიხატება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებაში, ასევე ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის შეფასებაში.

21. წინამდებარე კვლევით ჩვენ წინ წამოვწიეთ პრობლემატიკის ზოგიერთი ისეთი მხარე, რომელიც ეხება გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმების პროცესში ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობისა და შემოწმების წესის სამართლებრივი კრიტერიუმების განსაზღვრას. ამისათვის აუცილებელი გახდა პროცესუალური ნორმების რეგულაციურ ფუნქციაში გარკვევა, რომელიც განსაზღვრავს ფაქტობრივ გარემოებებთან საკასაციო სასამართლოს შემხებლობას. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ სამართალშეფარდების შეფასების პროცესის ზოგიერთ მხარეზე სტრუქტურულ-ფუნქციონალური თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გადაუჭრელობა ხშირ შემთხვევაში ართულებს დასკვნის გაკეთებას იმის შესახებ, თუ საკასაციო სასამართლომ რამდენად მართებულად დააბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში ან რამდენად მართებულად გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება; რა ფაქტობრივ გარემოებებზე და როგორ უნდა გაამახვილოს ყურადღება საკასაციო სასამართლომ; რომელ ფაქტობრივ გარემოებებს და რა მოცულობით შეიძლება შეეხოს საკასაციო სასამართლო, როდესაც საქმეს აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად ან ძალაში ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას (განჩინებას).

22. ზემოაღნიშნულ საკითხებზე სწორი მეცნიერული კრიტერიუმების დადგენა გაამარტივებს სამოქალაქო საქმეთა განხილვას საკასაციო სასამართლოში და, აქედან გამომდინარე, დაეხმარება საკასაციო სასამართლოს მოსამართლეებს იმ სამართლებრივი მექანიზმების აღქმაში, რომლებიც უკავშირდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის უკან დაბრუნების ან ძალაში დატოვების, ან ახალი გადაწყვეტილების გამომტანის სამართლებრივ საფუძვლებს.

ბიბლიოგრაფია:

ლიტერატურა ქართულ ენაზე:

რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი (თარგმანი ქართულ ენაზე (2009წ.) 2006წ.

გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004წ

ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2004 წ.

დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ. 2009წ.

ს. ჩაჩავა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, “მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010წ.

ბ. ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბ. 2007წ.

თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005წ.

ვ. ხრუსტალი, სტატია “გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ”, ჟურნალი “სამართალი”, №11, 2001წ.

GTZ-ის მასალები. მართლმსაჯულება გერმანიაში და სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა შეხვედრაზე მიღებული რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ, თემაზე “უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება,” პრადა და ბრნო, 21 – 23 ოქტომბერი, 1998 წელი.

“ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო”, თბ. 2008წ.

თ. ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, თ. 2005წ.

თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გამოცემა, თბ. 2007წ.

შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თ. 2006წ.

გიორგი ხუბუა, სტატია, “სამოსამართლო სამართალი:სამართლის წყარო თუ სამართლის შემეცნების წყარო?” ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი” №5(7)05.

ვ. ხრუსტალი, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ავტორეფერატი, თბ. 2004წ.

გიორგი გოგიაშვილი, “სამართლებრივი ტენდენციები; როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს”, ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა, №1-2, 2005წ.

ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004წ.

გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბ. 2004წ.

თ. თოდრია. სტატია “საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი”, ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №2, 2009წ.

შ. ქურდაძე. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ., 2006წ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2005.წ.

მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბ. 2008წ.

თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. მეორე გამოცემა. თბ. 2007წ.

ნ. ხოფერია. მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში. თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული “75” – გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით

ზ. ძლიერიშვილი. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ. 2010წ.

GTZ-ის მასალები. მართლმსაჯულება გერმანიაში და სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე.

ე. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით. თბ. 2008წ.

ჰაინ ბოლინგი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ახალი საკასაციო წარმოების შესახებ. ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი” №5(7)05.

ცენო რაიჰენბეჰერი. Projekt: Unterstützung des Rechts – und Gerichtssystems

ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ. 1997წ.

ე. გოცირიძე, მიზეზობრიობა, თბ. 2006წ.

თ. ლილუაშვილი, “სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულება”. საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები. თბ. 1977წ.

გ. ქირია, სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები, თბ. 2002წ.

თ. ჩიტოშვილი, სტატია “დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები”, ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2008წ.

ვ. ხრუსტალი, სტატია “საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება”, ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2009წ.

ივანე ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII., თბ. 1984წ.

ი. ვაგუა, სტატია “განსჯადობის პრობლემა მეორე ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას”. ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2009წ.

თ. ლილუაშვილი. სტატია: “საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი”. ჟურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა”, მე-4 კვარტალი, 1998წ.

ნ. ცომაია, სტატია: “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, თუ მავნე ზეგავლენა”, ჟურნალი. “მართლმსაჯულება და კანონი”, №5(12)06.

ბ. ზოიძე. სტატია” სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ”. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, №3, 2006წ.

რ. ხურცილავა. სტატია: “რამდენიმე მოსაზრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სრულყოფასთან დაკავშირებით”. ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი”, №1(24)10.

ვ. ხრუსტალი. კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები. საიუბილეო კრებული, თენგიზ ლილუაშვილი – 75, გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით.

თ. მამიაშვილი. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ჟურნალი “მართლმსაჯულება”, №1, 2008წ.

დავით სულაქველიძე. სტატია: “სისხლის სამართლის კანონის უკუძალის შესახებ – კომენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე”, ჟურნალი “საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა”, მარტი 2010წ. №2

ქეთევან ერემაძე. სტატია: “მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ – პასუხი დ. სულაქველიძის კომენტარზე”, ჟურნალი “საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა”, მარტი 2010წ. №2

გადაწყვეტილებები:

სუსგ №ას-652-959-09 სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი

სუსგ №ას-372-691-09 17 დეკემბერი, 2009 წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, ასევე მასზე დართული სამი განსხვავებული აზრი

სუსგ №ას-39-38-10 15 ივლისი, 2010 წ.

სუსგ №ას-861-1075-08; 23. 04. 2009 წ.

სუსგ №ას-246-577-07 (17.10.2007).

სუსგ №ას-878-1090-08; 10. 04. 2009 წ.

სუსგ №ას-59-408-07, 12.09.07წ.

სუსგ № ას-1363-1588-05, 29.06.06წ.

სუსგ №ას-652-959-09 სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი

სუსგ №ას-372-691-09 17 დეკემბერი, 2009 წ.

სუსგ №ას-39-38-10 15 ივლისი, 2010 წ.

სუსგ №ას-40-380-09 23 ივლისი 2009 წ.

სუსგ №ას-571-879-09 30 აპრილი 2010 წ.

სუსგ №ას-571-879-09 30 აპრილი 2010 წ.

სუსგ №ას-483-794-09 4 თებერვალი 2010 წ.

სუსგ. №ას-455-769-09. 3 დეკემბერი 2009წ.

სუსგ №ას-455-769-09 3 დეკემბერი 2009წ.

სუსგ №ას-858-1171-07 23 ივნისი 2008 წ.

სუსგ №ას-24-379-07, 20 ივნისი 2007წ.

სუსგ №ას-792-1007-08, 11 ივნისი 2009 წ.

სუსგ №ას-1268-1526-09, 25 მაისი 2010წ.

სუსგ №ას-792-1007-08, 11.06. 2009 წ.

სუსგ №ას-1174-1319-08 23 ივლისი 2009წ.

სუსგ №ას-1174-1319-08 23 ივლისი 2009წ.

სუსგ №ას-1174-1319-08 23 ივლისი 2009წ.

სუსგ №ას-1075-1323-05 15 მაისი 2006 წ.

სუსგ №ას-286-608-09 22 ოქტომბერი 2009 წ.

სუსგ №ას-858-1171-07 23 ივნისი 2008 წ.

სუსგ №ას-480-791-09 12 იანვარი 2010 წ.

სუსგ №ას-920-1127-08, 10 მარტი 2009 წ.

სუსგ №ას-268-591-09, 3 დეკემბერი 2009 წ.

სუსგ №ას-440-754-09 დეკემბერი/ 2009 წ.

სუსგ №ას-444-723-05 7 დეკემბერი 2005 წ.

სუსგ №ას-456-805-07 5 ოქტომბერი, 2007 წ.

სუსგ №ას-954-1204-04, 4 მარტი 2005წ.

სუსგ №ას-725-985-05, 28 ნოემბერი 2005 წ.

სუსგ №ას-468-780-09, 1 დეკემბერი 2009 წ. და ამ გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი.

სუსგ №ას-781-996-08, 17 მარტი 2009წ.

სუსგ №ას-797-1163-06, 18. 07. 2007წ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება A. Neves v. Portugal. 20.02.95.

ლიტერატურა უცხო ენაზე :

Marie-Noëlle Jabard-Bachellier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, Paris, Dalloz, 2010

J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, 2009-2010.

Boré.J. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-e partiè.

Couchez G. Procédure civile. 12 édition, Paris, Dalloz, 2002

Hervé Croze, Le procès civil, Éditions Dalloz – 2004

J.-L. Aubert, La distinction du fait et du droit dans le pourvoi en cassation en matière civile, D. 2005

G. Couchez, Procédure civile. Paris. 1998

J. Boré, article précité dans le volume jubilaire p. 217 e J. Héron et Th. Le Bars, Droit judiciaire privé, Montchrestien, 2002, n° 803

E. Prieur, La substitution de motifs par la Cour de cassation. Paris, 1986

J. Fouer, G. Cornu., Procédure civile. Paris. 1996.

G. Canivet, L'organisation interne de la Cour de cassation favorise-t-elle l'élaboration de sa jurisprudence ? , La Cour de cassation et l'élaboration du droit, Economica, 2004

J. Biffet, Le contrôle de la Cour de cassation et le pouvoir souverain. La Cour de cassation et l'élaboration du droit, Economica, 2004

Breton, L'arrêt de la Cour de de cassation, Toulouse, 1975

Jean Vincent, Serge Guinchard, Procédure civile, Paris, Dalloz, 1999.

Georges Picca, Liane Cobert, La Cour de Cassation. Presses Universitaire de France, 1986

Brigitte Hess-Fallon, Anne-Marie Simon. Droit civil, 9^e édition, 2007

Vincen J., Guinchard S. Procédure civile, 27 édition. Paris, Dalloz, 2003

ლიტერატურა რუსულ ენაზე :

Ян Шапц, Система германского гражданского права, М. 2006г.

А. Т. Боннер, Применение нормативных актов в гражданском процессе, М. 1980г.

Е. В. Васьковский, учебник гражданского процесса, изд. Бр. Башмаковых, М. 1914г.

С.С. Алексеев. Общая теория права. т.2, М.1982г.

К. В. Балакин, диссертация на соискателя ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г.

А. Ф. Черданцев. Теория государства и првав. М. 2002г.

Гегель. Философия права. изд. Мысль, 1990г.

А. А. Клишас. Конституционный контроль и конституционное правосудие зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование. М. 2007г.

С.С. Алексеев. Восхождение к праву, поиски и решения. М.2001г.

М.А. Алиескеров, Кассационное производство по гражданским делам: вопросы теории и практики. изд. «норма», 2005г.

Курс гражданского процесса: теоретические начала и оснавные институты, Сахонова Т.В. 2008г.

С.В. Боботов. Правосудие во Франции, изд. «ЕАВ» 1994г.

- Р.О. Опалев, Автореферат, Оценочные понятия в арбитражном и гражданском процессуальном праве, Екатеринбург, 2008г.
- А. Д. Гетманова, Логика для юристов, М. 2009.
- Ю. А. Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве. М. Wolters Kluwer, 2008г.
- А. Нашиц. Правотворчество. Теория и законодательная техника. М., 1974.
- М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г.
- А. Г. Давтян. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2009г.
- И. В. Решетникова. Доказывание в гражданском процессе. М., 2010г.
- Ф. Н. Фоткуллин. Общие проблемы процессуального доказывания. Казань, 1973
- М. К. Треушников. Доказательства и доказывание в советском гражданском процессе. М. 1982
- М. К. Треушников Судебные доказательства. М. 1999
- С. В. Курылев. Основы теории доказывания в советском правосудии. Минск, 1976.
- Т. Лилуашвили. Предмет и бремя доказывания в советском гражданском процессе. Тб., 1957.
- К. И. Камисаров. Судебное усмотрение в советском гражданском процессе//Советское государство и право. 1969. №4
- М. Гурвич Судебное решение. Теоретические проблемы. М., 1976.
- С. В. Курылев. Установление истины в советском правосудии. Автореферат. М. 1967г.
- Н. М. Коршунов. Ю. Л. Мареев, Гражданский процесс. Изд. Норма. М. 2008.
- В. И. Бартон. Логика. Минск. 2008.
- Курс гражданского процесса: теоретические начала и основные институты, Сахонова Т.В. 2008г.
- А, А. Малышев, Советский гражданский процессуальный закон, М., 1973.
- А. П. Дудин. Объект правоотношения. Саратов, 1980.

- М. А. Гурвич. Гражданские процессуальные правоотношения и процессуальные действия\\ Вопросы гражданского процессуального, гражданского и трудового права. М., 1965.
- Р. О. Ополев. Оценочные понятия в арбитражном и гражданском процессуальном праве. Woltes Kluwer, М. 2008г.
- В. В. Игнатенко. Оценочные понятия в законодательстве об административной ответственности. Дис. . . канд. юрид. наук. Свердловск. 1989г.
- А. Ф. Черданцев. Логика-языковые феномены в праве, юридической науке и практике. Екатеринбург, 1993г.
- К. И. Комиссаров. Задачи судебного надзора в сфере гражданского судопроизводства. Свердловск. 1971г.
- А. Барак. Судейское усмотрение. М. 1999г.
- Б. Зоидзе, Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданско-правового регулирования. Актуальные проблемы советского права. Тб. 1988г.
- А. С. Кожемяко. Кассационное производство в арбитражном суде: теория и практика . М., 2004г.
- Н. А. Власенко. Проблемы точности выражения формы права (лингво-логический анализ): Автореф. дис. . . . д-ра юрид. наук. Екатеринбург, 1997.
- М. Х. Хутыз, Общие положения гражданского процесса. Историко-правовое исследование. М., 1976г.
- Л. Т. Улянова. Оценка доказательств судом первой инстанции. М., 1960г.
- Н. М. Кипнис. Допустимость доказательств в уголовном судопроизводстве. М., 1995г
- Т.В. Саханова. Регламентация доказательств и доказывания в гражданском процессе. Государство и право. 1993г., №7.
- В.В. Малчанов. Собираение доказательств в гражданском процессе. М., 1991г.
- А.Т. Боннер. Правила допустимости доказательств в гражданском процессе: необходимость или анахронизм? Советское государство и право. 1990г., № 10.
- А. Д. Гетманова. Логика для юристов. М., 2009г.
- М. Треушников. Гражданский процесс: Учебник. М., 2001
- М. Треушников, З. Чешки. Основные принципы гражданского процесса, М., 1991г.

И. Решетникова. Доказательственное право в гражданском судопроизводстве. Екатеринбург, 1997г.

С. Аносов. Пределы судебного познания в процессуальном праве // Российская юстиция. 2001. №1.

О науке гражданского процесса. Ответственность сторон за ложные объяснения в суде. М. 2006г.

Г.Л. Осокина. Гражданский процесс. Общая часть. М., 2003г.

М. К. Треушников. Объяснение сторон как доказательства по гражданским делам. Советская юстиция. 1981г., №21.

А. Ф. Клейиан. Новейшие течения в советской науке гражданского процессуального права. изд. московского университета. 1967г.

В. А. Бабаков. Гражданско процессуальная обязанность. Дис. канд. юрид. наук. Саратов. 1999г.

Р. Кросс. Прецедент в английском праве, юр. лит. М. 1985г.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებები:

Civ. 1-ge, 13 janv. 1993. Bull. civ. I, № 14

Civ. 1^{re}, 3 février 1981 (Bull. I. n38)

Cass, 1^{er} civ., 5 janv. 1999 : Bull. n°4

Com. 6 mais 1980, Bull.

Civ. IV. N° 176 ;

Civ. 2-e, 10 juill. 1968, Bull.

Civ. II. N° 206

Cass. soc. 31 janv. 1962; Bull. IV, n°105

Cass, soc. 16 oct. 1964; Bull. IV, n°678

Cass. soc. 7 oct. 1982, Bull. civ. I, n°540

Cass. – Civ. I, 9 juill. 1985; Bull, I, n°216

Cass. – Civ. I, 2 avr. 1996; Bull. I, n° 170; D. 1996

Sentenza 18 luglio 2007, n. 16002, Cassazione Civile, sez. III,

Sentenza 19 febbraio 2009, n. 4122, Cassazione Civile, sez. III,

Sentenza 9 aprile 2009, n. 8689 e Cassazione Civile, sez. III,

Sentenza 4 gennaio 2010, n. 7 in Altalex Massimario.

Cfr. Cassazione Civile, sez. III,

Selistö v. Finland 16.11.04./

R. Predota v. Fustria, 18.01.2000/

N. Katamadze v. Georgia, 14.02.06

Code civil. art: 1350, edition, 2006

Soc. 12 juillet 1989./

Civ. 1^{er}, 29 septembre 2004 (n 03/16.400)

Soc. 12 juin 1987 (Bull. V. n° 378)

Civ. 2°, 4 octobre 1978 (Bull. II, n° 202)/

Com., 1^{er} mars 1983 (Bull. IV, n° 92)

Cass. 2^e civ., 24 mars 1971 : Bull ;, II. n° 130

Civ. 2^e, 28 mars 1966 : D. 1966. 541./

Civ. 1^{er}, 23 nov.1982: Bull. civ. I, n° 335./

Com. 28 févr. 1984: Bull. civ. IV, n° 75./ 17 oct. 1995: Bull. civ. IV, n° 230; JCP 1996. 3938, n° 18, obs. Cadet; RTD civ. 1996. 171, obs.

Soc. 31 janv. 1962: Bull. civ. IV, n°105

Ass. plén., 21 mai 1976. N 72-92.002, Bull. ass. plén., N 6

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები A.
Neves v. Portugal. 20.02.95., /Selistö v. Finland 16.11.04./ R. Predota v. Fustria,
18.01.2000/ N. Katamadze v. Georgia, 14.02.06

Civ. 1-re, 7 juin 1989, Bull. civ. I, № 224.

საქართველოს და სხვა ქვეყნების ნორმატიული აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5669 – სსმ I, 2008წ., №1, მუხ.1.

სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლი (2008 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით)

Code de procédure civil. art. 455, 458. 2008.

Loi n°2002-73 du 17 janvier 2002 de modernisation sociale

Code civil art: 515 (8), 2006

Codice di procedura civile 360'

Гражданское процессуальное уложение Германии. Woltes Kluwer. М. 2006

Гражданский процессуальный кодекс РФ

ვებ-გვერდები:

<http://www.kursach.com/biblio/0010019/508.htm> .В. С. Нерсесянц. Общая теория права и государства. М. 1999

http://www.pravo.vuzlib.net/book_z1790_page_3.html /Алексеев С. С. Право. Азбука. Теория. Философия. Опыт комплексного исследования. – М.: Издательская группа НОРМА - ИНФРА * М. 1998.

<http://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=LEGITEXT000006069108&dateTexte=20100830>

<http://law.edu.ru/doc/document.asp?docID=1132308&subID=100016057,100091301>

http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_59.html

http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html

[.http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html](http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html)

http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html

http://www.pravo.vuzlib.net/book_z1177_page_58.html/

<http://istina.rin.ru/cgi-bin/print.pl?sait=3&id=3763>

<http://www.msk-arbitr.ru/upload/article.php?id=372>

http://society.polbu.ru/koblikov_legalethics/ch23_i.html

http://planetadisser.com/see/dis_125280.html - Гражданское процессуальное право Германии

http://www.pravo.vuzlib.net/book_z848_page_78.html - В. С. Калмацкий, Ю. В. Медведев. Гражданское процессуальное право. Уфа, 2003г

http://www.pravo.vuzlib.net/book_z1074_page_73.html - М. Треушников. Гражданский процесс. М. 1998г.

<http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/47619/>

http://fr.jurispedia.org/index.php/Charge_de_la_preuve_en_mati%C3%A8re_civile_%28fr%29

<http://yurist-online.com/uslugi/yuristam/literatura/civ-proces/61.php> - Объяснения сторон и третьих лиц как средства доказывания

<http://gatchina3000.ru/brockhaus-and-efron-encyclopedic-dictionary/049/49494.htm>

http://planetadisser.com/see/dis_167034.html

